

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო
უზრუნველყოფის განყოფილება

ნოდარ შოშიტაშვილი

საქართველოს საპირფარეო ტურქეთში

საპირფარეო ტურქეთში ქართველებთან

(უაკ)????????????????????
??????
???????

რედაქტორები: ჯაბა სამუშია
გელა გურგენიძე
მირიან ხოსიტაშვილი

სტილისტ-რედაქტორი დ ელენე სალარიძე

წიგნად ქცეული რეპორტაჟები

ეს რეპორტაჟები, რომელთაც ახლა წიგნად „აკინძულს“ ვთავაზობთ, სამი წლის განმავლობაში იქმნებოდა და იბეჭდებოდა აურნალ „ისტორიანში“. ამ რეპორტაჟებში თურქეთის რესპუბლიკაში, თურქეთულ ქართველებთან გატარებულ სამ ზაფხულზე მოვითხრობთ.

პროექტი, რომლის სახელწოდებაც „თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მაგერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება“ განხორციელდა საქართველოს საპარტიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით 2012-1014 წლებში. პროექტის საინფორმაციო მხარდამჭერი იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ისტორიულ-მეცნიერებითი აურნალი „ისტორიანი“.

პროექტის ხელმძღვანელი იყო თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორი, არქიმანდრიტი ადამი (ვახგანგ ახალაძე); მენეჯერები დ ნატო ასათიანი და გიორგი ირემაძე; პროექტის შესაბამისად განხორციელებულ ექსპედიციებსა და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობდნენ: მკვლევარი-ეთნოლოგები: როლანდ თოფჩიშვილი, როზგა გუგუჩიანი, ქეთევან ხუციშვილი, ნოდარ შიშიგაშვილი, მირიან ხოსიგაშვილი, გიორგი ჭეიშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი; ისტორიკოსები: თამაზ ბერაძე (რომელიც სამსუხაროდ, ტრაგიკულად დაიღუპა), ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა; ენათმეცნიერი ინგა ლუციძე; გეოგრაფი რომან მისურაძე; ხელოვნებათმცოდნე ელენე კავლელაშვილი; თურქოლოგები ლია ჩლაიძე და ზაზა წურწუშია.

...შარშან მარშარილოს ზღვის სანაპიროს ქართული დასახლებიდან, ქალაქ იზმითიდან ჩემი ძველი მეგობარი და აურნალ „ისტორიანის“ ერთ-ერთი ნარკვევის (რომლითაც იხსება ეს წიგნი) გმირი არჩილ ზოიძე (აბდულლაჰ ზორლუ) დამიკავშირდა. ვიცოდი, მაშინ თურქეთის მეტოქისში (იქაურ პარლამენტში) იყრიდა კენჭს და ბუნებრივია, წარმატება ვუსურვე. თან ისიც ვითქვარე, ამ საარჩევნო განამანიაში ჩემთან რა უნდა უხდოდეს-მეთქი. მითხრა, აურნალ „ისტორიანში“ გამოქვეყნებულ შენს რეპორტაჟებს (რომელთა ელექტრონულ ვერსიასაც ვუგზავნიდი ზოიძეებს თბილისიდან) ტარიელი (მისი ვაჟია, მალე სკოლას დაამთავრებს) მთელ ოჯახს ხმამაღლა ვეკითხავსო. მერე კიდევ, ტარიელს თერად პრინტერზე ამოუბეჭდავს ეს რეპორტაჟები, „წიგნად“ შეუკრავს და ახლა სკოლაში მეგობრებსაც აჩვენებსო...

სიმართლე ვითხრათ, რეპორტაჟების მომზადებისას არც მითიქრია მათი წიგნად გამოცემა, მაგრამ ახლა, როცა ეს „იღეა“ თავად იმათგან მოდიოდა, ვის შესახებაც მომზადდა

ნოდარ შოშითაშვილი

„მოგზაური ეთნოლოგიის ჩანაწერები“, გადაუნყვიტე, მართლა კარგი იქნებოდა, თუ ყველაფერს ერთად მოუყრიდი თავს და წიგნად ვაქცევდი.

მით უთურო, რომ ამგვარ წიგნზე არც ქართველი მკითხველი იგყოდა უარს. ამის იმედს ახლახან ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებული წერილი მამღლევს, რომლის ავტორიც საქართველოს წარსულით დაინტერესებული კულტუროლოგი ლელა ნიკურაძეა. აი, რას მწერდა იგი:

„აქუნალ „ისტორიანის“ გამოსვლას სიამოვნებით ველოდები ხოლმე. განსაკუთრებით, თუ თქვენი წერილებია თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე, მათ ყოფაზე, შენარჩუნებულ ტრადიციებზე, დღევანდელობაზე. ისეთი ლექსიკა აქვთ, ისეთი საუბარი, დცრემლი მოვადგება ადამიანს. მაგალითად, ბრეგვაძეების ოჯახს რომ სწვევიან, ასე დაულოცავს ოჯახის დიასახლისს, დ ღმერთმა კარგობა მოვცეთო. წამოსვლისას კი ოჯახის უთროსს, გულდანყვებულს, დ ასე ძალე რაგომ გვგოვებთო, დ უთქვამს და დაუმატები: დ ახლა მიხვალთ, აქ რაგომ გამავდეთ (დამტოვეთ), თვალები ემეცრემლება... ლამაზათ წადითო. რა თბილი სიტყვებია, არა? რაღაც სხვანაირად თქმული.

და კიდევ: ბატონი ნოდარისგან ამავე რეპორტაჟით გავიგე, რომ ჩანჩქერს თურმე ჩახრიალას ეძახდნენ, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ დიალექტს შემოუნახავსო. ლამაზი სახელია, მართლაც“.

სხვა რაღა დამრჩენოდა, თავი მოუყარე ჩემს რეპორტაჟებს და მათი მომავალი ბედი ჩემს უმცროს მეგობრებს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორსა და მის მოადგილეს ვიორგი კეკელიძესა და მირიან ხოსიტაშვილს მივანდე, რომელთა ხელშეწყობითაც გამოიცა ეს წიგნი და საქვეყნოდ დიდ მადლობას მოვასხენებ ორივე მათგანს. აქვე მინდა მადლობა გადაუხადო აქუნალ „ისტორიანის“ მთავარ რედაქტორს ჯაბა სამუშიას და რედაქტორს გელა გურგენიძეს, რომლებიც მთელი სამი წლის განმავლობაში ბეჭდავდნენ ჩემს რეპორტაჟებს თურქეთის რესპუბლიკის ქართველთა დასახლებებიდან.

„წიგნად ქცეულ რეპორტაჟებს“ კი ჩემი ქალიშვილის, სალომე შოშიტაშვილის ნარკვევი წავემძღვარე, რომელიც აქუნალ „ისტორიანში“ დიბეჭდა 2012 წელს და რომელიც მკითხველს ახლოს გააცნობს მუჰაჯირ ქართველს დ არჩილ ზოიძეს. დიას, იმ აბდულლაჰ ზორლუს, რომლის იდეაც დაედო საფუძვლად ამ წიგნის გამოცემას.

ნოდარ შოშიტაშვილი

მუჰაჯირი

არჩილ ზოიძე (აბდულლაჰ ზორლუ): ჩემი გვარი უნდა დაბრუნდეს ამ მიწაზე!..

„მე ხომ ერთი სამშობლოდან „გაძევებული“ კაცი ვარ, რომელიც ისევ სამშობლოს ძახილს მოჰყვება უკან და უნდა სხვებიც გამოიყოლოს“

პრემამბულა, ანუ ვინ არიან მუჰაჯირები

დავიწყეთ იმით, რომ 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავით შაჰ აბას I-მა ოსმალეთს დაუთმო თითქმის მთელი სამხრეთი კავკასია. ამდენად, რეგიონის სხვა ტერიტორიათა შორის ოსმალეთის უღელქვეშ მოექცა ისედაც დანაწევრებული საქართველოს უმნიშვნელოვანესი ნაწილი: სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, ჭანეთი (ლაზეთი), ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, კოლა-არტანი, სპერი... 1160 ქართული სოფელი შევიდა გურჯისტანის ვილაიეთში (ახალციხის საფაშოში).

აქედან მოყოლებული, თითქმის 300 წელიწადს გაგრძელდა ქვეყნის ძირძველ ნაწილებზე ოსმალთა ბატონობა. ეს პერიოდი „საკმარისი“ აღმოჩნდა, რომ დაპყრობილი მართლმადიდებელი ქართველები გამუსლიმებულიყვნენ.

მას შემდეგ, რაც საქართველო კიდევ ერთი მტრის, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომად იქცა, რუსეთმა თავისი პრეტენზიები თავდაპირველად მესხეთზე გამოაცხადა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ კი მისი ერთი ნაწილი – სამცხე-ჯავახეთი წაართვა კიდევ თურქ-ოსმალელებს ადრიანოპოლის ზავით.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის კიდევ ერთი ომის დასრულებისას, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, აჭარა და მესხეთის დიდი ნაწილი (შავშეთი, იმერხევი, კლარჯეთი) საქართველოს დაუბრუნდა.

სამწუხაროდ, „სამშობლოში დაბრუნება“ ხანმოკლე გამოდგა. 1918 წელს ლენინმა ქართველთა დაუკითხავად ბრესტის ზავით (რუსეთი-გერმანია-თურქეთი) თურქეთს დაუბრუნა მესხეთის ნაწილი. იმავე ზავით თურქეთისთვის აჭარის „დაბრუნებაც“ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ საბედნიეროდ, გიორგი მამნიანისა და სხვა უდიდეს ქართველ ბატრიოტთა თავდადებით აჭარა საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

სანამ „ახლო და შორეული მეზობლები“ საქართველოს უძველეს მიწას აქეთ-იქით ანაწილებდნენ და აქუცმაცებდნენ, ბუნებრივია, ეს პროცესები ყველაზე ტრაგიკულად მოსახლეობაზე აისახებოდა. თითქოს ის არ გვეყოფოდა, რომ ქართველთა

ტერიტორიები ქვეყნისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. არანაკლებ ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიაში მუჰაჯირობა.

მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლებულს, გადახვეწილს ნიშნავს.

მუჰაჯირობის პირველმა ტალღამ 1829 წელს გადაურა სამცხე-ჯავახეთს, როცა იქაურობა ლამის მთლიანად დაიცალა ქართველი მუსლიმებისგან. იგივე გამეორდა ათწლეულების შემდეგ აჭარასა და მესხეთში, ვერც აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაურჩა მუჰაჯირობას.

საქართველოს ქართველთაგან დაცლა შედიოდა როგორც რუსეთის, ასევე ოსმალეთის ინტერესებში. ოსმალეთი ქართველი მუჰაჯირებით ითვისებდა დაუსახლებელ ტერიტორიებს, ხოლო რუსეთი „გამოთავისუფლებულ“ მიწა-წყალს მიზანმიმართული კოლონიზაციისთვის იყენებდა.

ოსმალე ემისრები აშინებდნენ მაჰმადიან ქართველებს, რომ რუსები მათ რელიგიურ მრწამსს შეურაცხყოფდნენ, ძალდატანებით გააქრისტიანებდნენ, ხოლო მართლმორწმუნე ოსმალები იზრუნებენ, რათა ცხოვრებისთვის შესაფერისი პირობები შეგიქმნან ჩვენს ქვეყანაში გადმოსახლებულთო...

მუჰაჯირობის შედეგად თითქმის მთლიანად დაიცალა მურღულის ხეობა (ეს ის ხეობაა, მოგვიანებით ლენინმა თურქეთს რომ „უსახსოვრა“). ბევრი გადასახლდა ქვემო გურიიდან, გონიოდან, ქვემო აჭარიდან.

მიდიოდნენ ურმებით, უვარგისი გემებით... არაერთი ემსხვერპლა სცივეს, აბობოქრებულ ზღვას, შიმშილს, ებიდემიას... სამშობლოდან გადახვეწილნი დასახლდნენ დასავლეთ თურქეთში, მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში.

მუჰაჯირობის შესაჩერებლად თავი არ დაუზოგავთ ღვაწლმოსილ მამულიშვილებს: ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, გიორგი წერეთელს, სერგეი მესხს, გიორგი გურიელს, გიორგი ყაზბეგს... მუჰაჯირთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, პროცესი კი შენელდა... უშეცხვობა კი სამშობლოსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

მუჰაჯირობა კარგა ხანს ტაბუდადებული თემა იყო როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში...

**„პარტეზლივით ვაჟკაცურად
უნდა იცეკვოს!..“**

აბდულლაჰ ზორლუს, 11 წლის მეხუთეკლასელ ბიჭს, ცეკვა უყვარდა. ტანად პატარა კი იყო, მაგრამ ისე კარგად ცეკვავდა, სკოლის ანსამბლის სოლისტად შეარჩიეს. კონცერტისთვის ემზადებოდა და რეპეტიციიდან შინ მოსულმა ბაბუს ახარა, ახალი იღეთები ვისწავლეო და თურქულად „დაუარა“ სხეულის რხევით. ბაბუა ფეხზე წამოიჭრა და შექების ნაცვლად გაუბრაზდა: – ქართველი ბიჭი ტ...ის თამაშით როგორ იწონებ თავს. შენი წინაპრები, ქართველები, ვაჟკაცურად ცეკვავენ, თითის წვერებზე დგებიან და ხანჯლებს ატრიალებენ... იცოდე, ჩვენ ქართველები ვართო!

პირველად მამინ გაიგო, რომ... ქართველი იყო! და რომ ბაბუამისი (დედის მამა) ქაზიში გონევი კი არა, ბარამიძე ყოფილა. ასე გაჩნდა პირველი სერიოზული კითხვის ნიშანი მის ცხოვრებაში.

აბდულლაჰის ოჯახი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდა, ქალაქ იზმითში. მამა – ომარ ფარუგ ზორლუ ქოჯაელის ვილაიეთში ყველაზე დიდი ქალაქის ქარხნის დირექტორი იყო.

იმ დღეს, სკოლაში გარმონის ხმას მოჰკრა ყური. სხვა კლასის ანსამბლი მისთვის უცნობ ცეკვას ასრულებდა. დარბაზში შეიხედა და ბაბუს სიტყვებმა ისევ შეახსენეს თავი: – შენ ქართველი ხარ!

მამას „ულტიმატუმი“ წაუყენა: – შენ ხომ ქარხნის დირექტორი ხარ, ჰოდა ჩემი სკოლის დირექტორს უთხარი, მურთაზ ბეგის კლასის დამთავრება მინდა. იქ მგონი ქართულ ცეკვებს ასწავლიან და იმ ანსამბლში უნდა ვიცეკვო.

მამამ კი სთხოვა „კოლეგა“ დირექტორს, მაგრამ... შენი შვილი სოლისტია და ვერაფრით ვერ გადავიყვანთ სხვა ანსამბლშიო.

მერე ფეხბურთმა გაიტაცა. 11 ნომრით თამაშობდა და 12 წლისა თურქეთის ჩემპიონი გახდა. სტაჟირება მიუნხენის „ბაიერის“ გუნდში გაიარა... ფეხბურთში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ქართული ცეკვის დარდი არა და არ ასვენებდა.

სამი სიტყვა ქართულად

მართლა ასე იყო. იცოდა, რომ „საქართველო“ იყო ართვინი, შავშეთი, არხაჯი, არტანუჯი, იუსუფელი, არტანი, თორთუმი, ბორჩხა, მარადიდი, მაჭახელი... სხვა საქართველოზე ყურმოკვრითაც არ იცოდა არაფერი.

მოგვიანებით, ლიცეუმში ართვინულ ხალხურ ცეკვებს სწავლობდა. იქ შეიტყო, რომ იზმითში ერთ დროს ქართული სათვისტომო ყოფილა (გასული საუკუნის 70-იან წლებში). ისიც „გაიხსენა“,

რომ თვითონაც ქართველი იყო. ცეკვის მასწავლებელმა მუსტაფა უზუნმა (გამეშიძემ) კი ბევრი რამ უამბო ქართველებსა და საქართველოზე. ასე „ნაპოვინი“ სამშობლოს სიყვარულს ცეკვით გამოხატავდა. მუსტაფასგან ქართული ცეკვების ერთი უბრალო მოძრაობაც არ დაუტოვებია უსწავლელი.

1984 წელს მის ქალაქში სუხიშვილების ანსამბლმა გამართა კონცერტი. პირველ რიგში იჯდა. გულმა არ გაუძლო და კულისებამდე ააღწია. უნაკლოდ იმეორებდა კულისებში „თანამემამულეთა“ მიერ შესრულებული ცეცხლოვანი ცეკვების ურთულეს იღეთებს. ერთ ქართველ სოლისტს (რომლის გვარიც, სამწუხაროდ, ვერც იკითხა) ისე მოეწონა ახალგაზრდა მოცეკვავე, დაუძახა და ჰკითხა, ქართული ცეკვები ასე კარგად სად ისწავლეო.

– მე ქართველი ვარ! – უპასუხა ამაყად, ოღონდ ეს სამად სამი სიტყვა იყო, მაშინ რომ იცოდა ქართულად!

ქართველმა მოცეკვავემ კონცერტის შემდეგ სთხოვა, დამელოდებო და კულისებში მის თვალწინ გაიხადა აჭარული ფორმა, ასე ძალიან რომ მოსწონდა აბდულლაჰს. დანაწებით ადევნებდა თვალს, როგორ ათავსებდა საგანგებოდ შეკერილ ტომარაში ქართველი მოცეკვავე აჭარულ სამოსს. მერე კი ისეთი რამ მოხდა, მხოლოდ ზღაპარში თუ წარმოიდგენდა: ქართველმა მოცეკვავემ ეს ტომარა აბდულლაჰს გადააწოდა და უთხრა, – ჩემგან სახსოვრად გქონდესო!

იმ პირველ ქართულ სამოსს დღემდე ინახავს.

სტამბოლის უნივერსიტეტში სწავლისას (საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა) „შამილის ფონდის“ კავკასიურ ანსამბლში ცეკვავდა. მის შესახებ იბერია მეღაშვილს, ქართული დიასპორის პირველი ლიდერის, აჰმედ მეღაშვილის (1981 წლის 5 ივლისს მოკლეს) ვაჟს გაუგია, ერთი ბიჭია და ქართულად ცეკვავს, სუხიშვილების მოცეკვავეების „კოპიოაო“... მათი მეგობრობაც აქედან დაიწყო.

საქართველოს „საძიებლად“

1987 წელს ქალაქ ბურსაში ქართული სათვისტომო ჩამოაყალიბა და ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლიც შექმნა.

მომდევნო წელს საქართველოში ჩამოვიდა ქართული დიასპორის დელეგაციასთან ერთად. ახალგაზრდა, მაგრამ თურქეთში უკვე ცნობილი ადვოკატი იყო. 18 წლისას ჟურნალი „ჩვენებურები“ ჩაუვარდა ხელში და სახელი არჩილი საკუთარ თავს თვითონვე შეურჩია. გვარიც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ „შეიძინა“. საგარაუდოდ, მისი შორეული წინაპრები ზუბალაშვილები თუ ზუბადალაშვილები ყოფილან. „დროებით“ ზოიძე გახდა,



„მუდმივად მოგავალზე უნდა ვიყუროთ“ —
ეს ტარებელ ზოიძის სლოგანია!



მუჰაჯირები



არაჩილ ზოიძის დაარსებული პირველი ფოლკლორული ანსამბლი. 1987 წ.



არაჩილისა და ზვიკანის
ქორეოლი იმეითში

ნოდარ შოშითაშვილი

ბათუმელი ახლობლების პატივსაცემად ატარებს ამ გვარს, სანამ თავის ნამდვილ გვარს „იპოვის“...

1990 წელს იმითივე გახსნა ქართული სათვისტომო. აქედან გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების დასახლოებლად. პირველ წელს სამი სტუდენტი ჩამოიყვანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლებლად. სამთავრობო დონეზე დამტკიცდა თურქეთიდან ჩამოყვანილი ახალგაზრდების საქართველოში სწავლების პროექტი. ყოველი ჩამოსვლისას დედა ენის სახელმძღვანელოებითა და ქართული კულტურის ისტორიის ამსახველი ლიტერატურით დატვირთული ბრუნდებოდნენ უკან.

არჩილი: – 1994 წლამდე 150 ახალგაზრდა სწავლობდა საქართველოში. მერე ერთხანს ყველაფერი აირია. ქართული დიპლომსაც ფასი აღარ ჰქონდა და აღარც შვილებს აგზავნიდნენ თბილისში. საბედნიეროდ, დღეისათვის სიტუაცია შეიცვალა. ახლა თურქეთში 50 ნიჭიერი ახალგაზრდა ემზადება (ქართულ ენას ეუფლებიან), გაისად რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარონ. მიხარია, რომ ჩემი სიტყვით გზავნიან შვილებს საქართველოში.

მის წინაპარს გვარი ათათურქმა უბოძა...

აბდულლაჰს, არჩილის ბაბუსს, ექვსი ძმა ჰყოლია. შვიდივენი სულთანთან დაახლოებული ყოფილან (ერთ-ერთ ძმას, ჰასანს, მუსტაფა ქემალ ათათურქი გვერდიდან არ იშორებდა) და თურქეთის ომში თავდადებისთვის ორდენებიც მიუღიათ. ღვთის მადლით, შვიდივე ძმა გადარჩენილა სასტიკ ომში და ათათურქს მათთვის „ზორლუ“ უწოდებია, რაც თურქულად ძალიან ძლიერს ნიშნავს. აქედან მოდის მათი თურქული გვარიც – ზორლუ.

არჩილი ლეგენდასავით შემორჩენილ ამბავსაც იხსენებს თავისი შორეული წინაპრის, ქრისტიანობისთვის წამებული ბაბუსის შესახებ. თავის დროზე მას ვერც სჯული შეაცვლევინეს და ვერც სამშობლოზე ათქმევინეს უარი თურმე... ერთი ამბავი კიდევ ბაბუამისისგან ახსოვს, – მამიდა გვყავდა ერთი, ბათუმის ეკლესიაში აღიკვეცა მონაზვნად და ასე გადაურჩა თურქეთში გადახვეწასო. არჩილმა მიაგნო ძველ საეკლესიო დავთრებში იმ სავარაუდო შორეული მამიდის, ვინმე ბუბალაშვილის თუ ბუბადალაშვილის კვალს...

ათასკაციანი ქორწილი

ამ ქორწილს დღესაც იხსენებენ იმითიში.
...23 წლისა იყო, როცა სეიჰანს შეხვდა. ქარ-

თველი ქალის გარდა ცოლს არ მოვიყვანო, მეგობრებს გამოუტყდა და ერთ-ერთმაც უთხრა, ჩემი ახლობელი ქართველი ლამაზი გოგო უნდა გაჩვენო, ოღონდ ჯერ ძალიან პატარააო. დაუფიქრებლად გაჰყვა „ქალის სანახავად“. დაძახება არ დასჭირვებით, პირველი სართულის აივანზე იდგა სეიჰანი. მუქი მწვანე თვალებით მოხიბლა. 15 წლისა იყო და მაშინ ვინ გაათხოვებდა.

ყველაფერი „იქაური ქართული“ ტრადიციის მიხედვით წარიმართა. ექვსი წელიწადი შეყვარებულები იყვნენ, აქედან სამი – დანიშნულები. ქორწილამდე ერაყში მოუწია გამგზავრებამ საომრად. სპენცაწილის წევრი იყო და 16-კაციან ჯგუფს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ლეიტენანტი.

ერაყიდან დაბრუნების შემდეგ სეიჰანი გამოუტყდა, დიდხანს ვპარგავდი ოქრომკედით საქორწინო კაბასო (ომში წასვლამდე საქმრომ „ულტიმატუმი“ წაუყენა, ქორწილში შენი შეკერილი და მოქარგული კაბა უნდა გეცვასო!).

და მართლაც, ქორწილზე სეიჰანს ქართული ორნამენტებით ნაქარგი კაბა ეცვა, არჩილს – ქართული ჩოხა!

ათასკაციანი ქორწილის სტუმართა შორის გამორჩეული ადგილი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ეჭირა, რომლის ხელმძღვანელიც ნეფე იყო. არა მხოლოდ ხელმძღვანელი, ანსამბლის სოლისტიც იყო არჩილი, სეიჰანიც სოლისტი იყო. ამიტომაც მათი ქორწილი სადღესასწაულო კონცერტს უფრო ჰგავდა...

ის თავისი საპატარძლო კაბა სკივრში არ შეუნახავს სეიჰანს. მისი მსგავსი კიდევ ორი შეიკერა პატარძლის დიზაინით და „სამაიას“ ამ კაბებით მერე დიდხანს ცეკვავდნენ.

პატრიარქმა ბივრჯერ მითხრა, ჩემი შვილობილი ხარო...

არჩილი: – ახალდაქორწინებულები საქართველოში ჩამოვედით. გულმა არ მომიტმინა და პატრიარქთან მივიყვანე სეიჰანი. მანამდეც მივედიოდი ხოლმე უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან. მაშინაც და ახლაც, როცა მხედავს, თვალები სითბოთი აევსება ხოლმე. გაცეხული ვარ, საიდან მოდის ამხელა სიყვარული, მე ხომ მისთვის ერთი სამშობლოდან „გაძეგებული“ კაცი ვარ, რომელიც ისევ სამშობლოს ძახილს მოჰყვება უკან და უნდა, სხვებიც გამოიყოლოს... რა ვიცი, ალბათ ეს ჩემი სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული დაინახა და ამიტომ ვუყვარვარ. ვიცი, ვუყვარვარ... მარტო მე კი არა, ყველა მუშა-ჯირი უყვარს. ჩემი შვილობილი ხარო, ბევრჯერ მითხრა და მასთან ყოველი სტუმრობა თითქოს



არჩილ ზოიძე პატრიარქთან



იმერხევიზი გაგართულ მარიაშობის დღესასწაულზე



თამარ, მარიალ, არჩილ და სვიჰან ზოიძეები



არჩილ ზოიძე და იბერია მელაშვილი



არსენ, ივილ, სვიჰან, არჩილ, მანა ზოიძეები, სოსო გაბრიელაძე

მეც სიცოცხლეს მშობლებს და მავალს, ერთგულად ვემსახურო ჩემს ქართველებსა და საქართველოს, თურქეთშიცა და საქართველოშიც.

საქართველოზე ფიქრით

დიახ, საქართველოზე ფიქრით და მუშაობით საქართველოსთან დასახლოებულად იქმნება ქართველთა სათვისტომოები ბურსაში, იზმითში, გოლჯუკში; საქართველოს ხელოვნების ცენტრი სტამბოლში; ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები თითქმის ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში...

არჩილი: „თურქეთის პარლამენტში რომ მუშაობთ გათურქების კანონი დაუმტკიცებიათ ჩუმიად, ახლახან გავიგეთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს აღარ გვიკრძალავენ ქართული ენის სწავლებას. ბევრი მუშაობს და მათ შორის მეც მთელი ოჯახით, ორმაგი მოქალაქეები ვართ.

საქართველოში, როგორც გითხარით, 90-იანი წლებიდან უფრო ხშირად ჩამოვდიოდი ანსამბლთან ერთად. 2001 წელს ბაიარ შაჰინიც ჩამოვიყვანეთ. კონცერტები გავმართეთ ბათუმში, ქუთაისში, გორში, თბილისში... აქედან გაიციენს ქართველებმა ბაიარი და აქედან დაიწყოს მისი პოპულარობა.

წლის ბოლოს კიდევ ერთი ქართული კულტურის ცენტრი გაგხსენით ქოჯაელის ვილაიეთში და მინდა, მსგავსი ცენტრები ყველგან გაიხსნას, სადაც კი ჩვენი ხალხი ცხოვრობს. გული მწყდება, რომ იქ უფრო ადვილია ქართველობის დაკარგვა და მინდა ხელი შევუწყო, რომ ქართველებმა ქართველობა არ დაკარგონ“.

იქაურ ქართველ ბიჭებს ფეხბურთშიც აოსტატებს არჩილ ზოიძე. „ქოჯაელისპორის“ ვიცე-პრეზიდენტია. ეს გუნდი თურქეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობს და პირველში გადასასვლელად ემზადება.

ამდენი სათვისტომო თუ კულტურის ცენტრი, სოლიდური საადვოკატო ფირმა, მცირე ბიზნესი თბილისშიც, ახლა კიდევ ფეხბურთელთა გუნდის ვიცე-პრეზიდენტობა... თბილისიდან იზმითამდე 1600 კილომეტრია. თვეში ზოგჯერ რამდენჯერმე უხდება ამ მანძილის „დაფარვა“ ხან თვითმფრინავით და არცთუ იშვიათად მანქანით, რომლის სატესტო თვითონ უზის.

– ეს ყველაფერი ჩემს საქართველოზე ფიქრით მოდის, თორემ თურქეთში ჩემნაირი ადვოკატი ბევრი კი არ ჰყავთ, ვიქნებოდი ჩემთვის მშვიდად იზმითში ან სულაც სტამბოლში ვიცხოვრებდი და არც ამდენი სადარდებელი მექნებოდაო, – გვითხრა.

ოჯახი და ტრადიციები

არჩილის ოჯახი ახლა ქალაქ გოლჯუკში ცხოვრობს, ოფისი იზმითში აქვს, თურქეთში ცნობილ საადვოკატო ფირმას ხელმძღვანელობს. მამამისს, ომარ ფარუგ ბორლუს საბუღალტრო ფირმა აქვს და სეიჰანიც იქ მუშაობს. ძმა არსენ (ახმედ) ბორლუ (ზოიძე) თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს ექიმი იზმითში. საერთაშორისო დახმარების ფონდშიც მუშაობს (საავადმყოფო ააშენეს პაკისტანში). და – აიშენი (მაია) ქოჯაელის ვილაიეთის ბიზნესმენტა კავშირის მთავარი ბუღალტერია, ქმარიც ქართველი ჰყავს – სუათ (სოსო) გაბრიელაძე და სამ შვილსაც ზრდიან.

არჩილი: – დიდი ოჯახი გვაქვს, ტრადიციების პატივისმცემელი. დედა სახელს, ანუ აბდულლაჰს, ვერ მეძახდა და შვილოთი მომმართავს. მე ბაბუს სახელი მერქვა, რძალს კი უფლება არ ჰქონდა მამამთილის სახელი ეხსენებინა. ეს „უძძრახობა“ დღემდე გრძელდება ჩვენს ოჯახში. დედა მამასაც შეფარვით ეძახის ფარუგას, სხვები ომარს ეძახიან.

ტარიელი 12 წლისაა და ფეხბურთს თამაშობს ქოჯაელის გუნდში. ჩემპიონობისთვის ემზადება. ჩემპიონობისთვის და... საქართველოს ან თურქეთის ნაკრებში სათამაშოდ. ქართულიც იცის, თურქულიც და უცხო ენებსაც ეუფლება. „მუდმივად მომავალზე უნდა ვიყუროთ“ – ეს ტარიელის სლოგანია. მთლად გამართულად ვერ ჟღერს, მაგრამ ტარიელი საქართველოში აპირებს სწავლას და მალე ქართულშიც უფრო გაიწავება.

თამარი 17 წლისაა, კოლეჯში სწავლობს, საბალეტო სტუდია დაამთავრა და ახლა იზმითის ხელოვნების სასახლის თანამედროვე ცეკვების ანსამბლში ცეკვავს. ექიმობაზე ოცნებობს და გამოცდების ჩაბარებას თბილისში აპირებს... ქართული თამარმაც იცის.

სეიჰანი კი ენების ცოდნაში ნამდვილი „ჩემპიონია“. ფლამანდიურც იცის, ინგლისურც, გერმანული და რაღა თქმა უნდა – ქართული და თურქული ენები.

არჩილმა კი ინგლისური იცის, ცოტა გერმანული, ლაზურც. გული წყდება, რომ ქართული ენის სწავლა 20 წლისამ დაიწყოს და მთლად ისე ვერ გამოუდის ლაპარაკი, როგორც თვითონ უნდა. სამაგიეროდ, მისი ქართველი მეგობრები ან ისინი, ვისთანაც სამსახურებრივი თუ შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს, ამას ოდნავადაც ვერ გრძნობენ. მათ სჯერათ, რომ არჩილ ზოიძე ნაღდი ქართველია, რომ იგი აუცილებლად „იპოვის“ თავის ნამდვილ ქართულ გვარს და რომ არჩილის ოცნებაც ასრულდება: მისი გვარი აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში...

სალომე შოშიტაშვილი

ნაწილი პირველი

რეპორტაჟები ტაო-კლარჯეთიდან

რეპორტაჟი პირველი

„ძნელი ყოფილა ქართველობა!“

ისტორიული საქართველოს ტერიტორიის მეოთხედი თურქეთის შემადგენლობაში
მოქცეულ ტაო-კლარჯეთს უკავია

ისტორიული ტაო-კლარჯეთი ვრცელი ტერიტორიაა და დაახლოებით ისტორიულივე საქართველოს ერთ მეოთხედს მოიცავს. ტაო-კლარჯეთი დღევანდელ საქართველოში არსებულ სამცხე-ჯავახეთსა და აჭარასთან ერთად, შედიოდა მესხეთის შემადგენლობაში. მესხეთს სხვადასხვა ეპოქაში ზემო ქართლადაც მოიხსენიებდნენ. როგორც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გვაუწყებს აკადემიკოსი პავლე ინგოროყვა, საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის ხანაში, ანუ VIII-IX საუკუნეებში, დიდი საეკლესიო მოღვაწის, გრიგოლ ხანძთელის დროს ქართველთა სამეფო ცხრა მხარედ იყოფოდა: სამცხე, ჯავახეთი, კოლა-არტაანი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, ტაონი (იმიერ და ამიერ ტაო) და სპერი. ეს გამიჯვნა პირობითია და იცვლებოდა ეპოქათა და საუკუნეების განმავლობაში. ზოგჯერ ცალკე მოიხსენიებოდა თორთუმი, ერუშეთი, მაჭახელი, ზოგჯერ კი კლარჯეთი ამ თუ იმ ჩამოთვლილ მხარესაც მოიცავდა...

იმიერ ტაო, სპერსა და თორთუმთან ერთად, საქართველოს უკიდურეს სამხრეთ კარიბჭეს წარმოადგენდა და ემიჯნებოდა ყარსისა და არზრუმის ოლქებს. შემთხვევითი არ არის, რომ თორთუმის უკიდურეს სამხრეთში მდებარე სამანებს გურჯი ბოლაზი, ქართველთა კარიბჭე ქართველთა უბე ეწოდებოდა.



ხაღი თორთუმის ციხიდან

საქართველოს მოწყვდილი მხარე

ჩვენი ექსპედიცია ტაოდან დაიწყო. ისტორიული ტაო მდინარე ჭოროხის აუზის შუა და ზედა ნაწილს მოიცავდა. აქ ჩაეყარა საფუძველი პირველი ქართული სახელმწიფოებიდან ერთ-ერთის – ადრეკლასობრივი დაიაენის ჩამოყალიბებას. დაიაენი ძლევაძმოსილ ასურეთსაც კი უწევდა წინააღმდეგობას. ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში ასურეთი ურარტუმ შეცვალა. ურარტუელები დაიაენს დიახად მოიხსენებდნენ. ძვ.წ. V-IV საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსი და სარდალი ქსენოფონტე, რომელმაც ეს მიწა-წყალი ბრძოლებით გაიარა, აქაურ მოსახლეობას უკვე ტაოხებს უწოდებს, რაც მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, ტაოს სახელით აღმკვიდრდა.

ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს წარმოქმნისთანავე, ძვ.წ. IV-III საუკუნეებში ეს მხარე ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და სამხრეთის ზღუდედ იქცა.

ერთხანს ტაოს ტიგრან II-ის სომხეთი დაეუფლა, თუმცა შემდგომ ორი გმირი მეფის, ორი ფარსმანის ეპოქაში (ახ.წ. I-II სს.) კვლავ ქართლს დაუბრუნდა.

ტაოს ხელახალი აღორძინება კლარჯეთთან ერთად VIII-IX საუკუნეებში იწყება, როცა ქართლის ცენტრალურ რაიონებში არაბთა მომძლავრების საპასუხოდ, ამ მხარეში პოლიტიკური და კულტურული აღმავლობა დაიწყო.

ტაო-კლარჯეთში დიდი სამონასტრო აღმშენებლობა გაჩაღდა და ეს კუთხე ფეოდალური საქართველოს გაერთიანების უმთავრეს ინიციატორადაც მოგვევლინა. აიგო ოშკი და ბანა, ხახული და პარხალი, ოთხთა და თორთუმის ციტადელი, რომლებიც დიდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებად გადაიქცნენ. აქ მიეცა დასაბამი ბაგრატიონთა დინასტიას და აქვე იღვწოდა ქართველ მოაზროვნეთა მთელი დასი (გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, იოანე მტებვარი და სხვ.).

ტაო-კლარჯეთი, როგორც გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს მონაპირე მხარე, XI საუკუნიდან პირველ დარტყმებს იღებდა ჯერ ბიზანტიელებისგან, შემდეგ ახალმოვლენილ თურქ-სელჩუკთაგან, მონღოლებისა და სელჩუკთა მემკვიდრე ოსმალთა სასულთნოსგან.

სწორედ ოსმალთა სასულთნო გახდა ტაო-კლარჯეთის ბედისწერა.

XVI საუკუნის ბოლოდან უკვე სამცხე-საათაბაგოდ ქვეული ეს მხარე, გურჯისტანის ვილაიეთის სახით, ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, რაც ოფიციალურად XVII საუკუნის 20-იან წლებში „გაფორმდა“.

იუსუფელის საფრთხე

ტაოში დღეს თითქმის მთლიანად შეცვლილია ეთნიკური სურათი. ეს ტერიტორია ამჟამად თურქეთის ართვინისა და არბრუმის ილქებს, ანუ ადმინისტრაციულ ერთეულებს მოიცავს. ბევრგან ქართული მხოლოდ ტოპონიმებია შემორჩენილი, ან მახსოვრობა იმისა, რომ აქაურთა წინაპრები ოდესღაც ქართველები, გურჯები იყვნენ.

ქართული მოსახლეობა შემორჩენილია მხოლოდ სპერის ჭოროხის შენაკადის, პარხლისწყლის ხეობაში. ქართულ საუბარს ამ ხეობის სამ თემში გავიგებთ, ესენია ხევაი, ბაღზი, ქობაი და მათში შემავალი პატარ-პატარა სოფლები. დანარჩენ სოფლებს მხოლოდ შინაური (აქაურთა მახსოვრობას შემორჩენილი) სახელებიღა აქვთ, ასევე იციან, რომ მათი წინაპრები ოდესღაც გურჯები ყოფილან.

პარხლისწყლის ხეობა იუსუფელის ილჩეს ეკუთვნის. იუსუფელი თანამედროვე პატარა ქალაქია, 7 ათასამდე მცხოვრებით. ქალაქი პარხლისწყლისა და სპერის ჭოროხის შესართავთანაა გაშენებული. როგორც საქართველოში გვაქვს რამდენიმე ალაზანი და არაგვი, ჭოროხიც რამდენიმეა. მთავარ მდინარესაც და შენაკადებსაც ჭოროხს უწოდებენ. მეტიც, ჭოროხისპირეთიდან გადასახლებულმა ქართველმა მოჰაჯირებმა მარმარილოს ზღვის რეგიონში მთავარ მდინარეს საქარიის ჭოროხი უწოდეს.

იუსუფელი კლდეებით შემოჯარულ ვიწრო ხეობაშია. გავრცელებული მოსაზრებით, მისი ძველი სახელი მისსავე გარეუბანში მდებარე სოფელ ბეჟანკეთს უკავშირდება. იუსუფელის მომავალი არცთუ სახარბიელოა. თურქეთის ხელისუფლების კურსი ჭოროხზე ჰესებისა და წყალსაცავების მშენებლობისა ამ პატარა ქალაქსაც მისწვდა. იგი ალბათ მალე დაიბრუნდება და რაიონულ ცენტრს ახალ ადგილას გადაიტანენ.

როცა პატარა იუსუფელის ქუჩებში ადგილობრივები ქართულ ლაპარაკს მოჰკრავენ ყურს, წამსვე შეჩერდებიან, გამოგენცნაურებიან და გამოგკითხავენ ამბებს საქართველოზე.

250 წლის ცინხასხლები

იუსუფელში დაგვხვდა და ტაოში მოგზაურობისას გვერდიდან არ მოგვმორებია ახალგაზრდა ხელოვნებამცოდნე ონურ სარიქაია. როგორც აღმოჩნდა, ონური ასევე მეგზურობს საქართველოდან ჩასულ მეცნიერებსა და სტუდენტებს. იგი პარხლისწყლის ხეობიდანაა, სოფელ ქობაიდან, სადაც მამისეული სახლ-კარიც აქვს და ზაფხულობით თავის კერას უბრუნდება. მისი მშობლები „ქართულ ქალაქ“ ბურსაში ცხოვრობენ მარმარი-



მდინარე გარსლისწყლის ხეობა



თორთუმის ციხე იხავდა გურჯიბოლას, ანუ ქართველთა კარს



ბრინჯის ყანა სპირის ვორთხის აუზში



250 წლის წინანდლი სახლის ნანგრევები თაღოვანი კარით



სოფელი ბაღმა ქობაი

ნოდარ შოშითაშვილი

ლოს ზღვის სანაპიროზე, თვითონ კი სტამბოლელი სტუდენტი. ონური ბოლო წლებში დაინტერესებულია საკუთარი ფესვებით, შეუსწავლია მშობლიური ენა, წერა-კითხვაც და ქართველი მეგობრების გაუჩინია. საქართველოშიც ხშირად ჩამოდის. და მას აქეთ, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და თავის ფესვებს გაცნო, ხშირად იტყვის ხოლმე – ძნელი ყოფილა ქართველობაო. ონური კარგად მღერის, ფანდურზე დაკვრაც ისწავლა და სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის წევრიც გახდა.

ონურის სოფელი ქობაი მაღალმთიანია, ხეობის თავში, პატარა მდინარე ქობაისხევის სათავესთან მდებარეობს. მდინარე სოფელს ორ – გაღმა და გამოღმა ქობაიდ ჰყოფს. ამ სოფელში ტრადიციული, ხისა და ქვის კომბინირებით აშენებული, მხოლოდ ტაოსთვის დამახასიათებელი საუკუნოვანი სახლებია. გამორჩეულად ორი მათგანი დაგვამახსოვრდა. ერთის მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი, თუმცა კი დღესაც აოცებს მნახველს თლილი ქვის თალიანი შესასვლელითა და ჩუქურთმებით გაწყობილი ბუხრით. მეორე უზარმაზარ სახლში კი დღესაც ცხოვრობს ქუჩუკ ფოირაზების (ბექირიანების) ოჯახი. წინაპართა გადმოცემით, ეს სახლები 250 წლისაა და ფაქტობრივად, მკვიდრად ნაგებ ციხესახლებს წარმოადგენდნენ. მასპინძლის თქმით, ამ სახლების მშენებლობისას სიმტკიცისთვის კვერცხის ცილაც გამოუყენებიათ. ტრადიციულად, აქაური სახლები მტკიცე უნდა ყოფილიყო, რადგანაც სოფელი მთელ ხეობას კეტავს და საცხოვრებელ სახლებს ციხესიმაგრეთა როლიც ეკისრებოდა. ბექირიანების გვარი ამ ხნის განმავლობაში გამრავლებულა და ეს სახლი ახლა 50 კაცს ეკუთვნის. მათი უმეტესობა სტამბოლში, ბურსაში, იზმითსა თუ სხვა ქალაქებში ცხოვრობს და ზაფხულობით აქ იყრიან თავს. ზოგჯერ იმდენი არიან, რომ კარვებსაც შლიან ხოლმე. იმ ზაფხულს მაგალითად, ასე მოუწია ილაჰამ ქუჩუკ ფოირაზის ოჯახს, რომლის დიასახლისიც აქაური ცერცვითა და მთის გემრიელი ქართლით (კარტოფილით) გაგვიმასპინძლდა. ილაჰამმა ქვითკირით ნაგებ მამაპაპისეული სახლის კედელს ხელი შეავლო და გვითხრა, – კირით ნაშენია, ტალახი უქნიან და კვერცხი გურევნიათ, რო დეიჭიროსო.

ქობაი ერთგვარი გზაჯვარედინია ტაოს, პარხლისწყლის ხეობას, ნიგალსა და ლაზეთს შორის. ქობაიდან ზემოთ, მთებისკენ საზაფხულო საძოვრებია. ტრადიციულად, ასეთ საძოვრებს, სადაც მესაქონლეთა დროებითი საცხოვრისებია გამართული, იაილები ჰქვიათ ტაო-კლარჯეთის სოფლებში. ქობაიში კი ასეთ სადგომებს ძველქართულ სახელს – აგარებს უწოდებენ.

ძველქართული სიტყვები აქაურთა მეტყვე-

ლებაში დღესაც გამოკრთება ხოლმე. როცა დაგუბებულ ლელეში მოჭყუმალავე ბავშვები დაინახა, ონურმა გვითხრა, ნახეთ როგორ ტალღუჯობენო (ანუ მარდად ცურავენო).

ქობაი ხალხმრავალი სოფელი ყოფილა. – ზროხები ორი თანე (სული) მყავს. მთელ უბანში, მეჭელეში 45 ძროხაა, ძველათ 350 კვამლს (კომლს) უცხოვრია, თითოში ათი თანე მალე (ძროხა) ყავდათ. ხობოები (ხბოები), ცხენი და ჯორ-ვირი სხვა იყო, – გვიყვება აქაური მკვიდრი მემედ ილმაზი (დერვიშაშვილი). გვიან შემოდგომით თითო ხარს დაკლავდნენ თურმე, ყაურმას ვაგაკეთებდითო, ერთ ნაწილს დაამარილებდნენ და მთელ ზამთარს იზოგავდნენო.

პარხალი

პარხლის ხეობა X საუკუნეში დავით III კურაპალატის მამულს წარმოადგენდა. ხეობაში მრავალი ციხესიმაგრე და ტაძარი ყოფილა. ამათგან დღესაც გამორჩეულია ხუროთმოძღვრული ძეგლი პარხალი. იგი ლაზეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს და დავით მეფეს 973 წლისთვის აუგია. თავის დროზე პარხალი დიდ სამონასტრო კომპლექსსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია პარხლის ოთხთავი, რომელიც გადაწერა და მონასტერს შესწირა შატბერდში მოღვაწე იოანე ბერაიმ. პარხლის მონასტერში იღვწოდა ასევე ოთხთავისა და მრავალთავის გადამწერი გაბრიელიც X-XI საუკუნეებში. არქიტექტურულად პარხლის მონასტერი გვიანდელი ქართული ბაზილიკების ნიმუშია და პროპორციებით ასევე შესანიშნავ ბაზილიკას, ოცდაათიოდე კილომეტრით დაშორებულ ოთხთას ტაძარს უახლოვდება. პარხალი გამორჩეულია ჩუქურთმებით, დეკორატიული თალებითა და მრავალფეროვანი წარწერებით. ოსმალთა პერიოდიდან ტაძარი შეჩეთად გადაკეთდა და ამან, ხახულის მსგავსად, დღევანდლამდე განადგურებას გადაარჩინა იგი. რომელიც ქვეყნის ტურისტს არ შეხვდებით აქ, ისრაელიდან დაწყებული, ევროპის ქვეყნებით დასრულებული.

ქორიდა... პართულად

სტუმართა განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა აგვისტოს მეორე შაბათი დღე, როცა პარხალში გამართულ ფესტივალზე გასაოცარი სანახაობა, ბულების შერკინება (ბულების ჭედობა) იმართება. ქართული ტრადიციული ბულების ჭედობა საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება (აჭარა, რაჭა), მაგრამ იქ ეს სანახაობა



XVIII საუკუნის სახსოვრებელი სახლი სოფელ გემოდლა ქობაიში



ონურ სარიძაია თავის ახლობლებთან სოფელ ქობაიში



გურად ბეი ილდიზი, როგორცაა მართველი წინაპრები ჰყვლია, ძველქართულ სახვნელს გვიჩვენებს და თან ცდილობს, ახალი მართული სიმყვები ჩვენთან ინტავლოს



სოფელ საკარის იაილები არსიანის ველზე

ნოდარ შოშითაშვილი

მხოლოდ ეთნოგრაფიულ მახსოვრობასა და ლიტერატურას შემორჩა. აკაკი წერეთლის ერთ-ერთ მოთხრობაში ამ ტრადიციის კიდევ ერთი სახე, კაცისა და ბუღის შერკინებაა ასახული.

ბუღების ჭედობა, გარდა პარხლისა, ზაფხულობით ტაო-კლარჯეთის ცენტრში – ართვინშიც იმართება და უამრავ მაყურებელს იზიდავს. შერკინებისთვის, უფრო სწორად, ქართული კორიდისთვის, რომელსაც ძველად კურულს ეძახდნენ, ბუღებს საგანგებოდ ზრდიან, უვლიან, ათამამებენ, იალაღებზე აგზავნიან და წვრთნიან. სხვათა შორის, გამარჯვებული ბუღების პატრონებისთვის ფულადი პრიზიც სოლიდურია, თუმცა ჯილდოს გარეშე არც დამარცხებულს ტოვებენ. ერთ ასპარეზობაში ბუღების ოთხი-ხუთი წყვილი მონაწილეობს და მაყურებელიც ერთგვარი შიშნარევი ინტერესით ადევნებს თვალებს არა მხოლოდ ხარების არენაზე ბრძოლას, არამედ ასპარეზობის მთელ მოსამზადებელ პერიოდს.

თამარის რუ და დათვების ამბავი

ვანისხევის თემში პატარ-პატარა სოფლებს, როგორც უკვე ვთქვით, სახელები ქართული აქვთ შემორჩენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაური მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თავიანთი ქართული წარმომავლობის შესახებ მხოლოდ გადმოცემით თუ იცის. კერვალეთი და ფიჩხათი, დევისთა და ახალთა უძველესი ციხით, ნავარევი და სარეკელი, უტავი და წმინდა... სოფელ წმინდაში პარხლის წყალს უერთდება წმინდასხევი, რომლის ზედა წელიდან ისტორიული თამარის რუ გაუყვანიათ შუა საუკუნეებში და რომელიც დღესაც რწყავს სოფელ სავრიეთს.

სავრიეთი, ისევე როგორც მთელი პარხალი, სამეფო მამული იყო და აქ მოწეული მოსავლით მარაგდებოდა იმ დროისთვის ტაოში დაბანაკებული ქართული ლაშქარი.


შეიცვალა დრო და ეპოქა. თამარის რუ კი ისევ იმ გზას გადის. ზოგან კლდეში გამოუჭრიათ კალაპოტი, ზოგან ბერდარაც (სვეტებზე შემდგარი ხელოვნური ღარი) მოუწყვიათ, ზოგან ხელოვნური რუსხმული გაუმართავთ, ზოგანაც თავისი დინებით გამოუღწევია... მოვინახულეთ მისი სათავე, წყალ-წყალ ავუყვით არხს. ძველებური გოდორ-ყურებით (წნული ლასტებით, წნელებითა და ლოდებით) გამაგრებულ არხს დღესაც ძველებურად პატრონობენ აქაურები და დღესაც თამარის რუს ეძახიან.

თამარის რუს სათავის სიახლოვეს ყურადღება მიიპყრო ციკაბო კლდეც ჩაკრულმა ნიამორმა, რომელმაც ჩვენი მიახლოება, როგორც ჩანს, გუმანით იგრძნო და ისეთი სისწრაფით გა-

დაველო ქიმიდან ქიმი, რომ ფოტოს გადაღებაც ვერ მოვასწარით.

ნიაში, იგივე გარეული თხა კავკასიონის ენდემური ცხოველია. ჩვენთან მათი მხოლოდ მცირე პოპულაციაა შემორჩენილი, სულ სამასიოდე სული. აი, თურქეთში კი, მათ შორის ტაო-კლარჯეთის მთებში, მათი რიცხვი 10 ათასს აღწევს. ეს იმით არის განპირობებული, რომ საქართველოს-გან განსხვავებით, თურქეთში სახელმწიფოებრივ დონეზეა აყვანილი ბუნების დაცვა. აქაურ ტყეებში გარეული ღორი და დათვიც მომეტებულად ბევრია. იმდენად ბევრი, რომ სავარგულებსა და ნათესებს დიდ ზიანსაც აყენებენ, მაგრამ რადგანაც აქ კანონს ყველა იცავს, გარეული ცხოველებიც „დაუსვლელად“ გრძნობენ თავს.

ჩვენი იქ ყოფნა ბალის მწიფობას დაემთხვა. განსაკუთრებით ყვარებია მწიფე ბალი დათვს. ბევრი ტოტებდალეწილი ბლის ხე ვნახეთ ხევასა და ბალხის თემებში. მოსახლეობას ხეხილის დაცვის ასეთი ხერხისთვის მოუშარათავს – უზარმაზარი ბლის ხეებისთვის თეთრი თუნუქის ფურცლები შემოუსალტავთ, დათვა ბრჭყალი რომ ვერ მოიკიდოს ასასვლელად. მაგრამ არც ამ ხერხმა გაჭრა ბალხის ტალაში. რამდენიმეგან მოხერხებულ დათვებს ჯერ თუნუქის სალტე მოურღვევიათ, ბლის ხეზეც მოკალათებულან და ტოტებიც მიუღწეწ-მიუღწეწავთ...



მდინარე წმინდასხვიდან
XIII საუკუნეში გაყვანილი თამარის რუ



პარსლის ბაზილიკა X საუკუნეში აიგო დავით III კურაპალატის დროს. ამ გადაინვრა ცნობილი პარსლის ოთხთავი იონან გერასი შიერ (ოთხთავი დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება)



შერკინებისტვის, უფრო სწორად, ქართული კორიდისტვის, რომელსაც კველად კურულს ეძახდნენ, ბუღებს საგანგებოდ ფრდიან, უვლიან, ათაგაგებენ, იალაღებენ აგზაგინან და წვრთნიან




ბრინჯის წისქვილი

მამაკაკური სახვნელიდან გუდა-სტვირამდე

ტაო-კლარჯეთის სოფლები და ქართული ყოფა

განვაგრძობთ მოგზაურობას ისტორიულ საქართველოში — თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ იმ ტერიტორიაზე, რომელიც წარსულში ჩვენი ქვეყნის სამხრეთ კარიბჭეს წარმოადგენდა. პარხლისწყლის ხეობა, ჭილათის ჭაღა, პარხლის ტაძარი, ბალხი, ქობაი, ხევაი და სხვა უამრავი ქართული ტოპონიმი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ქართველთა სამკვიდროში, ტაოში ვართ, რომელთა ბინადართ მშობლიური ენა დროთა სვლაში ბევრგან „დავიწყებით“, მაგრამ საკუთარი წინაპრების, თავიანთი ფესვების შესახებ ყველაფერი აინტერესებთ. ამიტომაც არის ამბულელები და ემოციური მათთან ყოველი შეხვედრა.



სოფელი ახალთა პარხლისწყლის ხეობაში

აკვნის ტარზე მარვის აგზარობს
აქაურები პატარების ავი თვალისგან
დანახავად ჰკიდებიან

„მუხოს პანსიონი“

ქართულ სოფლებთან რომ ახლოს ვყოფილიყავით, პარხლისწყლის შუა წელში, ვანისხევის თემის სოფელ ჭილათში გავჩერდით. აქ, ჭილათის ჭალაში, მდინარე პარხლისწყლის ნაპირას, ხალხური ხით ხუროთმოძღვრების ტრადიციების გათვალისწინებით აგებულ „მუხოს პანსიონში“ დავბინავდით. ეს პანსიონი პარხლის ტაძრის მოსანახულებლად ჩამოსული მრავალი ტურისტის, მეცნიერისა თუ სტუდენტის მასპინძელია. ბოლო დროს განსაკუთრებით გახშირდა ტურისტული ჯგუფები საქართველოდან.

აღლოიანი კაცი აღმოჩნდა მუხო იხტიაროლლუ დევადე. როცა ხეობაში ტურისტები მომრავლდნენ, პარხლისწყლიდან მდინარის ერთი ტოტი ჭალაში გადმოაგდო და შესანიშნავი საკალმახე მეურნეობა მოაწყო. აქაური ხელისუფლება მხარში დაუდგა, შეღავათიანი კრედიტი მისცეს და დაიწყო საქმეც, რომელშიც მუხომ სამივე ვაჟი ჩართო – იბრემიძე, ხელილი და მექი (ზურაბი). – ჩვენი უნივერსიში (უნივერსიტეტში) არ ვიკითხეთ (ვისწავლეთ) და მამჩემმა ეს საქმე გამოვვიჩინაო, – გვითხრა ზურაბმა. პანსიონის სტუმრებს მათივე თვალწინ გასაშლელი ან კალათაბადით დაჭერილი კალმახით უმასპინძლებდნენ. ასე რომ, პარხლისწყლის კალმახი უკვე მუხო დევადის სასტუმროს ბრენდად ქცეულა.

სახემდარი 1.000 ლირად

ბალხი გამორჩეულად ლამაზი მთის სოფელია, გულიანი ხალხითა და გულიანი მასპინძლობით. სახლები ერთმანეთთან ახლო-ახლოს, მიჯრით შეჯგუფებულა. ეზოები თითქმის არ აქვთ. სოფელში ძირითადად ქალები დავხვდნენ, ოჯახებში ფუსფუსებენ და შინაურ საქმეს უძღვებიან. მამაკაცები სამუშაოდ არიან გასული, – ზოგი ჭალაში სათიბად, ზოგი პირუტყვის სამწყემსად. ერთ ოჯახში მამაპაპურ აკვანში პატარა ბალხელი ღარჭი (ბიჭი) ჩაეკრათ, ახალგაზრდა რძლები კი დედამთილის მეთაურობით, თავიანთ კაცებს სადილს უმზადებდნენ, – შავი ფხლის (ასე ეძახიან აქ კეჟერა მხალს) ფოთლებში საგულდაგულოდ ახვევენ ბოსტნეულისა და ხორცის ფარშს. ესეც ერთგვარი, აქაური „სარმაა“, ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმის მსგავსი.

ამასობაში აკვანში ჩაკრულ პატარას დედამ ხელები გაუთავისუფლა, – „ამოტატა“ და ისიც გალაღლებული ეთამაშება აკვნის ტარზე დაკიდებულ ქარვის ავგაროზს, ავი თვალისგან დამცავ ამულეტს. ბალხური აკვანი ტრადიციული, ქართული ფორმისაა, ოღონდ უფრო სადა, – საგოგარებით

(საგოგავებით) და გადასაკარებით (არტახებით), თავქოშითა (აკვნის გვერდებით) და ცხადია, შიბაქით. დალოცვასაც მივადევნებთ – ჯერ გულში ვლოცავთ, მერე ხმამაღლაც მივაცოლებთ – ღმერთმა ვაჟიანობა ნუ გამოუღიოს ამ ხეობასაც და პარხალ-ტაოსაც.

ჩვენი მასპინძლების მეზობლად, საბძელში მემედ შირინ ბექირიძე ფუსფუსებს, – თივა გამოაქვს სახედრისთვის. მემედ ბეის ხარებიც ჰყავს და ცხენიც, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, ეს მუშა პირუტყვი დიდად გამოსადეგია მთის პირობებში. – ცინგანებში, ფოშებთან (ბოშებთან) ვიყიდე გასულ ზაფხულს, ათასი ლირა მივეცი, კეხი (ვირის უნაგირი) კი ართვინში ავიღე ორას ლირადო... ღვირი არ არის-მეთქი, რომ ვკითხე, არაო, – დაუფიქრებლად მიპასუხა, – თავისი ფასი საქმე ერთ ზაფხულს გააკეთაო...

მამაპაპური სახვნელი და კვერი

ტრადიციული, მამაპაპური სახვნელი, ჩივთივ შემოუნახავს ოჯახის უფროსს და მისი რამდენიმე სახნისიც. ვათვალისწინებთ ტრადიციულ სახვნელს. ამგვარი ძველებური სახვნელები ჯერ კიდევ საკმაოდაა შემორჩენილი ტაოშიც, შავშეთ-იმერხევისა და ნიგალის სოფლებში: ხევიაში და უბეში, მანაბტასა და ხევწვრილში, გულბინსა და პეტრულში.

ტაო-კლარჯეთში სახვნელებიდან ერთგან არუნა „მუშაობდა“, მეორეგან ჯილაა, ჩივთი ან უბრალოდ, „სახნეველი“. სახვნელის დეტალების სახელებიც ძველქართულს შეესატყვისება: მხარი და ქუსლი, სახნისი და ხმალა, მანჭი და კოტა...

მემედის სახლთან ძველი ნაკალოვარია. მკათათვეში მოიტანდნენ ხოლმე მომიკლ პურეულს, ჩაშლიდნენ კალოზე ძნებს და ხარებშებმული კვერიც დაიწყებდა „საქმობას“. ნაკალოვართან, იქვე, კედელთან უკვე ფუნქციონირებდა კვერი მიეყუდებინათ. სახვნელთან ერთად, კვერიც თითქმის ყველა ოჯახს თავისი ჰქონდა. გასული საუკუნის 30-50-იანი წლებიდან შეძლებულ ოჯახებში გასანიავებელი მექანიკური საშუალება, – „ხვაჯი მაქინა“ დაემატა, რამაც უფრო გაუადვილა აქაურ მეურნეებს ჭირნახულის გალენწვა-განიავება. ასეთი მექანიზმი აჭარის სოფლებშიც გაჩნდა...

კვერი ფართოდ იყო გავრცელებული პარხლისწყლის ხეობაში, შავშეთ-იმერხევაში, ნაწილობრივ ნიგალშიც, – იქ, სადაც ხორბლეული მოჰყავდათ, მსგავსად ქართლ-კახეთისა და სამცხე-ჯავახეთისა.

კვერს, როგორც წესი, სოფელშივე ამზადებდნენ აქაური ოსტატები ძირითადად კატარისა ხისგან (როგორც აქ ფიჭვს ეძახიან). ითლებოდა

ნოდარ შოშითაშვილი

თელისგანაც და პანტა მსხლისგანაც. კევრი არ-სებობდა როგორც ერთ, ისე ორფიცრიანი. იგი ხერხით, ანუ ხიზარით გამოჰყავდათ ან ცულით თლიდნენ. კატარის კევრი უფრო მსუბუქი იყო. უპირატესობა ორფიცრიან კევრს ენიჭებოდა. მართალია, იგი შედარებით მსუბუქი იყო, მაგრამ ფიცრების მოძრაობა ლეწვას ხელს უწყობდა. ტაო-კლარჯეთში უფრო ფიჭვისგან გამოთლილ ერთფიცრიან კევრებს იყენებდნენ.

...ამასობაში ჯამესთან მამაკაცები მოგროვდნენ. ერთ-ერთ მათგანს, უსტა მემედ ილმაზს კარგად ახსოვდა კევრის (იმერხევში წკევრას ეძახიან) დამზადების მთელი პროცესი. შერჩეულ ხეს ზამთარში, სავსემთვარეობისას მოჭრიდნენ, ცულით შუაზე გახეთქავდნენ. ამით ხის ერთი ტომრულიდან, ანუ მორიდან, ორი კევრი გამოდიოდა. გათლისას უფრო ცულს ხმარობდნენ. განსაკუთრებულ ოსტატობას კევრის თავის გამოყვანა მოითხოვდა. კევრს თავი აწეული უნდა ჰქონოდა, ლეწვისას ნამჯა რომ არ შეეხვებოდა...

კევრის თავის გასახვრეტად ბურღს იყენებდნენ. ნახვრეტში კი ან ტაბიკს გაუყრიდნენ, ან დაგრეხილ წნელს, ბოლო დროს ზინჯირსაც (ჯაჭვს). მათი საშუალებით კევრი უღელს უკავშირდებოდა. კევრისთვის აუცილებელი იყო კოხების, ნამტვრევი ქვების ჩართვა ძირში. საუკეთესოდ კაჟის კოხები მიიჩნეოდა. საკოხე ადგილებს ნახშირით მონიშნავდნენ, ბურღითა და სატეხით საკოხე ღრმულებს გააკეთებდნენ. ბოლოს, ჩაქუჩით დაქუცმაცებულ კოხებს ბუდეებში მჭიდროდ ჩასვამდნენ.

კალოზე ლეწვა შრომატევადია, მაგრამ მხიარულებაც ახლდა. მოწიფული ქალ-ვაჟნი, ბავშვებიც ხალისით ერთვებოდნენ საქმეში. ახლა ტყეში ხის მოჭრაზე ისალია, ჯარიმაა, დაასრულა მოგონება მემედ ილმაზმა.

სოფელ ბალხს ზამთრის საძოვრები პარხლისწყლის პირას, „ბარში“ ჰქონდა. თუმცა აქ ბარი პირობითი ცნებაა. ჯერ პირუტყვისა და მწყემსებისთვის დროებითი სადგომები გამართეს. თანდათანობით კი ახალი სოფელიც გაჩნდა ოჯახების განაყოფებისგან. ბალხიბარი დაარქვეს ახალ სოფელს. სახლები ბალხიბარში პარხლისწყლის ხეობის გასწვრივ აღმართულ ქედის თხემზეა გამწკრივებული მძივის მარცვლებივით.

ბალხიბარი, ხმვაი

ბალხიდან ბალხიბარში ჩამოვექვეითდით და ხევას წყლის ხეობის ფლატესთან შევჩერდით. მარჯვნივ არაჩვეულებრივი სანახაობა გადაიშალა, – მდინარე ხევასწყლის ხეობა, და მისი შენაკადების – ლელე-ნაკადულების ხეები. ხე-

ობებსა და ზეგანზე მთებთან „შეთანხმებით“, ბუდე-ბუდე ჩამსხდარან ხევას თემის სოფლები. სახელებიც ლამაზი აქვთ: იეთი და ელიასხევი, ქონობანი და კრეეკარი, ჭელენკარი და ვაჩეკარი... აქ, ერთ მყუდრო ადგილას, მოხდენილ, თანამედროვე შენობას მივადექით. ახალაგებული სასტუმრო სახლი აღმოჩნდა. სასტუმროს პატრონი მეველედ დოლენჯაშვილი გამოგვეგება. აქაური ხეობის მკვიდრს ბევრი ქვეყანა ჰქონია მოვლილი. ევროპაშიც ყოფილა და რუსეთშიც. ძველი სტერეოტიპების მიხედვით რუსული სიტყვებითა და ფრაზებით სცადა თავის მოწონება, მაგრამ აღტაცება რომ ვერ შეგვამჩნია, ისევ ტაოურ ქართულს დაუბრუნდა და გულიანი საუბარიც გაიბა.

ხევას დაუბრუნდა უცხოეთის მთაბარმოვლილი მეველუდი. ხეობაში სტუმრებიც მომრავლებული იყო და სასტუმროს აგების იდეაც გაჩნდა, რომელსაც მასისის მთის სახელი დაარქვა. მეველუდი მშობლიური კუთხის ყოფისა და კულტურით დაინტერესებული კაცია. „მასისის“ პირველი სართულის ნაწილი, ფაქტობრივად, ეთნოგრაფიულ მუზეუმად გადაუქცევია. გულდაგულ შეუგროვებია ძველ ოჯახებში შემორჩენილი ტრადიციული ყოფის ამსახველი ნივთები. რას არ შეხვდებით აქაურ „გამოფენაზე“. ცალკეა ხალხურ ფეიქრობასთან დაკავშირებული საჩიჩელი და ხერთალი, თითისტარი, შალის ნართის დასართავი ჭახრაკი და საფეიქრო დაზგა, ანუ აქაურად „საფექრო“.

ცალკე მიუჩინია ადგილი სამეურნეო ინვენტარისთვის: აქაური სახვნელი ჩივთი, უღელტაბიკები, აპურებით, კალოს იარაღი კევრი და მერული, ხელჩიო, ფეხჩიო და ე.წ. „ვირის თოხი“ (წერაქვი), საფეცქინაი, – მორების გასაქერქად და ხოწები, – ხის გობების მოსახვეწად, ხილის საკრეფი „მაშხალაი“...

გამორჩეული ადგილი აქვს ოჯახისთვის აუცილებელ ტრადიციულ, დაბალ მრგვალი ფორმის მაგიდას, – ფეშუშს, სადღვებს, თუთუნის საჭრელ ხომინს. ცალკეა თიხის ჭურჭელი, ძირითადად აქაური ნაწარმი, – ტუჩიანი კოკა ბულულაი, კეცი და კოჭობი, სხვადასხვა ზომის ქილა-დერგები და რა თქმა უნდა, გულა-სტვირი, რომელსაც ტიკს ეძახიან და ნებისმიერი აქაური ლხინის თანამგზავია.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ამ შესანიშნავი კოლექციისა, რომელსაც სტუმრებთან ერთად ადგილობრივი ახალგაზრდობაც ეცნობა და ეზიარება მამა-პაპათა ტრადიციულ ხელსაწყო-იარაღებს, სამეურნეო და საოჯახო ნივთებს.

ჩვენ ხომ წვრილად დავათვალიერეთ და აღვწერეთ საუკუნე გამოვლილი ნივთები, – მით უფ-




მეხედ შირინ ბეიერიძე აგბობს, სახედავრა თაჰისი ფასი სახეჲ ერთ ზაფხულს მზაჲეთაო...



მეჲლუდ დოღენაჲჷვილი ძველჲებურ სახნაჲ იარაღებსა და მთროგრაფიულ ნიჲთებს სახტუჲროჲი „უჲრის თაჲს“



მთროგრაფიული კუთხე მეჲლუდ დოღენაჲჷვილის სახტუჲროჲი (არაფილი ხეჲათ)



ოთხთაჲ ეკლესია

ნოდარ შოშითაშვილი

რო აუცილებელია მისი ხილვა აქაური ბავშვების-თვის, რომელთა შორის ადგილობრივებიც არიან და ბევრია ზაფხულად მოაგარაკე, რომელთაც ბევრი არაფერი იციან თავიანთი ქართველი წინაპრების წარმომავლობის შესახებ.

ოთხთას მონასტრისკენ

პარხლისწყლის ხეობიდან კვლავ იუსუფელში ჩამოვინაცვლეთ. გზად მოვლილი ვენახები შეგვხვდა. სუფრის ყურძენი გაუშენებიათ მარჯვე მეურნეებს. ყურძნისთვის რომ პარხლის ხეობა საუკეთესო ადგილია, ამას მოწმობს ხევაის და ქობაის ხეობებსა და ჭაღებში ახლაც შემორჩენილი გარეული ვაზი. ყურძნისგან ადგილობრივები ძირითადად შერბეთს (ტკბილი სასმელია) და ბექემზს ამზადებენ. აქაურ ტყეებში გავრცელებულ მთის მოცვისაც თექყურძენას, თიყურძენას, ანუ მთის ყურძენს ეძახიან. შემოდგომის პირზე აგროვებენ კიდევ. ვაზისთვის ტაოელებს ალაგ-ალაგ ტერასებიც კი შეუქმნიათ...

იუსუფელიდან ოთხთას მონასტრისკენ გავემურეთ, რომელიც აქედან შვიდიოდე კილომეტრში მდებარეობს. გზად კავკასიელების ცნობილი ციხე შეგვხვდა, ციცაბოდ აზიდულ კლდეზე ციხე-ბურჯებით და მალე ოთხთასაც მივადექით. აქ მდებარე სოფელს ახლა თექვალე ჰქვია...

მშვენიერ გარემოში ჩამჯდარა ოთხთას ტაძარი. თვითონაც მშვენიერია პარხლის მსგავსად გვიანდელი ხანის ბაზილიკა, X საუკუნის. მაგრამ ძალიან მოუვლელი... გული გტკივა რომ, თუ რესტავრატორთა ხელი არ შეეხება, სათუთა დიდხანს გაძლოს. მით უფრო, ფაქტობრივად, კერძო ბაღში მდებარეობს და გარშემო ბაღჩა-ბოსტანიც მოუწყვიათ. ჩვენი იქ ყოფნის დროს სარწყავი რუ მიეშვათ და მიმდებარე მიწა წყლით იყო გათქორილ-გაჟივჯივებული. რამდენი რამე აქვს ერთობლივად საფიქრ-გასაკეთებელი საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს თურქეთში ქართული ტაძრების რესტავრაცია-კონსერვაციისთვის. ოღონდ, ავთენტურად, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ჩართვით... მართლაც რომ ორივე ქვეყნისთვის ღირსების საქმეა ამ პრობლემების გადაწყვეტა.

ნერიმანი

სოფელი ოთხთა, ანუ თექვალე ჩვენი ახალგაზრდა მასპინძლის, ნერიმან ალბაირაქის სამშობლოა. ტაძართან შეგვხვდით კიდევ, გველოდებოდა. ნერიმანი ჩვენი კოლეგაა. პირველ ნაბიჯებს დვამს მეცნიერებაში ქართველოლოგიური ენათმეცნიერების მიმართულებით. სა-

ქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სწავლობს დოქტორანტურაში, ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის ხელმძღვანელობით. იუსუფელის მხარისა და საერთოდ, ტაოს მიკროტოპონიმიასა და ჰიდრონიმიას (მდინარეების, ნაკადულების, ღელეების სახელები) იკვლევს. მოიძია კიდევ ძალიან საინტერესო მასალა და უკვე სამეცნიერო კონფერენციებშიც მონაწილეობს ქართველ კოლეგებთან ერთად. ნერიმანმა ოცი წლისამ დაიწყო ქართული ენის სწავლა, რომელიც, სამწუხაროდ, მის სოფელში სრულიად მივიწყებულია. თითო-ოროლა სიტყვა თუა შემორჩენილი აქაურების მეტყველებაში. ამასთან დაკავშირებით, ღიმილით იგონებს ერთ ეპიზოდს. როდესაც ერთხელ, საუბარში დედას ვუთხარი, ლეზიას (ლობიოს) მოკრეფის დროაო, ცხადია თურქულად, ქალბატონმა შეირფემ შეუსწორა თურმე, კუთხურად, სოფლურად ნუ ლაპარაკობ, ლიტერატურულად თქვი, ფასულიეო... ფასულიე თურქულად ლობიოს ნიშნავს.

ნერიმანის სოფლის თავში, გონდურმაზის ღელეზე წისქვილების მთელი კომპლექსია გამართული. ორი მათგანი, ჩვენებური, ტრადიციული ბუჭულა წყლის წისქვილია. ერთი მწყობრიდან გამოსული, მეორე მოქმედი თავისი ხეიმირითა და სარეკელათი, კრიჭათი და ასტამით. ჩვენთვის უცნაური იყო მესამე წისქვილი, სადაც ბორბალსა და მის ფრთებზე მოშვებული წყლის ნაკადი ღერძიან ვერტიკალურად გამართულ დოლაბს ატრიალებდა. ეს საინტერესო კონსტრუქციის მექანიზმი ბრინჯის საღერლი წისქვილი აღმოჩნდა. დაღერლილ ბრინჯს კი უხვად იყენებენ აქაურ სამზარეულოში. ბრინჯის ნათესი ყანები ბევრი შეგვხდა ჭოროხის მიმდებარე ჭაღებში.

ოთხთას წისქვილები აღვწერეთ, ჩანახატებიც გაკეთდა და ამის შემდეგ სოფელში ნერიმანის სტუმართმოყვარე ოჯახს ვესტუმრეთ. გულიანი მასპინძელი აღმოჩნდა ოჯახის უფროსი, ბატონი ჯემილ ალბაირაქი. 70-იანი წლების „ბიტლზების“ ხანის ახალგაზრდული სტილი იგრძნობოდა მის ჩაცმულობა-ვარცხნილობასა და მიხრა-მოხრაში. მასპინძელმა გვაჩვენა ვიდეოაპარატურის სამუალებით თავის მიერვე გადაღებული ეტიუდები თექვალეს მცხოვრებთა საოჯახო და სამეურნეო საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებით საინტერესო იყო მარცვლეულის მოყვანა-დაბინავებისა და წისქვილში დაფქვის მთელი პროცესი. დასასრულ, სუფრასთან მიგვიწვია და გულუხვი მასპინძლობა ადგილობრივ სიმებთან საკრავზე (რომელსაც ბაღლამას ეძახიან) ჩამოკვრიოთა და ნაღვლიანი სიმღერით დაასრულა.



სკები პარხლის მონასტრის ეზოში



მამა-შვილი ნერიმან და ჯემალ ალბაირაყები. ნერიმანი თბილისში დოქტორანტურაში სწავლობს, მართველური ენათმეცნიერების მიმართულებით



კატარა მართველები სოფელ სარეკელიდან

ბაგრატიონთა ნაკვალევზე

იუსუფელიდან არტაანამდე ანუ ჭოროხის ხეობიდან მთკვრის სათავებიამდე

ტაო-კლარჯეთში კუნძულებად შემორჩენილ ქართულ სოფლებში ბევრია სამუშაო და საკვლევი, მაგრამ ექსპედიციის ვადებისა და რესურსებიდან გამომდინარე, რამდენიმე დღით შემოვიფარგლეთ. დავემშვიდობეთ პარხლისწყლისა და იუსუფელის ტაოელ ქართველებს და თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ამჯერად ჩვენებურებით უფრო კომპაქტურად დასახლებული მხარეების სოფლებში მუშაობა გველის — შავშეთ-იმერხევაში, ნიგალის ხევაში, ართვინის მიმდებარე სოფლებში, დევსქელის, ქელასქურის, მაჭახლის ხეობებში.

ყველაზე „ქართულ“ იმერხევის სოფლებს სანამ ვეწვეოდით, ორი დღე ტაოსა და კოლა-არტაანის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების მონახულებასა და და აქაური მოსახლეობის გაცნობას დავუთმეთ. ვეწვიეთ დიდებულ ოშკს, რომლის დღევანდელი მძიმე მდგომარეობის შესახებ არაერთხელ დაწერია; ვეწვიეთ ხახულს, რომლის სახელითაც ცნობილი ხატი — ხახულის კარედი, საყოველთაო აღტაცებას იწვევს... ოშკისგან განსხვავებით, ხახულის ტაძარი, რომელსაც თურქეთში ხახოს სახელით მოიხსენიებენ, შედარებით კარგად არის შემონახული, რადგანაც აქ, პარხალის მსგავსად, ადგილობრივი სოფლის მუსლიმთა მეჩეთია განთავსებული. ნატიფად და უხვად შემკულ ჩუქურთმებს შორის თვალს იტაცებს სამხრეთის ფსადზე, სარკმლის თალებს შუა ჩამჯდარი, ასაფრენად შემართული, დიდი ოსტატობით გამოკვეთილი არწივის ჰორელიეფური ქანდაკება, რომელიც თითქოს სავანის საიმედო დამცველად განუმწყნებია ხუროთმოძღვარს.



არაწივის ჰორელიეფური ქანდაკება ხახულის ტაძრის ფსადზე. გოგა ჩანადირის ფოტო

„გურჯი ბოლაში“

ისტორიული საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭე ბასიანი იყო, სამხრეთ-დასავლეთისა — თორთუმი ანუ თორთომი. გრანდიოზული და პრაქტიკულად აუღებელი იყო თორთუმის ციხე, რომლის ცალკეული კოშკი და ბურჯებიცაა შემორჩენილი. მდინარე ოლთისის შენაკად თორთუმისწყლის ხეობაში იგი „გზა ქართლისას“, საქართველოს ყელის ჩამკეტი იყო, რომელსაც თურქებმა „გურჯი ბოლაში“ (საქართველოს ყელი, უბე) უწოდეს. მრავალი გმირული ფურცელი ჩაწერა თორთუმის ციხეში ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ტრაგიკულ ამბად დარჩა 1402 წელს ქართველ მეციხოვნეთა გმირობა. ამბავი, რომელიც უღმობელი კოჭლის, ლანგ თემურისა და ოსმალთა ცალთვალა სულთნის, ბაიამეთ ილდირიმის შეჯახებას უძღოდა წინ. ანგორისკენ (ანკარისკენ) გალაშქრებულ თემურ-ლენგს, რომელმაც გზად საქართველოს სამხრეთი მიჯნები გაიარა, აქაურმა თურქებმა შესჩივლეს: თორთუმის ციხეში ქართველები არიან გამაგრებული და მოსვენება დაუკარგეს ამ არემარის მუსლიმებსო. 25 ათასი მეომარი დატოვა ლანგ თემურმა 200 ქართველი მეციხოვნის წინააღმდეგ, რათა სწრაფად აეღოთ ციხე და მთავარ ლაშქარს შეერთებოდნენ. თაყა ციხისთავის ნაცვლად მისი მოადგილე, გორჯიბეგი მეთაურობდა მეციხოვნეებს. ციხის დამცველები ხუთ დღე-ღამეს იგერიებდნენ ჯარის შემოტევას. მხოლოდ მეექვსე დღეს მოახერხა მტერმა ციხის აღება. ბოლო დამცველები უმოწყალოდ აჩეხეს...

ერთ დროს მძლავრი თორთუმის ციხის ძირში დღეს ჩვეულებრივი თურქული სოფელია, — ესენ დურაქი (დურაქ თურქულად გაჩერებას ნიშნავს) და აქაურებს წარმოდგენაც კი არ აქვთ წინაპართა გმირულ წარსულზე. გვაგონდება ივანე ჯავახიშვილის ცნობა: „XIX საუკუნის ბოლოსთვის თორთუმის მოსახლეობა 1400 სულს შეადგენდა, მთლად გამაჰმადიანებულნი იყვნენ, რომელთაც ქართული უკვე დავიწყებული ჰქონდათ“.

იშხანი

ოლთისისწყლის ნაპირებიდან მარცხნივ, მთებისკენ გადავუხვიეთ. გზა უსიცოცხლო და გადატრუსულ მთა-ხევებსა და მშრალ ხევ-კალაპოტებს აუყვება, სადაც მხოლოდ გვალვასთან შეგუებული, ეკლიანი ჯუჯა ბუჩქები და აქა-იქ სიმშრალის მოყვარული ბალახი — ვაციწვერა და აბზინდა ხარობს. ამ უსიცოცხლო გარემოში შვიდიოდე კილომეტრი ავთავეთ და მოულოდნელად ოაზისში, მწვანეში ჩაფლულ ბაღი-ბაღებსა და ნაკადულებით დასერილ ტაფობში მოხვდით. ამაყად აღმართულიყო, მშვე-

ნიერი, მოჭიქული გუმბათით დამშვენებული იშხანი.

საჩინო ადგილას აუგიათ თავიდანვე იშხანი, VII საუკუნეში. შემდგომ ხანაში არც იგი დაინდო მურვან ყრუს მსახვრალმა ხელმა. გაუდაბურდა აქაურობაც. ტაო-კლარჯეთის საყოველთაო აღმშენებლობამ არც იშხანი დატოვა განზე. როცა დიდი მოღვაწე, ნეტარი გრიგოლ ხანძთელი და ღირსი მამა საბა მაშინ უშენ, მგვრამ „სულიერად და ხორციელად სანუგეშო ადგილს“ ეახლნენ, უფლისგან ეუწყათ, რომ უნდა აღედგინათ დიდებული ტაძარი. მართლაც, ღირსმა საბამ, იშხნელად ზედწოდებულმა, აღადგინა ეს სიწმინდე ძველ ნატაძრალზე. შემდგომ, X საუკუნეში, ტაძარი საფუძვლიანად განუახლებიათ, ხოლო მეფე გიორგი I-ის დროს კიდევ შეუმკიათ ჩუქურთმებით და წარწერებითაც დაუმშვენებიათ. მიმდინარეობს კიდევ სარესტავრაციო სამუშაოები იქაური სპეციალისტების მონაწილეობით, ქართველი მეცნიერების გარეშე. რესტავრაციის ხარისხსა და ავთენტიკურობის დაცვაზე ბევრი შენიშვნაც გამოითქვა. იმედს ვიტოვებთ, რომ შემდგომი ტაძრების რესტავრაცია-კონსერვაციის დროს ქართველი სპეციალისტებიც უფრო აქტიურად ჩაერთვებიან. ეს შესანიშნავი ძეგლები სულ უფრო მეტ ტურისტს იზიდავს თვით თურქეთიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნიებიდანაც.

არტანუჯი

არტანუჯის ციხე-ქალაქად გადაქცევა V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალს უკავშირდება, რომელსაც საერისთავო ცენტრი თუხარისიდან აქ, კლარჯეთის შუაგულში გადმოუტანია. ამას გვაუწყებს მეფე ვახტანგის ისტორიკოსი ჯუანშერი. ვახტანგიდან მოყოლებული, არტანუჯი იყო საქართველოს სამხრეთი ციტადელი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდგომ, არტანუჯიც არაბებს აუოხრებიათ და აქაურობაც გაუკაცრიელებულა.

არტანუჯის ხელახალი აღორძინება აშოტ დიდ ბაგრატიონს უკავშირდება. ანტიარაბული აჯანყების მოთავე, 809 წელს ტოვებს თბილისს, ერისმთავრობას და გადმოდის საგვარეულო მამულში, კლარჯეთში. ბიზანტიისთვისაც ხელსაყრელი იყო ასეთი მოკავშირე არაბთა წინააღმდეგ და აშოტს კურაპალატობა უბოძა. აშოტ კურაპალატმა აღადგინა, ფაქტობრივად, ხელახლა ააგო არტანუჯის ციხე, დიდ სასულიერო მოღვაწეთა თანადგომით მოაშენა კლარჯეთი, რომელიც ტაოსთან ერთად, საქართველოს მომავალი ძლიერების ერთ-ერთ საძირკვლად იქცა. საუკეთესო ადგილას არის არტანუჯის ციხე. ბოროციანი რელიეფზე კლდეზე აღმართული, რომელიც ვრცელი მოვაკებული ადგილით გვირგვინდება. ციხის მეორე მხრიდან თვალჩაუწყვენიელი სალი კლდეების უფსკრულია.

ნოდარ შოშითაშვილი

დღეს არტანუჯი პატარა პროვინციული ქალაქია, არდანუჩის სახელითა და რამდენიმე ათასი მცხოვრებით. თურქები და ქურთები ცხოვრობენ ახლა აქ, ქართველის ნასახიც აღარ არის. არტანუჯი 1878 წელს გადავიდა ოსმალეთის მფლობელობიდან რუსეთის ხელში. რუსული ადმინისტრაციის სხვადასხვა დროის აღწერით აქ მრავლად არის აღნუსხული ქართული სოფლები. ამ აღწერების საფუძველზე, 1910 წელს, „კავკასკი კალენდარის“ მიხედვით, ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგის არტანუჯის უბანში 32 ქართული სოფელი ყოფილა. მეტიც ცალკე გრაფაშია შეტანილი „მაჰმადიანი ქართველები“, ცალკე გრაფაში – „ქართველები“... ანუ, იმ დროისთვის ქართველთა ერთი ნაწილი ქრისტიანობას ინარჩუნებდა.

დღეს წარმოშობით არტანუჯელ ქართველთა უმრავლესობა ბურსასა და მის ვილაიეთში ცხოვრობს, მარმარილოს ზღვისპირეთში, ქართველ მუშაჯირთა შთამომავლების გვერდით. მათგან განსხვავებით, არტანუჯში ქართველობაზე ბუნდოვანი მოგონება და გადმოცემები თულა არის შემორჩენილი. მოსახლეობის ამგვარი მასობრივი გადასახლება თუ ადგილნაცვლობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 1946 წელს მომხდარა.

ყანა გელიშ

ხანდახან თუ გამოკრთება აქაურთა მეტყველებაში სასწაულებრივად შემორჩენილი ქართული სიტყვა: აქაური კაცი, როდესაც მინდორში სამუშაოდ მიდის, იტყვის: „ყანა გელიშ“, ყანაში მივდივარო. თუმცა, რომ ჰკითხო, ყანა რას ნიშნავს, ვერ გიპასუხებს. კიდევ ტოპონიმები და განსაკუთრებით მიკროტოპონიმები. სოფლების ძველი დასახელების გათურქულებაზე, ისევე როგორც მთელ ტოპოკლარჯეთში, ხელისუფლებამ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან „იბრუნა“. უფრო მყარი აღმოჩნდა ადგილობრივი, საშინაო მეტყველებაში არსებული მიკროტოპონიმები, რაშიც თურქეთის ოფიცინო ვერ ჩაერეოდა – სახნავების, ღელე-ნაკადულების, სათიბ-საძოვრებისა თუ ტალების სახელები... ამიტომ კვლავ ტრიალებს მეტყველებაში: „ახოლარის (ლომისგორას, შორას) მინდვრები გვაქვს დასათესი“, „ზვარეს (ჭალის აგარის, წითელას) ყანაში ბუღდაა (ხორბალი) ასალები“, „ჭალათია გასათიბი“, „მალნარის ტყიდან შეშაა მოსატანი“... თუმცა ამ მიკროტოპონიმების სემანტიკურ შინაარსსა და წარმომავლობაზე წარმოდგენა არ აქვთ.

ბანა

ბანა მრავალწახნავა ტაძარი ყოფილა, თუმცა მისი შემორჩენილი ნაშთები მრგვალად აღიქმება.

იგი ჭოროხის შენაკადის, ამავე სახელწოდების პატარა მდინარის მარჯვენა ნაპირასაა. მატინეში ვკითხულობთ: „მოერთვის ჭოროხს მდინარე ბანა ფანასკერტისა, გამომდინარე ყალნუ მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთად... ამ წყალზედ, მთაში არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს“. VII საუკუნეში აუგიათ ბანას ტაძარი, ხოლო საბოლოო სახე ადარნასე II-ის დროს მიიღო, IX-X საუკუნეების მიჯნაზე. ადარნასემ „აღაშენა ბანა ხელითა კვირიკე ბანელისა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“.

ბანაში აკურთხეს მეფედ მცირე ასაკის ბაგრატ IV. აქვე დასწერეს ჯვარი მას ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ არგირის და ელენეზე. ამ ქორწინების ინიციატორი ბაგრატის დედა, წარმოშობით სომეხ დიდებულ არწრუნთა გვარიდან, დედოფალი მარიაში იყო. ამ გზით უწოდოდა ჩაეცხრო საქართველოსა და ბიზანტიას შორის გართულებული ურთიერთობა. თორმეტიოდე წლისა იყო ბაგრატი, ცოტათი უმცროსი ელენე. თუმცა, არ გამოდგა ბედნიერი მათი ქორწინება. მალე გარდაიცვალა ნორჩი დედოფალი...

ბანა ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია იყო, აქვე იყო მეფეთა საძვალეც. აქ დაუკრძალავთ ერთიანი საქართველოს მეფე ვახტანგ IV, ალექსანდრე I დიდის ძე და მისი მეუღლე, აქაური დიდებულის, ფანასკერტელის ასული სითიხათუსი.

XIX საუკუნის შუა ხანებში ბანა ჯერ კიდევ მთელი სიდიადით დახვედრია გერმანელ მეცნიერ-ნატურალისტ კარლ კოხს. მაგრამ საბედისწერო გამოდგა ბანასთვის რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი. ბრძოლების მიმდინარეობისას ხან ერთი მხარე იყო დაბანაკებული ბანას ვალავანში, ხან მეორე. XIX საუკუნის ბოლოსთვის ბანა უკვე გუმბათნამოქცეული და ჩამონგრეული იყო, ხოლო საბოლოოდ მისთვის 1984 წლის მიწისძვრას მოუთავებია ხელი.

უამრავი სხვადასხვა სიდიდისა და მნიშვნელობის ციხე, ეკლესია, ტაძარი შემორჩენილი ტოპოკლარჯეთში. მოუვლელიობა-უპატრონობასთან ერთად, მათ დიდ ზიანს აყენებს საიდანღაც (შეუგნებლად, უცოდინარობით, თუ შეგნებულად) გავრცელებული მოარული, აკვიატებული აზრი მათში განძის ჩამარხვისა. თითქმის ყველა ტაძარი გადათხრილია, ცხადია, უშედეგოდ. სამწუხაროდ, განძის მაძიებელთა ენთუზიზმი ამას არ შეუწყობრება.

ანისი

ბანადან მდინარე მტკვრის ზედა წელში მდებარე ისტორიული პროვინციებისკენ, კოლა-არტანისკენ ავიღეთ გეზი. გზად, ყარსის (ქართ. კარის) ოლქში მდებარე ანისი მოვინახულეთ. ვაჭრობა-ხელოს-



თორთუბის ციხეს ქართველ მშენებლებმა არაერთი თავგანწირვა ახსოვს



იზნის ტაძარი



სოფელ ბაღბაში, სახულისწყლის ღელესთან, ცნობისმოყვარე ვადარაბი შემოგვხვებინა



არშანუზის ციხისიშგრა



ბანა



ქართული მართლმადიდებლური ტაძარი ისტორიული სოფლის ღელესთან ანისში. მდინარე ახურიანის ერთ სანაპიროზე დღეს თურქეთის ტერიტორიაა, მეორეზე კი სოფელი

ნოდარ შოშითაშვილი

ნობით განთქმული ყოფილა პოლიტიკურ-კულტურულად დაწინაურებული ანისი, ფეოდალური სომხების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს (886-1045 წწ.) დედაქალაქი 961 წლიდან. ბევრი ფადაკვეთის ხაზები ჰქონდა ანისის საქართველოსთან. მსხნელი და მფარველი იყო ამ დროს საქართველო სომხებისთვის. მეტიც, XI-XII საუკუნეებში ანისი დროდადრო ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაშიც იყო. ამ ურთიერთობის დაუწიყარი ფურცელია 1123 წელი, როდესაც დიდმა დავით აღმაშენებელმა შეისმინა ანისელ დიდებულთა თხოვნა-აჯა მფარველობისა და ქართველთა ლაშქარი მიადგა თურქთაგან დაპყრობილ ანისის კედლებს.

სამი დღე დასჭირდა, გამარჯვებებს მიჩვეულ ქართველთა ლაშქარს თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგობის გატეხვისთვის. შეიძინა ქართველები სომეხ დიდებულებსა და მოქალაქეებთან ერთად განთავისუფლებულ ანისში. შეიპყრეს მისი მაჰმადიანი დამპყრობი, წარმომავლობით ქართი აბუჯ სოვარი. ხუროთმოძღვარ თრდატის მიერ აგებული და მიზგითად (მეჩეთად) გადაკეთებული ბაზილიკა კვლავ ქრისტიანულად აკურთხეს. აქ დაკრძალულ, წარმოშობით ბერძენ, სომხეთის დედოფალ კატრონიკეს საფლავს სამგზის ჩასძახა დავით აღმაშენებელმა: „გიხაროდენ შენ, წმინდა დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“. მომრავლდნენ ქალაქში ქართველები, ქალკედონიტი სომხები და ქართული ტაძრებიც აიგო. სულ მცირე, სამი ასეთი ტაძარია ამჟამად ნაქალაქარში აღრიცხული. ერთი მათგანი ჩუქურთმებით მორთული და წარწერებით შემკულია...

შთაბეჭდავია ანისი, ხრიოკ, უხეო და უტყეო კლდეზე დაფუძნებულ მთის ნახევარუდაბნოში გაშენებული მდიდარი ქალაქი. ერთგვარი კონტრასტია – ანისის ციხე-გალავანისა და ქალაქის შთაბეჭდავი კარიბჭის ფონზე იქვე მიყუჟული უღიმღამო პატარა ქურთული სოფელი, რომელიც ერთადერთი ყურადღება მისაქცევი, წივისგან (პირუტყვის ნაკელი) „გამომცხვარი“ ბრიკეტებით აგებული გრძელი „ზვინებია“, რომელსაც აქაურები საწვავად იყენებენ.

ანისის ნაქალაქარში ამჟამად მუზეუმი, ტურისტული ცენტრია და იუნესკოს ეგიდით მასშტაბური სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ნაქალაქარს აღმოსავლეთით მდინარე ახურანი (არპა-ჩაი) ჩამოუდის, რომელიც დღეს საზღვარია თურქეთსა და სომხეთს შორის. ახურიანს გაღმა მოჩანს სომეხ მესაზღვრეთა კოშკურები. მხოლოდ აქედან თუ შეავლებენ თვალს თავიანთ ძველ დედაქალაქს...

ვათვალეობთ გრანდიოზულ ნაქალაქარს, დავდივართ მის „ქუჩებში“. იქით სასახლეთა ნანგრევებია, ქულბაქები, ქარვასლები, სხვადასხვა აღ-

მსარებლობის სალოცავები, გრიგორიანული ტაძრები, ქართული ტაძრები, უხვად მეჩეთები, ათემგაც კი – ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავი. ზოგი შენობა მეტ-ნაკლებად შემონახულია, ზოგიც ნახევრად დანგრეული, ზოგისაც ნაშთები... არადა, ქვიან და ხრიოკ ადგილას დაარსებულ ანისში დიდების ხანაში 100 ათასი მცხოვრები ყოფილა. მონღოლების შემდეგ ვეღარ გასწორდა წელი ქალაქი, 1319 წლის მიწისძვრამ კი ბოლო მოუღო.

კოლა-არტაანი

ანისიდან რამდენიმე პროვინციულ ქალაქს ჩავუარეთ, დაბალი უღელტეხილიც ავიარეთ და ისტორიულ კოლაში, მტკვრის სათავეებთან აღმოვჩნდით. ალბათ სადღაც აქ, რომელიღაც უძველეს სოფელში დატრიალდა ცხრა ყრმა კოლელთა მარტვილობის ტრაგიკული ფურცელი ადრექრისტიანულ ხანაში, როცა სუსხიან ზამთარში, ყინულივით ცივ მტკვარში, ქრისტიანობის მადლს ზიარებული უმანკო ყმაწვილები უღმობელი წარმართი მშობლების ხელით ეწამნენ.

კოლა-არტაანი, ზეგანი რელიეფით, გეოლოგიური აგებულებითა და ლანდშაფტით, ჩრდილოეთიდან მოსაზღვრე ჯავახეთის მსგავსია. მთის შავიწინადაგანი ეს მხარე ნამდვილი ბეღელია ამჟამად თურქეთისა. არტაანის გზატკეცილის მთელ სიგრძეზე, აქეთ-იქით, ხორბლისა და ქერის თვალმიუწვდენელი ყანებია, შიგადაშიგ, კარტოფილის ნათესები და საძოვრები. ერთმანეთს ხშირად ენაცვლება მთა-ზეგნის მდინარეები და ვულკანური ტბები. ამკარაა, ეს პროვინცია მეზობელ სამცხე-ჯავახეთთან ერთად, ერთიან სამეურნეო-კულტურულ ტიპს ქმნიდა. კოლა-არტაანზეც ზედგამოჭრილია ჯავახეთზე თქმული ხალხური ლექსი: „მე ჯავახეთს რა მიშავდა, / მთვარე იყო მშესავითა, / კალმახი და ქერის პური / წინ მეყარა ბგესავითა“.

არტაანი, რომელსაც თურქები არდახანს უწოდებენ, კოლაზე დიდი ქალაქია, 25 ათას მცხოვრებს ითვლის. ვერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნეში მეფე ფარნავაზმა შექმნა წუნდის საერისთავო, რომელშიც კოლა, არტაანი და ჯავახეთი შედიოდა. მხარე და ქალაქი თურქებმა XVI საუკუნეში დაიპყრეს. 1877-1878 წლების ომის შედეგად რუსეთს შეუერთდა სხვა ქართულ მიწებთან ერთად. თუმცა თურქეთისა და რუსეთის მიერ საქართველოს სამხედრო ინტერვენციის შედეგად (1918 და 1921 წლებში) არტაანიც თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

...ვიდევით არტაანის ციხის გოდოლზე, გავყურებდით მტკვარს, რომელიც მალე საქართველოს საზღვარს გადაკვეთდა და ვფიქრობდით: რა ახლოს არის არტაანიდან საქართველო – ხელის ერთ გაწვდენაზე და ამავე დროს, რა შორის!



ენისის ქართული ტაძრის კვლევებთან კოლხურად (მეგრულ-ლაზურად) მკვლევარმა ანატოლი ბრეგვალიძემ სოხუმში მისი კვლევის შედეგად და აღმოჩენილმა მონეტებმა და ახლა აღმოჩენილმა მონეტებმა



ამ ვაკეში დღემდე ინფრასტრუქტურის მშენებელი ინჟინერი კოლხური



მდინარე მდინარე და სხვისიგანგა არტანუჯის (დღევანდელი რაიონული ცენტრი არტანუჯი)

ლაგაგი სოფლები ძველქართული სახელებით

ქართველი ეთნოლოგების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ენათმეცნიერების ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში გრძელდება. ჩვენი კომპლექსური ექსპედიციის მიზანია თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში არსებულ ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების, ასევე თურქეთის სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად დასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფისა და კულტურის გაცნობა და საერთოდ, თურქეთელ ქართველთა (როგორც მათ სამეცნიერო წრეებში მოიხსენიებენ) ისტორიულ სამშობლოსთან დაახლოება.



პეიზაჟი ტბეთის მონასტრის სიახლოვეს. უკან ჩანს შიპკრისა და შორთხის ხეობების წყალგამყოფი არსიანის ქედი

ჭინჭრობელ ქართველებთან

არტაანის ახლომახლო სოფელი ჭინჭრობია. პატარა ღელე ჩამოედის, რომლის ნაპირზეც ძველი ეკლესიაა, ასევე პატარა, პერანგშემოცლილი, ნანგრევებად ქცეული. აღვწერთ, ავბომეთ და მეთი ინფორმაციის გასაგებად სოფელშიც შევდივით. ქართველებს ვეძებდით, მაგრამ ეს 75-კომლიანი სოფელი ახლა ძირითადად თურქებითა და ქურთებითაა დასახლებული. თუმცა, ჩვენი თანამემამულეების ძებნას მაინც განვაგრძობდით.

სოფლის იერსახეს აშკარად ეტყობოდა, რომ აქაურთა ძირითადი საქმიანობა მემინდვრობა და მესაქონლეობაა. ერთ მაღალ ბოძზე ყარყატს უზარმაზარი ბუდე გაეკეთებინა. ჩვენი იქ ყოფნა ალოობას დაემთხვა და კარ-მიდამოებში ნამჯისა და ბზის სიგრძეზე გაწოლილ ზვინებს ამზადებდნენ. ერთ ასეთ კარ-მიდამოს მივადიქით. შუახანს გადაცილებული მამაკაცი ზვინს თავზე მოქცეოდა და გულდაგულ ზეპავდა და ფორმას აძლევდა ქვემოდან მიწოდებულ ბზეს. ქვემოთ ხილაბანდწაკრული, ხმელ-ხმელი ქალი იდგა, მოხერხებულად ატრიალებდა ფიწალს და დროდადრო მეუღლეს ბზეს აწვდიდა.

უცხო ხალხის დანახვამ შრომაში გართულ წყვილს საქმე შეაწყვეტინა. მამაკაცმა დაგვინახა თუ არა, ქართველები ხართ? – გვკითხა, პასუხს არც დაუცადა და სწრაფად ჩამოსრილა ზვინის კენწეროდან. რომ იტყვიან, გაგვიმართლა – მთელ სოფელში ქართველებისა მხოლოდ სამი ოჯახი ვართო, ძლივს გაგვაგებინეს ჩვენმა მასპინძლებმა დამტვრეული, დავიწყებული ქართულით. ხანში შესული ცოლ-ქმარი ისმეთ თოფჩუ და ფათმა ქესქინ-თოფჩუ საქართველოს საზღვრისპირა ფოცხოვიდან ყოფილან წარმოშობით და აქ დაფუნებულან. შეგვიპატიუეს ერთი შეხედვით მოკრძალებულ, მოვლილ, გაწკრივლებულ სახლში. გაცხებულნი და გახარებული იყვნენ ჩვენთან შეხვედრით. ყველაფერს წარმოვიდგენდით, მაგრამ ასეთ მოულოდნელ სიხარულს არაო.

სამი შვილი ჰყავთ ფათმასა და ისმეთს. სამივე ბურსაში ცხოვრობს და აქედანაც ვეხმარებიო. ცხვარიც ჰყოლიათ გამრჯე ცოლ-ქმარს, – იქვე, სპეციალურ სათავსში, გუდებში ჩატენილი ცხვრის ყველი გვაჩვენეს (გავვიმასპინძლდნენ კიდევ უგემრიელესი ნამზადით), მიჯრით ჩაერიგებინათ. ჩვენს შვილებს ვუგზავნით ქალაქშიო, ცოტას ვყიდით კიდევო, გვითხრეს.

გრემლმორეული გამოგვეთხოვნენ, თითქოს დიდი ხნის უნახავი ახლო ნათესავები ვყოფილიყავით. წლები რომ გვემატება, უფრო გვენატრება

ჩვენი ქართველების ნახვაო. დავტოვეთ ამ უცხო, მაგრამ უკვე შეჩვეულ გარემოში მოყვარული და გამრჯე წყვილი და გეზი შავშეთ-იმერხევისკენ ავიღეთ.

მტკვრისა და ჭოროხის ხეობებს არსიანის ქედი ჰყოფს. გადავიარეთ უღელტეხილი და უტყეო კოლა-არტაანიდან ტყით შემოსილ შავშეთ-იმერხევაში გადავინაცვლეთ.

შავშეთიდან „შავშათამდე“

ისტორიული შავშეთის მოსახლეობა, როგორც აქ იტყვიან, „გადაბრუნებულია“, ანუ ქართული წარმომავლობის მახსოვრობა აქვთ, ტოპონიმები, განსაკუთრებით მიკროტოპონიმები ნაწილობრივ შემორჩენილია, ქართული ენა კი, სამწუხაროდ, დაკარგული აქვთ. სამაგიეროდ, იმერხევაში ახსოვთ წინაპართა ენა.

შავშეთი, ისტორიულად, საქართველოს ერთ-ერთი სამეურნეო-ეკონომიკური და სულიერი საყრდენი იყო. როცა გაჭირდა, გამოკვეთილი პოლიტიკური მისიაც იტვირთა. XI საუკუნეში, როცა მძლავრი მეზობელი ბიზანტია ყოველნაირად ცდილობდა, ეს მიწა-წყალი ახალგაერთიანებული საქართველოსთვის ჩამოეშორებინა, როცა დიდებულთა ერთი ნაწილიც პრივილეგიებსა და ბიზანტიურ ტიტულებს დახარბდა, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ აქ ნამდვილი მამულიშვილები. ტბეთის ეპისკოპოსი საბა მტბევარი ჩაუდგა განმათავისუფლებელ მოძრაობას, ბისონი აბჯრით შეცვალა და თანამოაზრეებთან ერთად, ერთიმეორის მიყოლებით გაათავისუფლა მიტაცებული ციხეები.

ამჟამად ამ მხარის რაიონულ ცენტრს „შავშათი“ ჰქვია. სულ ახლოსაა მასთან შავშეთის, ანუ სათლელის ციხე, რომელიც ერთ-ერთი იმ მცირე ისტორიულ ობიექტთაგანია, საფუძვლიან მეცნიერულ დონეზე რომ შეისწავლიან ადგილობრივი (მათ შორის ქართული წარმომავლობის) სპეციალისტები. არადა, რამდენი ადგილი ელის არქეოლოგიის წერაქვს ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალზე და რამდენი აღმოჩენაა მოსალოდნელი...

ტაბეტი

გული დაგვწყვიტა ტბეთის თითქმის გაპარტახებული ტაძრის ხილვამ. ერთ დროს საეპისკოპოსოს ცენტრი, კულტურისა და სულიერების დიდი კერა X საუკუნეში აუგია ერისთავთ-ერისთავს ამოტ კუხს, პირველ ეპისკოპოსად სტეფანე მტბევარი დაუნიშნავთ. აქ დაუწერია მას შესანიშნავი აგიოგრაფიული ნაწარმოები „წამება

ნოდარ შოშითაშვილი

წმიდისი გობრონისი“, აქ მოღვაწეობდა სახელგანთქმული ტბელი აბუსერიძე. შემორჩენილია „ტბეთის სულთა მატეანის“ (XII–XVII სს.) ტექსტი, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს შავშეთისა და აჭარის წარსული ფურცლებისა და საგვარეულოების შესახებ.

XX საუკუნის 60-იან წლებამდე დაზიანებული, მავრამ სიდიადით მდგარა აქაურობის დამამშვენებლად ტბეთის ტაძარი. გავრცელებული ამრით, ამ დროს აუფეთქებიათ თურქ ნაციონალისტებს. ცხადია, იგოდნენ, რას და რატომ აფეთქებდნენ. მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი, საკურთხევლის მხარე შემორჩენილია ნატიფი ორნამენტებით. ტაძრის დანარჩენი დეტალები, მათ შორის ჩუქურთმიანი ქვები გარშემო მიმოუბნევიათ. ზოგიც იქვე, ყორის ქვებდაც კი გამოუყენებიათ. ამ მდგომარეობაში ნახულობენ ტბეთს ქართველ მომლოცველთა თუ ტურისტული ჯგუფები. დასახლების ოფიციალური სახელიც შეუცვლიათ. ამ ბარაქთან მხარეში მრავლად ხარობს კაკლის ხეები, ამიტომაც კაკლიანი ანუ ჯევიზლი დაურქმევიათ ისტორიული ტბეთისთვის.

სოფლიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, ლამაზი ტაფობისკენ გავეშურეთ. ზღვის დონიდან 1300 მეტრზე ვართ. მომცრო გორაკზე, ტყის პირას, ცალნავიანი ეკლესიის, ძველი ციხისძირის ნანგრევები დაგვიხვდა, ისიც პერანგ-შემოდარცვული და მიტოვებული.

აღმოსავლეთით, შავშეთისწყლის ულამაზესი ხეობა, იმის იქით კი შავშეთის დაბალი მთები მოჩანდა... ჰორიზონტზე – არსიანის ქედი – ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის გამყოფი. უფრო ახლოს, ამწვანებული ტყეებისა და მდელო-სავარგულების მონაცვლეობა თვალსასერიო, დამამშვიდებელ გარემოს ქმნიდა. რამდენიმე პატარა სოფელი ენაცვლებოდა ერთმანეთს. მათგან ერთმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. აბრა-მაჩვენებელი თურქული ასოებით გვაუწყებდა, რომ აქედან „თეთრი კლდე“ იწყებოდა.

იმერხევისკენ

ამკერად იმერხევისკენ მივემართებით. დავუყვებით შავშეთის წყლის ხეობას და სოფელ შერთულთან, იქ სადაც შავშეთისწყალს იმერხევისწყალი, იგივე ფაფართილელე ერთვის, – ხეობას ზემო წელისკენ ავუყვებით. ეს ხეობა იმერხევის გულია, ხეობის ცენტრი კი – დიობანის თემი. მეიდანჩიკად გადაურქმევიათ სახელი დიობანისთვის. ნაცნობია ჩვენთვის ეს ხეობა. წინა წლებშიც ვყოფილვართ აქაურ სოფლებში. ნაცნობი სახეები... მონატრებული განწყობით შეგვხვდნენ აქაურები.

ფაფართილელე ჩამოუდის დიობანს. ფაფართის მთიდან მოედინება. ეს მთა წყალგამყოფია. დასავლეთით მაჭახლის ხეობაა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ხევწვრილი და მისი ზედა სოფელი, მთებში ჩამჯდარი ბაჭირეთი. ფაფართილელეს ხეობაში ერთმანეთის მიყოლებითაა ლამაზი სოფლები ძველქართული სახელებით: წყალსიმერი და შოლტხიხვი, ბზათა და ქოქლიეთი, იმნიეთი და იფხრეველი, ხეობის სათავეში კი – ივეთი. სოფლებს, როგორც წესი, სახელები შეცვლილი აქვთ. ივეთში სიმინდის მოსავალი მოდიოდა უხვად და „სიმინდიანი“, – მისირლი დაურქმევიათ; წყალსიმერის ლეღეებში ბევრი თევზი იცის და ბალიკლიდ, ანუ თევზიანად „მოუნათლავთ“...

ივეთში გასული საუკუნის 60-იან წლებში დიდი ხანძარი გაჩენილა. მთლიანად გადაბუვულა აქაური ხის სახლები. მთავრობამ ხელი შეუწყო და ივეთელები ერთიანად გასულან მაშინდელ ფედერაციულ გერმანიაში და იქ გამოუშავებული სახსრებით ივეთში გვარიანი სახლებიც აუგიათ. როგორც აქ ამბობენ, სწორედ ივეთელებმა გაჭრეს თურქეთისთვის კვალი გერმანიისკენ, შემდგომში კი ამ პროცესმა საყოველთაო ხასიათი მიიღო.

იშხნელაბი

ივეთიდანაა ჩვენი ძველი მეგობარი აიშანი იშკი. ახლა ცოლ-შვილთან ერთად სტამბოლში ცხოვრობს, ცნობილი ოქრომჭედელია და მის ნაკეთობებში აშკარად იგრძნობა ჩვენი წინაპრების საოქრომჭედლო ტრადიციები თუ თანამედროვე ქართული მოტივები. ბატონი აიშანი თურქეთში ბოლო წლებში დაფუძნებული ქართული საზოგადოებების აქტიური წევრია და თბილისშიც არაერთხელ დასწრებია თურქეთელი ქართველებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. დანაებით ვკითხრა, ჩვენი ძველი გვარი აღარ ახსოვთ, ისე კი ჩვენს მოდგმას იშხინთს ეძახიანო. ჰოდა, იშხნელები ყოფილხართ, ჩემო აიშანო, – განუმარტა ქართული გვარ-სახელების ცნობილმა სპეციალისტმა, პროფესორმა როლანდ თოფჩიშვილმა. მით უფრო, რომ ივეთის მთებს გადაღმა, აჭარაში, შუახევის რაიონში იშხნელები საკმაოდ არიან.

ლამაზი ქართულით საუბრობენ დიობანის თემის მცხოვრებნი. დროდადრო ბავშვებშიც კი გაიგონებთ წინაპართა ენას, თუმცა აქაურმა პატარებმა ქართული ენა თითქმის არ იციან, ისევე როგორც ტაო-კლარჯეთის სხვა სოფლებში, ქართველ მუშაჯირთა შთამომავლებშიც. თავი რომ გაიმართლონ, მოგვიგებენ: ოქულში (სკოლაში)



ჩვენს ჟინვრობელ მასხვიძლებს ისმეთესა და ფათმას თაჰვიანთ შორეულ წინაპრებზე გეჟრნი არაფერი ახსოვთ, თუმცა კი ეართველებთან შეხვედრამ ძალიან გაახარათ



ართანის (დღევანდელი არდახანის) მახლობლად მდებარე ჟინვრობის ტაძრიდან მხოლოდ ეს ნაშთებიღა დარჩენილი



შავშეთის ციხესთან



გული დაგწყვიტა მბითის გაპარმანებული ტაძრის ხილვამ



ტაძრის დეტალები, მათ შორის ჩუპურთშიანი ძვები გარშემო მიშობნევიანთ. ფოგის იქვე, ყორის ძვებადაც კი გაშოუყენებიათ



აბრა-მაჩვენებელი თურქულად გვაუწყებს, რომ აქედან "თეჰილდე" ანუ "თეთრი კლდე" იწყება

ნოდარ შოშითაშვილი

რომ შედიან, „გურჯიჯადან თურქულაზე გადაბრუნება უჭირთო“, თავიანთ ბავშვობას იხსენებენ, როცა სკოლაში შესულებს მათთვის გაუგებარ ენაზე ასწავლიდნენ და ქართულად ლაპარაკისთვის ხოჯები (მასწავლებლები) სასტიკად სჯიდნენ.

თურქეთის მთავრობამ დიობანში დიდი სასკოლო კომპლექსი-პანსიონი ააგო, სადაც ამ ხეობის ბავშვები სწავლობენ და იქვე ცხოვრობენ, ხოლო შაბათ-კვირაობით ოჯახებს უბრუნდებიან. უმაღლეს დონეზე მოწყობილი ეს სკოლა, თანამედროვე ტექნიკით, კომპიუტერებით, კვებისა და საძინებელი ბლოკებით, სპორტდარბაზით. და ასეა თურქეთის სხვა რაიონებშიც.

დიობნელებთან

ლამაში და კეთილმოწყობილი სახლ-კარი აქვთ დიობნელებს. საერთოდ, ტრადიციული იმერხეული ხის სახლი (როგორც აქ უწოდებენ „შეშის სახლი“), ქართული საცხოვრებლის ცალკე ტიპს წარმოადგენს. შიდა დაგეგმარებით აჭარული საცხოვრისის მსგავსია, გარეგნულად კი გამორჩეულია მეორე სართულის დიდ ნაწილზე შემორტყმული აივნით, – შალამფორით და ცენტრალურ ადგილზე დატანებული მოსასვენებელი ადგილით – „ქოშქით“. იმერხეველები ცდილობენ, თანამედროვე საცხოვრებლების აგებისას, არ დაკარგონ ეს ტრადიციული ხუროთმოძღვრული ელემენტი.

აქაურების მოვლილ ბაღებში მრავლადაა ჩვენთვის ნაცნობი ხილი, – კიტრა ვაშლი და სინაფი, ხეჭეჭური და კალოს მსხალი, შავი ქლიავი და ჭანჭური... სათიბი ცალკე აქვთ, „ჭალას“ ეძახიან. მეორედაც გათიბავენ და ეს უკვე „მორჩია“. სათიბებში ზოგან საბძლებიც ჩაუდგამთ. საბძელი, რომელსაც იმერხევი საინტერესო სახელი, „ქორი“ ჰქვია, აქაური კარ-მიდამოს განუყოფელი ნაწილია. საინტერესო ტერმინია ქორი, – სვანეთში „ქორი“ სახლს ნიშნავს, თუშეთში კი „ქორ(ბელელა)“ სულაც რიტუალური ორიარუსიანი ცეკვაა. სოფლის სათიბები ასე თუ ისე ჰყოფნის აქაურებს პირუტყვის გამოსაკვებად. ზოგი ოჯახი კი კვლავ იყენებს მთის საძოვებს, – იაილებს, სადაც საქონელი ზაფხულობით აშყავთ და მთის სახლებიც აქვთ გამართული.

„ფესტივალი“

აჭარის მსგავსად, სწორედ მთის საძოვრებზე იმართებოდა ხოლმე ტრადიციული დღესასწაულები აგვისტოს შუა რიცხვებში, რომელსაც ზოგან შუამთობას ეძახდნენ, ზოგან კი – მარიობას.

თურქეთის ხელისუფლებამ სასოფლო დღეობებიც ერთგვარ ყალიბში მოაქცია და ოფიციალური, ე.წ. ფესტივალის სახე მისცა. სახელიც იმის მიხედვით დაარქვა, რითიც გამოირჩევა ესა თუ ის რეგიონი. მაჭახელში თავლის ფესტივალია, რიზეს მხარეში, – ჩაის ფესტივალი, ართვინსა და პარხალში – ბულების ჭედობის (შერკინების), ე.წ. სათავეს ფესტივალს კი გევრეგის სახელი მისცეს. „გევრეგი“ აქაური გემრიელი კვერებია, ხორბლის ფქვილისგან მომზადებული, ცხიმში მოშუშული.

სათავე მწვანემდელოებიანი ზეგანია ნაძვნარში ჩაკარგული სოფლების – დიობანის, სურევანის, უბეს წყალგამყოფ თხემზე. ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა აქ ამოდიან დევითეთიდან, ხევწვრილიდან, ზიოსიდან, ფარნუხიდან და სხვა სოფლებიდან. ბევრი საგანგებოდ მოდის ამ დღისთვის თავის ფუძემე სტამბოლიდან და ანკარიდან, ბურსადან და იმითიდან... ამოდიან ოჯახები ღამისთვის (კარვებით), ხვდებიან ერთმანეთს, იშლება სუფრები, არის თითქმის შეუსვენებლად სამობა (ცეკვა), „ხორომი“, – ხორუმის ნაირსახეობა, მღერიან ტრადიციულ სიმღერებს გარმონისა და „ტიკის“ (გუდასტიკის) თანხლებით. გამუდმებით დულს ჩაი... ცხადია, არის საპატიო სტუმრების ოფიციალური მისალმებები.

ჩვენც ამ ფესტივალის სასურველი სტუმრები აღმოვჩნდით. იყო გულთაღი გამასპინძლები აქვე მოდულებული ჩაით, ტკბილეულით, მამაპაპური ჭადითა და აქაური „ფშვნილიაი“ ყველით. რა თქმა უნდა, ტრადიციული გევრეგითაც.

„მრეში“ ფარის ფარდაბები

იმერხევის სოფლებში ჩვენი მასპინძელი ერდემ იაშარ ჩახმახიძეა, ჩვენი ექსპედიციის წევრისა და მენეჯერის, გიორგი ირემაძის მეგობარი. ერდემიც სტამბოლში ცხოვრობს. შესანიშნავად უკრავს ტრადიციულ ქართულ ჩონჯურზე, სალამურზე, გარმონზე... არის სტამბოლსა და საქართველოშიც ცნობილი ფოლკლორული ანსამბლის „კაფდალის“ („კავკასიის მთა“) წევრი, რომელსაც იბერიკა მელაშვილი ხელმძღვანელობს. თბილისშიც ყოფილა გასტროლებზე.

ერდემმა თავის ოჯახშიც მიგვიწვია, წყალსიმერში. გულთბილად გვიმასპინძლა დედამისმა, ქალბატონმა ჰევამ, წარმოშობით შოლტიხეველმა მიქელაძის ქალმა, რომელიც ამავე დროს იმ არემარეში ფარდაგების შესანიშნავი მქსოველი აღმოჩნდა. თანაც, თვითონ ართავს და ნართსაც თვითონვე დებავს. ცდილობს ბუნებრივი, მცენარეული საღებავები იხმაროს. ერთ-ერთი ფერით დავინტერესდით, რომლითაც, რო-



ძველი წიხისძირის ხალხური ეკლესიის პერანგებოძარცვული და მიტოვებული დაგვიხვდა



დიობანის თემის სოფლებს ემსახურება ეს თანამედროვე ოქული (სკოლა-კანსიონი), სადაც აქაური მოსახლეები კვირაში ხუთ დღეს ატარებენ



თანამედროვე სახლების აშენებისას ტრადიციულ იმარხულ "შეშის სახლის" ელემენტებს ჩაერთავენ ხოლმე



ტრადიციულ ქართულ ხალხურ დღესასწაულებს დ შუამთობას და მართობას აღმლოგრძვბ ხელისუფლებამ სახელი და ფორმა უხვალა და ფხტივლის სახე მისცა...

გორც გვიტხრა, „კავების“ ორნამენტი გამოჰყავს და „მრემ“ ფერს ეძახდა. დავინტერესდით, როგორ მიიღებოდა ეს ფერი. „ვერ ვისენებ, მაგრამ ენის წვერზე მიგორავსო“, თუმცა მალევე დასძინა, ქარაგობაა (ანუ ქვის ხავსი. – ავტ.), კლდეებზე იცისო. მისმა ნაქსოვმა ზოგმა ფარდაგმა სხვა სოფელში დაიდო ბინა, ზოგიც აქაურ პატარძლებს გაჰყვა მზითევში, სახლშიც საკმარისად დარჩა. კაკლის ფოთლები და ნაძვის კვარის ჩხირები ჰქონდა ჩატანებული დახვეულ ფარდაგებს, – „რომ არ დაჩიოსო“, ანუ ჩრჩილმა არ დააზიანოსო. ქსოვა დედამთილისგან უსწავლია, ისიც შოლტიხეველი ქალი ყოფილა, ბათინეთიდან. „პაწა ქალი იყო და პაწაწუნას ეძახდნენო“, თუმცა კი ფარდაგების ქსოვაში ვერავენ შეედრებოდაო. ერთზე წუხს ქალბატონი ჰევა, ამ საქმისადმი ახალგაზრდები ინტერესს აღარ იჩენენო.



ერდემ იაზარ ჩახანბიძე დედის მომსოვილ ფარდაგთან

ქართული კვალი ჩვენებურების „უბეში“

ექსპედიციისთვის საერთოდ და მით უფრო, ტაო-კლარჯეთში, ყოველი დღე სიახლის მომტანია. ოღონდ ამ სიახლეებს „აღმოჩენაც“ სჭირდება. ყოველი შეხვედრა ახალ სოფლებთან, მთხრობელებთან, ციხე-ტაძრებთან თუ ნანგრევებთან, თითქოს ძველ საქართველოში გვაბრუნებენ — ჩვენც, მეცნიერებსაც და აქაურთაც, რომელთაგან ბევრმა ახლად შეიტყო, რომ მათი მიწა-წყალი არცთუ შორეულ წარსულში საქართველოს ისტორიულ ნაწილს წარმოადგენდა; რომ ჩვენ „უცხო ხალხი“ კი არ ვართ, არამედ ერთი ძირი, ერთი ფესვი, ანუ როგორც იქაურად იტყვიან, ერთი ქოქი გვაქვს (აი, თურმე საიდან მოდის ძველქართული წყველა, შენი ქოქი კი ამოწყდესო!)...



პარანთას ნანგრევები

მანატბის „ქორეში“

წყალსიმერიდან ჩვენი იქაური მეგობრი იაშარ ერდემი ჩახმახიძე გავგიძღვა ისევ და კიდევ ერთ ხეობას ავუყვებით, – სოფელ მანატბისკენ გავემართეთ. აგარისწყლის, ანუ გრძელი ქედის ხევის ზედა წელში კლდეებ- და ტყეებზე- მოჯარული ფართო ტაფობი გადაიშალა, სავარგულებით, ახო-ხოდაბუნებით. მაღალ ქედს აქეთ მანატბა, ქედს იქით ხულოა, საქართველო. – მანატბის თავზე ერთი დიდი სერია, რკინის ჯვარი ჰქვია, იმის იქით კი „ქათი ჯვარი“. იქ ერთი პაწა ტბა არი, იმის ზემოთ, მაღლა ტბა არი. იმიტომაც დაარქვეს მანატბა, – დასძენს მანატბელი ჭარმაგი, 70 წლის ნური გუნეში, რომელიც ინტერესით გამოგვეცნაურა და აქაურობის ამბებს გვიყვება.

თითქოს დრო გაჩერებულია მანატბაში. იმდენი რამაა შემორჩენილი ჯერ კიდევ სოფელში, – სახვნელები და ურემ-არაბები, მარხილების ნაირსახეობანი: ხიბეკები, ძიგლიგები, გოგორებიანიც, – დაღმა რომ მარხილივით ჩადის, სრიალით და აღმართზე „გოგორებით“ ამოდის.

აქაური ქორების (სახძლების) ერთ ნაწილზე უძველესი წარმომავლობის ხის კლიტე-გასაღები, – „დათვა-ბოყვა“ შევნიშნეთ. გადავიღეთ და აღვწერეთ. ასეთი ტიპის საკეტი აჭარაშია აქა-იქ შემორჩენილი და კიდევ, ამ ექსპედიციის დროს მურლულის ხეობაში, გულბინში შეგვხვდა. თავის დროზე მშვენიერი სტატია უძღვნა აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ დათვა-ბოყვას, დაადასტურა კულტურის ამ ელემენტის უძველესი წარმომავლობა და მას ანალოგი შემერულ კულტურაში დაუძებნა.

ქორების, ანუ სახძლების წინ კალოები იყო. გაიშლებოდა ხვავრიელად მოწეული მარცვლეული, ჩაებმებოდა კევრზე ულევი ხარი და დაიწყებოდა ლეწვა, რომელშიც ახალგაზრდა გოგო-ბიჭები და ბავშვებიც მონაწილეობდნენ. მანატბელი მთხრობელი ისაფეტდინ არსლან ჯაჯანიძე მოგონებებით ბავშვობაში გადადის. იხსენებს, როგორ მხიარულობდნენ პატარები კევრებზე შეხტომა-ჩამოხტომით, კალოზე გორაობით. საქმეც კეთებოდა და ერთობოდნენ კიდევ. თუ „ცა გადებირუნა, და წვიმა უნდა წამევიდეს, კალოს ბჯას ქორის კარაპანში შევყრიდით, მერე ერთი თანე კიდევ რო გადაეშალათ“. ერთი ქორის წინ კატარიდან (ფოჭვიდან) გამოთლილი სამი კევრი აეყუდებინათ, რაც წარსულ დროში მანატბაში მარცვლეულის მოყვანის ფართო მასშტაბებზე მიუთითებდა.

ბერთასა და პარმეთას ნანგრევებთან

ამჯერად უძველესი კულტურული-საგანმანათლებლო ცენტრების – ბერთასა და პარმეთას

მონახულება გადავწყვიტეთ. მდინარე ბერთას-წყალი შავშეთის წყალს უერთდება ჭოროხთან ახლოს. მათი შეერთების ადგილიც, ისე როგორც ჭოროხის ქვედა დინება, უზარმაზარ ბულდოზურებს, სატვირთო მანქანებსა და მშენებლებს „დაუპყრიათ“. კიდევ ერთი ბარაჯი, ანუ წყალსაცავი და ჰესი შენდება ჭოროხზე.

ხეობის მთავარ სოფელს, ყოფილ ბერთას ამჟამად ორთაქოი, ანუ შუასოფელი ჰქვია. იგი თურქებთანაა დასახლებული. გულსაკლავი იყო ოდესღაც მჩქეფარე ცხოვრების მქონე ბერთას მონასტრის ნაშთების ხილვა. ერთი დიდი კედელია დარჩენილი. ტაძრის ძირში გზა გაუყვანიათ და თითქმის ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ოპიზაში, სადაც შარავით ტაძარი შუაზეა „გადაჭრილი“.

პარეხი, ანუ პარეხთა ხეობის სათავეებისკენაა. ნანახით გულდამძიმებული ავუყვებით მთაში გაჭრილ გზას, რომელიც აქაური, თურქული მოსახლეობის სამთო საძოვრებისკენ – იაილეებისკენ მიიკლავება. ჩვენი მძლოლი მურად ბეი ორთაქოის მეჭელეში დავტოვეთ და პარეხის სამონასტრო კომპლექსისკენ ბილიკ-ბილიკ გავემურეთ.

გზად საინტერესო სანახაობის მომსწრე გავხდით. ერთი მოხუცი ქალი სოფლიდან ღრმა ხევზე ჭოჭონაქის პრინციპით ტვირთის გადატანი ხალხური მოწყობილობით – მახარათი გადაჰყავდათ. მახარა აჭარაში და საერთოდ, მთიან დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ხევის ერთი ნაწილიდან მეორეში ტვირთის, მოსავლის, თივის გადატანის კარგ საშუალებას წარმოადგენდა. თურქეთში მახარას ტელეფერიკს ეძახიან და განსაკუთრებით მრავლად ზედა მაჭახლის ხეობაში შეგვხვდა. გარდა ხევზე გადასვლისა, მახარა მთის ძირიდან, ცენტრალური გზიდან, ფერდობიანი სავარგულებიდან ეზოსა და კარ-მიდამოში ტვირთის ასატანი საშუალებაცაა.

ბილიკ-ბილიკ...

პარეხი ძნელად მისასვლელ ადგილას, კლდის ფლატეზე აუგიათ. ჯერ ხევში ჩავედით. კლდეებსა და ლოდებს შორის გზას ბერთას-წყალი იკვლევს. ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ტრადიციული, პატარა ბუჭულა წისქვილი გაუმართავთ აქაურებს. კლდის ნაპრალებს შორის გაკვალულ ბილიკს მივუყვებით. ერთ ადგილას ბერთასწყალი დიდი სიმალიდან – 20-25 მეტრიდან გადმოსჩქვებს. წყლის ნაკადს კლდის ქიმი ორად ჰყოფს და ეს ნაკადები ორ ტოტად ეცემა დაბლა, კლდოვან კალაპოტს, სა-

ნოდარ შოშითაშვილი

დაც დროთა განმავლობაში ღრმული გაუკეთებია, იქიდან კი ჯერ შავშეთის წყლისკენ, შემდეგ კი „მოთვინიერებული“ ჭოროხისკენ მიედინება.

IX-X საუკუნეების პარების კომპლექსსაც მივადექით. პირველი ტაძარი, უფრო სწორად, ტაძრის ნანგრევი მეგალითური ნაგებობაა, უზარმაზარი ლოდებით ნაგები. ხეობის გაღმადან იგი მხოლოდ სალ კლდეზე აზიდული ციხესიმაგრის კედლად აღიქმება. როგორც ჩანს, ტაძარი ამ უძველეს საძირკველზე აუგიათ. მისგან სამხრეთის კედელიაა გადარჩენილი, ორი მაღალი და ვიწრო სარკმლით.

აქედან ორასიოდე მეტრზე ერთმანეთის გვერდით მდგარი სამი ეკლესიის ნაშთია, მხოლოდ კედლები. გადახურვა დიდი ხანია ჩაქცეულა და ტაძრის მთელ სივრცეში ბალახებს, ბუჩქნარსა და მცირე ზომის ხეებს „გაულაღებიათ“. ბალბა და დანდური, ჭინჭარი და ანწლი მოსდებია აქაურობას. შინდის, ასკილისა და მაცვლის ბუჩქებიც უხვადაა. ჩრდილოეთით მდებარე ტაძარში კედლებიცაა შემორჩენილი, ნიშებიც და პატარა მინაშენიც. ამ კომპლექსის დასავლეთით, კიდევ ერთი ძალიან მცირე ზომის ტაძარია, რომლის კედლებიც ჩვენმა კოლეგამ, ისტორიკოსმა და პალეოგრაფმა ლია ახალაძემ დიდხანს და საგულდაგულოდ დაათვალიერა და მიაგნო კიდევ – თურმე წარწერა ეგულეობდა, რომელიც პირველად მკვლევარ ბუბა კუდავას დაუფიქსირებია. სიხარული ჩვენც გავციზიარა. ბათქაშზე ნუსხა-ხუცურით არის დატანილი ექვსსტრიქონიანი წარწერა. მეშვიდე სტრიქონიც ჩანს, ოღონდ ნაწილობრივ, ჩამოცვენილი ბათქაშის გვერდით. ამ ფაქტმა ცოტა გული გამოგვიკეთა... დანანებითა და ოპტიმიზმით დავემშვიდობებთ დიდი ისტორიის მქონე მრავლის მნახველ პარებს.

მოლიძებთან

გემი სოფელ უბესკენ გვიძევს. გადავიარეთ სათავის მთის თხემი და სოფელში ჩავედით. ეს უკვე ხევწვრილის ხეობაა. უბე ხეობის ფერდზე, ბუნებრივ ტაფობზეა გაშენებული.

სწავლა, ანუ „კითხვა“ იმერხეველ ქართველებში დიდად დაფასებულია. ამ ფონზეც კი უბე გამორჩეულია. ბევრი აქაური „საქმობს“ თურქეთის დიდ ქალაქებში, ბევრმა წარმატებას მიაღწია ბიზნესში, ხელოვნების სხვადასხვა დარგში, „ჭუქუმეთშიც“ – ქვეყნის მართვამიც ჩაბმულან. სხვათა შორის, ახლო წარსულში, საქართველოში ერთ-ერთ დიდ კომპანიას ხელმძღვანელობდა თურქეთელი ქართველი ოსმან თურანი. სწორედ ამ სოფლიდანაა ეს ენერგიული და ბევრი კარგი საქმის დამფინანსებელი კაცი.

კორტოხიძე ყოფილა ქართული გვარით.

სოფლის შუკაში ცმაწვილი კაცი შემოგვხვდა. გავცანით. გაუხარდა ჩვენთან შეხვედრა. მორიდებით, მაგრამ გულით მიგვიპატიჟა ოჯახში, – ჩემს მამას გაესაუბრეთ, ბევრი იცის აქაურობაზეო. ასე აღმოვჩნდით აჰმედ ალთუნ მოლიძის ოჯახში. მამთარს სამსუნში ატარებენ მოლიძეები. ზაფხულში, სხვების მსგავსად, უბეს უბრუნდებიან. თბილად და ინტერესით მიგვიღეს. საუბარში მალე გავშინაურდით. აჰმედ ალთუნ, წინაპართა დამფასებელი კაცი, მამა-პაპის დანატოვარ ყოველ ნივთს მზრუნველად ინახავს, უვლის და ფაქტობრივად, სახლში ეთნოგრაფიული მუზეუმი აქვს მოწყობილი.

ინტერესით დავათვალიერეთ და აღვწერეთ მარხილები და ციგები, „ხვავი მაქინა“, სადურვლო ხელსაწყოები, თიხისა და ხის საყოფაცხოვრებო ნივთები, საქსოვი დაზგა... ბატონი აჰმედის ბებია შავშეთიდან ყოფილა გამოთხოვილი და ფარდაგების ქსოვის ცოდნა იქიდან მოუტანია. მორთული იყო კედლები მისი ნახელავით. მათში იკითხებოდა ორნამენტების შავშური სტილი და ფერთა გამა. ზოგიერთ მათგანზე ჯვრის ორნამენტიც იყო „დასმული“. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჩვენთვის, ეთნოლოგებისთვისაც კი უცნობმა, დაახლოებით ორმეტრიანმა ხის მილებმა, ბოლოებში გადაბმის კონსტრუქციით ერთმანეთს რომ უერთდებოდა. ამ ხის მილებით, ანუ „შემის ფოჭრეგებით“ წყალი ჰქონდათ გამოყვანილი აქაურებს მახლობელი ტყის წყაროდან.

როცა გავშინაურდით და შვილები, ისმაილი და აიშეგიული შევუქეთ, მადლობელი დაგვრჩა, მაგრამ ფიქრიანად დაუბატა, – ისმაილს გოგო შეუყვარდა ანკარაში, მაგრამ თურქია და ეგ არის ჩემი საფიქრალიო. ჩვენმა კოლეგამ, როლანდ თოფჩიშვილმა მორიდებით შეჰკადრა, სიყვარულმა ეროვნება არ იცისო, თუმცა პასუხი ცოტა მკაცრი იყო: აქაურობისა და ჩვენი ოჯახის წესი გურჯი გელინები (პატარძლები) არიანო...

ხანძმა

მოლიძეებში სტუმრობისას ნათესავ-მეზობლებმაც მოიყარეს თავი. როცა სახნავ-სავარგულების, ტყეებისა და მთების სახელებს ვიწერდით, ინტერესი გამოიწვია ხანძთის ხსენებამ, – აქ ის ადგილია, სადაც ნაქილისარი, ნაეკლესიარი არისო. ჩვენთვის ძვირფასი ხანძთის ადგილმდებარეობაზე დღესაც კამათია მეცნიერებაში. ამჟამად ხანძთის საგანედი ე.წ. ფორთას მშვენიერი მონასტერია მიჩნეული. ზოგი ხანძთად იქვე ახლო მდებარე მდინარე კარჩხალის



საბძელი, რომელსაც იმერხევში "ქორი" ჰქვია



კლიტე-გასაღებს "დათვა-გოყვას" აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ ანალოგი ზუმერულ კულტურაში დაუძიებნა



ერთი ქორის (საბძლის) წინ კბარისგან (ფიჭვისგან) გამოთლილი სამი კვერტი აეყდებინათ

ნოდარ შოშითაშვილი

ნაპირას, კლდეზე ლამაზად აღმართულ და ძნელად მისადგომ ნუკას საყდარს მიიჩნევს. ჩვენი ექსპედიციის წევრი, პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი რიგი არგუმენტების მოშველიებით ფიქრობს, რომ გრივოლ ხანძათელის დაფუძნებული სავანე სწორედ დიობან-ხევწვრილის გასაყარზე, აქაურ ხანძათში უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის ტოპონიმი ხანძათა მხოლოდ აქ არის შემორჩენილი...

სტუმართმოყვარე უბესთან დამშვიდობების წინ კიდევ დაუწყევით სოფლის შუკებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო თავისი ეზო-კარის წინ ჩამომჯდარ მცოვან, ქართული სიდარბაისლით მოსილ ქალბატონთან შეხვედრა. როცა ჩვენი ვინაობა შეიტყო, სიკეთე გვისურვა, ხოლო გამორჩეულად მსურვალე ლოცვა ჩვენი ექსპედიციის წევრს, რომელთა გუჯუჯანს გამოაყოლა და გაბედნიერება უსურვა. მეტს არაფერს ვიტყვი, დავძენ, რომ იმ შემდგომით მეგობრებმა სწორედ რომელთა გაბედნიერებით გავიხარეთ...

უბედან ლამაზად ჩანდა ხეობის გაღმა მთის ბეგანზე განფენილი ზიოსი. ამ სოფელსაც ვესტუმრეთ. აქაურებთან გასაუბრების შემდეგ, ზიოსის ყველაზე მაღალ ადგილზე აგვიყვანეს, საიდანაც თითქოს ხელისგულზე მოჩანდა მთელი იმერხევი, შავშეთის წყლის ხეობა, ხოლო აღმოსავლეთის ჰორიზონტზე დარაჯად იდგა ჭოროხისა და მტკვრის წყალგამყოფი არსიანის ქედი. ხვავბარაქიანი ყოფილა ზიოსი. ამის უტყვი მოწმე იყო ერთ ოჯახში შემონახული, უკვე ფუნქციადაკარგული სამი კვერი!

ხევწვრილში

სოფელ ხევწვრილში დავბინავდით. მასპინძლად ჩვენი ძველი ნაცნობი, სტამბოლში ქართული საქმის ერთ-ერთი გულშემმატიკარი გალიბ აიდინი ქარცივაძე გვყავდა. შვებულება აუღია გალიბს და როგორც ყოველ ზაფხულს, ახლაც, მშობლიურ ხევწვრილს მოაკითხა ოჯახთან ერთად. სოფლის შესასვლელში სასიამოვნოდ მოხვდა თვალს ქართულ ენაზე (თურქულთან ერთად) გაკეთებული სოფლის მანიშნებელი. ქალ-ვაჟი ჰყავს მასპინძელს, სკოლის მოსწავლეები ბექა და ეზგი, რომელნიც ისტორიული სამშობლოს სიყვარულს აზიარა და ქართულ წერა-კითხვასაც მშვენივრად ახერხებენ. ბექა ცდილობდა, არ მოგვშორებოდა და რამდენიმე საექსპედიციო გასვლაშიც გვახლდა თან.

გალიბი ქართველებთან პირველ შეხვედრასა და იმ დღეს იხსენებს, როდესაც პირველად გაიგო სიტყვა ქართველი: „1980-იანი წლებია, სამღვრები ახალი გახსნილია. ლაზეთში, ქალაქ

ვიწეში ვიყავი. ვიწესთან გზაზე ფლატის ჩამოშლის გამო მოძრაობა შეფერხებულიყო. ავტობუსთან მგზავრებს მოეყარათ თავი და ჩვენი ენაზე ლაპარაკობდნენ. გამოველაპარაკე. უი, ძმაო, ქართველი ხარო? რა თქმაია ქართველი-მეთქი... გურჯი ხარო? კი-მეთქი, ამაყად ვუთხარი... ასეთი მწირი ცოდნა ჰქონდათ ტაოკლარჯეთელ ქართველებს ისტორიული სამშობლოს შესახებ.

ხევწვრილის ხეობაში ექვსი ქართული სოფელია: ხევწვრილი, ზიოსი, უბე, დაბა, ზაქიეთი და ბაძგირეთი თავ-თავიანთი პატარა უბან-სოფლებით. ქართული სული ტრიალებს ამ სოფლებში. ხევწვრილში პატივისცემით იხსენებენ სოფლის მუხტარს (გამგებელს) სურეია ილმამ ფანჯიკიძეს, რომელმაც ამ სულის გასაცოცხლებლად ბევრი რამ გააკეთა. თავის დროზე ჩვენი ექსპედიციის მენეჯერისთვის, გიორგი ირემადისთვის უთქვამს, თბილისში რომ იქნები, ერთხელ რუს-თაველებზე ჩემ მაგივრადაც გაიარეო... ახლა მისი ვაჟი ალი – ალიკო ილმამ ფანჯიკიძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტდამთავრებული, ცნობილი ექიმი, რიგს საავადმყოფოში მუშაობს და თბილისელების სიძვე გახლავთ.

ძირისძირობამდე შევისწავლეთ ხევწვრილის უბნები: ბელტიეთი, ჯიშუხები, მიხელყმეთი, მეგრელიეთი, გოჩიეთი, აბრამიეთი, რევაზიეთი, თუთიეთი, ფუქშები... გამრჯე ხალხი ცხოვრობს ხევწვრილში, 80 წლის სულეიძან ყილიჩ ქარცახიძე გვიყვება: „ჩვენი დედეები (პაპები) აქ რომ მოიღვედნენ საქმეს, გოლას (კოლა), არდახანს (არტაანი) და ყარსს მიდიოდნენ სათიბად და სამკელად, მანგალზე (ნამგალი) და თილფანზე (ცელი) მუშაობდნენ. აქედან 5-10 კაცი წავიდოდა, თან წაიღებდნენ უხილო ქვეყანაში ვაშლს, მსხალს, ქლიავს, ბაღს ცხენზე აკიდებული გოდრებით, არაბათი (ურემი), იქიდან ქერსა და რთველს, ანუ ხვარბალს წამიღებდნენ. ფარასაც მიიტანდნენ. გოლას ჩვენებურ არ ლაპარაკობენ, თურქქასაც გარეულს ლაპარაკობენ, ქურთები ცხოვრობენ. ბათომსაც დადიოდნენ, მთებზე გადავიდოდნენ, – აკვანას გადივიდნენ, მაჭახელში, მინდიეთში ჩავიდოდნენ და იქიდან ბათომს. ჩემი ბაბუა ბათომ ვატრობდა, საქონელი გადაყავდა – ზროხა, თხა. იქიდან მარილი, შექერ გადმოიტანდა. ახლა, გვინდა ეს გზა გაკეთდეს, მოკლე იქნება გასავლელი და უფრო ახლო ვიქნებით“.

ბაძგირეთი

ხევწვრილის ხეობას კლდეებში ჩამჯდარი ბაძგირეთი, ანუ როგორც აქაურები ეძახიან, ბაზ-



პარესთან სამონასტრო კომპლექსის ნაშთები ბერთას ხევის მარხმენა ნაპირის ციხეებო კლდეში. ავტორის ფოტოები



ორწვერა ჩანჩქერი ისტორიულ ბერთასწყალზე პარესთან სამონასტრო კომპლექსის მახლობლად



ქველი ხის მიღებით თყიდან წყაროს წყალი გამოჰყავდათ. ფოტოზე და აჰჰმოდ ალთუნ მოლიძე და ვთნოლოგი როლანდ თოფჩიშვილი



მოლიძეების ოჯახის "საბანძურის" ერთი ნაწილი: თუნბ-მუბუზები, დერგები (საღვებო), საჩეჩელები, სინი, აჰჰანი...



სოფელ უბეში, მოლიძეების ოჯახში მომსოვილი, გავჰურ-იმერხეული თივის ფარდაგი, სთლიზებული ჰვრები



მეხნიერთა ურავლეობა მიიჩნევა, რომ ოფიციალური ფორტის ტაძარია სწორად ხანძის დიდი საჰანი

გირეთი „კეტავს“. ბაძგირეთი ნამდვილი მთის სოფელია, – ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი სახლებით, ქორ-საბძლებით, ახორ-ბოსლებით. ერთგვარად უწყსარივოდ მოწყობილი ეზოებითაც კი. სამაგიეროდ, აქ ბევრია ძველი, ტრადიციული საცხოვრებელი, ყოფაში შემორჩენილი ურემ-მარხილებით, სამეურნეო და საოჯახო იარაღ-ხელსაწყოებით, ტრადიციებით, მათი თანმხლები ცეკვა-სიმღერებით, საბავშვო გართობა-თამაშებით... ერთ ასეთ თამაშს ბილას ეძახიან. ბილა ძველ ქართულურ ბერა-ბერას მოგვაგონებს. ამ ყოველივეს შენარჩუნებას, ზოგჯერ აღდგენასაც ხელს უწყობენ ამ სოფლიდან გამოსულნი, ამჟამად დიდ ქალაქებში მცხოვრები ბაძგირეთელები. თუნდაც იმედა ზუმბაძე, რომელიც ცოლ-შვილით თბილისში ცხოვრობს და უფრო კი მისი ძმა, სტამბოლში დაფუძნებული იმერი ზუბოლღუ ზუმბაძე, რომელიც ბევრი ქართული საქმის მონაწილეა.

ბაძგირეთში დღემდე შემორჩენილი ტრადიციული მარიობა – აგვისტოს შუა რიცხვებში, თანმხლები რიტუალებით, ცეკვა-სამობა-ხორომით. აქაური გოგონები და ქალები ამ დღისთვის ტრადიციულ სამოსით იწონებენ თავს. დღეს მათ სამოსში მკვეთრად ნათელი და „მხიარული“ ფერები ჭარბობს.

მარიობაზე ბაძგირეთში წლების წინაც მოვხვდი. ჩემმა გადაღებულმა ერთმა ფოტომ მიიპყრო სოციალურ ქსელში განსაკუთრებული ყურადღება და უამრავი „ლიმილი“ დაიმსახურა – სამი უმშვენიერესი ქართველი გოგონა აქაური ტრადიციული სამოსით. წლების შემდეგ მოვიკითხე ის გოგონები. გათხოვილან და შვილებიც ჰყავთო... ბედნიერი მომავალი ამ გოგონებს, ბედნიერი მომავალი ბაძგირეთს, შავშეთ-იმერხევსა და მთელ თურქეთელ ქართველებს.

პარეხთას მონასტრის წარწერები (ერთი გვერდი დაეთმოს და ფონზე განთავსდეს წარწერების ფოტოებთან ერთად)

პარეხთას წარწერა პირველად 1995 წელს შეამჩნია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ დავით ხოშტარის ხელმძღვანელობით. თუმცა მაშინ წარწერის ფიქსაცია და ფოტოგრაფირება ვერ მოხერხდა. 2007 წლის სამეცნიერო ექსპედიციის დროს გიორგი კალანდიამ პარეხთას სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოაჩინა აქამდე უცნობი ნუსხური წარწერა, რომელშიც ბაგრატ კურაპა-

ლატი მოიხსენიება. ახალგაზრდა მეცნიერმა ამ საყურადღებო წარწერას საგანგებო ადგილი დაუთმო თავის კვლევებსა და გადააცმა „ჩვენებურების“ ტელეანგარიშში. 2010 წელს წარწერა შეისწავლა და ორჯერ გადაუღო ფოტოები ბუბა კუდავამ და მას სპეციალური კვლევაც მიუძღვნა.

2012 წელს პარეხთას მონასტერი შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა ლია ახალაძემ (ისტორიკოსი, პალეოგრაფი) და ბეჟან ხორავამ (ისტორიკოსი). მათ მოახდინეს წარწერის ფოტოფიქსაცია, აზომვა, არქეოგრაფიული აღწერილობა და წაკითხვა.

პარეხთას მონასტერზე ამჟამად ორი წარწერა იკითხება: შვიდ- და ერთსტრიქონიანი. ორივე ძლიერ დაზიანებულია და შემორჩენილია ფრაგმენტების სახით.

შვიდსტრიქონიანი, ულამაზესი ნუსხური ანბანით შესრულებული ფრესკული წარწერა მოთავსებულია პარეხთას მონასტრის სამხრეთ ნაწილში მდებარე სამლოცველოს აფსიდში, შუა მონაკვეთზე. წარწერა შესრულებულია შავი მელნით, კედელზე, რომელზეც ოდესღაც ფრესკული გამოსახულება ყოფილა, თუმცა მისი კვალი დღეს სუსტად ჩანს. ნუსხურ წარწერაში შეიმჩნევა ასომთავრული ასოებიც. განკვეთილობის ნიშანი ორწერტილი, ქარავმის ნიშანი – კლაკნული განივი ხაზი წერტილებით. ზოგჯერ გამოყენებულია ლიგატურა.

პირველი წარწერის პირველივე სტრიქონში მოხსენიებულია მეფე ბაგრატ კურაპალატი „[უ(-ფალო)ო ი(ეს)უ ქ(რისტ)ე], ად(ი)დ(ე)ნ ლ(მერთმა)ნ ბაგრატ კურაპ[ალატი].../...../.....“. წარწერა, როგორც ჩანს, სამშენებლო ხასიათისა იყო, მაგრამ ქვედა სტრიქონებში სავდრებელი სიტყვები შეიმჩნევა. სავარაუდოდ, ბაგრატთან ერთად კიდევ რამდენიმე პირი იყო მოხსენიებული, მათ შორის, საერო და სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომლებსაც დიდი დამსახურება ჰქონდათ ამ მონასტრის წინაშე. ბუბა კუდავას ვარაუდით, წარწერაში მოხსენიებული ბაგრატ კურაპალატი შეიძლება ყოფილიყო ბაგრატ I, ბაგრატ III ან ბაგრატ IV, შესაბამისად, წარწერები IX ან XI საუკუნით გამოდიოდა დათარიღებული. წარწერის პალეოგრაფიული მახასიათებლებისა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის გათვალისწინებით, მეცნიერებმა ლია ახალაძემ და ბეჟან ხორავამ ორივე წარწერა IX საუკუნით დაათარიღეს.





გაღწეობრავი ლია ახალაძე
წარწერებს ათვისლიერებს



მარცხნიდან: მარეთას კლდის ძირში გეოგრაფი როგან მაისურაძე,
ეთელოგი შირიან ხოსითაშვილი, ჩვენი მასკინძემლი და გეგზური გალიკ
აიდიეი მარცხივამე და ისტორიკოსი გეშან ხორაშა



ჩვენეზური ვაბარა მართველიგი



მესკედიხისი საგზაო დღე



ხევიდან ხევიე ტვირთის გადსახიდავ ხალხურ
"მასარას" იმერხეგ-მეჭახელში ტელეფერეიკი ვევიე



წლეგის წინ, მართობაზე გაძვირეთი გადაღებულა
უმ საში უგვენიერეი მართველი გეგონას ფოთლომ
სოხილურ მხელში უმარაში "ღიმილი" დაიშახურა...

მენავეობა ჭოროხზე ძველად და ახალი წელი ტაო-კლარჯეთში

„ჩვენში ორი საქართველოა – ერთი
ფიზიკური და მეორე, რომელიც ჩვენ
გულში ცოცხლობს...“



ნიგალის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას ერთთაღიანი
ხიდები წარმოადგენს

იმერხევიდან ნიგალამდე

ტაო-კლარჯეთის კომპლექსურმა ექსპედიციამ შავშეთ-იმერხევიდან ჭოროხის ქვემო წელში გადაინაცვლა. შეიცვალა კლიმატიც. ჰავა უფრო სუბტროპიკულია, ჩნდება ახალი სამეურნეო კულტურები. ადმინისტრაციულად ეს მხარე ართვინის ილი, ანუ ოლქია, მურღულის, ბორჩხასა და ართვინის ილჩეები, ანუ რაიონები. ისტორიულ-ეთნოგრაფიულად კი იგი ნიგალის მხარეს მიკუთვნება. ამ მხარის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ყველაზე ძველი წყაროს მიხედვით იგი ნიგალად/ნიგლად არის მოხსენიებული. ამ სახელითვე მოიხსენიება იგი „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, რომელიც ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლასა და ქრისტეს რწმენის გავრცელებას აღწერს. ასევეა სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში. ოსმალურ წყაროებში იგი დივანა ან ლივანაა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით კი ლივანია. ლივანად მოიხსენიებენ ამ მშვენიერ კუთხეს XIX საუკუნის მოღვაწენი და პუბლიცისტები, მათ შორის იაკობ გოგებაშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, „არს ესე ლივანის ხეობა თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურიჯით, ლიმონით, ზეთისხილით“. აქაურ თიხაკირქვიან ნივთებზე კარგად ხარობდა ზეთისხილი, რომელიც ტრადიციულ, ქვის ტერასებზე იყო გაშენებული. აქაური ზეთისხილი და ზეთუნის ზეთი ახალციხესა და თბილისში გაჰქონდათ, ხოლო ფრანგების მიერ გამოწურული ზეთი, ბათუმის პორტიდან – საზღვარგარეთ.

ნიგალში მალალ დონეზე იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეფუტკრეობა, ხელოსნობის დარგებიც. შემოსავლიანი ყოფილა თამბაქოს პლანტაციები, რომლის მოყვანისთვისაც, ზღვისპირეთიდან ამ საქმის საუკეთესო მცოდნენი, ლაზები გადმოდიოდნენ და ბევრი მათგანი სახლდებოდა კიდევაც აქ. გასული საუკუნის შუა ხანებიდან ამ კულტურის მოყვანა შეწყვიტეს, რადგანაც სახელმწიფომ აიღო მასზე მონოპოლია და მისი დათვისვისთვის ჯარიმაც (იასალი) დაადგინეს. მეორე მხრივ, აქაურთა მტკიცებით, თამბაქო აღარც იმ რაოდენობისა და ხარისხის მოდიოდა, რადგან მურღულის სპილენძის ქარხნებმა საგრძნობლად შეცვალა გარემო პირობები.

მარცვლეულიდან ნიგალში ღომის კულტურა მოჰყავდათ, ამიტომ კევრის ნაცვლად მურღულბორჩხის რაიონებში ინტენსიურად იყენებდნენ ღომისა და ბრინჯის საცხები ქვის ჩამურს ანუ საძიგველს. XX საუკუნის II ნახევრიდან ღომის მოყ-

ვანაც შეწყდა, თუმცა საძიგველები აქაურ ოჯახებში მაინც შემორჩა.

ქართული მეტყველება, ქართული სული აქ უმეტესად ჭოროხის ქვემო დინების მარცხენა და მარჯვენა სანაპიროების სოფლებშია შენარჩუნებული. ამ კუთხეში შედის ბორჩხის, მურღულისა და თვით ართვინის რაიონები. 1921 წლიდან ნიგალი ორადაა „გაწყვეტილი“. მისი მხოლოდ მცირე ნაწილია საქართველოს საზღვრებში დატოვებული: ქვედა მარადიდის, კირნათის, მირვეთის, მაჭახლისპირის თემები. უმეტესი ნაწილი კი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაშია.

თურქეთის მხარეს, ნიგალის სოფლების ერთი ნაწილი ართვინის მიმდებარედ არის, – ხატილა, ქართლა, თხილაძე, დამალა, დამფალა, ტრაპენიდმურღულის ხეობის აქეთ-იქით, – არხვა, ბუჯური, ოშმალი, კორიდეთი, დურჩა, დამარი, ერეგუნი, ქურა, გურბინი, კაბარჯეთი... ართვინს გაღმა – ებრიკა, პეტრული, სინკოთი... დევსქელის ხეობაში, – დევსქელი, ბაგინი... ზემო და ქვემო ქლასქური... ჩხალას ხეობა... ბელღევანი და ოხორდია... ბორჩხის ქვემოთ – კატაფხია, მედუბანი, ხება, ზემო მარადიდი... აი, აქ კი უკვე სახელმწიფო საზღვარი გადის.

ჭოროხელი მენაჰემი და ნაგმშენამლები

ართვინის მხარის კვლევის დროს ერთმა საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილმა ფაქტმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მურღულის ერთ-ერთ სოფელში, ტრაპენში, ჩვენი მასპინძელი ისმაილ ბოლქვაძე სიამაყით აქებდა აქაურობის ხვაჯიან-ბარაქიანობას. პურის, ხილის, განსაკუთრებით კი ყურძნის დიდი მოსავალი მოდიოდა ქველადო. დაგვისახელა ჩხავერი და ლივანური, შავშური და ხარისთვალა...

ისმაილ ბოლქვაძე: „ჯინემი მოდიოდა ჩვენში, ჰემ თეთრიც და ჰემ შავიც, შარაფის (ღვინის) ყურძენია. ბათუმ მიჰქონდათ. ჩემი ბაბა (მამა) იტყოდა, ნავით ჩავდიოდით ბათუმსო. აქედან 6-7 საათში ჩავდიოდით, იქიდან ძნელი იყო, 3-4 კაცი ხელით ეწიკებოდა (ზიდავდა) ნავსო“.

ეს იყო სამდინარო ნაოსნობა ჭოროხზე. სამდინარო ნაოსნობას დასავლეთ საქართველოში, წყალუხვი მდინარეებით მდიდარ მხარეში, დიდი ტრადიცია ჰქონდა. მდინარე ჭოროხის ქვედა დინება სატრანსპორტო კომუნიკაციის როლს ასრულებდა ართვინიდან ბათუმამდე. ეს იყო უმოკლესი და ხელსაყრელი დამაკავშირებელი გზა ტაო-კლარჯეთისა შავი ზღვის სანაპიროსთან, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო გაჭრილი გზა ჭოროხიდან და ბორჩხადან ჩხალის ხეობით ხოფამდე.

ჭოროხის თავისებურებათა გათვალისწინე-

ნოდარ შოშითაშვილი

ბით, აქაურმა ნავმშენებლებმა ნავის ჭოროხული ტიპი შეიმუშავეს, – გრძელი და ბრტყელირიანი, რომელსაც წინა და უკანა კიბოები აწეულ-წამახვილებული ჰქონდა.

ხეობაში ნავმშენებლობის სამი ცენტრი არსებობდა: ბორჩხა, ხება და მარადიდი. ხალხის მახსოვრობაში შემორჩენილია გადმოცემები საუკეთესო ოსტატების – ჩერქეზიშვილების, დიდმანიძეების, ლომიძეებისა და კარალიძეების შესახებ. საუკეთესო მენავეებად კი კინათელი და ქვედა მარადიდელი ცინცაძეები და ჯიხიძეები მიიჩნეოდნენ. ჭოროხულ ბრტყელირიან ნავებშიც იყო განსხვავება სიდიდისა და ტვირთის ტევადობის მიხედვით (2-დან 6-7 საუნამდე).

სამდინარო ნაოსნობა სპეციფიკურია. წყალუხვობის პერიოდში, ართვინიდან ბათუმამდე ნავი 5-7 საათში ჩადიოდა, წყალმარჩხობის დროს კი 10 საათი მაინც სჭირდებოდა. აღმა, დინების საპირისპიროდ კი, საუკეთესო შემთხვევაში, 2-3 დღეში ადიოდნენ, ხოლო ზამთრის წყალმარჩხობის დროს ეს გზა 6-7 დღემდე იწელებოდა. ნიგალის ხეობის სანაოსნო გზაზე ოთხი გასაჩერებელი ნავმისადგომი ყოფილა: ართვინი, ბორჩხა, ხება და მარადიდი. ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მონაცემებით, XIX საუკუნის ბოლოსთვის ჭოროხზე ორასი ნავი დაცურავდა, რომელსაც სამასზე მეტი მენავე ემსახურებოდა. ამ გზით ჩაჰქონდათ ტაო-კლარჯეთის სოფლებიდან გასაყიდად ბათუმში სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ხელოსნობის ნაწარმი. XX საუკუნის დასაწყისიდან, როცა კეთილმოწყობილი გზები ამოქმედდა, ჭოროხის სანაოსნო მნიშვნელობა შემცირდა, ხოლო ართვინიდან ქვედა მარადიდამდე საბოლოოდ შეწყდა 1921 წელს, როცა ჭოროხის ხეობის უმთავრესი ნაწილი თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოექცა.

ბორჩხის ძველ ხიდთან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნაპირზე გარიყულმა პატარა, თანამედროვე ნავმა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ნაოსნობის აქაურ ტრადიციებთან.

მარამწინდის ტაძარი კვირულში

ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან ნიგალში უმეტესად საფორტიფიკაციო ნაგებობანი და თალიანი, ერთმალისანი ხიდებია შემორჩენილი. შთამბეჭდავია ართვინის, ქვაბჭირეთის, სინკოთის ციხეები. ნაეკლესიარებიც საკმაოაა. რაც შეეხება ჩვენამდე მოღწეულ ტაძარს, იგი ებრიკას თემში, პეტრულში მდებარე გუმბათიანი ეკლესიაა. მოსახლეობა ამ ტაძარს და იქვე არსებულ შვიდკომლიან დასახლებას მარამწინდას (მარიამ წმინდას) უწოდებს. სხვანაირადაა

კვალიფიცირებული მისი სახელი სამეცნიერო ლიტერატურაში და იგი მამაწმინდის სახელითაა ცნობილი.

ხელოვნებათმცოდნეები ტაძარს დაახლოებით XVI საუკუნით ათარილებენ და მიიჩნევენ ე.წ. კუპელჰალეს ტიპის ნაგებობად, როდესაც გუმბათის საყრდენად კედლის შვერილებია გამოყენებული და არა ბურჯები. ასეთი ტიპის ნაგებობათა რიგს მიეკუთვნება ჯვარის მამა თბილისში, ლოუნის ორმოცნი ქვემო ქართლში, ბოდორნის ღვთისმშობელი არაგვის ხეობაში, კულბათის ღვთისმშობელი და ხელთუნის სამება შიდა ქართლში...

ხელოვნებათმცოდნე ფაშრიე ბაირამის მოსაზრებით, ეს ტაძარი ბაბიძეებს აუგიათ. ბაბიძეები (ბაბლიძეები) ამჟამად საქართველოში ზემო იმერეთსა და ქართლში ცხოვრობენ, ხოლო მათი წინაპრები მესხეთიდან, მურჯიკნიდან გადმოსულან და ორ გვარად, – ბაბლიძეებად და მურჯიკნელებად გაყოფილან.

სწორედ ამ ტაძრის მოსანახულებლად გავეშურეთ ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ებრიკის თემში. ებრიკა რამდენიმე სოფლისგან შედგება, – თვით ებრიკა, კორიდეთი და პეტრული. პეტრულის სანახებში მდებარეობს მარამწმინდა. პეტრულის განაპირას გავჩერდით, სადაც ახალი სახლის საძირკვლის ანუ თემლის გაჭრას შევესწარით. გამრავლებულა შინდაძეების ოჯახი. ერთი განაყარი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, ქალაქ იზმიტში, დიდ ქართულ დასახლებაში გადასულა, ფინანსურად მოძლიერებულა და ახლა მშობლიურ სოფელში სახლის მშენებლობაც განუზრახავთ. ბიძაშვილ-მეზობლებიც ეხმარებიან ამ კარგ საქმეში, – ტრადიციული ნადისთვის დაუძახიათ. დარბაისელი ქართველი, ფარაჰედდინ ოზდემირ შვინდაძე მეთაურობდა ამ კარგ საქმეს. გავსაუბრეთ სახლის მშენებლებს, ტაძრისკენ სავალი გზაც მიგვასწავლეს. ჩვენი მხრივ კი ბედნიერი საძირკვლის დაბეჭდა უსურვეთ.

პეტრულის ქედის გადაღმა მარამწმინდა, დევსქელის ხეობას გადაჰყურებს. ისედაც მომცრო ტაძარი თხილის ბაღებშია ჩაკარგული. მხოლოდ მაღალი გუმბათი მიგვანიშნებს შორიდან მის არსებობას. ტაძრის კედლები უხვად გამრავლებულ მცენარეებს „დაუპყრიათ“ და მისი მთლიანი აღქმა გაძნელებულია. ხეებიც კი ამოსულა ტაძარზე. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ტაძარი შიგნით, როგორც ბევრ შემთხვევაში, აქაც გადათხრილია, ადგილობრივ „განძის მაძიებლებს“ საფუძვლიანად „უმუშავიათ“. ტაძრის პერანგი თითქმის მთლიანად მორღვეულია. გუმბათზეაა შენარჩუნებული პორტიკის ქვა, დანალექი ქანებიდან გამოთლილი თხელი კვადრები.



ნიგალში კვერის ნახვლად ღოგის ხაჭვიხვს დ ჩაგურს, ანუ საძიებელს უფრო იყვინებდნენ



ჭოროხის აუზის სოფლებში მრავლადაა შემორჩენილი მანგაპაპური საფუძრავები (საქები), რომელსაც აქაურები ყოველწი იძებნიან



ნიგალში, წინაპართა მხარვსად, მფუძრავობასს მისდევენ



ადგილობრივების აგებული ნაწი მდინარე ჭოროხზე. XX საუკუნის დასაწყისი



ნიგალში, აქაურთა კარ-მდინარეში, აუცილებლად დგას სახიშინო დ ნალია

ნოდარ შოშითაშვილი

მათ აქა-იქ ნიჟარების კვალიც ეტყობა. მშენებლობაში აგრეთვე გამოუყენებიათ ადგილობრივი, ვულკანური ქვის ფილები და რიყის ქვაც, რომელიც მკვიდრად ჩაკირულა ქვითკირში. ტაძარი შიგნიდან ფრესკებით ყოფილა მორთული. ამჟამად შემორჩენილია ძირითადად ჩრდილოეთის მხარეს: იოანე ნათლისმცემელი წინასწარმეტყველების წიგნით ხელში, მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი, – საკურთხევლთან, ბიბლიური სიუჟეტები და წმინდა თევდორეს გამოსახულება დაქარაგმებული ასომთავრული წარწერით „წ-თ“. დანარჩენ კედლებზე, ფრესკების კვალიც აღარ არის... მეტიც, მიწიდან წამოვკრიფეთ ჩამოცვენილი ფრესკის მცირეოდენი ფრაგმენტები და სარკმლის ღიობში დავალაგეთ...

რაც კი შესაძლებელი იყო, სურო და გვიმრა (იქაურად – კილამურა), მოვამორეთ ტაძრის გუმბათს, ხოლო სამხრეთის აფსიდაზე ამოსულ ლეღვის ხესა და ზღმარტლის (წკიპუნტელას) ბუჩქს ვერაფერი მოვუხერხეთ... სამაგიეროდ, უკან მობრუნებული პეტრულელმა ფარაჰედინ შვინდაძემ და მისმა მეზობლებმა დავაიმედეს, ჩვენ მივხედავთ...

სტუმრად მურად ათასერთთან

ქალაქ ბორჩხადან საქართველოს საზღვრამდე 10-15 კილომეტრია. აქ რამდენიმე ისტორიული ტრადიციების მქონე სოფელია: ზედუ-



მარგანიშინის ტაძრის ხეები და ბუჩქნარი უბევნე

ბანი, ხება, ზემო მარადიდი... ამ სოფლებში მეგზურად ზედუბნელი მურად ათასერთი ცეცხლაძე გვეგულებოდა. მურადმა დაგვათვალთვინა საზღვრისპირა სოფლები და შემდგომ თავისთან მიგვიწვია, სადაც შეუღლესთან, ბულგარულ მუჰაჯირთა შთამომავალთან, ნილეიუნ ხანუმთან ერთად გულთბილად გვიმასპინძლა.

მურადი პროფესიით ფიზიკოსია, მრავალი თაობის აღმზრდელი. ზედუბანში, მამაპაპისეულ სახლში ზაფხულობით ჩამოდის, ბურსაში ცხოვრობს, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, ორმილიონიან ქალაქში, სადაც ქართველ მუჰაჯირთა ათასობით შთამომავალია დაფუძნებული. შესანიშნავი მექართულეა, ლექსებსაც უძღვნის თავის ისტორიულ სამშობლოს. ეს ლექსები ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა კიდევ წლების წინ.

მურად ათასერთი ცეცხლაძე: „თავიდან, საქართველოთი დაინტერესება იბერია მეღაშვილის გაცნობიდან დავიწყე, გასული საუკუნის 80-იან წლებში. მამამისი, დიდი პატრიოტი ქართველი, აჰმედ ომქან მეღაშვილი ნ წლის გარდაცვლილი იყო. მე არ ვიცნობდი, მაგრამ მისი საქმე ვიცოდი. ქართული წიგნებიც მაშინ ვნახე. ვიფიქრე, სად ეს წიგნები დაბეჭდილა, ჩემი სისხლი და ჭკუა იქ არის და ქართული საზოგადოება გავაკეთოთ ბურსაში, ქართველობა შევინარჩუნოთ, რაც კულტურიდან შემოვგრჩა, ვაცოცხლოთ. მომღერლები და მოცეკვავეები შევკრიბეთ, და იბერიამ ამ ჯგუფს „კაფდალი“, – კავკასიის მთა დაარქვა. ჩემ სოფელში კი დავიწყე ადგილების, სახელების ჩაწერა, – ყანიების, ლეღეების, მთების... ჩვენ სხვა ჯიშის ხალხი ვართ- მეთქი, გადავწყვიტე... ჩვენში ორი საქართველოა, – ერთი ფიზიკური საქართველო და მეორე, რომელიც ჩვენ გულში ცოცხლობს“.

დავათვალთვინებ ბატონი მურადის ბიბლიოთეკაც, სადაც თურქულთან ერთად, მრავალი ქართული წიგნიც იდო. გვაჩვენა სათუთად შენახული ძველი გაზეთებიც, რომლებშიც მშობლიური სოფლისა და ისტორიული სამშობლოსადმი მიძღვნილი მისი ლექსები დაუბეჭდავს. „მე სხვა სამშობლო არ მინატრია, / სხვა საქართველო მე არ მჭირდება“, – წერს ერთ-ერთ თავის ლექსში, რომელიც ბათუმის გაზეთში გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნდა და ამით ძალიან ამაყობს.

დამშვიდობებისას კი, ბიბლიოთეკაში, დაფაზე წააწერა: „სიყვარულს დიდი ძალა აქვს!“...

ახალი წელი და ტაო-კლარჯეთი

ექსპედიციის ინტერესთა სფეროში, ბუნებრივია, ხალხური დღესასწაულებისა და რიტუალე-



სოფელ დევსქელის ერთი უბანი



ფარაჰედდინ შვინდაძე, სოფელი კეძრული



ჩვენი ხევეწრილელი კატრა მახვიძლები



კიდევ ერთი საგზაბარი ჟღეროხვა, აქედან სამართველოს საზღვრაგდე ხუთიოდე კილომეტრია

ბის საკითხიც შედიოდა. მოპოვებულმა მასალამ აჩვენა, რომ ისლამიზებულ გარემოში სულიერი სამყაროს ეს სფერო მხოლოდ ჭარმაგი მოსახლეობის მახსოვრობაშია შემორჩენილი, ოღონდ სახეშეცვლილი ან ცალკეული ელემენტის სახით. ართვინის მიმდებარე სოფლებში, ნიგალის მხარეში, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია. სოფლებში, ადაგულსა და ოზმანში, საახალწლო ტრადიციები იმ თაობის ხალხს ახსოვდა კარგად, რომელნიც ან თვითონ მონაწილეობდნენ ამ წესების შესრულებაში, ან კიდევ ბავშვობაში იყვნენ მისი სამეიმო-სამხიარულო აღნიშვნის მომსწრე-მხილველნი, რაც გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ჯერ კიდევ სრულდებოდა.

ჩვენი მოხრობელები აღნიშნავენ, რომ 1-ელ იანვარს დამდგარი ახალი წელი, ანუ „ილბაში“ თურქულია და თანამედროვე პერიოდში მხოლოდ მას აღნიშნავენ, რომლის მთავარი რიტუალური „კერძია“ აშურა, და რომელიც შვიდი ინგრედიენტისგან შედგება. ეს ინგრედიენტებია: ხორბალი, თაფლი, ნიგოზი, თხილი, ქიშიში, შაქარი, ბროწეული.

ტრადიციული, გურჯული ახალი წელი კი 14 იანვარს მოდიოდა. ამჟამად, ე.წ. ძველი ახალი წელი სოფლებშიც დავიწყებას მიეცა. ეს გამოიწვია ოფიციალური ახალი წლის 1-ელი იანვრიდან საყოველთაოდ აღნიშვნამ. აგრეთვე, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილის ქალაქებში გადასვლამ და სოფლად მხოლოდ სეზონურად, ზაფხულის თვეებში მობრუნებამ.

შთაბეჭდავი იყო ბუჯერის თემში ამ თემამე აქაურებთან გასაუბრება. 80 წლამდე მიღწეული სერადინ ჰაჯიშვილის ოჯახში, წინკარში მებობელ-ნათესავებმაც მოიყარეს თავი, სიამოვნებითა და ღიმილით, ცოტა დანანებითაც იგონებდნენ ტრადიციული ახალი წლის შეხვედრის ამბებს. მეკვლეობაც სცოდნიათ. წინასწარ შეარჩევდნენ პტივსაცემ და იღბლიან მებობელს და 14 იანვარს მის ფეხს დაიბეებდნენ ოჯახში. შინაური მეკვლეც სცოდნიათ.ზოგჯერ „დილით სახლის ბიჭი გავიდოდა გარეთ და შემოვიდიდა ოჯახში სიტყვებით „კაი წელიწადი, კაი წელიწადიო. ბიჭის სახლში შემოსვლა ხეირია... ჩვენც შექერს მივცემდით. ამის მერე მამრუაფაში, სურაიში წყალ ჩავასხამდით, – მარანში, ახორში (ბოსელში), ნალიაში წყალ მოვასხამდით. ნალიაში ბევრი სიმინდი იქნებო, პურსა (ხორბალს) და ბრინჯსაც მოვამწვდით. ბევრი მოსავალი მოვაო“.

ახალი წლის წინადღით, 13 იანვარს სახიობის რიტუალი სრულდებოდა. „13-ში საღამოს, მურს წევისმევედით სახეზე მოზრდილები, რაცხას ტუჩებზეც ვიკეთებდით ბიჭები, ამას ყველა იზამდა.

ნილაბებ გაამზადებდნენ ძროხის ფოსტისგან (ტყავისგან), ჩაიცვამდენ ძველ-ძველ რამეებს, სიმინდის გალებს, ფუჩიჩ შემოიკრავდენ მაყრები, ერთი თანე ბიჭს, გოგოს ტანსაცმელს ჩააცმევდენ. პატარბალო იქნებოდა, ერთიც სიძე უნდა ყოფილიყო. ერთიც (ზოგჯერ მეტი) ყადი, ჯუბეს ჩავაცმევდით, ეჟვანს ჩამოკიდებდენ, ხმა იყოსო. მაყრებიც იყვნენ, 5-6 მდევარიც. გარგნებ გააკეთებდნენ (საცემად). ბუჯერში გარგნებად (ხორთომებად) ზროხის კუდები გვქონდა. სიძე იტყოდა, – რა ლამაზი ფაცოაო (გოგოაო), მე უნდა ვითხოვოო, იტყოდა, ოთხი ბიჭი დაიჭირავდა პატარბალს. ისიც იჭირავდა, ბიჭი უფერავს, უფერავს... გოგო მინც გაბლაზდება, დეიკვილებდა. დედევენებოდენ მაყრებს და ურტყამდენ გარგნებს ზრუგში. მართლა სცემდენ (ყადი, ჯანდარმა, მილიცია)... მაყრები ზურგზე და წელზე, მკერდზე ჩინჩი-მინჩის (სიმინდის ფუჩიჩებს) მეიხვევდენ, – არ მეტკინოსო...

ასე ჩამევივლიდენ კარდაკარ, იმღერავდენ: „ელეი, მელი, გამეიხედე კარში, – არ გამეიხედავ, წავალ სხვა სახში“. სატმელს მისცემდენ, – პურ მისცემდენ, თხილ, კაკალ, კვერცხ, ერბოს, ყველ, თაფლ... ფულ მისცემდენ. სამი დღის მერე სინორ გააკეთებდნენ, თათლებ (ბაქლავას) გააკეთებდენ, ყველ მოხრაკავდენ ერბოში (ბორანო) და ერთად შეჭამდენ“...

რომბეტა გუჯეჯიანი, ეთნოლოგი, პროფესორი, ექსპედიციის წევრი: ადრეც ვმუშაობდი ტაოკლარჯეთის სოფლებში ხალხურ ტრადიციებსა და რიტუალებზე და ძველი და ახლანდელი მასალების ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ ახალი წლის ტრადიციების არსსა და მათ მიმდინარეობას ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებში უნივერსალური ხასიათი აქვს. მეტიც, იგი ზოგადქართული ტრადიციის ნაწილია. ამავე დროს ეს დღესასწაულები სახეშეცვლილ-ტრანსფორმირებულია და მის ელემენტებში იკვეთება ალილოსა და ბერიკაობის ფრაგმენტები, თანმხლები მუსიკალური სიმღერა-სავალთობებითა (ე.წ. გურიელა) და საკარნავალო რიტუალებით. აქვე დავძენდით, რომ ახალი წლის ტრადიციის შემადგენელი ზოგიერთი რიტუალი აქაურებმა მუჭაირებად წასვლის შემდეგაც შეინარჩუნეს (გურიელას მოტივების ჩათვლით) და ეს რიტუალები თან წაიღეს სამხრეთ შავი ზღვისპირეთში, სინოპის სოფლებში.

სხვათა შორის, ის საკარნავალო ელემენტები, რომელიც საახალწლო ციკლში იყო ჩართული, მაგალითად, ბერობანა, შემორჩენილი იყო იმერხევის სოფლებში, აღადგინეს სოფელ ბაძკირეთში, აქაურმა მკვიდრმა ენთუზიასტებმა იმერი და იმედა ზუმბაძეებმა...

რეპორტაჟი მუშვიდა

თამარის ხიდები აქეთურ და იქეთურ ქართველთა შორის

ტაო-კლარჯეთში შუა საუკუნეების ლამის ყველა ხიდს თამარ მეფისას ეძახიან. ხიდი ბევრ სოფელშია (თანაც, ზოგან არაერთი) და არაერთხელ შემოგვხვდა ჩვენი მოგზაურობისას საქართველოს ამ უძველეს ისტორიულ მხარეში, რომელიც დღეს თურქეთის რესპუბლიკაშია მოქცეული. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო ერთი ფუძის მქონე ხალხის — აქეთური და იქეთური ქართველების დაახლოებას. ეს ვრცელდება არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთზე, არამედ თურქეთის რესპუბლიკის იმ რეგიონებზეც, სადაც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან კომპაქტურად ჩასახლებული. ჩვენი რეპორტაჟებიც, რომელიც ამ რეგიონებში ქართველ მეცნიერთა მოგზაურობას ასახავს, „აქეთურთა და იქეთურთა“ კიდევ უფრო დამეგობრებასა და დაახლოებას ემსახურება.



ქალაქურის ხეობის მშენებელი და შავი ძაბა, ანუ ყარაბაილი

ბორჩხა კარაბაილი წარმოების მთავარი მფლობელი იყო. ახლა კი ამ მხელზე ერთი თინის ოსმალი მუშაობს, რისულ შირინი კარაბაილი

ბორჩხა, თიხის ოსტატთა „საბუღარა“!

ნიგალი შინამრეწველობისა და ხელოსნობის ცენტრია. ბევრ საიდუმლო ფლობდნენ აქაური ოსტატები ხალხურ მეტალურგია-მჭედლობაში, ხით და ქვით ხურობაში, ფეიქრობაში, წნულე-ბის დამზადებაში, ნავთშენებლობაში... დიდ და-ხელოვნებას მიაღწიეს აქაურებმა მეთუნეობაში, განსაკუთრებით ადრინდელ სოფელ ბორჩხაში, რომელიც დღეს უკვე ქალაქია.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მაშინდელ ავტორთა ცნობით, ბორჩხაში მეთუნეობის ათი სახელოსნო მოქმედებდა. მზადდებოდა ქო-თან-დერგები, დოქები, ჯამები, თიხის სადღვებ-ლები და წყლის გასაყვანი მილები... საუკეთესო ყოფილა აქ დამზადებული აგური და ქართული ღარიანი კრამიტი. ამ ნაწარმით არა მარტო ნი-გალი, არამედ ლაზეთის ხოფა-არჰავის სოფლები და ბათუმ-ქობულეთის მხარეც, ნაგებით კი შავ ზღვამდე ჩაჰქონდათ.

დღეს თიხის ტრადიციულ ნამზადზე მოთხოვ-ნილება შემცირებულია და აღმოჩნდა, რომ მთელ ბორჩხაში ერთი შთამომავლობითი მეთუნედა მუშაობს. ცხადია, მოვინახულეთ თიხის უკანას-კნელი ოსტატი რესულ შირინი ქერაბიშვილი და მისი ტრადიციული კერამიკული ქურა. ბორჩხის გარეუბანში, აიღინის უბანში ცხოვრობს ბატონი შირინი. ხელობა მამისგან, ქაბიმ ბეისგან აუთვისე-ბია. ბაბუაც ამ საქმეს მისდევდა. ხუთი წელიწადია, რაც მამა გარდამეცვალა და ახლა მე მივდეც ამ საქმესო. სამი ბიჭი მყავს, უფროსებს, მუჰამედსა და უვეისს ნელ-ნელა ვასწავლი ამ საქმესო. მესა-მეს-მეთქი? მესამე ჯერ ძალიან გენჯი, პატარააო...

თიხა ბორჩხის გარშემო ყველგან არის, – გვი-ამბობს ბატონი რესული. კარგი თიხა დაკვარაშია, ამ მთის იქით, 3-4 კილომეტრი იქნება. ადრე არა-ბათი, ანუ ურმით მოგვქონდა, ახლა მანქანებით მოგვაქვს. წინათ, ბაბა-დედეებს, მამა-ბაბუებს აგარიდან მოჰქონდათ, მაგრამ იქ დეილია, აღარ არის, თან იქაურობაში ბარაუი, წყალსაცავი გა-აკეთეს. იქიდან ნავით ჩამოჰქონდათ, ჭოროხის პირიდან კი ახლოშია, ზურგით ამოგვქონდა. ეს ქურა დიდი ხანი არაა, რაც გავაკეთე, ძველი ქუ-რის თემელზე, საძირკველზე დავამენე. თიხა ბელ-ლევანიდანაც მოგვქონდა, მაგრამ ის უფრო კეცე-ბისთვის იყო. კრამიტსა და აგურსაც ვაკეთებდით. ართვინიდან ბორჩხამდე 40 ადგილას აკეთებდ-ნენ და ბათუმ-გონიომდე ჩაჰქონდათ ნაგებით, პურზეც ცვლიდნენ. აღმა კი 5-7 კაცი ეწიკებოდა კაიაკებს, ნავებს, – ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ბორჩხაში პატარა ნაგები ბოლომდე გვქონდა... მათი ამბავი იმით დამთავრდა, რომ 1993 წლის ერთ დღესაც, დიდი წყალდიდობა იყო ჭოროხზე

და რაც კი ბორჩხაში ნავი იყო, ყველა ბათუმში ჩეიტანა წყალმა, – ღიმილით დაასრულა ამბავი ბატონმა შირინმა.

ქლასპურიდან მაჭახლისკამ

ტაო-კლარჯეთის კომპლექსურ ექსპედიციას ერთი „რაზმი“ გამოვეყავით და გემი ზემო მაჭახ-ლის ხეობისკენ ავიღეთ (მე, როზეტა გუჯევიანმა და ამ კუთხის შვილმა გიორგი ირემიძემ).

ზემო მაჭახლის ხეობაში რომ მოხვდეთ, გზად ქლასქურის ხეობა უნდა გაიაროთ. ესეც ქარ-თული ხეობაა, ესეც ლამაზი, მთაგორიანი, ტყი-ანი... ზემო და ქვემო ქლასქურის თემებითა და თავ-თავიანთი პატარა სოფლებით. ქვემო ქლას-ქურში გავჩერდით ერთი დღით, სადაც ქართული საზოგადოებისთვის უკვე ნაცნობ შენრო ტაბან ღვინიაშვილს პანსიონი, ანუ ოჯახური სასტუმრო აუგია ტრადიციულ სტილში, თავისი საცხოვრებ-ლის გვერდით და ხეობაში შეგროვებული ტრა-დიციული ყოფითი ნივთებითაც გაუწყვია. სახე-ლიც საინტერესო შეურჩევია სასტუმროსთვის – „ლაფერა“. ლაფერა ღომის მოსარევი, ბოლო-გაბრტყელებული ჩოგანია დასავლეთ ქართულ სამზარეულოში. ბავშვობაშივე შეურქმევიათ ეს მეტსახელი მისთვის და სასტუმროსთვის სახელის შერჩევის დროს სწორედ ეს „გაუხსენებია“. სას-ტუმრო ოთახში უხვად ელაგა ქართულ-თურქულ ენაზე წლების განმავლობაში გამოშავალი და ორივე ქვეყანაში პოპულარულ ჟურნალ „ფიროს-მანის“ ნომრები, რომლებშიც როზეტა გუჯევიან-ისა და ჩემი თანაავტორობით გამოქვეყნებულ სტატიასაც „მივაგენით“, თბილისის ეთნოგრა-ფიულ მუზეუმში მდებარე საკულტო ნაგებობა ჯა-მეს შესახებ... თავის დროზე ასე საჭირო ჟურნალი სწორედ ქლასქურში დაურეგისტრირებია შენოლ ტაბან ღვინიაშვილს, თანამომარეებთან ერთად..

ემოში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მკითხ-ველისთვის უკვე ნაცნობმა ჩამურმა ანუ საძიგ-ველმა, რომელიც ამჯერად საგანგებო კონსტ-რუქციით გაემართათ და ფეხის სათანადო მოძ-რაობით მოდიოდა მოქმედებაში. მარცვლეულის, განსაკუთრებით ღომის გაღეწვა-დაღერღვასთან ერთად ვაშლის, მსხლისა და სხვა ხილის დასა-ჩეჩქვად იყენებდნენ, წვეინსა თუ ბექემზის დასამ-ზადებლად.

დილაადრიან გამოვეთხოვეთ გულითად მას-პინძელს, გადმოვიარეთ აქაურობისთვის დამახა-სიათებელი თაღოვანი ხიდი და ქლასქურის ხეო-ბას მაჭახლისკენ ავუყვიეთ.

ქლასქურისა და მაჭახლის ხეობას უღელტე-ხილით პაწამთა ყოფს. მის ფერდობებს შევუყე-ვით, თუმცა მალევე მარჯვნივ გადავუხვიეთ, სა-



თხილი ტარ-კლარჯეთში ბოლო დროს წაყვანა კულტურად იქცა. ფოთოვანი თხილის სარკავი გაძინა (განეხანა) კველეგური გოდრისა და ხის გობის ფონზე



ჩხალელაგა მონუსება ოსტატმა ნაბლის ტყვიით მოწნული კალათები ქალაქ ბორჯომში ჩამოიტანა და კვარის გამოყვლა



ბორჯომი მფედლები მრადიციული რკინის ნაკეთობებით



მავანელში, ბაღრა- ბოსტნეგში დღევანდ წაწყდებით ახეთ სურათს: ავი თვალისგან დასახვავად და სიუხვის დასახედებლად კეურა მხლის გვერდით განთოვვილ ჩხირებში ჩამოეცვავენ ხოლმე კვერცხის ნაჭვებს აეაური დიანახლისიები

ნოდარ შოშითაშვილი

დაც ქლასქურის ხეობის სათავეში ერთი ლამაზი ტბა გვეგულებოდა. რატომღაც ყარაგიოლი, ანუ შავი ტბა დაურქმევიათ ამ მწვანით მოსილი ტყისა და მთის ძირში ჩაკარგული პატარა ტბისთვის. არადა, არანაირად არ შეეფერება ეს სახელილ ტყის სიმწვანით არეკლილი ტბის წყალი მომწვანო მოლურჯოდ კამკამებს და თითქოს მონატრებულ რიწის ტბას მოგვაგონებს...

ხშირად ამოდიან ოჯახებით ამ ლამაზი ტბის სანახავად და დასასვენებლად ქლასქურელები, ბორჩხელები, ართვინელები და მთელი კლარჯეთ-ნიგალის სტუმრებიც... არც ჩვენი იქ ყოფნისას აკლდა სტუმარი შავტბას, მურღულელებს კი ერთი კარგი ფერხული ჩაებათ კაციან-ქალიანად და ამ საერთო ფერხულში ჩვენც მიგვიწვიეს...

წელში განყვითილი მაჭახელი

ყარაგიოლიდან იელისა და დეკის ბუჩქებით შემოსილი პაწამთის უღელტეხილზე ავედით. ჩვენ თვალწინ მაჭახლის ხეობა გადაიშალა... ტრაგიკული ბედი დაჰყოლია ამ ულამაზეს კუთხეს. მაჭახელი – ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – საისტორიო წყაროების მიხედვით, ადრე მიჭიხიანად მოიხსენებოდა. იგი იწყება კარჩხალ-ფაფართის მთებში და მთავრდება იქ, სადაც მაჭახლის წყალი ჭროხის უერთდება. მაჭახლის წყლის სახელწოდებას სოფელ ხერთვისთან იღებს, მინდეთის წყლისა და ევრატის ღელეს შეერთებიდან.

მაჭახელი ყოველთვის მიუდგომელი ყოფილა მტრისთვის მაღალი მთებით, პატარ-პატარა ღელე-ხეობებით. მთის მდებარეობითა და უხვი ტყეებით ახლაც მდიდარია. ნაყოფიერი სავარგულებიც საკმარისად „წაურთმევიათ“ ბუჩქნარ-ტყეებისთვის“. აქაურობის მთავარი ღირსება კი აქაური ხალხი იყო, ამაყი, თავისუფლების მოყვარული, გონიერი, პირდაპირი და უკან არდამხევი. ამ მხარის შესახებ უძვირფასესი ცნობებია დაცული შუა საუკუნეების ხელნაწერში „მაჭახლის ხეობის სულთა მარტანე“, რომელიც მოიცავს XII-XIV საუკუნეების ჩანაწერებს.

ბედნიერება იყო ის ორმოცდასამი წელიწადი, როდესაც სამსაუკუნოვანი „განშორების“ შემდეგ მაჭახელი ქართულ სივრცეს დაუბრუნდა. თუმცა 1921 წელს საზღვარი ხეობის შუა ხაზზე გაავლეს, ხერთვისსა და ზედა ჩხუტუნეთს შორის. საქართველოს შემადგენლობაში დარჩა თორმეტი თემი, რომლებიც დღეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს განეკუთვნება. ექვსი თემი კი – ხერთვისი (ჯამილი), ზედვაკე (დუზენლი), ევრატი (ეფელერ), ქვაბითავი (კაიალარ), მინდეთი (მარალ), და აკრია (ულურ), მათში შემავალი პატარ-პატარა

სოფლებით თურქეთის რესპუბლიკის მხარეს აღმოჩნდა. სოფლების ოფიციალური სახელები 1928 წლიდან თურქულია. საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ კი ოჯახები საბოლოოდ გაიყო. აქეთ-იქით დარჩნენ რძალ-სიძეები, ნათესავები, მოკეთებები და მრავალი ათეული წლის განმავლობაში ერთმანეთის სოფლებისკენ გახედვაც კი გაეჭვოდ აღიქმებოდა თურქეთის რესპუბლიკის მაშინდელი მმართველებისა თუ საბჭოთა სტრუქტურების მიერ. ზემო მაჭახლიდან ერთადერთი სასიცოცხლო გზა პაწამთის უღელტეხილზე გადადიოდა, ქლასქურის ხეობასა და რაიონულ ცენტრ ბორჩხაში, რომელიც 6-7 თვის განმავლობაში დიდთოვლობის გამო ჩაკეტილია. ბუნებრივი გზა კი ხეობას დაუყვებოდა ბათუმამდე...


მთელი ეპოქა იყო ავადმყოფის გადაყვანა დიდთოვლობისას ბორჩხაში. ას კაცამდე შეიკრიბებოდა, მოიხმარდნენ ხიბეკებს (მარხილებს). თან, ძნელ ადგილებში გასამხნეებლად ტრადიციულ „ჭელესასაც იტყოდნენ“. იქ სადაც მარხილიც უძღური იყო, მოწნული სალაკათი (საკაცით), ზურგით გადაჰყავდათ. წელიწადში ორ-სამჯერ მაინც იყო ამის საჭიროებაო, გვიყვებიან აქაურები... ახლა, როცა თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს, ხეობის ორივე ნაწილის სურვილია საზღვარზე გამშვები პუნქტის გახსნა, რომელიც კიდევ უფრო გააადვილებს საზღვარს აქეთ და იქით მყოფი ერთი ფუძის მქონე ხალხის დაახლოებას.

ქაზიმ ბეი

მინდეთის თემში, სოფელ ირემეთში გიორგი ირემაძის მამა, ქაზიმ ბეი გველოდებოდა – ქაზიმ იემი ირემაძე, ჭარმაგი, ხეობაში ჭკუის საკითხავი კაცი. გაიხარა ჩვენი ჩასვლით. დიხჯი კმაყოფილება გამოსტვიოდა მის სიტყვა-პასუხსა და მოქმედებაში. თავგადასავლებით სავესე ცხოვრება გამოუვლია, ბევრ ფათერაკს გადაჰყრია ქაზიმ ბეი. სად არ უტარებია ცხოვრებას. სადაურსა სად წაიყვან, ჩემზე უთქვამთო. ირემეთიდან ბელგიაშიც მოხვედრილა, ყარსშიც უცდია ბედი, არზრუმშიც... ბოლოს სტამბოლში „ჩაუშვა ღუმა“. ბევრი საქმის წამომწყები ყოფილა ბინენის სფეროში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავის დროზე თურქეთის რესპუბლიკისთვის (და საქართველოსთვისაც) „ახალი ხილის“ – პოლიეთილენის წარმოების ერთ-ერთი წამომწყები და დამწერგავი იყო სტამბოლში. ქაზიმ ბეიმ და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნაზი გივიაძემ კარგი შვილები აღზარდეს, კარგი ქართველები. ბოლოხანს უმეტეს დროს მაჭახელში ატარებდა და თემისა და ხეობის საკითხებსაც წყვეტდა აქაურ დარბაისელ



ბაბა-შვილი მაზიმ და ბიორგი ირამბაქიანი (მინდიეთის თემი, სოფელი ირამეთი)



მინდიეთის თემის ერთ-ერთი თაყვაზი და ჩვენი მასპინძელი ჰამდი ხოჯა ოზდემირი ქათამიძე



მავახლური სუფრა, ანუ ფიხუში



„ჰაფუური ხაოლის“ ფარდაგები

ხალხთან ერთად.

აქაურობის შესანიშნავად მცოდნე, გვერდიდან არ მოგვცილებია და გულდაგულ გვმეგზურობდა სოფლებ-უბნებში. ცდილობდა, საინტერესო და უნახავი არაფერი დაგვჩინოდა. თანაც, ყველგან მოკეთე და ახლობელი ხვდებოდა მასპინძლად. მისი გემოვნებაც კარგად იცოდნენ და იქაურ გამორჩეულ კერძს – მალახტოს (ნედლი ლობიო, ნიგვზითა და მწვანელი-სანელებლებით შეკაზმული) ახვედრებდნენ სასურველ სტუმარს.

სამართლიანობით ცნობილ ქაზიმ ბეიზე ერთ ამბავსაც ყვებიან. ზემო მაჭახელში, ისე როგორც თურქეთის მხარეებში, ქართველი მუშახელიც ჩადის ზაფხულის სეზონზე თხილის საკრეფად. როგორც წესი, ამ დროს მასპინძელი და დაქირავებული მუშახელი ერთად, თანხმობით შრომობენ. მაგრამ გამოჩენილა ვიღაც უხიავი და გასამრჯელოს გადახდის დროს მათი დაჩაგვრა უცდია. ეს

რომ ქაზიმ ბეის გაუგია, ფეხდაფეხ გადასულა იმ სოფელში და არათუ ბოლომდე გაასწორებინა თურმე ანგარიში დამქირავებელს, ისეთ დღეში ჩაუგდია, იმის შემდეგ რომ ხვდებოდა, გზის მეორე მხარეს გადადიოდაოდ (სამწუხაროდ, ექსპედიციის დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მწუხარებით შევიტყვეთ ქაზიმ ბეის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი. მის შვილთან, ბატონ გიორგისთან ჩვენი მეგობრობა კი კვლავ გრძელდება).

ჰამდი ხოჯა

ხეობის ზემო სოფლებთან ახლოს რომ ვყოფილიყავით, ცეცხლიეთში გავჩერდით, ერთ-ერთ მაღალ სოფელში, ჰამდი ხოჯა ოზდემირ ქათამიძის სასტურო სახლში. ცენტრალური გზიდან შუკის ასახვევშივე, ჩამოთლილ კლდეზე დიდი ასოებით

წითელი საღებავით წარწერილი „ქატამიძე“ შემოგვეგება. ხოჯა თურქულ სამყაროში სასულიერო პირსაც აღნიშნავს და მასწავლებელსაც. ისევე როგორც ჩვენთან იყო, – მოძღვარი ადრე მასწავლებელსაც გულისხმობდა. დიდხანს მასწავლებლობდა ბატონი ჰამდი თურქეთის სხვადასხვა სოფელში თავის მეუღლესთან ერთად (სიყვარულით მევიყვანეო, გვითხრა). სიყვარულითვე იგონებს მასწავლებლობის პირველ წლებს. ერთ-ერთ ქურთულ სოფელში გაუშწესებიათ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. მანამდე იქ სკოლა არ ყოფილა. დიდი შეგონება დასჭირდა ახალგაზრდა ჰამდის, რომ დაეყოლიებინა იქაურები ბავშვების სკოლაში გაშვებაზე. მერე და მერე ჩვენი ეზო აივსო მშობლებიდან მოძღვნილი ბატებითა და ქათმებითო...

გულისყური დავათვალიერეთ და აღვწერეთ ოჯახური ტრადიციით შევრცელებული-შენახული ნივთები, საინტერესო სიმბოლოებითა და ქართული ორნამენტებით (ბორჯღაღით, „სიცოცხლის ხით“) მოჩუქურთმებული ბუხარი. გამორჩევით კი კედელზე გაკრულმა ფარდაგებმა მიიპყრო ყურადღება, რომლებშიც ე.წ. შავშური სკოლა ამოვიკითხეთ. თარიღიც დასმული იყო, – 1966. ჰამდი ხოჯა დაგვეთანხმა და შავშური ფარდაგების ქსოვის მაჭახელში „მიგრაციის“ ამბავიც გავვიმხილა.

მაჭახლის ხეობაში პირველი სკოლა ცეცხლიეთში დაუარსებია ჰამდის მამას, ოროთახიან ხის შენობაში. შემდგომ სკოლა აკრიაშიც გაუხსნიათ. მასწავლებლად კი შავშეთიდან გამოუგზავნიათ ახალგაზრდა, ღარიბი სპეციალისტი. ჩამოვიდა, გაეცნო პირობებს და ცოლისა და შვილის მოსაყვანად გაბრუნდა თურმე. ბორჯღაღით, ტრანსპორტი არ ყოფილა. ფეხით გადმოსულა მინდეთში ცხენისთვის. ჰამდის მამასთან მოუსწავლებიათ, მშვენიერი თეთრი ცხენი ჰყოლია და გაყოლია კიდევ დაუდ ბეი. შემოუსვამთ ბავშვიანი ქალი ცხენზე. პაწამთის უღელტეხილს რომ მოაღწიეს, მოუსვენრობა დაეტყო ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, არც ფული ჰქონიათ და არც რამე ისეთი, დაუდ ბეისთვის რომ ესახსოვრათ. ქალს უთქვამს, ცხენს ხურჯინი და ასალი (უნავირის დასაფენი) მოძველება და ახალს მოვექსოვო. ყური მოჰკრა ამ საუბარს დაუდ ბეიმ და უცბად მიხვდა ამ ხელობის სიკეთეს. ახლის მოქსოვა არ მინდაო. სამი გოგო მყავს და თუ იმათ დაასწავლით ამ საქმეს, მაღლობელი დაგრჩებითო.

მართლაც, დაუშვადებით საქსოვი დაზგა აკრიაში. გადმოდიოდა თურმე შავშელი ქალი მათთან და დაუსწავლებია ფარდაგებისა და ხურჯინების ქსოვა ჰამდის დებს. ერთობლივად მოიქსოვას პირველი ფარდაგიც, რომლის ორნამენტებში, ფერებსა და არშია-გულეებში ამკარად შეიმჩნევა შავშეთური სკოლის გავლენა. ასე დამკვიდრებულია მინდეთის თემში ფარდაგების ქსოვა.

ეფრათის წყლის ხეობაში ვართ, ისტორიული წარსულით, ნაეკლესიარებით, თაღოვანი ხიდებითა და თქმულება-გადმოცემებით მდიდარ დასახლებაში. თქმულებები, როგორც ბევრ მხარეში, აქაც თამარ მეფის სახელს უკავშირდება. ეფრათის გზაზე შუა საუკუნეების დროინდელი რამდენიმე თაღიანი ხიდი შეგვხვდა. ერთი მათგანი „ყრუ“ იყო, – მდინარეს დინება შეუცვლია და ამჟამად ხიდქვეშ გზა გადის.

გარდა ერთმაღიანი თაღოვანი ხიდებისა, მაჭახლის ხეობაში აგებდნენ ე. წ. „დაბურვილი ხიდებს“. დაბურვილი ხიდები ზემო აჭარაშიც გვხვდება. მდინარის მთელ სიგრძეზე გადებულია მუხის დამუშავებული მორები, გვერდებიდანაც ხის დირე-ბოძებით შემოსილი, ზემოდანაც გადახურულია და ერთგვარ გალერეას ქმნის. სახურავის ქვეშ ხიშეკები (მარხილები) ინახება, რომლებსაც ზამთრობით იყენებენ გაღმელი ჭანჭვალეველები და გამოღმელი კაკალურელები.

ხეობაში ორი თემია მათში შემავალი სოფლებით, ეფრათი და მისგან ჩრდილოეთით, ზეგან-სერებზე განფენილი ქვაბითავი. სხვათა შორის, ქვაბითაველია ცნობილი მოძღვრალი, ბევრი ხალხური სიმღერის აღმდგენელი და პოპულარიზატორი ბაიარ შაჰინ გუნდარიძე, რომელიც ერთნაირი სიყვარულით სარგებლობს საქართველოშიც და თურქეთელ ქართველობაშიც.

ეფრათში ჩვენი მეგზური შუქრი კაია ვაცაძეა, გონიერი, განათლებული კაცი. თექვსმეტ წელიწადს აქაურ ოქულში ვმასწავლებლობდი, შემდეგ კი საქარიაში, ადაფაზარშიო. შუქრი ხოჯასთან ერთად ღელეს ვალმა შუა საუკუნეების (შეიძლება უფრო ძველიც) ნამოსახლარები დავათვალიერეთ, უზარმაზარი სამშენებლო ქვები, თითქმის მეგალითები შემორჩენილიყო ჯგუფ-ჯგუფად. ეჭვგარეშეა, ამ ადგილის არქეოლოგიური შესწავლა ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

ჩვენ მაინც უფრო სოფლის ცენტრი, ჯამიკარი (სანაქი, სენაკი) გვანტერესებდა, სადაც „ნაქილისავრი“, ანუ ნაეკლესიარია. გადმოგვემენ, რომ ეკლესიის დანგრევის შემდეგ, სამრეკლო კიდევ კარგა ხანს მდგარა. ამჟამინდელი ჯამე ეკლესიის ყორეზეა დაშენებულიო. საძირკვლის ნაშთებით ჩანს, რომ ეკლესია ამჟამინდელ ჯამეზე დიდი ყოფილა. ამ ადგილას, რომელსაც სანაქს (სენაკს) უწოდებენ, ჩემმა ემიამვილმა (ბიძამვილმა) ბოსტანი გააკეთა და ყორეს წააწყდა თავანით (გუმბათით). წითელი ბოიათი (საღებავით) იყო მოხატული... ეკლესიის ქვები ჯამესა და იქვე მდებარე, ორნამენტირებული ტრადიციული ქართული დედაბოძიანი დამხმარე ნაგებობის საძირ-



ბაიარ შაჰინი მუნდარში თავის ძალიერობითან ერთად მღერის ძველქართულ სიმღერებს



ბურჯული ხიდი ხინეკებით (მარხილებით) ეფრათის წყალზე



თაგარის ხიდი ეფრათის წყლის შენაკაღზე



გიორგი კალანდია და „ჩვენებაში“ ბიზნესმენი ოსმან თურანი

კვლისთვის გამოუყენებიათ. ნაწილი მიმოიფანტა, რამდენიმე დიდი, ქვითკირით შედგებაებული თლილქვებიანი ნამტვრევი მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში წყალში გდებულა, ხიდქვეშ. მერე, ადიდებულს ნაპირზე გამოურიყვას, წყალს ვერაფერი დაუკლიაო, დასძენს შუქრი ხოჯა.

...მთელი ექსპედიციის განმავლობაში თითქმის ყველგან, ჩვენს გულითად მასპინძლებთან საუბრისას აუცილებლად იხსენებდნენ ქართველ მეცნიერს გიორგი კალანდიას, რომელსაც უკვე თავისიანად მიიჩნევენ. ჩვენზე კინო გადაიღო, ტელევიზორში გამოგვიყვანა, ჩვენზე წიგნები დაწერაო... მართლაც, 2004-2011 წლებში გიორგი კალანდიას ხელმძღვანელობით თურქეთში მოეწყო არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელთა მიზანს წარმოადგენდა საზღვარს მიღმა მცხოვრები ქართველების („ჩვენებურების“) ტრადიციების, ფოლკლორისა და ენის თავისებურებების შესწავლა. ექსპედიციების დროს ფირზე დაფიქსირდა ათეულობით ქართული სოფელი, ფოლკლორის ნიმუში და ისტორიული ძეგლი. გი-

ორგი კალანდიამ გადაიღო არაერთი დოკუმენტური ფილმი. მათ შორის: „საქართველოს სული ვარ“, „ფერიანი სიმბრები“, „ერთი ჭოროხის შვილები“, „გელინო“, „ახმედ მელაშვილი“...

* * *

შეუმჩნევლად გაილია ექსპედიციის დღეები. ვემშვიდობებით ტაო-კლარჯეთს, ვემშვიდობებით მაჭახელს. მოპოვებულ მასალაზე სტატიები და მოხსენებები იწერება. აქაურობა კი კვლავ ელის ეთნოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, არქიტექტორების, არქეოლოგების, ენათმეცნიერების, ფოლკლორისტების მორიგ ექსპედიციებს, რადგანაც „სამკალი ფრიად არს“. ამის იმედს კი იძლევა კეთილმეზობლური ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, ორივე ქვეყნის მეცნიერ-მკვლევართა გახშირებული საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტები.

დაბოლოს, აქვე გთავაზობთ ვრცელ მასალას ისტორიული საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი მხარის ხალხური არქიტექტურის შესახებ.

საცხოვრისი ქართული

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...“

რით ჰგავს ერთმანეთს შავშეთ-იმერხევისა და დასავლეთ საქართველოს ხალხური საცხოვრისები

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...“ — მურმან ლებანიძის ამ პოპულარული ლექსის სტრიქონების სიმძაფრეს შავშეთ-იმერხევიც ვგრძნობთ.

ისტორიულ საქართველოში მრავალფეროვანი და კონსტრუქციულად გამორჩეული ნაგებობები იქმნებოდა. თანამედროვე საქართველოს მხარეთა მაგალითზე ეს ნაგებობანი ლამის ძირისძირობამდეა შესწავლილი, ამჟამად კი საშუალება მოგვეცა, ისტორიულ პროვინციებსაც გადავწვდეთ. მით უფრო, რომ ხალხური ხუროთმოძღვრება მატერიალური კულტურის ის სფეროა, რომელიც გამორჩეულად მიუთითებს მისი შემქმნელი ხალხის გემოვნებაზე, ხანგრძლივ და უწყვეტ ტრადიციაზე.

არა მხოლოდ სამეცნიერო წრეებში, არამედ მთლიანად ქართველ საზოგადოებაში, რიგით ქართველებში ყოველთვის არსებობდა გამორჩეული ინტერესი იმ მხარეთა მატერიალური კულტურის გაცნობისა და შესწავლისადმი, რომელნიც ისტორიულ მდინარებათა გამო მთავარ ფუძეს სწყდებოდა, მეტ-ნაკლები ქრონოლოგიური დიაპაზონით. ვგულისხმობთ მესხეთის სამხრეთ ნაწილს (რომელიც ერთხანს ზემო ქართლადაც განიხილებოდა) — ტაოს, კლარჯეთს, შავშეთს, ერუშეთს, კოლა-არტაანს, აგრეთვე ჰერეთს...

საბედნიეროდ, დღეს შესაძლებლობა გვაქვს, ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქებში პირველი კვლევები მოვაწყოთ.

განსაკუთრებით საინტერესოა, ამ მხრივ, ხალხური არქიტექტურა: რა მიმართულებით განვითარდა ის, რა ელემენტები შეინარჩუნეს და შეითვისეს მეზობელი ეთნიკური გარემოდან.

მკითხველს ვთავაზობთ ერთ-ერთ პირველ ცდას, ამ კუთხით განვიხილოთ შავშეთ-იმერხევის საცხოვრებლის ნიმუშები. ეთნოლოგებმა ჯერ კიდევ წლების წინ გამოთქვეს მოსაზრება, რომ აჭარულ, შავშურ-იმერხულ, ლაზურ საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების ხის შენობა-ნაგებობებზე დაკვირვებით იკვეთება ერთიანი სურათი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხის დამუშავების ისტორიისა.

XIX საუკუნის დასასრულს შავშეთში მოგზაურობისას მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე საუბრობდა ტაო-კლარჯეთისა და აჭარის საცხოვრებელ ნაგებობათა ტიპების ახლო მსგავსებაზე. მიუთითებდა, რომ საცხოვრისის განვითარების მხრივ ქართველი მუსლიმანები ბევრად უფრო მაღლა დგანან თვით ნამდვილ ოსმალებზეც.

ასევე ხაზს უსვამდა, რომ შავშელები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ, როგორც ხის დამუშავების ზედმიწევნით მცოდნენი.

უწინარესად, დასახლებათა შესახებ: ერთმანეთის მეზობლად არიან შავშელ-იმერხელები ჭოროხის ხეობაში, ასევე მტკვრის ხეობაში მცხოვრები სამხრეთ სამცხელები, კოლა-არტაანელები. შევადაროთ ერთმანეთს, ერთი მხრივ, დიობანის ხეობის ფაფართილეეს გასწვრივ მდებარე დასახლება, ხოლო მეორე მხრივ, სოფელ ხეოთისა, ფოცხოვის ხეობაში — სამხრეთ სამცხეში (რომლის უნიკალურობაც იკვეთება ისტორიკოს ბუბა კუდავას მიერ გადაღებულ ფოტოზე). მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ერთი წყალგამყოფი ქედია, დასახლების ტიპითა და ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობებით მათ საერთო გაცილებით მეტი აქვთ ისტორიული სამშობლოს სხვა კუთხეებთან, ვიდრე ერთმანეთთან. ხეოთის დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი ტიპოლოგიურად ახლოს დგას დანარჩენ, ჩრდილოეთ მესხეთთან — სამცხე-ჯავახეთთან, აგრეთვე ქართლის ტრადიციულ საცხოვრებელთან, ნაწილობრივ — აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოფლების შეგუფებულ დასახლებებთან (როცა ერთი სახლის ბანი მეორე სახლის ეზოა, ხშირ შემთხვევაში კალოა გამართული). იმერხეული სოფელი კი ჩრდილოეთით, ქედს გადაღმა მდებარე აჭარული, ასევე მთაგორიანი გურია-სამეგრელოსა და იმერეთის დასახლებათა მსგავსია. იმერხეული სოფელი ასევე მსგავსია მის დასავლეთით, ლაზისტანის ქედს გადაღმა მდებარე ლაზური სოფლებისა, სარფიდან ტრაპიზონამდე.

დასახლებები იმერხევიში, შეიძლება ითქვას,



სოფელი ბაძგირეთი



თაბარის ხიდი თ იმერსახში მივდივართ...

ხევისპირულია. იგი მდინარეთა ხეობებს მიუყვება. სოფლები დაყოფილია უზნებად ანუ მეჭვლეებად. თითოეულ უზანში ძირითადად თითო მოდგმის (ერთი გვარის, ერთი წარმომავლობის) ხალხი ცხოვრობს, ანუ ადრე ეს უზნები მონოგენური ყოფილა. ჩვენი მთხრობლის, ადგილობრივ მკვიდრ მეჭმედ ბაბას (ძველი გვარი ბაბელიძე) გადმოცემით, სოფელ ბზათაში, რომელშიც დღეს ასამდე კომლია, არის წარმომავლობითი ზაქარიადების, ფილიპიძეების, ლაიქიძეების, ბაბელიძეების, ყასლიძეების უზნები. სოფელ უბეში კი გვხვდება კულუდიძეების, ხოჯიძეების, ჭივიძეების, მოლიძეების, მჭედლიძეებისა და სხვათა უზნები.

როგორც ჩვენი ბათუმელი კოლეგა თამაზ ფურტკარაძე შენიშნავს, იმერხეველი სახლს ნესტთან ნიადაგზე არ ააშენებს. არჩევენ მყარ და მშრალ ადგილს. მიწას სიმშრალის შესამოწმებლად ღრმად ამოთხრიან, რათა დაადგინონ, სიღრმეში ამოდის თუ არა წყალი. ხალხურ ტრადიციასაც მიმართავენ: ასაშენებელ ადგილას დადებენ დიდ ქვას, თუ მის ქვეშ რამდენიმე დღეში ჭიანჭველები დაიბუდებენ, ე.ი. ადგილი მშრალია (სხვათა შორის, ეს მეთოდი მთიან აჭარაშიც ცნობილია). ითვალისწინებენ აგრეთვე გზასა და სასამელ წყალთან სიახლოვეს.

იმერხეული კარ-მიდამო დღესაც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისას მოგვაგონებს. ეს არის ერთიანი კომპლექსი, სადაც ძირითადი ადგილი უკავია საცხოვრებელს, აქვეა სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობა. კარ-მიდამოს უმეტესი ნაწილი უჭირავს დამუშავებულ მიწას – ბაღ-ბოსტანს, სიმინდის ყანას, კარტოფილის ნათესს (აქაურები რომ მიწახაპას ეძახიან), ხეხილს. სათიბები მოშორებით აქვთ. იმერხევეში, მართალია, ვენახი არ აქვთ, მაგრამ მცირე რაოდენობით თითქმის ყველა ოჯახში შეხვდებით რამდენიმე ჯიშის ვაზს, რომელიც ძირითადად ეზო-კარის სამშენისად გამოიყენება. ყურძნისგან კი აქაურები ბადაგს ადულებენ.

შავშურ-იმერხეულმა საცხოვრისმა, მსგავსად აჭარულისა, განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. როგორც ირკვევა, ადრეული საცხოვრებელი წარმოადგენდა ერთსართულიან, ძელებით ნაგებ ჯარგვალს, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ზირთული (ძირთალი) ჯარგვალი ეწოდება. მის საფუძველზე უნდა განვითარებულიყო ზედშედგმული, ანუ ორსართულიანი ჯარგვალი. ამ ტიპის ნაგებობანი ფრაგმენტულად შემორჩენილია იმერხევის სოფლების, ბაძგირეთისა და ზაქეთის იაილებში, სადაც დღევანდელი მომთაბარე მწყემსებისთვის სემონურ სამყოფელს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში პირველი სართული ახორია ანუ ბოსელი, მეორე – მწყემსის სამყოფი.

ორსართულიანი ჯარგვალიდან განვითარდა როგორც აჭარული, ისე იმერხეული, ფიცრით ნაგები ხის სახლი. ამ ტიპის აჭარული საცხოვრისი მიჩნეულია ხით ხუროთმოძღვრების ერთერთ საუკეთესო ნიმუშად. ასეთივეა იმერხეული საცხოვრისიც (ადგილობრივები მას შემის სახლს უწოდებენ).

შავშეთ-იმერხევეში გავრცელებული საცხოვრისის ტიპს წარმოადგენს აგრეთვე ვერტიკალურად ნაშენი ორ- ან სამსართულიანი (იშვიათად ოთხსართულიანიც) ხის ანუ შემის სახლი, რომელიც მთიანი აჭარის საცხოვრებელ ნაგებობებს წააგავს. ამავე დროს, გააჩნია დამოუკიდებელი, ორიგინალური კონსტრუქციული ელემენტები.

საინტერესოა, რით განირჩევა იმერხეული სახლი დასავლურქართული, ძირითადად აჭარულისგან და რა მსგავსებაა მათ შორის. შემის სახლში საცხოვრებელს მეორე და ზოგჯერ მესამე სართული უკავია. მთავარი კომპოზიციური ადგილი ე.წ. სალონს უჭირავს. ეს არის მისაღები ოთახი, რომელსაც აჭარაში მაიდან ოდა ეწოდება, მაჭახელას ხეობაში კი – მუსაფირების, ანუ სტუმრების ოთახი. აქვე არის რამდენიმე საძინებელი. ერთი, როგორც წესი, ოჯახის უფროსი ცოლ-ქმრისთვის. საძინებლებს უწოდებენ ოდას, დიდ ოდას, წინა ოთახს. აქვე დავექნდით, რომ ტერმინი ოდა, რომელიც იმერხევესა და აჭარაში კონკრეტულ ოთახს აღნიშნავს, დასავლეთ საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული ხის საცხოვრისის სახელად იქცა. იმერხეულ სახლში მეორე სართულზეა განთავსებული მუთუალი, ანუ სამზარეულო. აჭარულ სახლში არის ერთი საყურადღებო სეგმენტი – სარძიე. ანალოგიურია იმერხევეში, სახლის ჩრდილოეთ მხარეს განთავსებული ოთახი, რომელსაც მეტად საინტერესო სახელი აქვს – მარანი (იგი საქართველოში სემანტიკურად საყოველთაოდ ცნობილი დანიშნულების სათავსია ღვინისა და მევენახეობის პროდუქტებისთვის). ხოლო იმერხეული მარანი, ფაქტობრივად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სარძიეა. აქ ხდება რძის პროდუქტების ყოველდღიური გადამუშავება. იქ განთავსებული იყო სადღვებელი ანუ ვარია, რომელსაც დღეს ერბო-კარაქის მისაღები სეპარატორი ენაცვლება. აქვე იბადება კითხვა: ტერმინი მარანი ხომ არ არის კლარჯეთში მევენახეობის ძველი ტრადიციის გამოძახილი? მით უფრო, რომ ყურძენი იქ ამჟამადაც მოჰყავთ (თუმცა გასაგები მიზეზების გამო, ღვინოს აღარ აყენებენ), ხშირად კი ვაზს საცხოვრისის აივნის შესამკობადაც გამოიყენებენ...

იმერხეული სახლის აივანი სწორედ ის გამორჩეული არქიტექტურული დეტალია, რომელიც ფაქტობრივად აქაური საცხოვრისის განუ-



ქოქლიეთი. ფაფარტის ხეობა. იმერხევი



ეს ართვინია, ტაო-კლარჯეთის შინა-წყალი ძირითადად ამ ვილაიეთშია. ართვინთან, ჯოროხზე ჰესების კასკადი შენდება, რომელსაც ბევრი სოფელი შეეწირება...

ყოფელ და მახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს. აივანს იმერხევიში ტანტრაბას უწოდებენ. იგი მთელ სიგრძეზე გასდევს სახლს, ზოგჯერ კი მის სიგანეზეც გრძელდება. მას აქვს როგორც მოსასვენებელი, ასევე სამეურნეო ფუნქციაც. აივანს რიკუნეები ამკობს, რომელიც ორი სახისაა. ერთი უფრო გავრცელებული, ცერად გადაჯვარედინებული ლარტყებისგან შეკრული მოაჯირი, ანუ

შალამფორი (შალამფური) იმდენად მახასიათებელი ელემენტია, რომ თანამედროვე იმერხეულ სახლებში ხშირად გამოიყენება (როგორც ხის, ასევე აგურის საცხოვრებლებში) და ტრადიციულ ელფერს აძლევს მათ. შალამფორი ცნობილია ასევე ლათაის ანუ ჩითას სახელითაც. მეორე სახის რიკუნეები ჭვირული ორნამენტებით არის გამოყვანილი. მისი ანალოგები დასავლეთ საქართველშიც

ნოდარ შოშითაშვილი

ველოს ხის არქიტექტურაში უხვად დასტურდება.

იმერხეული აივნის, ანუ ტანტრაბის რიკულეების ფორმა გამოძახილს დასავლეთ საქართველოს ხის არქიტექტურაში პოვებს. შევადაროთ თუნდაც აბაშის რაიონის სოფელ მარნისა და ამბროლაურის რაიონის სოფლების – ტოლასა და ღვარდიას არქიტექტურულ დეტალებთან.

იმერხეული სახლის ორიგინალური, მისთვის დამახასიათებელი ელემენტია კოშკი, იგივე ქოშქი. ეს არის აივანზე წინ გამოწეული არქიტექტურული დეტალი, რომელსაც აქვს მოსასვენებელი სექვი სკამლოგინით. სექვი დამახასიათებელია დასავლეთქართული ოდასახლებისთვის. განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში სექვი სკამლოგინი კი არა, აივნის მთელ სიგრძეზე გამოყოფილი დეტალია.

იმერხეულ საცხოვრისში, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მთის კუთხეების დარად, სამეურნეო ფუნქციის მქონე სათავსები წარმოდგენილია არა დამოუკიდებელ ნაგებობად, არამედ შენობის კომპლექსში. ასეთია მაგალითად, ბელელი, ფაქტობრივად, საცხოვრისზე მიდგმული სათავსი. ბელელს ძირითადად ნაძვის ხისგან აშენებენ, რადგან ამ ხეს ანტისეპტიკური თვისებები აქვს და ამდენად, ხელსაყრელია მარცვლეულის, ფეკილისა და სხვა პროდუქტების შესანახად. ზოგჯერ ბელლის ფუნქციას იმერხეული სახლის ზედა, ერთგვარი ანტრესოლის ნაწილი, ანუ თავანი ასრულებდა. ბელელს მასაც უწოდებდნენ. ასევე იყენებდნენ საყათელას – სართულებს შორის არსებულ 30-40 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე სივრცეს (ბოსლის სუნის თავიდან ასაცილებლად). ხშირად საყათელა შინაური ფრინველის საბუდრადაც გამოიყენებოდა.

იმერხეული სახლები მხოლოდ წიწვოვანი ხის მასალისგან იგებოდა, ანუ ნაძვის, სოჭისა და ფიჭვისგან, რომელსაც აქ კატარს უწოდებენ.

სახლების ბურვილის მასალაში კი ერთფეროვნება იკვეთება. არც ერთ ეტაპზე მისთვის დამახასიათებელი არ ყოფილა მცენარეული საფარი. საკვირველია, მაგრამ არც კრამიტის ტრადიცია არსებობდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ამ გარემოებას მთხრობელები იმერხევისთვის დამახასიათებელ დიდთოვლობას მიაწერენ. ძირითადი სახურავის მასალა ყავარი გახლდათ, საქართველოს გარდამავალი ზოლისა და მთიანი ოლქების მსგავსად. ტრადიციულად ყავარს ნაძვისგან ხდიდნენ. მისი დაწყობის ფორმაც ტრადიციული, ქართული იყო: სამი და ხუთი ფართი ფორმითა და საქოლაგით. მთხრობელებს მიაჩნიათ, რომ ღურსმნის მაგივრად საქოლავის გამოყენება გამოწვეულია რკინის კოროზიული თვისებით. ასეთი საქოლაგები იაილებზე ბოლო

პერიოდამდე შემორჩა. აქაც მკაფიო ანალოგიაა საქართველოს კუთხეებთან.

ყავარი დღეისთვის ლითონით, თუნუქით (საჯით) გადახურვამ შეცვალა. მეტალოპლასტმასა, მეტალოკრამიტით არაპრაქტიკული აღმოჩნდა ისევ და ისევ დიდთოვლობის გამო. პრაქტიკამ აჩვენა, რომ აქაურ პირობებს იგი ვერ უძლებს.

გადახურვა საყოველთაოდ ტრადიციული, ორფერდაა. მთავარი კონსტრუქციული ელემენტია ზედა გამჭოლად გადებული დირე, რომელსაც ვირბალას ეძახიან იმ დიდი დატვირთვის გამო, რომელიც მასზე მოდის.

სამეურნეო ნაგებობებიდან იმერხევაში ცალკე მდგომი მხოლოდ საბძელია, მრავლისმეტყველი სახელწოდებით – ქორი. ადრე უმეტესად ქორებს სათიბებში აგებდნენ, ამჟამად უფრო საცხოვრისის კომპლექსშია. ეს ერთსართულიანი ჯარგვალური ნაგებობაა ყავრის საქოლაგით. ამჟამად მას ერთი სართული დაემატა, ხოლო პირველ სართულს ახორის დატვირთვა მიეცა. იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ჰიგიენური მოსაზრებებით გამოვიდა საცხოვრისის პირველი სართულიდან და სწორედ ქორში გადაინაცვლა.

უჩვეულოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ იმერხევაში არ აქვთ ნალია ანუ სასიმინდე მაშინ, როდესაც სამეურნეო დანიშნულების ამ ელემენტს ფართოდ იყენებენ დასავლეთ საქართველოში. ლაზეთში კი მან დამახასიათებელ ე.წ. ფახვერკიან საცხოვრებელთან ერთად, რეგიონის არქიტექტურული სახე შექმნა, განუმეორებელი ჩუქურთმებითა და მორგვალებით. მეტიც, ნალიამ შიდა ქართლშიც კი შეაღწია ჯიხურ-ჯინიძარის სახით. როგორც ჩანს, იმერხევაში ნალიის ფუნქცია ტრადიციულმა ტანტრაბამ – აივანმა იტვირთა. სიმინდის გაშრობა 3-ნ-კონიანი გადაბმით რამდენიმე კვირაში ხდება და ამის შემდეგ იგი ბელელ-თავანში ინაცვლებს.

ლაზური ტიპის ფახვერკ-ჩალაგარიანმა საცხოვრებელმა კი აჭარის ქვედა ზონაშიც შეაღწია. შეაღწია აგრეთვე ნიგალის ხეობაში, ბორჩხაში. იმერხევაში კი ერთეული სახითაც არ გვხვდება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ერთი მხრივ იმერხეული საცხოვრისი ტრადიციულობით და შეიძლება ითქვას, კონსერვატიულობითაც გამოირჩევა, ხოლო მეორე მხრივ, ბევრი ელემენტით მსგავსა და ეხმარება საქართველოს კუთხეების საცხოვრებელ ნაგებობებს.

იმედს ვიტოვებთ, ეს მსგავსება საქართველო-თურქეთის გაუმჯობესებულ ურთიერთობათა ფონზე კიდევ უფრო დაახლოებს იმერხეველებს საქართველოსთან, მის კულტურასა და ტრადიციებთან...



იმერხევის იაილეები, აჭარის მსგავსად, შემორჩენილია ყვერით გადახურული ჯარგვალეები, — როგორც „ძირთული“, ისე „ფედშემული“



იმერხევიში პივანი, ანუ მანძრაბა მთელ სიგრძეზე გასდევს ხახლს



აკვედ ალთუნის (გოლიძის) შორში სახენელი „არუნი“ ინახებოდა, ხოლო სახლში — გაგაბაისიული ნივთები

ნანილი მემორე

რევორტაშები მარმარილოს ზღვის სანაპიროს ქართველთა დასახლებებიდან

რევორტაში პირველი

„ჩვენ ჩვენი გურჯული ენა დევინარჩუნეთ“...

ერთი თვე მარმარილოს ზღვის სანაპიროს თურქეთელ ქართველებთან

თურქეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების თემის დიდხანს ტაბუ ელო საქართველოში. მით უფრო, საბჭოთა პერიოდში, როცა თურქეთთან საზღვარი, ფაქტობრივად, ჩაკეტილი იყო. 1829 წლიდან მოყოლებული, რუსეთისა და ოსმალეთის „მონდომებით“, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარადან დაიწყო ქართველ მუსლიმთა გადასახლება ოსმალეთში. თურქი ემისრები დაძრწოდნენ სოფელ-სოფელ და ამინებდნენ მუსლიმ ქართველთ, რუსები ოჯახებს აგიწოკებენ, ცოლ-შვილს შეგიგინებენ, ძალად გაგაქრისტიანებენ, ოსმალეთში კი მხარში დაგიდგებით და საუკეთესო პირობებს შეგიქმნითო. ოსმალეებს თავიანთი დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისება სურდათ გამრჯე, მეომარი და ლამაზი ხალხით, ხოლო რუსეთს, რომლისთვისაც საქართველოს სამხრეთი ნაწილი იმპერიის საზღვარი იყო, მიზანმიმართულად ეწადა ქართველთაგან დაცლილ მიწა-წყალზე უპირატესად რუსების ან არაქართველთა (სომხების, ბერძნების) დასახლება.

აჭარიდან მუჰაჯირთა ძირითადი ტალღა 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გაედინა. ქართველ მაჰმადიანთა ოჯახები დედაბუდიანად იყრებოდნენ, ცარიელდებოდა ხვავით სავსე სოფლები, ტოვებდნენ სახლებს, სარჩო-საბადებელს, წინაპართა საფლავებს... მიდიოდნენ, ვისაც რით შეეძლო: ურმებით, ნაგებით, მოძველებული გემებით... ყველამ როდი ჩააღწია ახალ სამკვიდროს. პროცესი არ შეწყვეტილა (თუმცა მინელდა კი) XX საუკუნის 20-იან წლებამდე.

ეს მოვლენა ბევრად უფრო მასშტაბური და მძიმე იქნებოდა, რომ არა ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილის (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი გურიელი, გიორგი ყაზბეგი) თავდადება, რომელთა ხელშეწყობითაც არათუ შემცირდა საქართველოდან მუსლიმი ქართველების სამკვიდროდან აყრა, არამედ წინა წლებში გადასახლებულთა ერთი ნაწილი ქვეყანას უკან დაუბრუნდა.

მუჰაჯირებად გადაიხვეწნენ არა მხოლოდ აჭარიდან, არამედ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შემოერთებული ართვინის ოლქიდან — მურღულისა და ბორჩხა-მარადიდის ხეობებიდან. სამწუხაროდ, ეს ხეობები მალე ისევ თურქეთის მფლობელობაში მოექცა და XVI საუკუნიდან ოსმალეების მიერ ქართველთათვის წართმეულ მიწა-წყალს (ისტორიულ ტაო-კლარჯეთს) მიემატა.

ქართველი მუჰაჯირების განსასახლებლად ორი დიდი არეალი გამოიყო მაშინდელ ოსმალეთის იმპერიაში (ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკა) — სამხრეთ შავი ზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის სანაპიროები, ასევე მათი მიმდებარე ტერიტორიები.

გადასახლებულნი ისეთ ადგილებში ცდილობდნენ დამკვიდრებას, რომლებიც მათ მშობლიურ სოფლებს ჰგავდნენ მთა-ბარით, ტყეებით, მინდვრებით, ღელე-ნაკადულებით, ფლორითა და ფაუნით... მეტიც, სოფლებს, დასახლებულ პუნქტებს, სახნავ-სათესებს, მდინარეებს ქართულ სახელებს არქმევდნენ. მარმარილოს ზღვის სანაპიროზე საქარიის ვილაიეთში დღეს მთავარ მდინარეს, საქარიაჩაის ადგილობრივი მოსახლეობა ჭოროხს ეძახის. მართალია, თურქეთის მთავრობამ ქართული სახელები გადაარქვა მთავარ დასახლებულ პუნქტებს, მაგრამ მიკროტოპონიმებს ვერაფერი მოუხერხა. დღესაც გაიგონებთ ადგილობრივთაგან: შავღელე, ქვიანღელე, კორდები, წითელმიწა, ცივწყალი, კალოები, ბალიანიყანა, თომასღელე, ღელე-ბოსტანი...

ქართული ხელოვნების სახლები

სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის მიზანი თურქეთელ ქართველთა ყოფისა და კულტურის შესწავლაა, სტამბოლის აზიური ნაწილიდან დავიწყეთ. აერობორტი პირველი თურქი მფრინავი ქალის, საბირჰან გიოგჩელის სახელობისაა. ჩვენი მასპინძელი გიორგი ირემაძეა (შემსედინ იემი), სტამბოლში ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი, მაჭახლისხეობელი ჩვენებური კაცი. მის სოფელს უმშვენიერესი სახელი ირემეთი ჰქვია... ხელოვნების სახლს იბერია მელაშვილი, სახელგანთქმული აჰმედ ოსკან მელაშვილის ვაჟი ხელმძღვანელობს. მკითხველს ალბათ იმის შესხენება არ დასჭირდება, რომ სწორედ აჰმედ მელაშვილმა გამოაღვიძა თურქეთელ ქართველებში ეროვნული სიამაყე და ქართული სული, აჰმედ მელაშვილს თურქეთელ ილია ჭავჭავაძესაც უწოდებენ და სწორედ დიდი ილიას მსგავსად დაასრულა სიცოცხლე (იმ განსხვავებით, რომ ილია თავისმა თანამემამულეებმა გასწირეს, აჰმედ მელაშვილი კი – თურქმა ნაციონალისტებმა). ხელოვნების სახლში, რომ იტყვიან, ქართული სული ტრიალებს. აქ იკრიბებიან საქართველოთი, საკუთარი ფესვებით, წარმომავლობით, ენით, ანბანით, კულტურით დაინტერესებულნი. აქ მისულები ერთგან თუ ქართული წერა-კითხვის შემსწავლელ სხვადასხვა ასაკის ადამიანს შევხვდით, მეორეგან ქართული სიმღერის გაკვეთილს შევსწარიით, მოზრდილ დარბაზში ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილ მოცეკვავეებსაც შევხვდით... აჰმედ მელაშვილის ანსამბლს, რომელსაც „კავდალი“ („კავკასიონი“) ჰქვია, თბილისშიც იცნობენ. ანსამბლის წევრთა უმეტესობა თურქეთელი ქართველია. ყველა მათგანი მღერის და უკრავს ქართულ ტრადიციულ საკრავებზე (ფანდური, სალამური, ჩონგური, დოლი, გარმონი, ჭიბონი...). განსაკუთრებით პოპულარულია მათი შესრულებით აჭარული „ჯირველო ნანაი და“ აჭა-

რულ ცეკვასთან ერთად. ამ კომპლექსური სიმღერა-ცეკვის გარეშე აჭარული ლხინი და ქორწილი ხომ წარმოუდგენელია...

სტამბოლში, ამ თითქმის 14-მილიონიან ქალაქში ასეთი რამდენიმე საზოგადოებაა, რომელთაც საკუთარი ხარჯებით აფინანსებენ აჭარული გურჯები. ათეულობით ქართული ხელოვნებისა და კულტურის სახლი მოქმედებს საუკუნე-ნახევრის წინ საქართველოდან გახიზნულ ქართველთა შთამომავლებით განსახლებულ ვილაიეთებსა და ილჩიებში (რაიონებში). ეს ერთგვარი ხიდია თურქეთელ ქართველებსა და საქართველოს შორის. ბევრი ჩვენებური აქ ეცნობა ერთმანეთის შემოქმედებას, ლაპარაკობენ, კითხულობენ, წერენ, მღერიან, ცეკვავენ ქართულად. ქსოვენ ქართულ ორნამენტებით, ერთმანეთს უზიარებენ ეროვნული კერძების რეცეპტებს.

ერთი დეტალიც: თუ თურქეთელმა ქართველებმა მშობლიური ენა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნეს, ამას ვერ ვიტყვით წერა-კითხვამ, ქართულ ანბანზე. ალბათ ამიტომაც ჭარბობს ქართული კულტურისა და ხელოვნების სახლებში მოყავისფრო დაფები კედლებზე, მომცრო, ფლომასტერით საწერი დაფები მაგიდებზე და ამ დაფებზე გულმოდგინედ გამოყვანილი „აი ია“ და „საქართველო“...

აია სოფია

ბოსფორის სრუტეზე ბორნით მივდივართ ქვეყნისა და ქალაქის ევროპული ნაწილისკენ. ოქროს რქის ყურეც გამოჩნდა. ლეგენდარული ისტორიული ადგილი. სწორედ აქ გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ოსმალების სულთან მეჰმედ ფათიჰისა და ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს XIII-ს შორის 1453 წლის 29 მაისს. სწორედ აქ და ამ დღეს დასრულდა ბიზანტიის და კონსტანტინეპოლის ძღვემამოსილი ისტორია და ოსმალთა განდიდება დაიწყო. კონსტანტინეპოლი



სტუმარს ახი მიმობა სოფელი აჰმედში



საქარის ილაში

ნოდარ შოშითაშვილი

ისტანბულად იქცა. მისი ბედი გაიზიარა წმინდა სოფიის მართლმადიდებლურმა ტაძარმა. სულთნის ბრძანებით იგი მეჩეთად გადაკეთდა და მინარეთები ოთხივე კუთხეში მიაშენეს. დღეს აიას სოფიაში მუზეუმი. მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიან ამ განსაცვიფრებელი ტაძრის სახილავად.

წმინდა სოფიის ანუ სიბრძნის ტაძარი ხუთ წელიწადს შენდებოდა და 537 წელს დასრულდა ბიზანტიის ძღვევამოსილ იმპერატორ იუსტინიანე დიდის დროს. ამ გრანდიოზული ნაგებობის შემოქმედნი არიან ანთიმოზ ტრასელელი და ისიდორე მილეთელი. ტაძარს 30 მეტრი დიამეტრის მქონე გუმბათი აგვირგვინებს. სვეტები შიდა სივრცეს რამდენიმე ნაწილად ჰყოფს, ხოლო გუმბათის ძირში გაჭრილი 40 ფანჯარა ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მთელი ეს გუმბათი ჰაერშია გამოკიდებული. კედლები ძვირფასი მარმარილოთა მოპირკეთებული. შემორჩენილია მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდანთა უნიკალური მოზაიკური გამოსახულებები...

რაც „დიდ დედებს“ უსწავლობიათ...

თურქეთში გუბერნიას ილი ჰქვია, ხოლო რაიონს – ილჩე. მარმარილოს ზღვის რეგიონში მდებარე საქარის ილი ქართველ მუჰაკირთა განსახლების ერთ-ერთი უდიდესი არეალია. მარტო ჰენდეკის ილჩეში თხუთმეტი ქართული სოფე-

ლია, ძირითადად მურღულის ხეობიდან გადმოსული აბაშიძეების, ლორთქიფანიძეების, კირვალიძეების, ათაბეგების, ბოლქვაძეების, ცისკარიშვილების შთამომავლები. ამავე ილჩეში ორი ლაზური, სამი აფხაზური და ერთი ჩერქეზული სოფელია. ჩვენი მთხრობელი მუჰამედ უზანი გვიყვება, რომ მისი წინაპრები ჭოროხის ხეობიდან, სოფელ ქართლადან გადმოსულან და დიდ დედები (ბაბუები) ბოლქვაძეები ყოფილანო (აქვე განვმარტავ, რომ დღეისთვის აღარც ჭოროხის ხეობის ეს ნაწილი ეკუთვნის საქართველოს). სოფლისთვის ქოშქოიუ, ანუ კოშკის სოფელი დაურქმევიათ, რადგანაც აქ ერთი კოშკი დახვედრიათ (ეტყობა აქაურობა ნასოფლარს წარმოადგენდა). ეს სოფელი იმიტომაც შეურჩევიათ, რომ აქ ტყვე არის, სახნავ-სათესიც და ქართლასაც ძალიან ჰვავს. სოფელს ახლაც მუხის, წიფლის, კაკლისა და წაბლის ტყეები აკრავს გარს. თავდაპირველად ხის სახლები აუგიათ, წაბლის მორებისგან აუშენებიათ ჯარგავლები. ტყე-ბუჩქნარი გაუკავფათ და ახო-ხოდაბუნებად უქცევიათ. ხორბალსაც თესდნენ, ქერსაც, სიმინდ-ლობიოსაც. ხარ-ძროხაც ჰყავდათ და თხასა და ცხვარსაც უვლიდნენ. დიდ ფართობებზე აშენებდნენ თამბაქოს, რომლის მოყვანის ტრადიციაც ქართლადან გადმოუყოლებიათ. დღეს ეს კულტურები თხილმა ჩაანაცვლა, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში. აქაურებს თხილის იმდენად უხვი მოსავალი მოჰყავთ, რომ ხშირად თავად ვერ აუდიან და არცთუ იშ-



აია სოფია



ქართული ხელოვნების სახლი სტამბოლში



ანსამბლი „კაფდალი“, შუაში იბერიის გელაგვილი



გიორგი ირემაძე და სტამბოლში ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი



გუგამედ შხანი: — ჩვენ დიდ დედებს ურთის კეთების ხელოვნება ქართულადან წამოვლიან...



ჰინდეკელი კატარა „ლაზარბურჯები“

ნოდარ შოშითაშვილი

ვიათად, საქართველოდან სამუშაოდ ჩასულთაც შეხვედებით, რომელთაც თხილის შეგროვებისთვის დღიურად 40-50 ლირას უხდიან ადგილობრივები. სოფელ ყიშლაჩაიში რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა ხეტყის სამუშაოებზე შეგვხვდა.

თხილის მოსავლის აღება-დაბინავება არცთუ ადვილია. ხიდან ჩამობერტყავენ წაბლის ან თხილის გრძელი ჭოკებით, რომელსაც ისევე როგორც საქართველოში, აქაც ხალას ან ხაშარს ეძახიან. ჩენჩოიანად აკრეფენ, გააშრობენ ეზოებში და შემდეგ სპეციალური ელექტრომანქანით გაკროლავენ (ანუ გაარჩევენ). 1 კვ თხილის ფასი, მოსავლიანობის შესაბამისად, 3-5 ლირას შეადგენს.

თუ საქარიის ილში მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს თხილი წარმოადგენს, ბურსა-გემლიკში ზეთისხილის უზარმაზარი პლანტაციები აქვთ, ცენტრალურ ანატოლიაში – ხორბალი, ხოლო მთელ თურქეთს საუკეთესო ჩაით ამარაგებს ლაზეთი თურქეთის სარფიდან ათინა-არდაშენამდე. რიგეს ჩაიმ არა მხოლოდ ჩაის სმის კულტურით საყოველთაოდ ცნობილი თურქეთი „ათვისა“, არამედ დიდ ბრიტანეთშიც შეაღწია და ცეილონურ და ინდურ ჩაის უწევს კონკურენციას.

ჩაიზე უარს ნუ ითყვით...

აქაურ ქართულ ოჯახებში, ისევე როგორც მთელ თურქეთში, ჩაის სმის გამორჩეული ტრადიციაა. ჩაით გემასპინძლებიან არა მხოლოდ ოჯახებსა და საჩაიებში, არამედ მაღაზიაში შესულსაც. ჩაის სვამენ პატარა (ასგრამიანი), გამოყვანილი მინის თხელი ჭიქებით (სხვათა შორის, ჩვენთან ეს ე.წ. წელში გამოყვანილი ჭიქები გასული საუკუნის დასაწყისში ღვინის პოპულარულ სასმისად მიიჩნეოდა). სურვილისამებრ მოგართმევენ შაქრიან, უშაქრო ჩაის, ჩაის ნატეხი შაქრით. თუ ჩაი შემოგთავაზებს და უარი განაცხადე, ჩათვალეთ, რომ მასპინძლის ნდობას ველარაფრით მოიპოვეთ.

ქალაქის ტიპის დასახლებებში თურქულ (ნალექიან) ყავასაც შემოგთავაზებენ, თუმცა აქაური ჩაი მაინც შეუცვლელია. აქაური წესით მოდულეებული ჩაი ძალიან გემრიელია, რომლის საიდუმლოსაც ჩვენც ვეზიარეთ.

გემრიელი ჩაი დაგვახვედრეს ჩვენი ერთ-ერთი მასპინძლის, მუსტაფა კოლატის მშობლიურ სოფელ ნურმუშამედიეშიც, სადაც ქართველ მეცნიერებს ლამის მთელი სოფელი შუალამედე გველოდებოდა. დიდი ხნის უნახავი ახლობლებივით შევხვდით ერთმანეთს.

ახალგაზრდა ეთნოლოგი გიორგი ავთანდილაშვილი: – ბედნიერი და გახარებული ვარ.

ლამის პირველ საათზე თურქეთელი ქართველებსგან ეთნოგრაფიულ მასალას ვიწერთ. მეამაყება ჩემი პროფესიის! ეს ხალხი შუალამედე გველოდებოდა, როცა გაიგეს, ქართველები მოდიან ჩვენი სანახავადო. როგორი განცდებით დაგვიხვდნენ, ვერ ავიხსნით. ეს უნდა გენახათ!..

მედიჰა-მედეა

საქარიის ილში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მეგზური მედიჰა ილდიზია (ილდიზი თურქულად ვარსკვლავს ნიშნავს), ჩვენებურად – მედეა თავდგირიძე. მედეა ქალაქ აქიამში ცხოვრობს. პროფესიით ფარმაცევტია, მაგრამ იმავდროულად კარგად იცნობს ორი ქვეყნის – საქართველოსა და თურქეთის კულტურასა და ხელოვნებას. არ მოისვენა, სანამ თავისი სოფელი, აშმედიე და ხისიმები (ნათესავები) არ გაგვაცნო. საჭეს თვითონ უჯდა და მთელი გზა თავის ქართულ ფესვებზე გველაპარაკებოდა. მისი შორეული წინაპრები ქობულეთელი ბეგები ყოფილან. ქობულეთიდან შუახევი გადასულან, იქიდან კი – აშმედიეში. აქ ცხოვრობენ თავდგირიძეების, ხიმშიაშვილების, მაკარაძეების შთამომავლები (ოღონდ აშკერად თურქული გვარებით). მედეა მათ საკუთარი ფესვების, გვარების, ანბანის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნებას უადვილებთ. სოფლის შესასვლელში ქართულ-თურქულენოვანი ფირნიში აღუმართავს თურქეთელი მოცეკვავე ქართველების ფოტოთი და გულითადი მიპატიჟებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სოფელ აშმედიეში“.

ჩვენი იქ ყოფნისას მედეა-მედიჰამ ისიც გავიძინა, საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად საბუთები ჩავაბარეო და მოუთმენლად ელოდა პასუხს. მედეა-მედიჰა დღეს საქართველოს მოქალაქეცაა და თქვენთან ერთად ვულოცავთ მას ამ სიხარულს...

– ჩვენ წყალში ამოვლებული ლამაზგურჯები ვართ, – გვეუბნება მედეას ბიძა, ჰუსნი ჩეთიკაია (ხიმშიაშვილი) და იმასაც გვიხსნის, თუ რატომ არიან „ლამაზგურჯები“. იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი გურჯული ენა დევინარჩუნეთო. ჩვენი მეზობელი ბიგიდერელი აბამები (აფხაზები) კი აფხაზურს დაბლაგვებულად ლაპარაკობენო...

70-ს მიტანებული ჰუსნი ხიმშიაშვილი იმასაც იხსენებს, რომ სკოლაში შესვლისას 33 „ბადვიდან“ თურქული არც ერთმა არ ვიცოდით, მერე ვისწავლეთო. დღეს კი ბავშვებმა ქართული ძალიან ცუდად, ან სულაც არ იციან... სწორედ ეს არის მედეასა და ჩვენი საწუხარცო... ამიტომაც მიხარია ახალი ქართული კულტურის ცენტრების გახსნაო...



შეხვედრა ქართველ მემკვიდრეთან სოფელ ნურგუპაშადიეში



გიორგი ავთანდილაშვილი: დ ეს ხალხი შუალემდე გველოდებოდა, რომ ბაიგას, ქართველები მოდიან ჩვენს სანახავად...



გურჯი (გოსტანაშვილები) ბაბია-შვილიშვილი სოფელ რეზადიდან, ჩვენი გულითადი მსახიობები



მედიკა თავდგირიძემ ხალ ახლანან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო



ვაზი აქაური კარ-მიდამოს აუცილებელი "აძრებუთია"

„ჩვენ სახლი ხშირად უნდა დევნახოთ“...

მოგზაურობა მარმარილოს ზღვის რეგიონში, თურქეთელ ქართველთა დასახლებებში გრძელდება. მუჰაჯირების შთამომავალნი განსახლებულნი არიან ქოჯაელის (მთავარი ქალაქი იზმიტი), საქარიის (ადაფაზარი), ბურსის (ბურსა), იელოვასა (იელოვა) და სხვა ილებში, ანუ გუბერნიებში. ზოგი სოფელი მთაგორიან ლანდშაფტზეა, ზოგს სამოსახლოდ დაბლობი აურჩევია, ცხოვრობენ ზღვისპირა ქალაქებსა და დაბებშიც, რომლებიც დღეს თურქეთის ცნობილ კურორტებად და ნავსადგურებად ქცეულან (გემლიქი, იელოვა, გოლჯუკი, იენიქოი). მუჰაჯირები თურქეთის მოქალაქეები არიან, თანაც ღირსეული მოქალაქეები და ქვეყნის პატრიოტები, მაგრამ ამავე დროს თავიანთ ფესვებსაც არ ივიწყებენ.

ისტორიული სამშობლოსადმი განსაკუთრებული ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დათბა. მისვლა-მოსვლა არა მხოლოდ შესაძლებელი გახდა, არამედ, გაიოლდა და გახშირდა. თურქ ბიზნესმენთა შორის, რომლებიც საქართველოში აბანდებენ ინვესტიციებს, დიდი ნაწილი ქართული წარმომავლობისაა. ასევე გახშირდა ქართული წარმომავლობის ინტელიგენციის ვიზიტები, სამეცნიერო და კულტურული კონტაქტები ქართველ კოლეგებთან. თურქეთელი ქართველებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია საქართველოს ისტორიის, თავიანთი წინაპრების, ყოფისა და კულტურის შესახებ. ყოველივე ამან მშობლიურ ფესვებთან ხელახალ მიბრუნებას შეუწყო ხელი.



მარმარილოს ზღვის სანაპიროზე

გურჯული ფესვებისკენ – შუაგული ევროპიდანაც

ბოლო დროს თითქმის მივიწყებული ქართული ენა თურქეთელ ქართველებში ახალ სიცოცხლეს იძენს. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ მუჰაჯირთა ძველი და შუა თაობაც დიალექტზე საუბრობდნენ, ამჯერად თანამედროვე სალიტერატურო ენას ეუფლებიან და წერა-კითხვასაც შედარებით ინტენსიურად სწავლობენ. ამას, როგორც წინა რეპორტაჟში აღვნიშნეთ, ხელს უწყობს თურქეთში მომრავლებული ქართული სათვისტომოები, კულტურის ცენტრები და საზოგადოებები, ე.წ. დერნეგები. ამ საზოგადოებრივ სტრუქტურებში წამყვანი ადგილი უჭირავს ქართული წერა-კითხვის, ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელ წრეებს. ზოგან ეთნიკური ნიშნით საფეხბურთო კლუბებიც კი ჩამოყალიბდა. ასეთია ინეგოლის „კაკკაზსპორი“, ქართულ ფესვებზე დგას იზმიტის „ქოჯაელისპორი“.

თავიანთი წარმომავლობით დაინტერესდნენ თურქეთიდან ევროპის ქვეყნებში (უმთავრესად გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიასა და ავსტრიაში) გადასახლებული ან სამუშაოდ წასული გურჯები. ერთ ასეთ ოჯახს აქიამის ილჩის სოფელ რეშადიეში შევხვდით. ჰუსეინ სარი ავსტრიაში მუშაობს, მცირე ბიზნესი აქვს ნათესავებთან ერთად. ზაფხულობით, როგორც წესი, რეშადიეს არ ღალატობს, – ჩვენ სახლი ხშირად უნდა დევნახოთო. ჩემი ქალი ამ სოფლის დაბადებულა, ჭიშკარიშვილიაო, – დისახლისს გვაცნობს და თავისი სოფლის ამბავს გვიყვება.

როგორც ჰუსეინი გვეუბნება, რეშადიე აჭარელ მუჰაჯირებს დოხსანუჩიში დაუარსებიათ. დოხსანუჩი თურქულად 93-ს ნიშნავს და იგულისხმება 1293 წელი ჰიჯრით, ანუ მუსლიმური კალენდრით, რაც შეესაბამება 1878 წელს. სხვათა შორის, თითქმის ყველა მუჰაჯირი ჩვენთან საუბრისას თავის „ისტორიას“ სწორედ დოხსანუჩიდან იწყებს.

სოფელში დღეს 150 მხოლოდ ქართული ოჯახი ცხოვრობს, თავიდან კი სულ 7 კომლი დისახლებულა.

ჰუსეინ სარი (სალაური-ბოსტანაშვილი): – აქ სულ ქართველია, სხვას არ ვუშვებთ. სიძეები შეიძლება ზოგი გურჯი არ იყოს, მაგრამ აქ არ დავასახლებთ. რძალი თუ არ არის ქართველი, ყაბულს იძლევიან. სიძეებს – არა! რძალი აბაზაც (აფხაზი) გვყავს, ლაზიც, ალმანიც (გერმანელი)... მემობლად აბაზების სოფელია. მათი სოფელი გადაერვივნენ (ე.ი. აბაზების გარდა სხვებიც ცხოვრობენ), ჩვენი – არა!

როგორც ჰუსეინი გვეუბნება, პაპამისი (დიდდედე), ამსოფლელი არ ყოფილა. იგი თავიდან გემლიკში, ზღვის ნაპირას დასახლებულა. ცნობილი ხითხურო (უსტა) იყო, სახლებს აშენებდა თურმე. ამ სოფელშიც ხელობას ჩამოუყვანია, აქაური ღამაში გურჯი ქალი შეუყვარებია და აქვე დაფუძნებულა. ხის ღამაზამეც მას აუშენებია, სწორედ ისეთი, მისი წინაპრები აჭარაში რომ აშენებდნენ. შარშან აჭარაში რომ ვიყავი, ერთ სოფელში ხის ჯამე ვნახე და დიდდედეს მოხვეწილი (მოჩუქურთმებული) ჯამე გამახსენდა, ყურძნის ფიგურაც იყო, ფოთოლიც, მინბარშიც (სალოცავში) ბორჯალი ამოკვეთილი, ზუსტად ისე, როგორც ჩემი დიდდედეს ნახელავიო...

ბერძენთა ნაკვალევში

ჰუსეინის ემოში გამართულ ტაბლაზე ტრადიციული ჩაის სმისას, ჩვენი ყურადღება უჩვეულო, ძველებურ სტილში მოჩუქურთმებულმა ქვებმა მიიპყრო, რომელიც არც ქართულს ჰგავდა და არც თურქულს. ქვები ერთგვარი სამშენისებრივით დაელაგებინათ ყვავილნარში თუ ღობეებთან.

ეს იუნანების (ბერძენის) ძველი დასახლების ქვებიაო. როგორც აღმოჩნდა, ქართველებს ბერძენების ნასახლარი აუთვისებიათ ახლანდელი სოფლიდან მოშორებით, მთის ძირში. ამგვარი ქვები მთელ ტერიტორიაზე ყოფილა მიმოფანტული. აქ რომ გადმოსახლებულან, ქვების ერთი ნაწილი წამოუღიათ, სავარაუდოდ, ქილისეს (ეკლესიის) დეტალები...

როცა ყვავილების ბაღში ჩაფლულ ამ ძველ ქვებს ფოტოს ვუღებდით, ერთგან, კაკლის ძირში, შუქ-ჩრდილი ვერ მოვაშორე, არადა, ღამაში კადრი იყო.

რამიზ სარიმ, ჰუსეინის ბიძაშვილმა მითხრა, მზის თვალი შერჩენიაო...

ბერძენთა ნაკვალევმა ისტორიულ ქალაქ ნიკეაში მიგვიყვანა. დღეს ეს არის ქალაქი იზნიქი ბურსას ილში. როგორც ცნობილია, სწორედ ნიკეაში გაიმართა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება 325 წელს. კრება ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე I დიდის საგანგებო ბრძანებით მოიწვიეს. კრების მოწვევის ძირითადი მიზანი იყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება და ქრისტიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის განხილვა. ჩვენამდე მოაღწია კრების მონაწილეთა სიამ, რომელიც ექვს ენაზეა შედგენილი ეპარქიებისა და საეპისკოპოსო კათედრების მიხედვით. სიაში მოხსენიებულია ბიჭვინთის

ნოდარ შოშითაშვილი

ეპისკოპოსი სტრატოფილოსი. კრებამ დაგმო მწვალებლობანი ქრისტიანობაში და შეიმუშავა სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი, დაამტკიცა ამა თუ იმ ეკლესიის მთავარ წარმომადგენელთა იერარქიული და ადმინისტრაციული ნორმები. აღსანიშნავია ისიც, რომ აქვე გამართულა მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაც 787 წელს. კრების მიზანს ამჯერად წარმოადგენდა ხატთაყვანისმცემლობის აღდგენა, რომელიც დაახლოებით საუკუნის განმავლობაში საკამათო გამხდარა ე.წ. ბიზანტიელ ხატმებრძოლეთა ხელში.

სამწავიანი ბაზილიკა, რომელთა კედლებსაც ახსოვს არა მხოლოდ ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა გამოსვლები მსოფლიო კრებებზე, არამედ უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული კანონიკური შეკრებები და წირვა-ლოცვანი, დღეს უკვე უმნიშვნელოვანეს ტურისტულ სანახაობად ქცეულა.

ნიკეა ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ ამ ქალაქის (ამჟამინდელი იზნიქის) მცხოვრებთა დიდი ნაწილი გურჯია.

იზნიქის ქუჩები ერთგვარ ქალაქ-მუზეუმს მოგვაგონებს. აქ შეხვდებით განათხარ არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელიც ამჟამად დაკონსერვებულია და ტურისტულ სანახაობადაა ქცეული. ეს არის ანტიკური აბანოებისა და კერამიკული სახელოსნოების ნაშთები, ადგილობრივ მუზეუმში გამოფენილია უძველესი არტეფაქტები, ხოლო ღია ცის ქვეშ შემოზღუდულ ეკლესიის ეზოში (რომლის რესტავრაციაც ჩვენი იქ ყოფნისას მიმდინარეობდა) განფენილია ბერძნული სარკოფაგები, სტელები, საფლავის ფილები სხვადასხვა სახის ორნამენტებით, უმთავრესად მარმარილოზე მალალი ოსტატობით ამოკვეთილი.

ქალაქი შემოსაზღვრულია უძველესი გალავნით, რომელიც დასაბამს ანტიკურ ხანაში იღებს. საუკუნეთა განმავლობაში ეს გალავანი მრავალჯერ დანგრეულა და აღუდგენიათ... ამ გალავანს ახსოვს ძველადმოსავლური ბითონიის სამეფოს ძლიერება, ანტიკურ ბერძენთა სიმამაცე, რომელთა დიდება, ბიზანტიის ქართველები, თურქ-სელჩუკთა გამოჩენა, ჯვაროსანთა ლაშქრობა, კვლავ ბიზანტია და საბოლოოდ, XIV საუკუნიდან – თურქ-ოსმალები.

მართალია, ნიკეას ტაძარში მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა აღარ აღევლინება, სამაგიეროდ, ამ ისტორიულ ქალაქში ბევრი ძველი ტრადიციის ცოცხლობს. ეს პირველ ყოვლისა, ითქმის მოჭიქული კერამიკის წარმოებაზე. ამ დარგში რამდენიმე ოჯახური დინასტია

დასაქმებული. აქაური კერამიკის ჭურჭელი და სამკაულები, რომელთა დიდი ნაწილი ანტიკური ნაწარმის ერთგვარ ანალოგს წარმოადგენს, განსაკუთრებით იზიდავს ტურისტებსა და სტუმრებს. ერთ-ერთ ასეთ კერაზე ჩვენც მოვხვდით და „ძველებური“ სუვენირებიც სიამოვნებით შევიძინეთ.

„ხორომი“ პართული ცეკვა

ინეგოლი მარმარილოს ზღვისპირეთის პატარა საქართველოა. აქაურობის ნახვისას ასეთი განცდა მართო ჩვენ არ გაგვიჩნია. ინეგოლს ყველა ასე უწოდებს – ადგილობრივებიცა და სტუმრად ჩასული ქართველებიც. ინეგოლის მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართული წარმომავლობისაა, მის ილჩეში, ანუ რაიონში 17 სოფელია, სულ თურქეთელი ქართველებით დასახლებული. არის რამდენიმე ლაზური და აფხაზური წარმომავლობის სოფელიც. ქართველთა მეზობლად ერთი-ორი ბოშნაკთა სოფელიცაა. ესენი გასულ საუკუნეში ბალკანეთიდან, – ბოსნია-ჰერცეგოვინიდან გადმოსახლებული მუსლიმები არიან. რამდენიმე სოფელი ამავე პერიოდში ჩამოსახლებულ ბულგარულ თურქებსაც უკავიათ. ბუნებრივია, არის თურქული სოფლებიც. ასე რომ, ინეგოლის დღევანდელი მოსახლეობა, რომელიც თურქული ეთნოსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, და თურქებად მიიჩნევიან, გენეტიკურად სულ სხვადასხვა წარმომავლობისაა.

ინეგოლი იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ თურქეთის მასშტაბით ხის დამუშავებისა და ავეჯის დამზადების ერთ-ერთი მთავარი ცენტრია. აქაური ავეჯი არა მხოლოდ ქვეყანაშია ცნობილი, არამედ ევროპაშიც.

ის, რომ ინეგოლი ხისა და ავეჯის დამუშავების ცენტრია, შემთხვევითი არ არის, რადგანაც აქ ჩამოსახლებულ მუშაჯირთა წინაპრები აჭარაშივე გამოირჩეოდნენ ხის დამუშავებისა და ხითხურობის ტრადიციებით. როგორც აქ გვითხრეს, რაიონში ავეჯის დამზადების სამასამდე წვრილი და საშუალო საწარმოა, არის მსხვილი გაერთიანებაც. მასალა ძირითადად ადგილობრივია, – წაბლი, წიფელი, მუხა, ზოგჯერ კაკალიც. თუმცა ბოლო პერიოდში ცდილობენ, ხის მასალა სხვა ქვეყნებიდან შეიტანონ და ასე გაუფრთხილდნენ ტყეს. თუმცა, საქართველოსი არ იყოს, ზოგჯერ აქაც ტრიახ ხეს უკანონოდ.

ერთი ასეთი სახუმარო მთარული ამბავიც მოგვიყვანეს: მოსწავლეს ჰკითხეს ინეგოლის ერთ-ერთ მთიან სოფელში, ტყის მავნებლები



**სტუმრად ჰუსეინ სარის ოჯახში (მარცხნიდან):
გიორგი ირემაძე, როლანდ თოფჩიშვილი, ოსმან
ოჟური, შირინ ხოსთაშვილი, როზა ბუჯაჯიანი,
ჰუსეინ სარი, ნათო ასათიანი, შედიჰა თავდგირიძე,
ინგა ლუბიძე და რამიზ სარი**



**ისტორიული სახანოანი ბაზილიკა ნიკაში, სადაც
გაიმართა პირველი მსოფლიო სამკლესიო კრება**



**რამიზ სარის თვით, "ფრის თვალშერჩენილი" ძველი
ბერძნული ეკლესიის სვეთის ძირის ფრაგმენტი**



**ანტიკური ხანის ქვის დამუშავების ძალადი
ხელოვნების ნიმუშები ძველი ბერძნული ტაძრის
ფრაგმ. ნიკა (თანამედროვე იზნი)**



**ინფორმალური მოსიყვავე მუსთაფა
ბაიჰან თავდგირიძე ნაშდვილ ცემხლს
ანთებს სცენაზე და... გურჯაბის
ქორწილებების**



ბაზილიკის იმერი ზურაბაძე

ნოდარ შოშითაშვილი

დაასახელო და მანაც რიხიანად ჩამოარაკრაკა, გურჯი იმნათი და აფხაზი ჯემალაიო...

ინეგოლო კი ბოლო ათწლეულებია მძლავრი ქართული უკულტურის ცენტრი შეიქმნა, რომელიც არა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთ, არამედ სოფლების მკვიდრთაც ემსახურება. სწავლობენ ქართულ წერა-კითხვას, ფოლკლორს. განსაკუთრებული პოპულარობით, ისევე როგორც ქართული წარმომავლობის ყველა დასახლებაში, ქართული ხალხური ცეკვის წრეები სარგებლობს, სადაც ხშირად საქართველოდან მიწვეული ქორეოგრაფები ასწავლიან იქაურ გურჯებს. ხშირად იმართება კონცერტები როგორც ინეგოლოში, ასევე სოფლებში. გურჯების ქორწილი ხომ მოცეკვავეთა ანსამბლის ან ჯგუფის გარეშე არ ჩაივლის.

გურჯების ქორწილი

ცალკე თემაა გურჯების ქორწილი. იგი ჩვენებურ ქორწილს ნაკლებად ჰგავს. ძირითადი აქცენტი სანახაობაზეა გადატანილი. ჩვენ ერთ-ერთ ასეთ ქორწილში მოვხვდით სოფელ ჰაირი-ეში და შეიძლება ითქვას, გაცილებით დავრჩით. ყველა სტუმარს ერთნაირი ლანგარი მიართვეს არცთუ უხვი და მრავალფეროვანი კერძებით. დანაყრების შემდეგ მრავალრიცხოვან სტუმართან ერთად საგანგებოდ გამოყოფილ მოედანზე მიგვიწვივის. ქალაქებში საამისოდ დარბაზებია გამოყოფილი, რომელსაც დუგუნსალონებს (დუგუნ ქორწილს ნიშნავს) უწოდებენ. ნეფე-პატარძლისთვის გამორჩეულად მორთული ადგილი გამოეყოფო. მათ გარშემო კი მაგიდებთან ისხდნენ სტუმრები და ახლობლები. მექორწილეებს ამჯერად წვენითა და ტკბილეულით მასპინძლობდნენ. მთავარი აქ სანახაობა გახლდათ, რომლის სულსა და გულს ქართული ცეკვის ოსტატები წარმოადგენდნენ. ყველაზე პოპულარული აქ ცეკვა „აჭარულია“. აჭარულ სამოსში გამოწყობილ „მსახიობებს“ დროდადრო სტუმრებიც ენაცვლებოდნენ. აჭარული ნეფე-პატარძალმაც აუცილებლად უნდა იცეკვოს.

მოცეკვავეებმა აჭარულს მთიულურიც მიაცილეს, ქართულიც იცეკვეს, ყაზბეგურიც... მოკლედ, ცეცხლი დაანთეს.

სანახაობის გვირგვინს წარმოადგენს მასობრივი „ხოროში“ (ხორუმი), რომელსაც თითქმის ყველა მექორწილე, ქალი და კაცი ხელჩაკიდებული ცეკვავს წრეში და რაღა თქმა უნდა, ჩვენც ჩაგვითრის.

ცეკვას გურჯები სამობას უწოდებენ და დიდი თუ პატარა ხალხისით მონაწილეობს საქორწინო ფერხულში. აქედან მოდის ალბათ მოარული

ფრაზა მაჭახლეელი ბაიარ შაჰინის სიმღერიდან „ვისაამოთ განდაგანა“.

ნეფე-პატარძალს სტუმრები საჩუქრებს უძღვნიან, რომელთა შორის ოქროს ნივთები ჭარბობს. ქალისთვის ძირითადად სამაჯური, მამაკაცისთვის – საგანგებოდ ქორწილისთვის მოჭრილი მედალიონები, ასევე თურქული ლირები და ამერიკული დოლარები, რომელსაც ქართველი სტუმრები დროდადრო ქართულ ლარებსაც შეურევენ ხოლმე.

ქორწილი იქაც უზარმაზარი ტორტის გაჭრით და შემდგომ კიდევ ერთი „ხოროშით“ მთავრდება.

როგორც აქაურმა გურჯებმა გაიხსენეს, ძველად ქორწილი მამაპაპური, ქართული წესებითა და რიტუალებით იმართებოდა თურმე. ხარის იკვლებოდა და სტუმრებსაც მრავალფეროვანი კერძებით უმასპინძლებდნენ. ძველად ქორწილი რამდენიმე დღე გრძელდებოდა. იყო ჰაერში თოფების სროლა, პაექრობა ნეფე-პატარძლის მაყრიონს შორის, სახუმარო გატაცება პატარძლისა და შემდგომ რიტუალური ვაჭრობა მის დასასხნელად...

სხვათა შორის, იმერხევეში (ტაო-კლარჯეთში) ბოლო წლებში იქაური გურჯის (სტამბოლში მცხოვრები) იმერი ზუმბაძის (უღურ ზუბოლლუს) თაოსნობით ცდილობენ აღადგინონ ძველი, ტრადიციული ქორწილი მთელი თავისი ელფერიითა და რიტუალებით, ქართული ხალხური საკრავების თანხლებით. იმერი ქართული ტრადიციების პოპულარიზაციის მიზნით ინეგოლელებსაც ხშირად აკითხავს ქორწილებში თავისი განუყრელი ჭიბონით (აჭარული გუდასტვირით). სწორედ იმერი ზუმბაძეა თავკაცი ბაზგირეთში ყოველწლიური მარიობის დღესასწაულისა, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება თურქეთელ ქართველებსა და საქართველოდან ჩასულ სტუმრებს შორის.

მემლექეთისკან მობრუნების მისაძიროკვლენი

მემლექეთი თურქულად სამშობლოს ნიშნავს და თურქეთელი ქართველებისგან ხშირად გაიგონებთ, ჩემი მემლექეთი საქართველოა... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის 80-იან წლებამდე და მერეც, სანამ ე.წ. საბჭოთა რკინის ფარდა გაიხსნებოდა, საქართველოზე აქაურ გურჯებს მწირი წარმოდგენა ჰქონდათ. მათთვის სამშობლო აჭარით იწყებოდა და აჭართვე მთავრდებოდა. მეტიც, ბევრისთვის აჭარაც და მთლიანად საქართველო რუსეთად აღიქმებოდა.



ანტიკურის ანალოგიით დაგზავნილი მოჭიქული კერამიკა



ჰამიდელი მასპინძლის სახლში მზადის ხხვიბა, აწარული ხხვინის მზადება და ტრადიციული ჩაის...



მურგების საკურორტო ქალაქ საფანავაში თავი ვერძევიჭალა-ბორითის მზაზე მემონებათ



ვანთან მალაყმადე (შუაში) ქართველ მწერლებთან ოთარ და თამაზ ზილაძეებთან, 1998 წ.



არქიმანდრიტი ადამი აჰმედ მალაჰვილის იუბილეზე, საპარტევლოს მროვნულ ბიბლიოთეკაში

ნოდარ შოშითაშვილი

პირველი აჰმედ ოზქან მელაშვილი იყო, რომელმაც ქართული სულის დაბრუნება სცადა მუჰაჯირ ქართველებში.

არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე): – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „აჰმედ მელაშვილის წინაპრები XIX საუკუნის 80-იან წლებში გადაუსახლებიათ არხვადან, სოფლიდან, რომელიც მდებარეობს იქ, სადაც მდინარე მურღული უერთდება ჭოროხს.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის ორივე მხარეს არსებობდა საქართველო. ამ ორი საქართველოს შესახებ ჭეშმარიტი ცოდნა არც ერთ მხარეს არ გვქონდა. ჩვენ არ ვიცოდით, რომ თურქეთის ქართულ სოფლებში მართო ქართული სიტყვა ისმოდა, ბევრი თურქულს მხოლოდ სკოლაში ან ჯარში სამსახურის დროს იგებდა პირველად. ქართველს არ მოჰყავდა თურქი ქალი, ოჯახი გავითურქდებოდა, ეშინოდა. ამავე დროს, თურქეთელმა ქართველებმა არ იცოდნენ, რომ არსებობდა ქართული ანბანი, რომელმედაც წერა-კითხვასა და ქართული ეროვნული კულტურის შექმნას განაგრძობდნენ ქართველები „რუსეთის“ საქართველოში.

ამ ვითარებაში ღვთის წყალობა იყო აჰმედ მელაშვილისა და მისი მეგობრებისთვის სტამბოლის ქართული სავანის აღმოჩენა, სადაც პირველად იხილეს ქართული წიგნები... და ყველაფერი შეიცვალა. მათ იპოვეს და ამიერიდან ველარაფერი დაავიწყებდათ „დედო მემღექეთს“ – საქართველოს. სიკვდილიც კი.

1962 წელს სოფელ ჰაირიეთში, სადაც მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები ცხოვრობენ დღესაც, აჰმედ მელაშვილმა დააარსა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ამავე პერიოდში მან ქალაქ ინეგოლის ცენტრში საფუძველი ჩაუყარა „კავკასიის კულტურის საზოგადოებას“. 1968 წელს გამოდის აჰმედის წიგნი „გურჯისტანი“, რომელმაც მთელ თურქეთელ ქართველობას აღმოაჩენინა სამშობლო ქვეყანა. მანვე ევროპაში შანვერ აქინის (შალვა თევზაძის) ხელშეწყობით გამოსცა ჟურნალ „ჩვენებურების“ პირველი ნომერი. აჰმედ მელაშვილს ბევრი ქართული საქმე დარჩა გასაკეთებელი. იგი 1980 წლის 5 ივლისს მოკლეს ულტრანაციონალისტური დაჯგუფების წევრებმა...

სტამბოლში გამომავალი აფხაზების გაზეთი „ნართების ხმა“ წერდა იმ დღეებში: „გლოვის დრო არ გვაქვს, ასეთი ადამიანების შემდეგ არ ტირიან, მათგან მხოლოდ მაგალითს იღებენ“. გასაოცარი სტრიქონები მიუძღვნა აჰმედ მელაშვილს პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა:

ოქვენ არ იცნობდით,
ის სხვა იყო, არ ჰგავდა ყველას, –
სადაც აკრძალეს საქართველო,
იქ იქართველა.

აჰმედ მელაშვილის საქმის გამგრძელებელი და დიდი მოღვაწე გახლდათ ვახტანგ მალაყმაძე.

როზეტა გუჯეჯიანი (ეთნოლოგი, პროფესორი): – სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებისთვის თითქმის უცნობია ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ), რომლის მოღვაწეობაც, შეიძლება ითქვას, გადაჯაჭვულია აჰმედ მელაშვილის სახელთან. მისი წინაპრები რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ჩიქუნიეთიდან (ახლანდელი ხელვაჩაურის რაიონი) წამოსულან და სოფელ ჰაირიეთში დასახლებულან, ინეგოლის რაიონში.

ვახტანგ მალაყმაძემ სტამბოლში მიიღო განათლება, თუმცა სამოქალაქო თავდაცვის სპეციალისტს არა მხოლოდ ამ სფეროში გაუთქვამს სახელი, არამედ ქართული საქმის სულისჩამდგმელად ქცეულა. მას უთარგმნია ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“, გამოუცია კიდევ და უამრავი თურქეთელი ქართველისთვის უსახსოვრებია. მასვე შეუდგენია, უთარგმნია და გამოუცია არაერთი საინტერესო ნაშრომი ქართველების (ჭანების/ლაზების, მეგრელების, სვანების) ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესახებ და მრავალი სხვა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა თურქეთელი ქართველებისა და ლაზების დაახლოებას საერთო ქართულ კულტურულ სივრცესთან. აჰმედ მელაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, ვახტანგ მალაყმაძემ ეროვნულ-კულტურული მოძრაობის წარმართვის მთელი სიძიძე იტვირთა. სწორედ მისი რჩევებითა და თანადგომით შეძლო თურქეთელ ქართველთა ახალგაზრდა თაობამ დიდი აჰმედ მელაშვილის წამოწყებული კულტურული მოძრაობის გაგრძელება. ამ გზას დღესაც წარმატებით მიუყვებიან: ერეკლე დავითაძე (ერდოლან შენოლი), გურამ ხიმშიაშვილი (მუსტაფა იაკუთი), იბერია მელაშვილი (ოზქანი), გიორგი ირემაძე (შემსეთინ იემი), მამია დუმბაძე, არჩილ ზოიძე (აბდულლაჰ ზორლუ), სოსო ჩივაძე (სონერ ორალი), ელიზბარ ცვიმნარიძე (ერდალ ქუჩუკი) და მრავალი სხვა.

ვახტანგ მალაყმაძე მორწმუნე მუსლიმი გახლდათ. იგი საზოგადოებრივი შეხვედრებისა და დისკუსიების დროს ყოველთვის ავითარებდა აზრს, რომ რელიგიურ განსხვავებულობას ხელი არ უნდა შეეშალა ქართველთა ერთიანობისთვის“.

რეპორტაჟი მისაბი

„გემრიელი სტუმრები მყავს და რაცხას ვწიბნავთ...“

თურქეთელი ქართველების გზა საკუთარი ფესვებისკენ

ქართველი მეცნიერები კვლავ მარმარილოს ზღვისპირეთში ვართ, ინეგოლის ილჩეში. როგორც წინა რეპორტაჟში აღვნიშნეთ, ინეგოლს აქაურ პატარა საქართველოსაც უწოდებენ. სულ რამდენიმე დღე დაგვჭირდა, რათა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს თავისიანებად ჩავეთვალეთ. ინეგოლში არაერთი მეგობარი დაგხვდა, რომლებთანაც კარგა ხნის ურთიერთობა გვაკავშირებს სამეცნიერო შეხვედრებიდან თუ სოციალური ქსელებიდან. ვეცნობით „ახალ სახეებს“, ადგილობრივ მკვიდრთ, რომელთაც ისევე აინტერესებთ საქართველოს ამბები, როგორც ჩვენ — მათი. მოგზაურ ეთნოლოგთა უბის წიგნაკები და დიქციონერები ჩანაწერებით ივსება... ექსპედიციის დასრულების შემდეგ კი ერთმანეთს ისე ვეხმიანებით, როგორც დიდი ხნის ნაცნობი და ახლობელი ადამიანები.



თილაშის ხეობაში

ოსმალეთი და ქართული ბორჯღალი

ინეგოლის უკეთ გასაცნობად ერთი დღე ადგილობრივ მუზეუმს დავუთმეთ, რომელიც მთელ რეგიონში გამოირჩევა ფონდების სიმდიდრითა და ისტორიული მასალების მრავალფეროვნებით. თვით მუზეუმი არცთუ ისე ძველია, მაგრამ აქ უძველეს ექსპონატებსაც შევხვდით.

დირექტორი აქაური კაცია, ნედიმ ბაირამი, ანუ როგორც თვითონ გვითხრა, „ქართულად ნოდარ ქავუარაძე“, ჩემი ქოქი (ანუ ფესვი!) მახინჯაურიდან მოდისო. შენი ქოქი დაილუპოსო, ხომ გაგიგონიათ, თურმე საიდან მოდის და რა ყოფილა ამ სიტყვის მნიშვნელობა!.. ნედიმს ამ ოცი წლის წინ დაუწყია ექსპონატების მოძიება და სულ მალე იმდენად ბევრი და საინტერესო მასალა შეუგროვებია რამდენიმე ადგილობრივ ენთუზიასტთან ერთად, რომ ქალაქის ბელედიეს (მერიას) უყოყმანოდ დაუთმია მისთვის ქალაქის ცენტრში კლასიციზმის სტილში ნაგები შენობა. მუზეუმში ვცნობით როგორც ოსმალეთის ისტორიას, ასევე რეგიონში ჩამოსახლებული ბალკანელ-კავკასიელ მუშაერთა ყოფისა და კულტურის ამსახველ მასალებს. ჩვენი თვალი, რა თქმა უნდა, ქართულ მასალას ეძებს და პირველი, რაც „თვალში მოგვხვდა“, ძველებური ხის სკივრი იყო, ბორჯღალითა და გეომეტრიული ორნამენტებით დამშვენებული, როგორებიც საქართველოს მრავალ კუთხეში გვინახავს, გამორჩეულად აჭარაში...

ექსპოზიციიაში წარმოდგენილია ოსმალეთის იმპერიის პირველი ნაბიჯების ამსახველი მასალები. ინეგოლი ერთ-ერთი მძლავრი პლაცდარში იყო, საიდანაც გავრძელდა თურქთა ძლევამოსილი სვლა კონსტანტინოპოლისკენ. ყურადღებას იპყრობს ოსმალთა ყოფისთვის დამახასიათებელი არტეფაქტები: ხალხური კოსტიუმები, იარაღ-საჭურველი, შრომის იარაღები. ოსმალეთში განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ სპილენძის საოჯახო ჭურჭელს, რომელთაც ცალკე კუთხე ეთმობა. აქვეა უძველესი სამოსის ნიმუშები, მათ შორის ქართულ ქალამენტთან მიმსგავსებული წაღები. მუზეუმში გამოყენებულია თანამედროვე პერფორმანსის ხელოვნება: მჭედლის, დურგლის, მეუნაგირის, ოქრომჭედლისა და სხვა ოსტატთა სახელოსნოებში მთავარი „ადგილი“ სწორედ მათ ფიგურებს უკავიათ.

ყურადღება მიიპყრო დანადგარმა, რომელიც არყის სახდელი გვეგონა. ნედიმს შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენი გაოცება და განგვიმარტა, რომ ეს კომპლექსი (ქვაბი, ზარფუში, გეჯა და სხვ.) ვარდის სურნელოვანი ბეთის სახდელია. ვარდისგან ბეთს ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში

წელიწადში ერთხელ, დადგენილ დროს ხდიდნენ, იმპერიის მოხელეთა მკაცრი ზედამხედველობით. პროცესის დასრულების შემდგომ ჩაფრები საგანგებო საიმპერო ბეჭდით დალუქვდნენ სახდელს და მომავალ გამოხდამდე ხელს ვერავინ ახლებდა. ეს მონობოლიაც იყო ვარდის ზეთზე და მეორეც, ერთგვარი „დაზღვევაც“, რომ კომპლექსი ვინმეს მუსლიმთა ქვეყანაში აკრძალული არყის სახდელად არ გამოეყენებინა.

ცოტა კი გავვიგრძელდა მუზეუმის ექსპონატებზე მსჯელობა, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით ჩამურს – როგორც ქვის, ასევე ხისგან დამზადებულ ტრადიციულ ქართულ საცეხველს (კაკუტებით), რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. სხვათა შორის, ტაოკლარჯეთში, ასევე აჭარაში მსგავსი საცეხველი დღეს მრავალ კარ-მიდამოშია შემორჩენილი, ოღონდ უფუნქციოდ, როგორც ინეგოლის სოფლებში.

ინეგოლი მთელ თურქეთში ხის დამუშავების მძლავრი ცენტრია. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ ამ ქალაქშივე ეწყობა ხის დამუშავებისა და ავეჯის მუზეუმი.

**„ბათუმიდან ბურსამდე“, ანუ
საგამო თურქულად ოსს ნიშნავს**

მომდევნო დღეებში გვმასპინძლობდნენ ბურსა-ინეგოლის სოფლები: ყაზელი (ჰამიდე), სულიე, ფილმიე, საადეთი, მესრური, ბაღჩეკაია... ყაზელში აბდულაჰ თათაროღლუმ თავისი ნაშრომი დაგვახვედრა. „ბათუმიდან ბურსამდე“ – ასე ითარგმნება წიგნის სათაური, რომელიც ქართველ მუშაერთა შთამომავალმა თავის წინაპართა სამშობლოს – ბათუმს და ახლა მშობლიურად ქცეულ ბურსას მიუძღვნა.

აბდულაჰ თათაროღლუ: „მეტყველება მაქვს, მაგრამ მართალია ზოგ ალაგზე ვერ მოვაფერებ, ჩვენი დიდგანები, დედეები 1877 წელს მოსულან ღორჯომიდან. დიდი სავაში გაჩენილა (სავაში პოპულარული თურქული სერიალის გმირი არ გეგონოთ, თურქულად ომია. – ნ.შ.). რუსებს გამოვერიდეთ, სანამ აქ მიგვიღეს, ორ-სამ ალაგას დამჯდარან, სიმინდი უთესიათ, ვერ მოუყვანიათ... ეს ადგილი შეურჩევიათ, ტყიანი, მდელოიანი... ტყეში თელათ წიფელია. იქაური სახელები აქ გადმოუტანიათ: ციფყარო, დუდგულები, განგზა, კინტრაკოხი, გამოხრეტილი კოხი, კოხლეღე, ჩარჩხალები, მუხნარი... პირველ მსოფლიო ომში ჩვენგან 72 კაცი წასულა. მართო ოთხი გადარჩენილა. ჩანაქკალეს (დარდანელის სრუტის) დაცვაზე ჩახოცილან. მათი გვარების ქვეშ წერია ბათუმელებიო (ასე იყო, ყველა მუშაურის იმ დრო-



ოსმალეთში განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ სპილენძის საოჭახო ნივთებს, როგორცაც მუზეუმში ცალკე კუთხე აქვს დათმობილი



ღობის, ბრინჯის, ხორბლის თაველეების საცხეხველმა დღეს ფუნქცია დაკარგა



აბდულაჰ თათაროღლუ (მარცხნიდან) თბილისში, ღია ცის ქვეშ მუზეუმში ლაზი ოსტატების მიერ აგებულ იმერული კალაბოინი სახლის წინ



ნედიმ ბაირაგი (წოდარ ქავთარაძე): ამ „არყის სახდელით“ ოსმალები ვარდის ფეთხ ხდიდნენ, ამ „საარყე ბოგაშოხ“ ვარდის ფეთხ ახსხაძნენ



ჩვენი ახალგაზრდა მახინძლები



სოფელ მენსურში ამ ვატარებმა გამართული ქართულით გაგვაროცე და სუვენირების „დაიხსახურეს“

ნოდარ შოშითაშვილი

ისტვის ბათუმელებად მოიხსენიებდნენ. – ნ.შ.)“.

ათათურქის დროს ქართველ მუჰაჯირებს მაინცდამაინც არ უღიზნოდათ. სკოლებში ქართულად ლაპარაკი იკრძალებოდა. „მასწავლებლები გონჯი (ანუ ცუდები) არ იყვნენ, მაგრამ ბრძანება ჰქონდათ ასეთი. ოსმალეთის დროს კი შენ რაცხაფერ გინდოდა, ისე ილაპარაკებდი... ეს ათი წელიწადია ბევრი რამე შეიცვალა, ახლა ქართულ კითხვასაც ვსწავლობთ“, – ესეც აბდულამ გვითხრა.

აბდულას ბევრი უმუშავია თავის წიგნზე, თუმცა კი გული სწყდება, რომ ზუსტად ვერ დაუდგენია საკუთარი გვარი და დღესაც ეძებს თავის ფესვებს ღორჯომში (ხულოს რაიონი). წიგნში ყურადღება მიიქცია ფოლკლორულმა მასალებმა. ავტორს ჩაუწერია მცხოვანი თანასოფლელებისგან საწესჩვეულებო და რიტუალური ლექსები, რომლებიც ძალიან ახლოსაა ქართულ ფოლკლორთან.

ლაზარია, ლაზარია,
ლაზარ კართან მიდგომია,
აღვარგალებს თვალსა,
ეხვეწება ღმერთსა:
ღმერთო მოგვეც წვიმაწყალი
მივინახე ზიმათვალი.

ეს ლაზარობის რიტუალისადმი მიძღვნილი ლექსია, გვალვიან დღეებში კარდაკარ რომ ჩამოივლიან და ღმერთს წვიმას შესთხოვენ. ეს კიდევ სევდიანი სატრფიალო სიმღერაა, რომლის მსგავსსაც დღესაც გაიგონებთ აჭარის მთიანეთში:

ღელეგაღმაია ჩვენი სახლები
მოქტენ ძველები, დარჩენ ახლები,
თეთრო მამალო რატომ არ ყივი,
ლაზარო ქალო შენ რატომ ტირი.
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე
ლაზარო ქალო, შენ გამახარე...

აბდულაჰი ამ ზაფხულს თბილისშიც გვესტუმრა, ღია ცის ქვეშ მუზეუმში ქართული სახლები მოინახულა, აჭარის კუთხეს დიდხანს უტრიალა... კიდევ გესტუმრებით, ჩემს ქალიშვილებსაც ჩამოვიყვან, მინდა მათაც ნახონ ჩვენი საქართველო...

ქართული ნადი

ამ სოფლებში, მუჰაჯირთა მემკვიდრე-შთამომავლებთან სტუმრობისას, მეტ-ნაკლებად შესაძლებელია პირველი და მეორე თაობის მიგრანტების ყოფისა და კულტურის ელემენტების აღდგენა.

იმის გამო, რომ ახალი გარემო პირობები ხშირად მათი ძირძველი სოფლებისას ჰგავდა, ძველებური რჩებოდა მეურნეობაც და შრომითი ჩვევებიც, განსაკუთრებით, გადმოსახლების პირველ წლებში.

ძირითადი სამეურნეო კულტურა თავდაპირველად სიმინდი გახლდათ, რომელიც უმთავრეს მარცვლეულს წარმოადგენდა. შავი ზღვისპირეთში სიმინდთან ერთად მოჰყავდათ ღომი, ბურსა-გემლიკვი კი ზეთისხილი აითვისეს. ხორბალი და ქერიც მოჰყავდათ პარკოსან და ბოსტნეულ კულტურებთან ერთად.

სიმინდის გამარგვლისას და განსაკუთრებით მოსავლის აღებისას, მათ შორის ღომისა და სხვა მარცვლეული კულტურებისა, „ნადის დაძახება“ იცოდნენ. მოტეხილ ტარობებსა და ღომის თაველებს ნალიაში ახმოებდნენ. ნალია მარმარილოს ზღვის რეგიონში შედარებით სადა იყო, ვიდრე ლაზეთში, მურღულში ან აჭარა-გურიაში. თანაც ყველას როდი ჰქონდა მღრღნელებისგან დამცავი ორგო ანუ მურგვალი დატანებული. გახმობის შემდეგ ნალიაშივე იცხვებოდა მარცვლეული ტაკვეციტ, კობერაი (ნაქუჩი) იქვე რჩებოდა. მარცვალი ჭიჭინებიდან (სპეციალური ღიობებიდან) დაბლა ცვიოდა და იქ გროვდებოდა.

გადასახლებულებმა სახენელის დამზადების წესიც კი თავიანთი ჩაიტანეს. ბოლო დრომდე მართავდნენ ჯილღას, ანუ გუთანს, რომელშიც უღელი ან ყვეარი (ორი უღელი) ხარ-კამეჩი ებმებოდა. მოსავალს ნამგლით იღებდნენ. მკისას ხის სათითურებს იყენებდნენ. ერთ ხელეურს (მომკილი ხორბალი, რაც ცალ ხელში დაეტევა) ჭელს ეძახდნენ, მეორეს თუ მიუმატებდნენ – გუარალის. ძნებ ხარმან-კალოზე გაიშლებოდა, სადაც ხარბუმებულ კაიჯებიან (კაჟებიან) კევრს მართავდნენ.

მუჰაჯირთა სოფლებში აუცილებლად იყო ღელეზე წისქვილი, ზოგჯერ რამდენიმეც. ჰქონდათ სამჭედლოც, სადაც იჭედებოდა ჯილღას სახნისი, ნამგალი (მანგალი), ქართული ნაჯახი, ცხენ-ხარის ნალები თავისი ღურსმან-ყაირებით, ქარჩი (ვიწროპირა სამარგლი), თოხი...

გამორჩეულად საინტერესო იყო აჭარის, – ჭვანის ხეობის სოფლებიდან გადმოსახლებულთა მიერ გამართული წისქვილისა და წყლის დაზვის კომპლექსური დანადგარი სოფელ ჰილმიეში. წყლის ნაკადი ჯებირიდან დიდი წნევით მოედინებოდა („თავდაღმართში დასისინდება“) ღურნეთი, ანუ ხის გვიმის მილით. ამ მილს ბოლოში ორი „მუშტუკი“ (წყლის ჭავლის გამოსასვლელი) ჰქონდა. ერთი წისქვილის ბორბალს აბრუნებდა, მეორე კი გობების, სანაყ-ქვიჯებისა და სუფრაფეშუმების მოსახვეწ წყლის დაზვას დაეცემოდა.



ეს ზადარი გუპაზირებს 1902 წელს დაურბავთ...



ისმეთ ათაში ბურსის რეგიონში მართველთა განსახლების უღიღობს გვიჩვენებს



ესეჲ ვაგის ოღისნარი



გოლჯუკის ბაზარში



ფერდოგები, გორაკები და მთების კი ზეთისხილისა და თხილის კლანდუხიებს აუთვისებიათ



ასე "უკავშირდებიან" საქართველოს თურქეთელი მართველები

წისქვილთა უმეტესობა დღეს დაუქმებულა, თუმცა აქა-იქ კიდევ შეხვდებით.

ბოლო დროს აქაური მოსახლეობა ძირითადად ქალაქებში გადასახლდა, ილისა და ილჩეს ცენტრებში, სოფლად 20-30% თუ იქნება დარჩენილი. აღარც ისინი და აღარც ქალაქიდან მობრუნებული პენსიონერები იტვირთავენ თავს სიმინდ-ლობიოს დიდი ყანების მოვლით. მცირე ბალ-ბოსტნითა და ხეხილითაც კმაყოფილი არიან. საკმაოდ მაღალ პენსიასაც იღებენ – 1.000 ლირასა (დაახლოებით 820 ლარს) და მეტს, ამიტომ აღარ უღირთ „წვალებათ“.

წისქვილის დეტალების ტრადიციული სახელები კვლავ ახსოვთ. ზანდული ანუ ხვიშირი, ხა-რო, სარეკელა, დიაფერა, ლულა (მუნდშტუკი)...

„ნორმაში“

მშობლიური მიწიდან აყრილმა ქართველებმა არა მხოლოდ ჩვენებური ჯილდის (სახვინელის) დამზადება-გამართვის წესი, არამედ იმ ხისა თუ ვაზის თითო-ორი ნერვიც გაიყოლა, რომელთა შელევა, იცოდნენ, რომ გაუჭირდებოდათ.

ჰოდა, დღეს ყურძენიც მოჰყავთ აქაურ სოფლებში. მართალია ზვარსა და ვენახს ვერ შეხვდებით, მაგრამ ვაზი ყველა კარ-მიდამოს ამშვენებს. უმეტესად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ხეივან-ტალავერის ერთ-ერთი ფორმა, ოლიხნარი (როცა ვაზს მაღალ ტანს უქმნიან და საყრდენად გრძელ, გატოტვილ მარგილებს უდგამენ).

ბუნებრივია, თურქეთელ ქართველთა სოფლებში გამორჩეულ ყურადღებას ვაზის კულტურისადმი იჩენ. მისი გავრცელების სიხშირესა და ჯიშების მრავალფეროვნებას ქართულს ადარებ.

სოფლებში მოგზაურობისას ჩვენი ყურადღება გადაკაფულმა ბებერმა ხეებმა მიიქციეს. როგორც მასპინძლებმა ერთ-ერთი ასეთი მსხლის ხეზე მიგვანიშნეს, იგი მათ ძალიან შორეულ წინაპარს აჭარიდან წამოუღია და აქ დაურგავს...

სხვათა შორის, ქართული ხეჭეჭური და კალოს მსხალი, სართულა და თავრეჯული, ჭანურა და ბოქშუა აქაურ სოფლებში ჯერაც არ დავიწყებით. ვაშლიც ძალიან ჰვავს ჩვენებურს... თუმცა კი დღეს უკვე ძველ ჯიშებს ვეროპული და ამერიკული ჯიშები ენაცვლებიან. როგორც ქართლის სოფლებში, აქაც შეხვდებით გოლდენ დელიშესს, რედ დელიშესს, სტარკრიმსონსა და პოპულარულ მწვანე ვაშლს... მეტიც, ვაკე ადგილებში უზარმაზარი ფერმერული მეურნეობებია გამართული, სადაც მოჰყავთ ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, კომპის თანამედროვე სელექციური ჯიშები.

ზეთისხილი ათენა პალადასგან

მითი, რომ ათენის აკროპოლისში ზეთისხილის ღვთიური ხე ღმერთქალმა ათენა პალადამ დარგო, თურქეთშიც პოპულარულია. ასევე პოპულარულია თვით ზეთისხილი, რომელსაც აქ ზეითუნს ეძახიან. ზეთისხილის ბალები ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ერთი ნაწილისთვის ისეთივე მშობლიური გამხდარა, როგორც ხმელთაშუა ზღვისპირეთის ძველი ხალხებისთვის. მთელ თურქეთში საუკეთესოდ მიიჩნევენ ბურსა-გემლიკის ზეთისხილს. მისი ნაყოფისგან დამზადებული პროდუქცია საკმაოდ მრავალფეროვანია. იქნება ეს ზეითუნის არაჩვეულებრივი ზეთი, ზეთისხილი (შავი თუ მწვანე) დამწვნილებული, კურკით, უკურკოდ, ბულგარული წითელი წიწაკის სატენით, სანელებლებით... გემლიკში კი ზეთისხილის პასტაც გაგვასიხვებს (მართლაც გემრიელი გამოდგა აქაური დელიკატესი!) და სუვენირადაც გამოგვატანეს.

თურქეთში ზეთისხილის დედაქალაქად ბურსა ითვლება. ზეთისხილის კულტურა აქ ანტიკური ხანიდან მოსდგამთ. პლანტაციები განფენილია არა მხოლოდ ვაკე ადგილებში, არამედ ისეთ ფერდობებზე და ზოგჯერ მთაშიც კი, სადაც ჩვეულებრივ ბუნებრივი ტყე-ბუჩქნარი უნდა ხარობდეს. ზეთისხილის ხე სიცოცხლისუნარიანობითაც ხასიათდება. მისი პლანტაციების დათვალიერებისას თვალში საცემია ბებერი, დაკოჟრილი, მსხვილი ხეები, რომლებზედაც ახალგაზრდა ნაზარდია წამოღებული. ბევრი ასეთი ხე, როგორც გვითხრეს, 500, 600 და მეტ წელიწადსაც ითვლის. ზეთისხილის სიცოცხლის საიდუმლო ასე აგვიხსნეს: ყველაზე ბებერ ხესაც კი შენარჩუნებული აქვს ქსოვილი, საიდანაც ნორჩი ნაზარდები ამოიყრება ხოლმე. თვით ტანი დროთა განმავლობაში შიგნიდან კვდება, ფულუროვდება, ხილო გარეთა ნაწილი მუდმივად განახლების პროცესშია...

„გემრიელი სტუმრები მყავს და რაცხას ვწიგნავთ...“

...გემლიკში ვართ. ჩვენი მასპინძელი ისმეთ ათაში აქაურ ტრადიციებზე გვიამბობს. ჩვენც ვიწერთ, ვეკითხებით, მის კითხვებსაც ვპასუხობთ. მასაც ჩვენზე ნაკლებად როდი აინტერესებს საქართველოს ამბები. მებობელი ეხმიანება, – ისმეთ ბეი, რას საქმობო.

– გემრიელი სტუმრები მყავს და ჩვენებურებზე რაცხას ვწიგნავთო! – უპასუხა და ჩვენს მთხრობელებს კიდევ ერთი გურჯი შემოუერთდა.

რეპორტაჟი მეოთხე

„შორეული სამშობლოს სურნელი“

თურქეთელი ქართველები კვლავაც ჩვენი მასპინძლები არიან. თანდათან ვმინაურდები, ჩვენი შეხვედრები მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქართული წარმომავლობის მუჰაჯირთა შთამომავლებთან უფრო გულითადი ხდება.

მოგზაურობის წინ კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი თურქეთსა და ევროპაში გაციემულ ლიტერატურას იმ მიწა-წყლის შესახებ, სადაც დამკვიდრებულან ჩვენი თანამოძმენი. ისინი თურქეთის სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და ბუნებრივია, მათ ქართველობასა და ფესვებზე წერას თურქეთში თავს არიდებენ. თუმცა ამ ბოლოხანს გამოჩნდნენ მუჰაჯირთა შთამომავლები, მეცნიერები და მწერლები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში სწორედაც რომ ქართულ წარმომავლობას, მამა-პაპათა ლტოლვილობაში ყოფას თუ განცდებს გადმოსცემენ.



საფანავას ტბის სანაპიროს ქართველებით დასახლებული აგავე სახელწოდების ქალაქი
საყვარელ კურორტად ქცეულა

„მონატრებაში გაილია ჩემი ცხოვრება“

თურქეთელი ქართველი მწერლების – ქევ-სერ რუხის (ქეთი ხანთაძის) და ფარნა-ბექა ჩილაშვილის (ფაჰრეთდინ ჩილოღლუ) მოთხრობები და ლექსები აღსავსეა საკუთარი ფესვების მონატრებით, ისტორიული სამშობლოს, თავისი ბუდესოფლის, მინდორ-ღელის, სახლ-კარის ხილვისა და მოფერების, თანამოძმეთა გაცნობისა და დაახლოების სურვილით. სხვადასხვა დროს მეც არაერთგზის შევსწრებივარ მათთან შეხვედრებს თბილისში, სტამბოლში, მეცნიერთა თუ სტუდენტთა გარემოში, აქაური და თურქეთელი ქართველების გარემოცვაში. მათ გამოსვლას ყოველთვის სევდამორეული განწყობა ახლდა. მართლაც ძნელია მოუსმინო თითქმის საუკუნე-ნახევრის წინ საკუთარ მიწიდან მოწყვეტილ ქართველთა შთამომავალთ, რომელთაც ბოლო წლებამდე მხოლოდ წინაპართა მონათხრობით თუ შეეძლოთ თავისი „სამშობლოს სურნელის“ განცდა, ახლა კი ორივე მხარის საბედნიეროდ, ამ სამშობლოში თავისუფლად შეუძლიათ ჩამოსვლა და თანამოძმეთათვის ფურცელზე გადატანილი თავიანთი გრძნობების გაზიარება.

...რამდენიმე წლის წინ თბილისში, სასტუმრო „რედისონში,“ ერთ-ერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე ქევსერ რუხიმ თავისი ახალი მოთხრობა წაგვიკითხა. „გაღმა ნაპირი“ ერქვა ამ მოთხრობას. საკუთარი ფუძის საძებნელად დიდ წინაპართან, საუკუნეს მიტანებულ ხათუნა ბებოსთან მთიან აჭარაში ამოსულიყო პატარა გოგო, აქედან გახიზნულ ქართველთა შთამომავალი. ამოსულიყო, გული გაეთბო თვალებში სხივმინავლული დიდი ბებიასთვის, მთელი სიცოცხლე გაღმა ნაპირისკენ, ფუძე-აყრილ ახლობლებისკენ რომ ეჭირა თვალი. გვიამბობდა ერთი ქართველი ქალის ტკივილიან ამბავს. ამ მოთხრობაში ასეთი სტრიქონებიც ერია: „ქვეყნიერების ყოველ კუთხეში ბატკანი ერთნაირად კიკინებს, ბულბული ერთი და იმავე გალობით დახტის ტოტიდან ტოტზე, ძაღლი ერთნაირად ყფს... არა, მთლად ასეც როდია საქმე... აქ, ამ მხარეში ყოველი სულიერი ორ ენაზე, სამ ენაზე ლაპარაკობს. ყველა მათგანი ვიცი... ქართული, ლაზური, თურქული... ყველა ენაზე ვისწავლე, როგორ გამოითქმის სიტყვა მონატრება! მაგრამ მონატრება ხომ მართკ სიტყვა როდია... მონატრებაში გაილია ჩემი ცხოვრება!.. გაღმა ნაპირის მონატრებაში!“

მასსოვს, განურჩევლად ყველას ცრემლი მოგვრეოდა თვალებზე...

არანაკლები მღელვარებით ხვდება ქართველი მკითხველი ფარნა-ბექა ჩილაშვილს. ეს კაცი ნამდვილი მამულიშვილია ორი ქვეყნისა, თურქეთისა და საქართველოსი. თურქეთში მცხოვრებ ქართველებს რომ უფრო იოლად ესწავლათ მამაპაპისეული ენა და კულტურა, საამისოდ უამრავი რამ გააკეთა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ თარგმნა. თუმცა ეს უფრო ამ წიგნის სახელმძღვანელოდ ქვეყნის არცთუ ურიგო მცდელობა იყო. ახლა სტამბოლში, აგრეთვე ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებისა და ქალაქების ქართული კულტურის კერებსა თუ საკვირაო სკოლებში ამ წიგნითაც სწავლობენ ქართულ ენას. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ქართულ-თურქული ჟურნალი „ფიროსმანი“.

ფარნა-ბექა ჩილაშვილმა ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე ავტორების ნაწარმოებთა ერთი ნაწილიც თარგმნა თურქულ ენაზე და სამეცნიერო ნაშრომიც გამოსცა – „ქართველთა ისტორია“. მაგრამ როგორც თავად გვითხრა, ეს ძალიან ცოტაა და ამ მხრივ უამრავ საინტერესო პროექტზე მუშაობს.

„სენას თბილისზე არ ჩაუვლია“ – ასე ჰქვია ფარნა-ბექას ერთ-ერთ ლექსს, რომელშიც ისტორიული სამშობლოს მონატრებას შეყვარებული პოეტი სენას „აბრალებს“. ამაში თავადვე დარწმუნდებით, თუ თქვენც წაიკითხავთ ამ მშვენიერ ლექსს, რომელიც ასე მთავრდება:

სენას არასდროს ჩაუვლია
თბილისის კართან,
არ მოუხილავს დარდით სავსე
მიწა ქებული.
არც შენ გინახავს სენა, არც მე –
კასპიის ზღვა და
ზეცისკენ ვილტვით სიყვარულის
ცეცხლით გზნებულნი, –
ზაფხულის ღამით შენს თმებზე ვარ
დაკიდებული...
სენას ტკივილი მიტომ უცხებს
ღრმა გულის ფიცარს,
კიდით კიდემდე არ უხილავს
ქართული მიწა.

სადღებრძლო შერბითი

ისტორიულ სამშობლოსთან მუჰაჯირთა შთამომავლების დაახლოების საუკეთესო საშუალება, ვფიქრობთ, მათი ერთი ნაწილის საქართველოში სასწავლებლად ჩამოსვლაა. გვითხრეს, ექიმებიც ცოტა გვყავს აქაურ ქართველებს, იურისტები და ქართული ენის მასწავლებლებიც გვჭირდება...



ჩვენი ერთ-ერთი მისიონერის, ვენდემიკალი ბურჯან ფაჰლემანისთვის (ბოლშევაძე) ყველაზე დიდი საჩუქარი ქართული წიგნები აღმოჩნდა



მეზნერ რუხი (ძეთი ხანთაძე): ლაზის ყველა ენაზე ვისწავლე, როგორ ბავშვობის სიმყვამე "მონატრება"...



ფარნა-ბემა ჩილაშვილი, ძეთი ხანთაძე და დათო მურაშვილი სტამბოლში. ფარნაშ დათო მურაშვილის "ვინების თაობა" თარგმნა თურქულ ენაზე



პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი: ქართველობა ჩვენი ერთიანობის საფუძველია..



საგორტო მალაში გიგლიკი



გიგლიკის გირი რაფიმ ილაგაძი სუვენიერს გადასცემს ქართველ გიგლიკებს როგორც გუგუნიანს

ქართველ მეცნიერებთან შეხვედრისას ბევრგან გავვიხილეს, ბედნიერი ვიქნებოთ, ჩვენმა შვილებმა უმაღლესი განათლება საქართველოში რომ მიიღონო. ასე იყო სოფელ ღაზელშიც, აბდულა თათაროღლუს სტუმართმოყვარე ოჯახში, სადაც ჩვენთან შესახვედრად რამდენიმე აქაურიც მოსულიყო. როგორც აბდულამ შემოგვჩვილა, იცის, რომ მისი წინაპრები მთიანი აჭარის სოფელ ღორჯომიდან წამოსულან, მაგრამ მათი არც გვარი იცის და არც სახელები, თუმცა კი იმედი არ დაუკარგავს, რომ ადრე თუ გვიან მათ შესახებაც შეიტყობს რამეს.

მასპინძლებმა სახელდახელო სუფრაც გავვიშალეს გემრიელად შეკამშული ტრადიციული ლობიო-მხალათი და ჩვენთვის უცხო ბოსტნეულით, რომელსაც ბამიას ეძახიან და ჩვენებურ ტკბილ, სამწილე წიწაკას ჩამოჭვავს. იყო სასმელი: ჩაი წელში გამოყვანილი მომცრო ჭიქებით, აირანი (ჩვენებური დო), ყურძნის წვენი (შერბეთი). იმდენად გულითადი შეხვედრა გამოვიდა, რომ დამშვიდობებისას, პროფესორ როლანდ თოფჩიშვილს გულმა არ მოუთმინა და მოულოდნელად გადაწყვიტა სამადლობელი სადღეგრძელოთი გამოეთქვა. შერბეთით სავსე ჭიქა აიღო და ფეხზე წამოდგა. მასპინძლები გაოცებით მიანიერდნენ, მათთვის უცხო იყო ამგვარი რამ, თუმცა კი ყურადღებით უსმენდნენ სტუმარს.

– თქვენებური შერბეთით მიინდა ყველა დაგლოცოთ, – დაიწყო ბატონმა როლანდმა, – თქვენც და მთელი მარმარილოს ზღვისპირეთის ქართველობაც, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები. ვერ ვფარავ აქაური შეხვედრებით მოგვრილ სიხარულს. ამ შეხვედრებს ნაღველიც ახლავს იმისა, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი ჩვენგან შორს არიან, არცთუ ისე შორეულ წარსულში ერთმანეთის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით, ან სულაც არაფერი! მხოლოდ ფიქრში თუ გავგეძეოდა და ოცნებაში მოვივლიდით თქვენს სამყოფელს... საბედნიეროდ, გაღმა-გამოღმა ნაპირებზე მცხოვრებ ქართველებს ერთმანეთის ნახვის შესაძლებლობა მოგვცა. ისიც კარგია, რომ თქვენ თურქეთის სანიმუშო მოქალაქეებიც ხართ და არც ფესვებს ივიწყებთ. სხვაგვარად არც შეიძლება. ჩვენც ქართველები ვართ და თქვენც... ეჭვი იმისა, რომ რელიგიური ფაქტორი გავითავსებს, უსაფუძვლოა... აღმსარებლობა თითოეულის პირადი საკითხია, პატივსაცემი და სათუთი გრძნობა, ქართველობა კი ჩვენი ერთიანობის საფუძველია... ჰოდა, ამ ქართველობას დაგილოცავთ ახალშექმნილო ძმებო და დებო...

ქართული სუფრისგან განსხვავებით, ბა-

ტონი როლანდის სადღეგრძელოს ტაში მოჭყვა... ასე ემოციურად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, თურქეთსა და საქართველოში შემდგომი შეხვედრების იმედით.

გემლიკი ანტიკური ქალაქი

გემლიკსა და მის ქართულ სოფლებში სამ დღეს დავრჩით. ეს საზღვაო და საკურორტო ქალაქი ბურსას ილში შედის და ამ უძველესი ძლიერი ქალაქის კარიბჭეს წარმოადგენდა ჯერ კიდევ ანტიკურ და უფრო ადრეულ ხანაში. ოღონდ ეგ არის, გემლიკის ადგილას უძველეს დროში ბერძნული ქალაქი ქიოსი ყვაოდა, ხოლო ბურსა ანტიკური პრუსას „შთამომავალია“.

ქიოსი მარმარილოს ზღვის ზვირთებისგან დაცულ მშვიდ უბეში მდებარეობდა. ჯერ კიდევ ძვ.წ. 625 წელს დაუარსებიათ როგორც პოლისი (იგივე ქალაქი) მილეტელ ბერძნებს. ათენელები, სპარტელები, მეგარელები ანტიკურ კოლონიებს მთელ ხმელთაშუა და შავი ზღვისპირეთში აარსებდნენ. სწორედ მილეტელ ბერძნებს მიაწერენ საქართველოშიც სოხუმისა და ფოთის „წინაპრების“ – ანტიკური დიოსკურიისა და ფაზისის დაარსებას. ბერძენთა მმართველობა ქიოსში ძვ.წ. V საუკუნიდან წინა აზიაში იმ დროისთვის უძლიერესმა იმპერიამ, აქემენიდურმა ირანმა შეცვალა. საუკუნის შემდეგ კი, როცა დიდმა ალექსანდრე მაკედონელმა აქემენიდები გააცამტვერა, ქიოსი კვლავ ბერძნულ სამყაროში დააბრუნა. ძვ.წ. II საუკუნიდან, ელინისტურ პერიოდში მარმარილოს ზღვისპირეთში ბითვინიის სამეფომ იმძლავრა და გემლიკიც მეფე პრუსიუს I-ის ხელში გადავიდა. ამას ძვ.წ. I საუკუნიდან რომაული პერიოდი მოჰყვა. მერე უკვე იწყება თითქმის ათასწლოვანი ბიზანტიური ეპოქა და ქიოსი ბიზანტიის იმპერატორთა საზაფხულო რეზიდენციად იქცა. ქიოსი და მისი მიმდებარე სანახები განთქმული იყო მეღვინეობითა და გემთმშენებლობით. ამის გამო იყო, რომ მან ერთგვარი ავტონომია შეინარჩუნა ოსმალთა პერიოდშიც. ანუ მას შემდეგ, რაც 1326 წელს ოტომანთა დამაარსებელმა ოსმან I-მა ეს სტრატეგიული ქალაქი ბიზანტიას წაართვა.

გემლიკსა და მის სოფლებში ჩვენი მასპინძელი, მთხრობელიცა და მეგზურიც ისმეთ ათიში იყო. ისმეთი მცირე ბიზნესსაც ეწევა და აქაურ ქართული კულტურის ცენტრ „დერნების“ ხელმძღვანელიცაა. სწორედ მისი თაოსნობით შევხვდით გემლიკის მერს, რეფიქ ილიმას.

ბატონ რეფიქსაც ქართული ფესვები აღმო-



ფარნა-ბეა ჩილაშვილი თავის სოფელში...



სუვენირები თურქეთიდან



კიდევ ერთ ჩვენიბურ ეგოში



გუმვალის (საზხარეულო) გუმუში, ანუ თუნი ეგოს
საზხარეისად ქვეულა



მარგარიტოს ზღვისპირეთიდან (მაღაზი გოლუვაკი) მარტილ ზოიქა (ფორლუ) "ისტორიანის"
გითხველებს ახალ წელს ულოცავს

ნოდარ შოშითაშვილი

აჩნდა, მესხური წარმომავლობისა. თუმცა კი ქართული მის წინაპარს, ისევე როგორც თურქეთში მცხოვრებ მუსლიმ მესხთა უმრავლესობას, კარგა ხნის დავიწყებულნი ჰქონია. იერთა და გარეგნობით ქართველისგან ვერ გარჩევდი. საქართველო-თურქეთის სამომავლო ურთიერთობაზე საუბრისას ქალაქის მერი თავის ფესვებსაც გადასწვდა. მისი მამა-პაპა სამხრეთ სამცხიდან, თურქეთის შემადგენლობაში მოხვედრილი ფოცხოვიდან ყოფილა. ეს ამჟამად საქართველოს საზღვრისპირა ქალაქი ფოსოფია. გამომშვიდობებისას გემლიკის მერმა ქართული გულუხვობით დაგვასაჩუქრა ქალაქში წარმოებული ზეთისხილის უგემრიელესი ნაწარმითა და სუვენირებით. ჩვენ წარმატება ვუსურვეთ მომავალ არჩევნებში და საქართველოსადმი მიძღვნილი ფოტოალბომიც ვუსასხოვრეთ. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ამ ფოტოალბომმა გემლიკის მერი ჩვენი გამომგზავრების შემდგომ თავის მშობლიურ კუთხეში, სამხრეთ საქართველოში ჩამოიყვანა...

მრავალ ახალ წელს..

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ქალაქებში, ახლებურად ეგებება ახალი წლის დადგომას. ცოტას თუ ახსოვს მამა-პაპათა ტრადიციული საახალწლო სამზადისი. თუმცა ზოგან ჯერ კიდევ ფრაგმენტულად შემორჩენილა ძველი წეს-ჩვეულებების ხსოვნა. მურღულის ხეობაში, ისევე როგორც ძველ საქართველოში, „ნამდვილ ახალი წლად“ ძველით ახალ წელს მიიჩნევენ. ახალი სტილით პირველ იანვარს კი „თურქულ ილბაშს“ (თურქულ ახალ წელს) უწოდებდნენ. იმათ ილბაშზე არაფერ არ ვიქმოდით, ჩვენი ილბაში სხვაა, ძველით ახალი წელიო, – გვითხრეს.

წინასახალწლო სამზადისი ერთი კვირით ადრე იწყებოდა. ხეებს ისე ეფერებოდნენ, როგორც ადამიანებს, უფრო კარგი მოსავალი გვექნება, ესენიც ცოცხლები არიან და მოფერება უნდათო. შემოდგომით ხეებზე აუცილებლად ტოვებდნენ ხილის ნაწილს, რომ მერე ახალი წლის წინა დღეებში მოეკრიფათ, – დამდეგი წელი ბარაქიანი იქნებაო. ცოტას ჩიტებსაც დაუტოვებდნენ, ავი თვალის ასაცილებლადაც.

გამორჩეულია საახალწლო სუფრაც. რაც უფრო ხვავრიელი სუფრა გექნება, ბარაქა და დოვლათი ოჯახში მეტი იქნებაო. მზადდებოდა ტრადიციული ტოლმა, ანუ სარმა. ჩვენებური ტოლმისგან იმით განსხვავდება, რომ შიგთავსი

(ბრინჯში არეული დაბეგვილი ან დაკეპილი ხორცი) კეჟერა ფხალშია გახვეული და აქურებს ძალიან მოსწონთ, განსაკუთრებით იმ სოფლებში, რომლებიც ქობულეთ-ჩაქვი-მახინჯაურიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ.

როგორც წესი, საახალწლო სუფრაზე უხვად უნდა იყოს მრავალფეროვანი ტკბილეული, რომელთაგან ყველაზე აუცილებელი ატრიბუტია აშურაი. ეს ნუგბარი დაბედებას უკავშირდება. აშურაის სხვა დროსაც ამზადებენ, მაგრამ საახალწლოდ მასში აუცილებლად შეიდი კომპონენტი უნდა იყოს: თაფლი, თხილი, ნიგოზი, ქიშმიში, მოხარშული ხორბალი, შაქარი და ბროწეული.

მურღულელეთა წინაპრების რიტუალებში ალილოსა და ბერიკაობის ერთგვარი ნაზავია. „ცამეტში საღამოს ვითომ ქათმებ მევიპარავდით, ახალ სიძეს და ახალ რძალს მოვრთავდით, პატარძალს ტუჩებს გოუწითლებდით, მოზრდილი ბიჭები მურს წავისვამდით, ეთითანე (ერთ-ერთ) ბიჭს გოგოს ტანსაცმელს ჩავაცმევდით, გარგნებს (კეტებს) გამოვთლიდით. მურწასმული ოთხი ბიჭი გარგნებს დევიჭერდით, ვინც გოგოს გეიტყუებდა ან ძალით წეიყვანდა, საცემნელად მივდევიდით. ამის შემდეგ კვარს დევიჭერდით ხელში და სიმღერით ყველა ერთად ხელგადახვეულები კარდაკარ ჩამევივლიდით, ვიმღერავდით. მოგვცემდნენ ფულს, კვერცხს, ერბოს, კაკალს, თხილს, ყველს, ტკბილეულს. დეილეოდა სახლები, ერთგან მევიყრებოდით და ვილხენდით“.

ბუჯერის თემში საახალწლოდ ძროხის კუდეებს ინახავდნენ გარგნებად, ხოლო ნიღბებს ძროხისვე ტყავიდან ჭრიდნენ. ოთხი-ხუთი კაცი „ყადი“ იქნებოდა, ერთსაც გოგოდ გამოაწყობდნენ. სიმინდის ვალებს ჩამოიკიდებდნენ, ეჟვანსაც დაიკიდებდნენ, ხმა იყოსო და ასე ჩამოივლიდნენ კარდაკარ.

ახლანდელი საახალწლო სამზადისი ძალიან გათანამედროვეებულია. თუმცა აშურაის მაინც ვერ ელევიან, იგი, როგორც ჩვენთან გომინაყი, აქაც ყველა ოჯახში მზადდება. ევროპული გავლენით, კარგა ხანია აქაც ნაძვის ხეს რთავენ და დიდი ოჯახებიც ცდილობენ, საახალწლოდ თავი ერთად მოიყარონ...

ბედნიერი ახალი წელი დადგომოდეს ჩვენს თანამოქმედ თურქეთელ ქართველებს შორს, ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ტაო-კლარჯეთშიც, ირანის ფერეიდანშიც, საინგილოშიც... ვინც ისტორიული სამშობლოს გარეთ ხვდება ახალ წელს, ამ სამშობლოს სიყვარულითა და მონატრებით...

რეპორტაჟი მახუთა

წმინდა გიორგის ნაკვალევზე

ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია დასასრულს უახლოვდება. ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ აქაურ ქართველს შევხვდეთ, მეტი რამ შევიტყოთ მათი ყოფისა და კულტურის, საქმიანობისა და ინტერესების შესახებ. მარმარილოს ზღვის სანაპიროზე გატარებულმა დღეებმა კიდევ უფრო დაგვანახვა, რამდენი რამ გვექონია საერთო და „გასახსენებელი“ აქეთურ და იქითურ ქართველებს.



ბურსა ორბილითინიანი ქალაქია

ბურსა – თურქეთის
დედროიდი

კვლავ ბურსას ილში ვართ. ბურსა შეიძლება ითქვას, ქართველ მუჰაჯირთა მერკეზია, ანუ თავიქალაქი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ბურსაში დღეს ორი მილიონი კაცი ცხოვრებს. იგი ნაყოფიერი ველებისა და თოვლიანი მთების შესაყარზე მდებარეობს. ამ მთათა მწვერვალს (რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 2543 მეტრია) ადრე აქ არსებულ ბერთა სავანეების გამო თურქები კვიშადას, ანუ ბერების მთას უწოდებდნენ. ამჟამად მას უბრალოდ ულუდალი – დიდი მთა ჰქვია. ზღვის, ვაკეებისა და მთათა მონაცვლეობას ეს არემარე საუკეთესო საცხოვრისად უქცევია. ამ მთებსა და მთაგრეხილებზე დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამთო-სათხილამურო კურორტია.

ბურსა ბითინიის მეფეს, პრუსიუს II-ს დაუარსებია ძვ.წ. II საუკუნეში. სახელიც მეფისვე რქმევია – პრუსა. პრუსიუსთან უცდია თავის შეფარება რომაელთაგან დევნილ დიდ კართაგენელს, ჰანიბალს, მაგრამ ვერ მოუსწრია და თავი განუგმირავს – დამარცხებულის სახელით რომში ტრიუმფალური თაღის ქვეშ გავლას სიკვდილი უშვობინებია.

მას აქეთ ბურსას გამოუვლია რომაელების, ბიზანტიელების (ათასწლოვანი) ეპოქა, ბოლოს კი ძღვევამოსილ ოსმალთა იმპერიის პირველი დედაქალაქიც კი ყოფილა კონსტანტინოპოლის დაარსებამდე.

მარადმწვანე სუბტროპიკულ მცენარეთა სიმრავლის გამო ქალაქს იეშლი ბურსასაც, ანუ მწვანე ბურსას ეძახიან. მსხვილი საავტომობილო კონცერნებით მდიდარ ბურსას თურქეთის დეტროიტსაც უწოდებენ. აქაური „რენოები“ ხომ ბევრით არ ჩამორჩებიან მათ ფრანგულ ორიგინალებს.

ბურსაში შუა საუკუნეებიდან ბოლო დრომდე მეაბრეშუმეობის კერაც ყოფილა. აქედან ნედლეულს XIX საუკუნეში თვით მსოფლიოში ცნობილ მეაბრეშუმეობის ცენტრში, ლიონშიც აგზავნიდნენ. ქართველ მუჰაჯირთათვის აბრეშუმის მოვლა უცხო არ ყოფილა და აქაც ადვილად აუღეს ალღო. თავდაპირველად შემოსავლიც კარგი ჰქონიათ. მოგვიანებით კი, როგორც ჩანს, აბრეშუმმა ფასი დაკარგა და მთელმა რეგიონმა ზეთისხილის მოყვანას მიყო ხელი. – ადრე თუთები იყო. იბრეშუმს ვირჯბოდით. მერე უქუმეთმა (მთავრობამ) დააიაფა და ეს საქმე დავაგდეთ. ახლა კი გვეხვეწებიან, მარა ზეითუნს ვარჩევთო, – გვითხრა სოფელ ჰამიდი-ეში ჰიქმეთ შიშმეკმა.

მაჰმადიანი მისხები ბურსაში

ძნელად წარმოვიდგენდით, თუ მაჰმადიან მისხებს ბურსას ილშიც შევხვდებოდით, მაგრამ ალბათ გახსოვთ წინა რეპორტაჟიდან, რომ ქალაქ გემლიკის მერი რეფიქ ილმაში წარმომავლობით მაჰმადიანი მისხია.

მარმარილოს ზღვისპირელი ქართველები თავიანთ სოფლებში სხვა გვარტომისას არავის უშვებდნენ, არავის აძლევენ დასახლების უფლებას. ცდილობდნენ, ერთი კუთხიდან ან სოფლიდან წამოსულები ერთად დაფუძნებულიყვნენ. თუ ეს წესი ზოგჯერ მაინც ირღვეოდა, ირღვეოდა ლაზებისა და მაჰმადიანი მისხების სასარგებლოდ.

მაჰმადიან მისხთა თემა კიდევ ერთი მტკივნეული თემაა საქართველოსთვის. ძალიან ძნელია უცხოეთში ხვდებოდე ადამიანს, წარმომავლობით ქართველს, მისხს, რომელსაც დაუკარგავს ეროვნული თვითმყოფადობა და თავის თავს აღიქვამს მისხად, ახალციხელად, ანუ ახისკელად – ქართველობისგან, საქართველოსგან დამოუკიდებლად.

როგორც სოფელ ლაზელში გვითხრეს, აქ ჩამოსახლებული მისხები თავიდანვე თავიანთ თავს ქართველებად არ აღიარებდნენ. არც ენა იცოდნენ, ჩვენთან ისწავლეს ქართულიო. ასევეა სხვა სოფლებში. ამ ბოლო პერიოდში მათ შორის გამოჩნდნენ ე.წ. ემისრები, რომლებიც მათ არწმუნებენ, ჩვენ მისხები ვართ და ქართველებთან არაფერი გვაკავშირებსო და თავიანთ ფესვებს თურქულ-მუსლიმურ ეთნოგრაფიულ ჯგუფს მიაკუთვნებენ.

ჩვენმა ერთ-ერთმა ქართული წარმომავლობის მასპინძელმა ამ პროცესზე გულდაწყვეტით გვითხრა, – სამწუხაროდ, ეს იმას ჰგავს, აქლემების ქარავანი სახედრების ჯოგმა რომ გაიყოლოსო...

თვალის ერთი გადავლებით გავისხენოთ მაჰმადიან მისხთა ტრავიკული ისტორია. ჯერ იყო და ორი საუკუნე ოსმალთა უღელქვემ ცხოვრობდნენ სამცხეში, ჯავახეთში, კოლასა და არტაანში. მერე რუსეთ-თურქეთის 1828-1929 წლების ომის შემდგომ დადებული ადრიანოპოლის ზავით სამცხე და ჯავახეთი რუსეთს მიეკუთვნა (და შესაბამისად, საქართველოს დაუბრუნდა), ხოლო კოლა და არტაანი ოტომანთა იმპერიაში დარჩა. რუსეთს ტერიტორია და მიწა-წყალი სჭირდებოდა და არა ქართველი მისხები. ბევრ მათგანს დაატოვებინეს თავისი სამკვიდრო და ოსმალეთში უკრეს თავი. მათ ნაცვლად კი სამცხე-ჯავახეთსა და წალკაში არზრუმელი სომხები და გიუმისხანელი ბერძნები



სოფელ ელგელში



ძველი ჯაზე ელგელში



ჯაზე თბილისში, ღია ცის ქვეშ გუგუნი გუგუნის ხეობიდან ჩამოიტანეს



მდკვრის სათავე კოლა-არტანუჯი



ქართული ჩუქურთმის დედალი ძველ ჯაზეში

ჩამოასახლეს, რომელნიც რუსეთს თავის ერთ-გულ ქვეშევრდომებად მიაჩნდა ქართველთაგან განსხვავებით. გადასახლებას გადარჩენილ მესხებში კი ყოველნაირად ცდილობდნენ არაქართული ცნობიერების დანერგვას. რუსეთის ცარიზმის ეს პოლიტიკა „წარმატებით“ განაგრძეს ბოლშევიკებმა XX საუკუნის 20-30-იან წლებში.

მართალია, იყო მცდელობა და სურვილი ქართული სკოლების გახსნისა, მაგრამ ოფიციალურმა ხელისუფლებამ მესხები აზერბაიჯანელებად გამოაცხადა და აზერბაიჯანული სკოლებიც გაუხსნა. ამას კი მოჰყვა „ცნობილი“ 1944 წელი, როდესაც ერთ ღამეში დააცლევინეს მათ მშობლიური სოფლები შინაგან საქმეთა კომისარიატის ჯალათებმა და საბარგო ვაგონებით გაუყენეს შუა ამის ტრამალების გზას. ბოლშევიკებს არც თურქეთის ოფიციოზი ჩამორჩა. კოლა-არტანანის ნაყოფიერი მიწებიდან (რომელიც ერთ დროს საქართველოს ბელელსაც კი წარმოადგენდა) მესხები უმცირეს ჯგუფებად ქვეყნის შიდა ოლქებში „გადაანაწილეს“, ხოლო მათი სამკვიდრო ქურთულმა მოსახლეობამ დაიკავა. როგორც ჩანს, თურქეთს ამით შორს გამოზნული გეგმა ამოძრავებდა. ქვეყანაში მიმოფანტული მესხები ნაკლებად იბრძოლებდნენ თავიანთი ტერიტორიის დასაბრუნებლად.

ელმელი – ეთნოგრაფიული „სამოთხე“

ვტოვებთ ბურსას ილს და ქოჯაელის ვილაიეთისკენ მივემართებით. გზად ელმელში ვჩერდებით – ჩვენებურად ვაშლოვანში. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ძალიან დატვირთული სოფელი აღმოჩნდა. ჩვენ თვალწინ გადაიშალა ზემო აჭარისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ხის სახლები, ნალიები, ბელლები, თივის ზვინები. გამრჯე კაცის ხელი ეტყობოდა ვაშლის ბაღებსა თუ სიმინდ-ლობიოს ყანებს. ამ დღეს მთელი სოფელი ჯამესთან შეკრებილიყო ერთ-ერთი რელიგიური რიტუალის აღსასრულებლად. მასპინძლებისთვის ხელი რომ არ შეგვეშალა, მახლობლად საჩაიეში დავსხედით და აქაურ ჩაისაც გავუსინჯეთ გემო. ამასობაში რიტუალიც დასრულდა და გურჯისტანიდან ჩასულ სტუმრებს სოფლის თავკაცებიც შემოგვიერთდნენ. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა მუსა აიდინი. თავის დროზე ცნობილი მოჭიდავე ყოფილა, არაერთხელ შეხვედრია ქართველ ფალავნებსაც და ეს შეხვედრები შემდეგ მეგობრობაში გადაზრდილა. – ქართველებს კაი ფალავნები ყავთ, მაგრამ ჩვენც ვიცით სარმის გამოკვრაო... თუმცა მოგება-წაგების „სტატისტიკას“ თავი აარიდა. ახლა მუსა აიდინი ბურ-

საში ცნობილი მწვრთნელია, ქართულ საზოგადოებასაც (დერნეცსაც) ხელმძღვანელობს და ხშირად ჩამოჰყავს თავისი აღსაზრდელები თბილისის ფალავანთა კლუბში. ქართველი მოჭიდავეებიც მიემგზავრებიან მეგობრულ თუ საერთაშორისო ტურნირებზე მათთან. ელმელელ მოჭიდავეებს არა მხოლოდ ბურსაში, მთელ თურქეთშიც კარგად იცნობენ. 8 წელიწადი თურქეთის ბაშფელევანი ანუ მთავარი ფალავანი ყოფილა აქ აღზრდილი ლაში აჰმედ თაში. ახლა არ იკითხავთ ჭიდაობის რომელ სახეობაში? თურქულად იალი გიურეში ჰქვია, ტრადიციული სახეობაა და არც მეტი, არც ნაკლები, „გაქონილ ჭიდაობას“ ნიშნავს. როცა ეს გვითხრეს, რატომღაც ყველამ აბდუშაჰილისა და ბაშაიჩუკის ცნობილი ორთაბრძოლა გავისხენეთ აკაკი წერეთლის მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმიდან. გახსოვთ ალბათ, წელიწადით შიშველი, ქონით აპრიალეული აბდუშაჰილი (ქართველი ყიზილბაში!) როგორ გააკრა მიწას იმერელმა ფალავანმა.

ჩვენმა მასპინძელმა მუსამ ჭიდაობით დაიწყო და სოფლის ისტორიით გააგრძელა. მოგვიყვა, როგორ ჩამოსახლებულან მათი წინაპრები ღორჯომიდან და დიდაჭარიდან, როგორ შეურჩევიათ სამოსახლო მდინარე ელმელილელს გაღმა-გამოღმა ნაყოფიერ მიწებზე. ჯამე კი მათ დედებს (პაპებს) ერთად აუციათ. იმ ძველ მუსლიმურ სამლოცველოსთან მიგვიყვანა, რომლის მსგავსი საქართველოშიც არის შემორჩენილი, მაჭახლის ხეობაში. ერთი ასეთი მეჩეთი, თბილისში, ღია ცის ქვეშ მუზეუმშიცაა. ძველი მეჩეთი, რომელიც ნაშენებია ძველქართული ხალხური ხითხურობის ტრადიციების გათვალისწინებით, ელმელში ისტორიულ ძეგლად დაუტოვებიათ, ხოლო გვერდით ახალი აუშენებიათ.

გზას იაილებისკენ ავუყვით. იაილები იგივე იალალებია, აქაური საზაფხულო საძოვრები. ამ სოფელში მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობასაც მისდევდნენ. მუშაჯირებს აქაც გადმოუტანიათ აჭარული, მთაბარული მესაქონლეობა. ჩვეულებრივ, მამთარში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ბაგურ კვებაზე ჰყავდათ, ხოლო ზაფხულობით აჰყავდათ სოფლისთვის საამისოდ გამოყოფილ მთაზე, იაილებში. იაილებში საზაფხულო საცხოვრებელსაც აგებდნენ. ზაფხულს მემთავრები (ანუ მთაში წასულები) იაილებში ატარებდნენ. საზაფხულო საცხოვრებლები როგორც წესი, ძელური, ანუ ჯარგვალური ტიპისა იყო. პირველი სართული ახორს, ანუ ბოსეილს წარმოადგენდა, ხოლო მეორე სართულზე ოჯახი სახლობდა. აქვე ჰქონ-



მუსა აიდიინი ღია კერაზე „საქმინებს“



მუსა აიდიინის საზაფხულო სახლი



იზმითი — ისტორიული ნიკოგაღია, სადაც წმინდა გიორგის თავი მოკვეთეს



მიწისძვრის მორიგ წლისთავს ამგვარად ვხშიანებოდნენ თურქეთში



ეთნოლოგი ნოდარ შოშითაშვილი ბორნით ბოსფორის სრუტეზე



ივანხეველი სოსო ჩივაძე (სოფერ ორალი) — მომღერალი და კომპოზიტორი

დათ ბოსტანი, მცირეოდენი ხეხილი, თიბავდნენ ბალახს და ამუშავებდნენ რძის პროდუქტებს.

ამჟამად მუერნეობის სტრუქტურა აქ მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ბურსასა და სხვა ქალაქებში გადასახლდა. სოფლებში ძირითადად ზაფხულობით ჩამოდინა და იაილებსაც ხშირ შემთხვევაში სააგარაკოდ იყენებენ. სააგარაკოდ კი მართლაც შესანიშნავია სოჭისა და ნაძვის ტყეებში ჩაფლული ეს ლამაზი მდელო-ზეგნები. ამ ადგილს კუნელაურს ეძახიან კუნელის ბუჩქების სიმრავლის გამო.

ჩვენმა მასპინძელმა თავის იმერხეული ტიპის საზაფხულო სახლში მიგვიწვია. უფრო სწორად, ეზოში გამართულ ღია კერაზე. თავადვე შეგვიწვია მწვადი, ტრადიციული გუფთე (დაბეგვილი და სუნელებით შეზავებული ხორცი), ბადრიჯანი... ამას მოაყოლა გამაგრებელი სასმელი აირანი, რომელიც ქართლურ დოს წააგავს და რალა თქმა უნდა, უგემრიელესი ჩაი წელში გამოყვანილი ჭიქებით...

და კიდევ ერთიც: ამჟამად თურქეთში ადგილობრივი არჩევნები მიმდინარეობს. ბატონი მუსა ახპარტიამ (ანუ თურქეთის მმართველმა პარტიამ) ბურსის ილის ქალაქ გურსუს მერობის კანდიდატად წამოაყენა. იქაურთა თქმით, რეგიონში მუსა აიდიხს დიდ პატივს სცემენ და არც მის გამარჯვებაში ეპარებათ ეჭვი.

„ამ მიწაზე თქვენი წინდა გიორგი უსამებაით“

...გვითხრა ერთ-ერთმა ქართველმა მუშაჯირმა ქალაქ იზმითში ჩასულთ. მწარე რეალობაა, რომელსაც ვერსად გავეცევიო. ჩვენი თანამოძმენი სხვა სკულისანი არიან, სხვა ტაძარში ლოცულობენ, სხვა წმინდანები ჰყავთ... რელიგიის, რწმენის თემა ამ მიწაზე თითქოს ტაბუდადებული ხდება. თუმცა იმ სასიხარულო „აღმოჩენას“ გვერდს ვერც სტუმრები ავუვლით და ვერც მასპინძლები, რომ მათ წინაპრებს საქართველოზე დარდი გამოუყოლებიათ თან და ეს დარდი თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩვენ კი, თითქოს ახლა გავგიცხოვლდა ჩვენი „მოკვეთილი“ თანამოძმეების სიყვარული. სიყვარული, რომელიც უამრავ ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბარიერს დაგვაძლევინებს და გაღმა-გამოღმა „ნაპირზე“ მცხოვრებ გურჯებს ერთმანეთისთვის სულ უფრო ახლობლად გვაქცევს.

ის დასახლება, სადაც დღევანდელი იზმითია, ძვ.წ. პირველ ათასწლეულში მცირეაზიელ ფრიგიელებს ეკუთვნოდათ. შემდგომ ძველი ბერძნები აარსებენ აქ ქალაქ ასტაკოსს, რო-

მელიც მიწასთან გაასწორა ალექსანდრე მაკედონელის სარდალმა ლისიმაქემ. ახ.წ. III საუკუნეიდან აქ ისევ აღმოცენდა ბერძნული ქალაქი, ამჯერად უკვე ნიკომედის სახელწოდებით. რომის იმპერატორ დიოკლეთიანეს დროს, 284 წელს ნიკომედია იმპერიის ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქად გადაიქცა რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის შემდეგ. ნიკომედია უნიკალური იყო იმითაც, რომ იგი ასზე მეტი ქრისტიანი წმინდანის ქალაქია. დასასრულ, სწორედ აქ, წარმართი დიოკლეთიანეს ბრძანებით 303 წლის 23 აპრილს (ახალი სტილით 6 მაისს), რვადღიანი წამების შემდგომ, თავი მოჰკვეთეს დიდმოწამე წმინდა გიორგის. თითქოს ღვთის რისხვა იყო და ამის მერე გაუთავებელმა მიწისძვრებმა ლამის მიწასთან გაასწორა ქალაქი. VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ აღადგინა ნიკომედია, ხოლო XI საუკუნეში თურქ-სელჩუკთა ხელში გადავიდა. და აქაც მეორდება მარმარილოს ზღვისპირეთის დასახლებათა ბედი. არენაზე ჯერ ჯვაროსნები ჩნდებიან, ხოლო საბოლოოდ, 1337 წლიდან – თურქები ეუფლებიან ქალაქს და იზმითიც მათ დაარქვეს.

ოსმანთა იმპერიაში იზმითი განსაკუთრებით დაწინაურდა სულთან სულეიმან I-ის დროს. სწორედ იმ სულეიმან I-ისა, რომელიც ბოლო დროს ქართველთა ერთმა ნაწილმა (სერიალების მოყვარულმა!) სერიალ „დიდებული საუკუნით“ გაიცნო. იმ დიდებულ საუკუნეში იზმითი ოსმალთა იმპერიის გემთმშენებლობის ცენტრად გადაიქცა და ამ ტრადიციას ორასი ათასიანი ქალაქი, მომიჯნავე გოლჯუკთან ერთად, დღესაც ინარჩუნებს.

ერთი სამწუხარო დეტალიც: 1999 წელს, 17 აგვისტოს თურქეთში მომხდარმა კატასტროფულმა მიწისძვრამ 20 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რა თქმა უნდა, თანავგრძნობდით მეზობელ რესპუბლიკას, მაგრამ ის კი არ ვიცოდით, რომ თურმე დალუპულთა უდიდესი ნაწილი ქართველ მუშაჯირთა შთამომავალი ყოფილა. ჩვენი იზმითში ყოფნისას ამ ტრაგედიის მორიგი წლისთავი აღინიშნებოდა...

მასპინძლები

მოგზაურობისას ყოველთვის ვგრძნობდით მასპინძელთა კეთილგანწყობასა და სიყვარულს. საქარეილი ერეკლე დავითაძე (ერდოლან შენოლი) თითქმის გვერდიდან არ მოგვშორებია. იგი თავის რეგიონში გარემოს დაცვის საკითხებს განაგებს და იმავდროულად, ქართულ სათვისტომოსაც უდგას სათავეში. მთელი მისი ოჯახი საქართველოზე შეყვარებულია. მისი

ორი ვაჟი ალი და იასინ რევამიც ქართველობენ, პერსპექტიული სპორტსმენები არიან და ძიუდოში არაერთ წარმატებასაც მიაღწიეს თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში. ერდოღანმა ისიც გაგვანდო, ვიცი, როგორ წარმატებას აღწევენ ქართველი ძიუდოისტები მსოფლიოში და ძალიან მინდა, ჩემმა შვილებმაც გაიარონ ქართული ძიუდოს სკოლაო.

ქართულ ხელოვნებასა და მის არაერთ წარმომადგენელს კარგად იცნობს სონერ ორალი – იმერხეველი სოსო ჩივაძე, მომღერალი და კომპოზიტორი, რომლის შემოქმედებაშიც ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს წამყვანი ადგილი უჭირავს. დიდი გულითადობით გვიმასპინძლეს ქოჯაელში, სოფელ შევექეთიში ადნან ჩავდარმა და მისმა მუღღლე აიშემ...

ქოჯაელის ილჩეში (მთავარი ქალაქი იბმითი), როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა კარგახნის მეგობარმა არჩილ ბოიძემ (აბდულლაჰ ბორლუ) და მისმა ოჯახმა გვიმასპინძლა. არ-

ჩილთან ერთად ქოჯაელის სოფლები მოგვატარა სტამბოლში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ხელოვანმა და რეჟისორმა ვარლამ (ლალი) ნიკოლაძემ. დიახ, ეს ის ცნობილი ლალი ნიკოლაძეა, „ნიკოლშოუს“ ბიჭების მამა. ახლა ჩვენი არჩილის იმედი მაქვს, იბმითში ქართული თეატრის გახსნას ვაპირებთო, გვითხრა ქართველმა რეჟისორმა.

* * *

ამასობაში ჩვენი ექსპედიციაც დასრულდა. კიდევ ერთი დღით ვესტუმრეთ სტამბოლს... ახლობლებისთვის სუვენირები და აღმოსავლური ტკბილეული შევიძინეთ და ისევ პირველი თურქი მფრინავი ქალის, საბირჰან გიოგჩელის სახელობის აეროპორტს ვეწვიეთ. ამჯერად თბილისისკენ აიღო გეზი ჩვენმა ფრინველამ (როგორც იქაური ქართველები ეძახიან თვითმფრინავს) „ახალდანათესავებულ“ თანამომძიებთან მომავალი შეხვედრის იმედით.



ერდოღანების ოჯახის სამი თაობა



რეჟისორი ლალი ნიკოლაძე (მარჯვნივ) სოფელ ვაშიდთიში ჩვენს მასპინძელთა შორის აღმოჩნდა



გვერდმოდგება სოფელი აჰმადიე

ნაწილი მესამე

რეპორტაჟები თურქეთის შავი ზღვისპირეთის სამხრეთ პროვინციების ქართველთა დასახელებებიდან

რეპორტაჟი პირველი

„სოფელში რომ ადენის სურნელს
იგრძნობ, ესე იგი,
აქ გურჯები ცხოვრობენ“

ქართველი მოსახლეობის სიმრავლე თურქეთის შავი ზღვისპირეთის სამხრეთ პროვინციებში,
მეცნიერებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა!

ამ ზაფხულს ქართველი მეცნიერები ისევ ვეწვიეთ თურქეთს. რუსთაველის ფონდისა და წმინდა თამარის უნივერსიტეტის თანადგომით უკვე მესამე კომპლექსური ექსპედიცია მოეწყო. წინა ორი ექსპედიცია დაეთმო ტაო-კლარჯეთის სხვადასხვა კუთხისა და მარმარილოს ზღვის რეგიონში განსახლებული ქართველების ყოფისა და კულტურის, ენობრივი ვითარების, ქართული თვითშეგნების, სათვისტომოებისა თუ საზოგადოებების საქმიანობის შესწავლას. წლეულს კი თურქეთის შავი ზღვის რეგიონის ქართველთა დასახელებებში ვიმოგზაურეთ, არაერთი საყურადღებო ფაქტი აღვ-ნუსხეთ და ისტორიულ სამშობლოზე შეყვარებული მრავალი თურქეთელი ქართველიც გავიცანით.

განსახლების სამი არეალი

თურქეთში ამჟამად ქართველთა განსახლების სამი ძირითადი არეალია.

– ისტორიული ტაო-კლარჯეთი, სადაც ქართველები უმთავრესად განსახლებული არიან ართვინის ვილაიეთში. ამ ნაწილს ძირითადად შენარჩუნებული აქვს ქართული ენა და წეს-ჩვეულებები. დანარჩენ ნაწილში მოსახლეობამ დროთა განმავლობაში განიცადა დეეთნიზაცია და ქართულ ფესვებზე მხოლოდ სოფლის სახელები და ადგილობრივი ტოპონიმები მინიმუმდენ;

– 1878 წელს მუჭაჯირებად გახიზნული მოსახლეობის შთამომავლები მარმარილოს ზღვის რეგიონში;

– ასევე მუჭაჯირთა შთამომავლები შავი ზღვისპირეთის სამხრეთ პროვინციებში.

გარდა ამისა, ქართული მოსახლეობა ერთეულ სოფლებად თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეშიც გაბნეულა, რაღა თქმა უნდა, ქართველების ნაწილი ცხოვრობს დიდ თუ პატარა ქალაქებშიც: სტამბოლში, ანკარაში, ბურსაში, იზმითში, სამსუნში, სინოპში, ადაფაზარში და სხვ.

ამ ზაფხულს ჩვენმა გუნდმა (ეთნოლოგები როლანდ თოფჩიშვილი, ნოდარ შოშიტაშვილი, მირიან ხოსიტაშვილი და გიორგი ავთანდილაშვილი, ენათმეცნიერი ინგა ლუტიძე, თურქოლოგი ზაზა წურწუშია, მეცნიერი ნატო ასათიანი) გეზი მესამე, შავი ზღვისპირა რეგიონისკენ აიღო, სადაც ქართველები XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, ძირითადად, გემოალნიშნული 1878 წლიდან დაფუძნდნენ და მოიცვეს ტერიტორია გირესუნის ვილაიეთიდან სინოპამდე.

ერთი ნიუანსიც: თუ შავშეთ-იმერხევისა და საერთოდ, ტაო-კლარჯეთის, აგრეთვე მარმარილოს ზღვის სანაპიროს ქართველთა შესახებ ჩვენს საზოგადოებას მეტ-ნაკლებად აქვს ინფორმაცია, ამას ვერ ვიტყვით შავი ზღვისპირეთის ქართველთა შესახებ.

მეტიც, ჩვენთვის, მკვლევარი ეთნოლოგებისა და ენათმეცნიერებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა ასეთი დიდი ქართული დიასპორის არსებობა თურქეთის ამ მხარეში. ჩვენი გათვლებითა და იქაური კოლეგა-მეგობრების ინფორმაციით, აქ დაახლოებით ქართული წარმომავლობის ხალხით დასახლებული 200-მდე სოფელია. გარდა ამისა, ქართველები ცხოვრობენ საგუბერნიო თუ რაიონულ ცენტრებშიც. უმეტეს შემთხვევაში, ქალაქში მცხოვრებნი სოფელთანაც ინარჩუნებენ კავშირს.

არდაშენი ლაზური ქალაქი

სანამ „დანაშნულების ადგილას“, მუჭაჯირე-

ბის შთამომავალთა სოფელ-ქალაქებში მივიდოდით, ცხადია, ლაზეთი გავიარეთ. ერთმანეთს ენაცვლებოდა ლაზებით დასახლებული პატარა ქალაქები: ხოფა, არქაბი (არქავე), ვიწე (ფინდიკლი), არდაშენი, ფაზარი...

არდაშენში შევისვენეთ. მოსახლეობის უმეტესობა აქ ლაზია. არიან ეთნიკური თურქები და ჰემშინებიც – გათურქებული, გამუსლიმებული სომხები.

ქალაქის კარიბჭესთან სანადიროდ შემართული მიმინოს უზარმაზარი ქანდაკება შემოგვგება. ჩვენთვის ამას სხვა დატვირთვაც ჰქონდა: მიმინოთი ნადირობა და ბაზიერობა ხომ ოდითგანვე განთქმული იყო კოლხეთის მოსახლეობაში და მთლიანად ისტორიულ საქართველოში. დღესაც შეხვდებით ბაზიერებს გურიაში, საქართველოს ლაზურ სოფლებში. არდაშენშიც აქა-იქ დღესაც წვრთნიან მიმინოებს ბაზიერებიო, გვითხრეს.

მიმინო შევარდენისნაირთა რიგის ორნითოფაგი (ჩიტების მჭამელი) ფრინველია. სწორედ ეს თვისება გამოიყენეს ჩვენმა წინაპრებმა მის მოსათვინიერებლად. სულ მცირე, ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან ჩანს სანადიროდ მიმინოს გამოყენება. როგორც წესი, მონადირედ დედალ მიმინოს, ანუ ნარდს ირჩევდნენ, რადგანაც იგი, მამლისგან განსხვავებით, ძლიერი და შემტევია. მიმინოს ბადისა და მისატყუებელი ჩიტის, ღაჟოს დახმარებით იჭერდნენ. ღაჟო მოუსკვნარი ფერადი ჩიტია. თავის მხრივ, ისიც ძნელად მოსახელთებელია და საგანგებო მახით ან საღაჟოე სხაპით იჭერდნენ. ღაჟოს რომ აათამაშებდნენ ბადის წინ, მიმინო დაეძგერებოდა და ბადეში ისიც ებმებოდა. ამის შემდეგ იწყებოდა მიმინოს მოთვინიერება. თუმცა ამ საკმაოდ საინტერესო პროცესის მოყოლა ძირითად თემას აგვაცდენს. ერთი კია, თითქოს „არდაშენელი მიმინოს“ ქანდაკება ერთგულად იცავს ლაზურ გარემოს.

ბათუმურა და იზაბელა

არდაშენში ჩასულეხს ჩვენი მეგობრები შემოგვიერთდნენ – თუფაქ შაფაქ ლომინაძე და ფეჰმი უზალ უსტიაშვილი, სინოპისა და სამსუნის რეგიონების მკვიდრნი, რომლებიც არა მხოლოდ საუცხოოდ იცნობენ ქართველებით დასახლებულ სოფელ-დაბებს, არამედ აქაურებსა და თავიანთ ისტორიულ საშობლოს შორის ერთგვარი ხიდის როლსაც ასრულებენ.

გირესუნისკენ გავემართეთ და ფირაზის რაიონში მთა-გორაკებზე გაშენებულ სოფელ თეფქოის ვესტუმრეთ. თვით სიტყვა თეფქოი სერზე, ბორცვზე შეფენილ განსახლებას აღნიშნავს. სო-

ნოდარ შოშითაშვილი

ფელი იმდენად მთიანია, თავის დროზე ხარის არაბასაც (ურემსაც) უჭირდა აქ მოძრაობა. ორას-კომლიან სოფელში ყველა ქართული წარმომავლობისაა. 75 წლის ისმეთ მიდელაშვილის გადმოცემით, 37 ოჯახი აყრილა ჩურუქსუდან (ქობულეთის ხეობა), მახუნცეთიდან, ქედადან. სახალისო იყო მისი პასუხი კითხვაზე, – რამდენი შვილი გყავთ? ისე გვიპასუხა, საქართველოს მთაში რომ იცოდნენ ხოლმე ძველად: „სამი შვილი მყავს და ერთიც გოგო“.

როგორც სხვა კუთხეებში, აქაც ბევრი ურჩევიათ, ახალი ფუძისთვის ბარი სად დაერტყათ... რამდენიმე ალაგიც გამოუცვლიათ.

ისმეთ მიდელაშვილი: „ფარახობით მოსულან ჩვენი დედები, დიდვანები. ქვეით დამჯდარან, გირესუნში, ზღვასთან. აქედან ოცი კილომეტრია გზით. მოკლემე ხევებით და ბილიკებით – შვიდი. სიცხე იყო იქ, ბუბი კბენდა. დუშტოვიათ ნესტიანი ადგილი მთის წყაროებზე შერეულებს“... მაღლა ამოსულან და ეს ადგილები შეურჩევიათ, სადაც წყაროებიც ყოფილა და ნაკადულებიც და რაც მთავარია, ტყე. „თავი თითქოს სახში დუუგულებიათ“. ტყეც „ნაცნობი“ ყოფილა მათთვის – რცხილნარი, მუხნარი, წაბლნარი. ხის ოსტატებიც ყოფილან, უბადლო ხითხუროები. სახლებიც თავადვე აუშენებიათ და მკვიდრადაც.

მუჭაჯირებს თან წამოუღიათ ზოგიერთი ჯიშის ხილისა და ვაზის ნერგები. გამორჩეულად ბათუმურა მსხალს ასახელებენ, „დიდვანებს, ორი მუშტის ხელას“. სამშობლოდან „წამოღებული“ ხეხილი უმეტესად სწორედ მსხალია. მართლაც, როგორც აქ, ასევე ინეგოლისა და გოლჯუკის სოფლებში, საუკუნე-ნახევრის მსხლის არაერთი ხე გვინახავს, რომელზეც გვითხრეს, „დიდდედების“ ჩამოტანილია ბათუმიდანო.

ყურძნის ჯიშებიდან კი უპირატესობა იზაბელასთვის (ადესა) მიუნიჭებიათ. ალბათ იმიტომ, რომ სწორედ იმ პერიოდში შემოიტანეს საქართველოში გავრცელებული დაავადების, ფილოქსერას გამძლე ვაზის ეს ჯიშო.

ცნობისთვის: იზაბელა მუჭაჯირთა შთამომავლებისთვის როგორც აქ, შავი ზღვისპირეთში, ისე მარმარილოს ზღვის რეგიონში, ერთგვარი სავიზიტო ბარათი გახდა. სოფელში რომ შეხვალ და ადესის სურნელს იგრძნობ, უნდა იცოდეთ, რომ, როგორც აქაურები იტყვიან, ეს ქართველი სოფელია, გურჯების სოფელია.

თხილმა ხალხი დააბრუნა...

ორდუს ვილაიეთში მივემგზავრებით, რომელიც ამ რეგიონში ყველაზე ქართულია – აქ ქართველ მუჭაჯირთა შთამომავლებით დასახლე-

ბული 145-მდე სოფელია, თანაც, უმეტესობა მოსახლეობის სიმრავლით გამორჩეული. გემასპინძლობს ქალაქი უნიე – პატარა, მყუდრო საპორტო ქალაქი, 78 ათასი მცხოვრებით). მშვენიერი ზღვის სანაპირო ზოლის მიუხედავად, მისი საკურორტო პოტენციალი ბოლომდე არ არის გამოყენებული.

ერთი რამ შესამჩნევია თურქეთში (უცხო თვალისთვის განსაკუთრებით): აქაურობა იმდენად განებივრებულია ზღვის სანაპიროებით (შავი, მარმარილოს, ეგეოსის, ხმელთაშუა), რომ ამ ზღვებს შორისაც „არჩევანი გაუკეთებიათ“. შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვის „ჩრდილში“ იკარგება. ხმელთაშუაზღვისპირეთში კი მსოფლიო მნიშვნელობის კურორტებია გაშენებული. თუმცა შავიზღვისპირელებს იმედი აქვთ, ჩვენი დროც მალე დადგებაო...

დავუბრუნდეთ ჩვენს „საკვლევ ზონას“. ორდუს, ფაცას, უნიეს სოფლების მოსახლეობა თავიდან ტრადიციულ დარგებს მისდევდა: მოჰყავდათ სიმინდი, ხორბალი, ქერი, ღომი, ფეტვი... მოაშენეს ხარ-ძროხა, ცხვარი, თხა, მაგრამ რამდენიმე ათეული წლის წინ დიდი ცვლილება მოხდა. არნახულად გაიზარდა მოთხოვნილება თხილზე თურქეთისა და მსოფლიო ბაზარზე. ამიტომ საკარმიდამო საბოსტნე ნაკვეთებისა და სიმინდის ნათესების გარდა, მთელი სავარგულები თხილს დაეთმო. შარშან გემლიკის რაიონში, მარმარილოს ზღვისპირეთში მოგზაურობისას ჩვენი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ ზეთისხილს არა მხოლოდ პლანტაციებად ვარგისი ვაკე ადგილები ეკავა, არამედ ათვისებული ჰქონდათ თითქმის ყოველი გორაკი თუ ბორცვი. ორდუს ოლქში კი თხილი გაუშენებიათ ყველგან. სერები, გორაკები, ბორცვები ველური ბუჩქნარის ნაცვლად, თხილის ნარგავებს დაუკავებია. თხილმა კი, როგორც აქაურებმა გვითხრეს, ხალხი უკან ჩამოიყვანა. ქალაქებიდან ჩამოდიან 4-5 თვით, რაც საკმარისია თხილის მოსაყვანად, შემდეგ კი მომდევნო წლამდე უკან ბრუნდებიან. საქართველოშიც რომ გადმოგველო ჩვენებურთა ეს „გამოცდილება“, არ გვაწყენდა. მით უფრო, რომ ჩვენი მიწის დიდ ნაწილზე თხილიც ხარობს და ზეთისხილიც.

უნიეში ქართული კულტურის ცენტრსაც ვეწვიეთ, რომელსაც მეშვედ ალი გიურსოუ თავკაცობს. ბატონი მეშვედი წარმოშობით ამასიდან არის და ხუმრობით გვეუბნება, ქართველი საცოლის ძებნაში ბედმა 300 კილომეტრი გამომატარა და უნიეში მომიყვანაო... კულტურის ცენტრიდან და საერთოდ, ქართული სოფლებიდან ხშირად ეწყობა „გასვლები“ აჭარის იმ სოფლებში, საიდანაც აქ მცხოვრებთა ფესვებია. ასე ეცნობიან და ხელახლა უნათესავდებიან აქეთურ-იქეთური ქართველები ერთმანეთს.



არდაშენის შესახველში სტუმარს გონადირე მიმინო ეგებება



ლაზური ძალაში არდაშენი

Türkiye'deki Gürcü kültürünü araştırıyorlar

Tiflis Üniversitesi'nden 7 öğretim görevlisi, Türkiye'de yaşayan Gürcülerin yaşam tarzlarını incelemek üzere Samsun'un Çarşamba ilçesine geldi

7 KİŞİLİK profesör grubu program çerçevesinde Ordu'nun Ünye ile Fatsa ilçeleri, Samsun'un Çarşamba ilçesi, Sinop ve köyleri ile İstanbul'da Gürcü yerleşim yerlerini ve buradaki Gürcü halkın dününü ve bugününcü inceliyor. Proje içerisinde Çarşamba'ya gelen Tiflis Üniversitesi'nden 7 profesör, ilk önce Çarşamba Ticaret ve Sanayi Odası Başkanı Ahmet Yılmaz'ı ziyaret etti. Çarşamba'nın Göğçeli Mezarlığı bulunan 800 yıllık olduğu tahmin edilen Çivrisiz Camii'nde ziyaret eden Gürcü bilim insanlarına İstanbul Gürcü Kültür Derneği Başkanı Fahmi Uzal'da eşlik etti. İstanbul Gürcü Kültür Derneği Başkanı Fahmi Uzal, Tiflis Üniversitesi'nden gelen profesörlerin Türkiye'de yaşayan gürcü halkının geldiği noktayı ve yaşam tarzı konusunda incelemelerde bulunduğünü söyledi.

CIHAN

ადგილობრივი კრება მიმდინარეობს მართლმადიდებლურ შეხებაზე მომხსენებას



თურქეთში მართლმადიდებლური დინამიკის წარმომადგენლები (მარცხნიდან): ფიქრი უზალ უსტიპოვილი, მამილ თლგუნ თავაძი და თურქი ზაფარ ლოინიძე

**თავადი თავდგირიძეების
შთამომავლები**

ქალაქ უნიეს გარეუბანში, ერთ გამორჩეულ და მოვლილ მამულში თავად თავდგირიძეების ერთ-ერთ შთამომავალს, ქალბატონ აიშე თავდგირიძე-ხაზნადარს შევხვდით. აიშე ფსიქოლოგია, იყო ანკარის უნივერსიტეტის პროფესორი, ახლა პენსიაზეა და მამულს დაუბრუნდა. გვიამბობს თავდგირიძეთა საგვარეულოს იმ შტოს შესახებ, რომელსაც სამკვიდრო ოსმალეთის იმპერიაში უბოვია. მისი გადმოცემით, აქ XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოსულან და უნიესა და ფაცას მიდამოებში მათთვის დიდი მამულებიც გამოუყვია სულთანს. მათ ევალებოდათ გადასახადების აკრება და საერთოდ, ფინანსური საქმეების წარმართვა. ამიტომაც უბოძებია სულთანს მათთვის ახალი გვარი – ხაზინადარი (ხაზნადარი). თავდგირიძეთა ერთ-ერთ შტოს კი გვარად თავად-ი აულია. უნიეს ცენტრში მკვიდრად ნაგები გალავანი, რომელიც ზღვის ტალღებისგან იცავდა ქალაქს, ოლქის გუბერნატორს, სულიეიმან ფაშა თავდგირიძე-ხაზნადარს აუგია. ჯანიკის ოლქის ბოლო მმართველები კი ნური და ოსმან ფაშები ყოფილან ამავე საგვარეულოდან.

ხელისუფლებაში ქემალ ფაშას მოსვლისა და რესპუბლიკური მმართველობის დამყარების დროიდან, როცა რეპრესიებიც არ იყო უცხო, თავდგირიძეებს ადმინისტრაციული სამსახური დაუტოვებიათ და მეურნეობისა და მამულების მართვისთვის მიუყვიათ ხელი. ამჟამად ამ გვარის წარმომადგენელი მურატ ხაზნადარი სტამბოლის ერთ-ერთი რაიონის, ბეშიქთაშის გამგებელია და მისი სარეკლამო ბანერებიც გვხვდებოდა თურქეთის უდიდეს ქალაქში.

ბოლოს ქალბატონი აიშე დასძენს: – დები ვიყავით და ოჯახში განათლებას რომ გვაძლევდნენ, ჩვენს კარიერაზე არავინ ფიქრობდა, კარგ დედებად გვზრდიდნენ. დღეს კი სხვაგვარადაა, კარიერაზე მტეს ფიქრობენ ჩვენი ქალები, ვიდრე დედობაზე...

აი, რას მოგვითხრობს ისტორიული ჩანაწერები თავდგირიძეთა საგვარეულოს შესახებ:

თავდგირიძეთა ფეოდალური საგვარეულო სამხრეთ საქართველოდან წერილობით წყაროებში XIV საუკუნიდან იხსენიება. ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ამ გვარის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქართლში, გურიასა და იმერეთში გაიფანტნენ. საგვარეულოს ერთი ნაწილი, კერძოდ ქობულეთის სარდალ-მოურავი მამუკა თავდგირიძე, რომელიც სოლომონ I-ის სიძე იყო, ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში. 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ თავდგირიძეთა ერთი ნაწილი ქვეყნის

ერთგული დარჩა, მეორე ნაწილი კი გამუსლიმდა და ოსმალეთის სულთნის მოხელეებად იქცა.

საინტერესოა, რომ მათ შთამომავალთაგან ერთ-ერთის, ჰასან ბეგის, 1853-1856 წლების ყირიმის ომის მონაწილე თავდგირიძეთა გვარის წარმომადგენლის ისტორია. სწორედ მას უკავშირდება გურულების ხალხური სიმღერა ხასანბეგურა (ჰასან ბეგი სწორედ ამ ომს ემსხვერპლა). ასევე საინტერესოა ალი ფაშას თავგადასავალი. იგი ქობულეთის ფაშა იყო და 1878 წელს ოსმალეთში მუშაჯირად გაიყოლია 1500 ოჯახი. ამას ხელი შეუწყო ახალმა, რუსულმა ადმინისტრაციამ, რომლის წარმომადგენლებმა ამგვარად დაიწყეს ქართველი მოსახლეობის შევიწროება და განდევნა. აი, როგორ „ამართლებდა“ რუსი მოხელე დმიტრი სვიატოპოლსკი-მირსკი საქართველოდან ქართველი მუსლიმების განდევნას: „ბათუმის ოლქის მიღებით რუსეთმა მიიღო ბუნებრივი სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე საშიშ კუთხეში. ხალხი, რომელიც თურქეთთანაა დაკავშირებული რელიგიით, საშიშ ელემენტს წარმოადგენს ციხის შიგნით. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მოვიცილოთ“.

ალი ფაშაზე შექმნილი პოპულარული სიმღერის ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი კი ასე გამოიყურება:

ალი ფაშამ გვილაღატა,
ჩაგვიყვანა კვირიკეში,
იმან ფულები აიღო,
ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში.
კაი არც მას დამართნია,
ბაწრით ჩათრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა
სუფსის გაღმა ბაიეთში.

„დატუსაღებული საქართველო“

მოვლენებს ოდნავ წინ გავუსწრებ და გავიხსენებ სინოპის ოლქის ერფელიკის ილჩეში მცხოვრებ მუსტაფა ოსგენჩის (ბრეგვაძის) ოჯახში ნანახი ერთი ნახატის ისტორიას. მასპინძლებმა გვიჩვენეს თავიანთი ნათესავი მოყვარული მხატვრის ნაჩუქარი ფერადი ტილო, რომელზეც გამოსახულია გისოსებში გამომწყვდეული და ფეხებზე ბორკილდამდებული მშვენიერი ქალი. ამ ნახატს „დატუსაღებული საქართველო“ ჰქვია. ჩანს, მისმა ავტორმა სიმბოლურად ასე წარმოიდგინა თავისი ისტორიული სამშობლო.

როლანდ თოფჩიშვილი (ექსპედიციის მონაწილე, პროფესორი): – ამ ნახატის ავტორია ქამილ ოლგუნი-თავდიძე, წარმოშობით სინოპის მხარიდან. იგი სოფელში იზრდებოდა, 12 წლისა თანატო-



ისმეთ მიდელაშვილი:
„სამი შვილი მყავს და ერთი მგობო“...



უნიუს მუჩაში ქართული სათვისტომოს წევრებთან



სამ აპრობან თხილს



თურქეთის შავიზღვისპირეთში ჰიჯაბდახურულ და ტრადიციულ სამოსში გამოსვლილ მოსურავებთან



უნიუს ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი მკვებელ ალი გირსოუ და კროფესორი აიშე ხაზნადარი თავმჯდომარე



მურათ ხაზნადარის სარეკლამო ბანერი სტამბოლში გვხვდება



ქაშილ ოღბუნ თავღიძის ნახატი „დათყვევებული საქართველო“

ლებთან ერთად სინოპის ლიცეუმში გადაუყვანიათ სწავლის გასაგრძელებლად. სწორედ ლიცეუმში გაუგიათ პატარა გურჯებს, რომ დანარჩენი მოსწავლეებისგან განსხვავდებოდნენ, თურქულის გარდა სხვა (თავიანთ) ენაზეც ლაპარაკობდნენ. ყმაწვილებს ვერ გაერკვიათ, ვინ იყვნენ, საიდან მოდიოდნენ. ამ მსჯელობამ ისინი ბიბლიოთეკამდე მიიყვანა, სადაც აღმოაჩინეს სტამბოლში გამოცემული ერთი თურქულენოვანი პატარა წიგნი (რომელსაც მერე ველარ მიაკვლიეს). ამ წიგნით გაიგეს გურჯისტანზე, ნოე უორდანიას მთავრობაზე. ისიც გაიგეს, როგორ დაიპყრო საქართველო რუსეთმა... რა თქმა უნდა, მეტის ცოდნა მოუნდათ გურჯისტანის შესახებ. ერთად მოიფიქრეს, წერილი გამოეგზავნათ საქართველოში და ასეც მოიქცნენ. კონვერტზე ასე დააწერეს: გურჯისტანი, თიფლისისე (ლიცეუმი). იფიქრეს, ჩვენთან თუ გვაქვს ლიცეუმი, თბილისშიც ექნებათო და თანატოლებს წერდნენ, ქართული ქითაბები (წიგნები) გამოგვიგზავნეთ, ქართულად წერა რომ ვისწავლოთ... ერთი თვე ელოდნენ პასუხსა და წიგნებს თბილისიდან. პასუხის ნაცვლად სინოპის პოლიციაში ბიტებიც დაიბარეს და მათი მშობლებიც და მკაცრად გააფრთხილეს, ასეთი რამ აღარ გაიმეორეთო... მოგვიანებით დაუხატავს ეს ტილო ბატონ ქაშილს, რომელშიც „დატუსაღებული საქართველო“ ტკივილი გადმოუცია.



ქველავური დუქანი ბაშთენისას, კლინდის მოლოდინში

რეპორტაჟი მეორე

მუჰაკჰირთა „სამეურნეო აკადემია“ თურქეთში

რატომ უყვართ თურქეთის ქართველებს „თამარაი“ და ვინ იყო გეიქ ქოშა...

კვლავ განვაგრძობთ მოგზაურობას 1878 წლიდან მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი ქართველი მუჰაკჰირების ნაკვალევზე და გავიცნობთ მათ შთამომავლებს თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის რეგიონის ქართველთა დასახლებებიდან.

ლაზეთვისა და პონტოს მთების ხეობებში, შავი ზღვის სანაპიროზე თითქოს ახალი ხულო და შუახევი უპოვიათ გახიზნულ ქართველებს. დასახლებულან და დაუპირებიათ კიდეც ახალი სამყოფლისთვის ქართული სახელების დარქმევა, მაგრამ ამის უფლება არ მიუციათ.

როგორც წინა რეპორტაჟებშიც აღვნიშნავდით, მუსლიმ ქართველთა სამშობლოდან გადასახლება შედიოდა როგორც რუსეთის, ასევე ოსმალთა შორს გამიზნულ ინტერესებში. რუსეთის იმპერიაში არც მალავდნენ, რომ ქართველთაგან გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე არაქართველთა ჩამოსახლება სურდათ — საზღვრისპირა რეგიონებში ერთგულ დასაყრდენად. ხოლო ოსმალებს უნდოდათ, სასულთნოს მოსახლეობა კარგი მეომრებითა და მეურნეებით „გაემდიდრებინათ“.



თურქეთის შავი ზღვისპირეთის პატარა ქართული დასახლებები კურორტებად გადაიქცა

„თამარაი ჩვენი დიდია“

სამსუნის ოლქში ვართ. ჩვენი ექსპედიცია ჩარშაბასკენ მიემართება. აქ მუშაჯირებს ჭაობიანი ადგილი დახვედრიათ, ამიტომ სანაპიროდან ათიოდე კილომეტრით აინაცვლეს მთებში და იქ დასახლდნენ. საქართველოდან ჩასულები გულთბილად მიგვიღეს, ადგილობრივი პრესა და ტელევიზიაც დაინტერესდა.

თურქეთელ ქართველთათვის თამარ მეფე სალოცავივითაა. თუმცა ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ სალიფაზარის რაიონის გამგებელ ადემ იაზიჯის (ცენტრადის) სამუშაო ოთახში, თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელ მუსტაფა ქემალ ათათურქის ორ ფოტოს შორის, თამარ მეფის პორტრეტს ვნახავდი. ეს თითქოს ჩვენებურების ახალი და ძველი სამშობლოს სიმბოლოებია. თამარ მეფე ხომ თურქეთელ ქართველებს გამორჩეულად უყვართ და ამბობენ კიდევაც, თამარაი ჩვენი დიდია, ანუ ჩვენი დიდი წინაპარიაო.

სალიფაზარსა და მის მიდამოებში ბინა დაუდევთ ჯაფარიძეებსა და ვარშალომიძეებს, ფუტკარაძეებსა და ცენტრაძეებს, პილპილაძეებსა და ჯინჭარაძეებს... სოფელ აიაზმაში კი ადგილობრივთ ქართული ხალხური ფოლკლორის ნიმუშებიც შემოუნახავთ და ძველქართული ნაგებობებიც (სახლები, ნალიები, წისქვილები). ქართველებისგან გადაღებულ სახლებსა და ნალიებს თურქულ დასახლებებშიც ვხვდებით.

ერთმანეთს ავსებდა 98 წლის მრავლისმომსწრე ომერ ილიმაზ ვარშალომიძისა და მისი ვაჟის, უკვე ჭარმაგი ადემის ნაამბობი.

ომერ ილიმაზი: – ჩემი დედე (ბაბუა) რიზვან ალა წამოსულა ბათომის მხრიდან. ქვეით ალაგებში, ზღვასთან ახლოს, დაბლობში უნდა დამდგარიყვნენ. რიზვან დედეს წყალი ამოულია და ცხენ არ დაუღევია. აქ ვერ დავდგებითო და ზემოთ, შერში ამოსულა. აქ ტყეც ბევრი ყოფილა და ტყიებიდან წყაროებიც გამოდიოდა. ართვინ-მურღულიდან წამოსულებიც გვერიენ, ბევრი უკან გაბრუნებულა, ჩვენები დარჩომილან. ჩემი ბაბა (მამა) სავაშშიც (ომში) ყოფილა, ჩანაქკალეში (დარდანელის სრუტე) იბრძოდა, სამი თვე სანგრებში ვიყავითო...

მართლაც ბევრი ქართველი მუშაჯირი იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში და დარდანელის სრუტეზე ბრიტანელების იერიშს იგერიებდა. ბევრი მთხრობელისგან გავვიცია, რომ ამ ომში არაერთი ახლობელი დაკარგეს.

ქართული „სამეურნეო აკადემია“

ქართველმა ახალმოსახლეებმა მრავალი სიახლე ჩაიტანეს თურქეთში. საოჯახო და სამეურნეო

იარაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობის ხერხები, შრომითი ჩვევები – ბევრი რამ გადაიღეს თურქებმა ახალი მემკობლეისგან.

ადემ ილიმაზი: – სახლების აშენება აქაურ თურქებს ჩვენებურებმა დაასწავლეს. ჩვენამდე დაბალი სახლები ქონიათ, მთელი ოჯახი ერთ დიდ ოთახში, დატკეპნილ მიწაზე ცხოვრობდა, შუაეცხლი ენთოთ. ჩვენგან დეისწავლეს ორყათიანი (ორსართულიანი) ხის სახლების აგება. ჯამიების (სამლოცველოების) აშენებაც ჩვენ დავასწავლეთ, მანამდე სახლში ლოცულობდნენ. ყანის გაფხეკვაც (გამარგვლაც) ჩვენ დავასწავლეთ. დიდი ალა იყო აქოური ზიაბეგი. რო უყურა ჩვენების თოხნას ყანაში, დედესთან ჩამევიდა, – კაცი მინახეთ და მეც გამაფხეკინეთ ყანაო. 15 წლისა ვიყავი და მეც გავყვევი ჩემიანებთან ერთად დასახმარებლად. შევედიო ყანაში, დევიწყეთ თოხნა. გვიყურებს ზიაბეგი და იძახის, ჰემ (თან) მღერიან, ჰემ მარგლიან, ჰემ სიმინდებსაც ჭრიანო... გაგიჟდა კაცი, რამე არ დატეის, ყანა გაჭრენ სულო. ხმამაღლა ვერაფერი თქვა. ვერ გავგო, სიმინდს რატომ ვათხელებდით, მარა სთველზე რო სიმინდი მოვიდა და ნალიამ ვერ აწია, ამის მერე დეისწავლეს თოხები. თხილიც ჩემმა დიდდედემ მოიტანა. ბათომ წასულა, 5 ოჯახი (ძირი) დუუკრია ცხენზე, გადმოუტანია და აქ დოურგია. სხვაც ბევრი რამე წამოულიათ: შავი ყურძენი, ბათომმსხალი, ბათომელმა (ვაშლი), კავალი ვაშლი, ლეღვი...


თხილმა აქაც შეცვალა ველური ბუჩქნარი, ხოლო ბოლო წლებში მგონი პატარა ბორცვიც აღარ დატოვეს, სადაც თხილი არ დაერგოთ. მოსავალიც კარგი მოჰყავთ.

თურქებს არც მაწვნის შედედება სცოდნიათ, არც მისგან კარაქის დამზადება. ესეც ქართველებისგან გადაუღიათ. ძველებური სადღევებელი ახლაც გვხვდება როგორც ქართულ, ასევე თურქულ ოჯახებში.

„ჩვენებურებმა ურვადი არ იცოდნენ“

მამა-შვილი ილიმაზები ძველებურ ქორწილსაც იხსენებენ. ჩვენებურებს ურვადი არ სცოდნიათ. ურვადი მუსლიმური ტრადიციით ვაჟის მიერ ქალის ოჯახისთვის გადახდილი გამოსასყიდია. ქალ-ვაჟი ერთმანეთს არ ირჩევდნენ. უფროსები გადაწყვეტდნენ მათ ბედს. მოილაპარაკებდნენ, ქალს დაინიშნავდნენ და ორი-სამი თვის შემდეგ ქორწილს გადაიხდიდნენ. ნიშნობისას ოქროს სამკაულებს მიუტანდნენ საპატარძლოს, ფულსაც აჩუქებდნენ, ტანსაცმელსაც. საპატარძლოს ოჯახი მშითვეს (ჯემს) გაამზადებდა, სავანგეო საქორწინო სკივრში ჩადებდნენ და ქორწილის შემდეგ გაატანდნენ.

ქორწილი სამ დღეს გრძელდებოდა. ჯერ ქალის ოჯახში მოილხენდნენ, ღამითაც დარჩებოდნენ. მე-



სალიფაზარის რაიონის გამგებელს ადემ იაზივს (ცენტრალში) თავის საშვებარო ოთახში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის მუსტაფა ქემალ ათათურქის ორ ფოტოს შორის თანაგრძობის პროტრეტი მოუთავსებია



მართველ მუჰაჯირთა დაბა-ქალაქებში ახლა უკვე ხშირად შეხვდებით მართულ სახელებს, ჩვენებურთა შთაშრომავლებს რომ თავიანთი ბიზნეს-ობიექტებისთვის დაურქმევიანთ



ადემ იაზივი (ცენტრალში)



98 წლის ომერ ილაგაზ ვარგულში და მისი ვაჟი ადემი



უკანასკნელი უბისი ერდოღან იზანდი



აქაურ დასახლებებში ძველი სახლების მიხედვით ადვილი გასაგებია, თუ როგორი კუთხიდან ჩამოვიდნენ ამ მართველი მუჰაჯირები. ამ იმერსული სახლის მფლობელმა სწორედ იმერსულიდან ჩამოსახლებულა

ნოდარ შოშითაშვილი

ორე დღეს სიძესთან გადაინაცვლებდნენ, სადაც ორ დღეს გრძელდებოდა საქორწილო რიტუალი. მექორწილებებისთვის ერთ ან ორ ხარს დაკლავდნენ, ქათმებისგან ნივთიან კერძს (საცივის მაგვარს) ამზადებდნენ, რომელსაც რატომღაც ჩერქეზულს ეძახიან. არც თურქეთის მთელ ქართველობაში პოპულარული კერძი – ფხალ-ლობიო ავიწყდებოდათ. ეს კერძი ნედლი ლობიოსა და ქართული საწებლებებისგან მზადდება და ძალიან გემრიელია.

დედოფლის მოსაყვანად ნეფე არ მიდიოდა. შინ მოუყვანდნენ პატარძალს. ჩვენებურები, მეზობელი თურქებისგან განსხვავებით, თავისი გვარის ქალს არ შერთავდნენ.

ქალის მოტაცებაც სცოდნიათ ზოგჯერ. თუ ვერ მოილაპარაკებდნენ, ვაჟის ნათესავები, 5–6 კაცი მოიტაცებდა საპატარძლოს. როგორც ამბობენ, ამგვარად შექმნილი ოჯახები მაინცდამაინც არ განსხვავდებოდა ტრადიციულისგან, რადგან არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში ქალ-ვაჟი ერთმანეთს არ იცნობდა. ქართველებმა, კავკასიის მთიელთაგან განსხვავებით, უმძრახობა არ იცოდნენ. აქაურ ჩერქეზებთან კი რძალი მთელი ცხოვრება ვერ გასცემდა ხმას დედამთილ-მამამთილს, ხოლო მათი ბრძანება უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა.

დღევანდელი ქორწილი ძალიან განსხვავდება ტრადიციულისგან. ხშირად ქალ-ვაჟი სიყვარულით ქორწინდება. ეს კი მაინცდამაინც არ მოსწონთ ძველებს, რადგანაც სასწავლებლად ქალაქებში წასული ახალგაზრდები სხვა ეროვნების თანატოლებზეც ქორწინდებიან. არადა, ადრე „სხვა ტომის“ ქალს ოჯახში არ შემოიყვანდნენ, არც თავიანთ გოგონებს გაათხოვებდნენ სხვა ტომის მამაკაცებზე.

გამქრალი მნა

სამხრეთ შავი ზღვისპირეთში, ქართული სოფლების მეზობლად, აქა-იქ ჩერქეზების სოფლებიც გვხვდება. ჩერქეზი აქ ზოგად ეთნონიმად აღიქმება. ჩერქეზებს უწოდებენ როგორც საკუთარი ჩერქეზებს, ასევე ყაბარდოელებს, ადიღეელებს, აბაზებსა და უბიხებსაც კი. უბიხების ტრაგედია კარგადაა ცნობილი. XIX საუკუნის 60-იან წლებში ისინი რუს სალდათებსა და კაზაკ პლასტუნებს შეაწყდნენ. გადარჩენილები აიყარნენ და ოსმალეთში მუჰაჯირებად წავიდნენ. ძირძველ სამკვიდროში მხოლოდ 60-მდე ოჯახი დარჩენილა, რომელთა ეთნიკური კვალი ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს მთლიანად გამქრალია. მათი ისტორიული სამკვიდრო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხეობებსა და შავი ზღვის სანაპიროზე – მდინარე შახესა და სოჭს შორის, რუსეთმა თავის საუკეთესო საკურორტო სივრცედ გადააქცია.

მკითხველებს ალბათ გაახსენდებოდათ აფხაზი მწერლის, ბაგრატ შინკუბას რომანი „უკანასკნელი უბიხი“, რომელიც ამ ტრაგედიას ასახავს.

თურქეთში გადასახლებულ უბიხთა შთამომავალია ერდოლან იშჩანი (უბიხური გვარი ჭუფე), რომელსაც პატარა საკურორტო დაბა ალაჩამში შევხვდით. ზღვის სანაპიროსთან, ფინჯან ყავაზე ერდოლან ბეიმ თავის წინაპართა ტრაგედიის შესახებ გვიამბო. გამოქვეული უბიხები გემით ჩამოსულან ტრაპიზონში, სამსუნიში, სინოპში და ახალი სამოსახლოს ძიება დაუწყიათ.

ერდოლან იშჩანი: – ჩვენი სოფელი სოჭის ახლოს ყოფილა, მეკოფსე რქმევია. აქ ჩამოსული ჩემი წინაპრები სოფელ ქარლაში დასახლებულან. ჩვენს უბნებს სოფლის შიგნით ახლაც უბიხურ სახელებს ვეძახით. აცეხაბლე (აცე გვარია, საბლე კი უბიხურად დასახლებას ნიშნავს), კოჭახხაბლე, მახოშხაბლე... სახელები კი შევიწინარჩუნეთ, მაგრამ უბიხური ენა დავივიწყეთ და სამუდამოდ დაიკარგა კიდეც. ბოლო უბიხი, რომელმაც მამა-პაპათა ენა იცოდა, თევზიფ ესენჩი იყო. იგი 1992 წელს გარდაიცვალა და ჩვენი ენაც საბოლოოდ დაიკარგა.

გუთნისდედა ირემი

ალაჩამში, ზღვის სანაპიროზე, ბულვარში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთი შეხედვით უჩვეულო სოუქეტის ქანდაკებამ. კვარცხლბეკზე დგას მამაკაცი, რომელსაც სახენელში ირემი შეუბამს. აქაურთა გადმოცემით, ერთი წმინდანი ყოფილა, გიქ ქოშა, რაც ირმის მდევნელს, მიმყოლს, ირმის გუთნისდედას ნიშნავს. როგორც ერდოლანი გვეუბნება, ერთი დროც დამდგარა და უფლის რწმენა შესუსტებულა ამ არემარემში. ამიტომ, უფლის ძალაში რომ დაერწმუნებინა აქაურები, გიქ ქოშას, იმავე უფლისგან მონიჭებული ძალით ირემი მოუშინაურებია, სახენელი გაუმართავს, შეუბამს და მიწა მოუხნავს... ხალხსაც უფლისადმი რწმენა დაბრუნებია. ამ დღის აღსანიშნავად, ნ მათის ყოველწლიურად სოფელ ბახრიში, საიდანაც ყოფილა ეს წმინდანი, დიდი სახალხო მეიმი იმართება.

ამ დღესასწაულს ახლა საერთო თურქული ხასიათი და მასშტაბი აქვს. მრავლად ჩამოდიან სტუმრები სტამბოლიდან და სხვა შორეული ქალაქებიდან. დღესასწაულს აშუქებს ტელევიზია, პრესა. იმართება შეჯიბრებები ტრადიციულ თურქულ ჭიდაობაში, – იალი გიურეშში, როცა წელს გემოთ შიშველი, გაქონილი, ცხიმწასმული მოჭიდავეები ერკინებიან ერთმანეთს (აი, ისე, როგორც აბდუშაჰილი გამოჰყავს აკაკი წერეთელს „ბაში-აჩუკში“). სხვათა შორის, წლების განმავლობაში, იალი გიურეშის დაუმარცხებელი ფეჰლეგანი (ფალავანი)



ჩვენმა ახალგაზრდა მემობარმა და მემბურმა, მურღულელმა ოსმან სეიფოღლუმ (კუთვინძემ), ახალი "ტრადიციისამებრ", მოგნიგვლელ ჟუთინელ გოგონაზე, თამარ თევდორაძეზე იმორენინა



გაიქ ქოშა დ ირმის გუთნისდედა



კონტოს მთაგზი ზეფენილი სოფლის ხედი



ეს გურკი სტუდენტი გოგონები ფოტოგრაფირების დანახვისას დაფრთხენენ და სახეს გვიმალავდნენ, მაგრამ როცა გაიგეს, რომ ქართველები ვიყავით, გაგვიღიშეს კიდევ

ნოდარ შოშითაშვილი

ყოფილა იზნიქელი (ისტორიული ნიკეა) ჩვენებური, ლაზი აჰმედ თაში. მის შესახებ ჩვენს წინა რეპორტაჟებში მოვუთხრეთ კიდევ მკითხველს.

ირმის მომინაურების თემა გავრცელებულია ქართულ ფოლკლორულ ემპირიკურებში. ქართული ტრადიციის თანახმად, ირემი წმინდა ცხოველია. სალოცავსა და ხატს ვერ ნახავთ საქართველოს მთიანეთში, შეწირული ირმის რქები რომ არ იყოს. მეორე მხრივ, ირმის თვითმოშინაურების თემაც ფიგურირებს საქართველოში, ლეგენდებით მოსილ ქრისტიანულ თქმულება-გადმოცემებში. ერთ მათგანს გავისხენებთ, რომელიც ეხება გარეჯის წმინდა საგანეს, აქ დავით გარეჯელისა და მისი მიმდევრის, ლუკიანეს მოღვაწეობას. როდესაც ლუკიანემ მეუბნებოდა გადაწყვიტა და გარეჯში, დღევანდელი ნათლისმცემლის საგანესთან დაიდო ბინა, კვების საკითხი სასწაულებრივად გადაწყდა. აქაც, უფლის ნებით, მის სენაკთან გარეული ირემი გამოცხადდა, მივიდა ლუკიანესთან და მორჩილად დადგა მის წინაშე. ამით აგრძობინა თანადგომა და რძე შესთავაზა. ირემი დროდადრო მიდიოდა ლუკიანესთან და ისიც წველიდა მას.

სწორედ ამ თქმულებასთან ასოციაცია ჩნდება ბახრის ირმის ამბის მოსმენისას. ჩანს, ადგილობრივმა თურქულმა მოსახლეობამ ეს თქმულება წარსულში უძველესი ქართველი ტომების მიერ დატოვებული ტრადიციებიდან შეითვისა. თქმულებას უძველესი შრეები უნდა ჰქონდეს, რომლებიც ასევე უძველეს სამიწათმოქმედო კულტურას უკავშირდება. ბევრი ეთნოსი გამოიცვალა ამ მიწა-წყალმა. სანამ თურქი ტომები მოვიდოდნენ, აქ მიწათმოქმედი ბერძნები, ხოლო მანამდე, შუა ბრინჯაოს ხანიდან, სხვებთან ერთად ქართველური ტომებიც ცხოვრობდნენ.

გეოქოზა თუ წმინდა გიორგი?

შემთხვევითი არ არის, რომ ბრინჯაოს ხანის განათხარ მასალაში, თვით საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ირმის გამოსახულებიანი მცირე პლასტიკის ნიმუშებია აღმოჩენილი. ახლომდებარე მიწა-წყლიდან, კაპადოკიიდან არის წარმოშობით ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი წმინდანი, წმინდა გიორგი. იქნებ არც ის არის შემთხვევითი, რომ გეოქოზასთან დაკავშირებული გადმოცემა და დღესასწაული, სწორედ ნ მისის, გიორგობა დღეს იმართება. ხოლო წმინდა გიორგი მხოლოდ მეომართა შემწე კი არა, მიწათმოქმედი ხალხის თანამდგომი გამორჩეული წმინდანიცაა. თვით სახელი, გიორგიც ხომ მიწის მუშაკს, მიწათმოქმედს ნიშნავს. ეს ყველაფერი ჩვენს წინასწარი მოსაზრებაა, რომელსაც, იმედი გვაქვს, სამომავლოდ მეტი არგუმენტი მიეშველება...

საინტერესო რიტუალები და დღესასწაული დადასტურდა თვით ქალაქ სინოპში, რომლის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ქართული წარმოშობისაა, მუშაჯართა შთამომავლები. ქართველთა მოსვლამდე აქაურთა უმრავლესობა ბერძნები იყვნენ, სინოპი უძველესი ქალაქია და ძვ.წ. VIII საუკუნეში მიღებულთა მიერ დაარსებული კოლონიაა. სინოპი ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსის, დიოგენეს სამშობლოა და ერთ-ერთია იმ ქალაქთაგან, რომლებიც ჰომეროსის სამშობლოობას იჩემებენ. სინოპის ძალაუფლება იმ არეალამდე ვრცელდებოდა, სადაც მუშქების, მოსინიკების, ხალიბების, კოლხების ტომები სახლობდნენ. სინოპს ყოველთვის ჰქონდა ქართულ სამყაროსთან სამეურნეო და კულტურული ურთიერთობა. ერთი შტრიხი – საქართველოში პოპულარული ვაშლის ჯიში სინაჯი სინოპიდან უნდა იყოს შემოტანილი. ამაზე უნდა მიუთითებდეს მისი სემანტიკური მნიშვნელობა. დროთა განმავლობაში კი ეს დასახელება „გაქართულდა“.

სწორედ სინოპში იმართება დღესასწაული, რომელიც შინაარსით ზღვაოსნობისა და მებადურთა დღეობას წარმოადგენს და თავისი ფესვებით, მომდინარეობით, რიტუალური სიმღერით საუკუნეებში ღრმად უნდა ჩადიოდეს და უძველეს მისტერიებს აცოცხლებდეს.

დღეს ეს დღესასწაული უკვე ოფიციალურია და როგორც ჩანს, მისი საინტერესო რიტუალური ელემენტები დაკარგულია. ზღვაოსანთა ეს დღესასწაული ივლისის დასაწყისში იმართება და ერთ კვირას გრძელდება. ათი-თხუთმეტი კაცი შეიკრიბება, შეარჩევენ ნავს, შეუდგებიან მხრებით და შეღამებულზე ჩამოვილიან სინოპის ქუჩებს. ამ რიტუალური პროცესის წევრებს ხელში ანთებული სანთლები უჭირავთ და თან ქართული სინამდვილისთვის აგრერიგად ნაცნობ ჰელესა იალესას მღერიათ:

ჰელესა, იალესააა,

ჰელესა იალესააა!

ჰეიამოლი!..

ელესა ხომ ქართული ხალხური შრომის პოემიის სახეობაა, ანუ ლექს-სიმღერა და იგი ლამზმებლავურთა სიმღერებიდან მოდის. იმავდროულად, ელესა დასავლეთ საქართველოშიც (აჭარა, გურია) ყოფილა გავრცელებული. ეს სიმღერა თითქოს ეხმარებოდა მძიმე შრომისას ქართველებს. მაგალითად, ტყიდან საშენი მასალისა თუ საწნახლის დასამზადებლად უზარმაზარი მორების გამოზიდვისას.

მებლავურთა მსვლელობაში მოსახლეობაც ერთვება. ზოგი ფანჯრიდან ესალმება, ზოგი ქუჩაში ხვდება, აივნიებიდან პირდაპირ ნავში უყრიან ფულს, სურსათ-სანოვაგითაც უხვად შეეწევიან მოზიემებს...

რეპორტაჟი მისაგა

სინოპის ყურიდან დანახული საქართველო

ისტორიულ სამშობლოსთან „დამეგობრებას“ ძველი ანარქისტი ტუსალი თუ ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობით აპირებს, პენსიონერი ეკონომისტი საუკეთესო ჯიშის კაკლის პლანტაციის გასაშენებლად მოეშურება... მოულოდნელია, მაგრამ ყოფიდან გამოსული ტრადიციული შრომისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების ისეთი სიმრავლე, როგორიც თურქეთელ ქართველებთან ვნახეთ, საქართველოს მთასა თუ ბარში, არსად შეგვხვდრია.

დაგვეთანხმებით ალბათ, რომ ბოლო დროს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებამ ძალიან შეუწყო ხელი ერთი ფესვის მქონე აქაური და იქაური ქართველების დაახლოებას. ათწლეულების განმავლობაში ერთმანეთს საბჭოთა რკინის ფარდა გვაშორებდა, თუმცა ახლა საშუალება გვაქვს დავახლოვდეთ, უფრო ახლოს გავცნოთ ერთმანეთის ყოფასა და კულტურას, რომელსაც, როგორც ჩვენი სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ, ერთი ფესვი და ძირი აქვს. ამ ფესვსა და ძირს კი, რამდენად უბეტიკურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ერთიანი სამშობლოს — საქართველოს სიყვარული და ქართველობა ჰქვია...



სინოპის ყურისთან აღმართული მინიბაღავანი სააპანიების განმავლობაში ჯერ ბიზანტილებს ემსახურებოდა, შემდეგ კი დ ოსმალებს



იეზიდ ირბაკის წყალსაცავი შეინდობისას



მარცხნიდან: ჯაავით ბერიძე და ფაჰრი უზალ უსტიაჟილი



ქართველი ბოგონები სოფელ ჩათაიდან

შეუსწავლელ რევიონებში...

თურქეთის რესპუბლიკის სამხრეთ შავი ზღვისპირეთში ქართული მოსახლეობა, ისევე როგორც მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, კომპაქტურად XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ჩნდება. ეს უკავშირდება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომსა და მის შედეგებს. ამ ომის შედეგები საქართველოსთვის გამორჩეულად დადებითი გახლდათ იმ თვალსაზრისით, რომ დედასამშობლოს დაუბრუნდა სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის სასულთნოს მიერ წართმეული აჭარა და კლარჯეთი. მეორე მხრივ, ომს მოჰყვა ჩვენი ერისთვის ასევე გამორჩეულად უარყოფითი მოვლენა, მეტიც, ტრაგედია, როცა პროპაგანდას აყოლილი მუსლიმი ქართველების დიდმა ნაწილმა დატოვა მშობლიური მიწა-წყალი, მამაპაპეული სამკვიდრო და ოსმალეთის იმპერიის შიდა პროვინციებში გადასახლდა. ამ ქართველთათვის სამწუხარო ფაქტში ორივე იმპერიამ, ჩრდილოურმაც და სამხრეთულმაც, თანაბრად დაიდეს წილი. მუჰაჯირობის, ანუ გადასახლების ფაქტი საქართველოსთვის იყო ტრაგიკული ფურცელი, თორემ ოსმალეთსაც და რუსეთსაც თითქმის თანაბრად აძლევდა ხელს.

მუჰაჯირებმა რთული პერიოდი გამოიარეს. მიდიოდნენ უძიმეს პირობებში – გემებით, ურმებით, ფეხითაც... თან მიჰქონდათ მხოლოდ აუცილებელი რამ, რაც შეეძლოთ ეზიდათ. მათი მთავარი იმედი იყო ერთმანეთის თანადგომა და ტრადიციული გამოცდილება ყოფასა და მეურნეობაში, ხელოსნობის სხვადასხვა დარგში, შრომითი ჩვევები, რაც წინაპართაგან მოჰყვებოდათ...

წლეულს ჩვენთვის შედარებით შეუსწავლელი რეგიონი, თურქეთის შავი ზღვისპირეთის ქართველთა დასახლებები მოვიარეთ. ამჯერადაც, წინა რეპორტაჟების მსგავსად, მკითხველს კიდევ მრავალ იქაურ ქართველს გავაცნობთ.

აქმით – NATO, იმით – უსტიაშვილი...

ჩათაქი ჩვენი ერთ-ერთი მეგობრისა და მასპინძლის, ფეჰმი უხალ უსტიაშვილის სოფელია. მთავორაკიანი, ტყიანი, წყაროებითა და ნაკადულებით მდიდარი სოფელი ჩათაქი ჩარშამბას ილშია. უმეტესობა აქ მაჭახლის ხეობის სოფლებიდან – ზედვაკიდან, მინდიეთიდან, აკრიიდან წამოსულა. სოფელში ადრე ახალჩამოსახლებულები ხორბალსაც თესავდნენ, სიმინდსაც და ლობიოსაც. კეცებსაც თვითონ ამზადებდნენ, ოღონდ თიხისგან კი არა, ქვისგან თლიდნენ. ახ-

ლომახლო ისეთი ქვა მოიპოვება, ცეცხლს რომ უძლებს და არ სკდება. თიხისმაგვარი ხელსაწყო ჰქონდათ, რკინისა და იმით ამოჭრიდნენო, გვიამბობს ფეჰმი, თუმცა მას წინაპრების ისტორიის გარდა სხვაც ბევრი აქვს მოსათხრობი.

ფეჰმი შუახანს მიტანებული კაცია და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი პოლიტიკურ დევნაში გაატარა. მისი ახალგაზრდობა გასული საუკუნის 80-იან წლებს დაემთხვა, როცა საბჭოთა საქართველოსა და თურქეთს რკინის ფარდა ყოფდა. აქაური ქართველების ერთი ნაწილი, ისევე როგორც თურქეთის სხვა კუთხეებში, მემარცხენე შეხედულებებს იზიარებდნენ, – სოციალ-დემოკრატიული იდეებით დაწყებული, ანარქიზმით დამთავრებული. რთული და რისკიანი იყო ეს გზა. ფეჰმიც რევოლუციონერთა ჯგუფს შეუერთდა. ამის „საზღაური“ კი იყო სატუსაღოებში გატარებული ახალგაზრდობის წლები, მათ შორის სინოპის ციხეშიც, რომელიც ამჟამად სამუზეუმო სივრცეა. სინოპის ციხის „ბინადარი“ ფეჰმი უზალი არაერთხელ გაქცეულა და დაუბრუნებით უკან. როცა ზედამხედველი ჩამოივლიდა შემოწმებაზე და მე დამინახავდა, იტყოდა, – ფეჰმი აქ არის, ესე იგი, ყველა აქ არის და ციხეშიც მშვიდობააო, – იხსენებს ყოფილი ტუსაღი. მისი ცხოვრებისეული თავგადასავლები არაერთხელ მოხვედრილა თანამედროვე თურქული პრესის ფურცლებზე.

ჟურნალ „შაფთავიკის“ („კვირეულის“) 2006 წლის 1-ელი ნომბრის ნომერში კორესპონდენტი ალი ქემალ ერდენი წერს: „1980 წლის გენერალთა სამხედრო გადატრიალებისას ფეჰმი უზალი აღმოჩნდა იმ მემარცხენეთა რიგებში, რომელთაც ეს გადატრიალება გამოსვლებითა და აქტიური მოქმედებებით გააპროტესტეს. დაიჭირეს კიდევ, მაგრამ სინოპის ციხეში გვირაბი გათხარა და თანამზრახველებთან ერთად ბოდრუმში გაიქცა. ბოდრუმიდან საბერძნეთში გადასვლა დაგეგმა, დაიქირავა ნიჩბიანი ნავი, მოიმარავა ხმელი თევზი, არაყიც. ვითომდა დათვრა და გზაში გზა აეხნა. და ერთ ქარიშხლიან ღამეს საბერძნეთის კუნძულ ისთანქოში აღმოჩნდა. იქაური მოსახლეობა კარგად შეხვდა თურქეთის რეჟიმის მოწინააღმდეგეს. თუმცა ერთ კვირაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბორკილდადებული გადასცა თურქეთის გემის ეკიპაჟს. გამოირკვა, რომ მთელი კვირა ითხოვდა თურქეთის მხარე გაქცეული მემამოხის გადაცემას. წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთის მთავრობა იმუქრებოდა, საბერძნეთის ნატოში შესვლის საკითხს ვეტოს დავადებოთ.

ამ ფაქტს საბერძნეთში მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები კი მოჰყვა, სამაგიეროდ,



ხისნი, როგორც უფრო უბალ უსიძიებელია მრავალი წელიწადი გააბარა, ახლა მუზეუმად ქცეულა



ჩვიანი მასპინძელი აბდულა ილმაზ ჯაფარიძე კრახანის ჩაით გამვინახვინძლდა



ბირახუნი, თეფერი დ ხედი მიდელაშვილების ხახლის აივინდან



ფარვანი მდარანის შიდა ეზო



ეს ბარბახანი სინოპის სლუმარს ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) პერიოდში „უაგობს“

ნოდარ ჟოჟიტაჟვილი

ქვეყანა ნატოში შევიდა. ფეჰში უზალი კი დიდი ხნით (14 წლით!) ერზინჯანის ციხეში აღმოჩნდა“.

ჟურნალისტის კითხვაზე, ახლა რას აკეთებთო, ფეჰშიმ უდარდელად უპასუხა, როცა იმ განვლილ უკუღმართ წლებს ვისხენებ, მხოლოდ მეღიშება და ახლა ძალიან მშვიდად ვცხოვრობო. მართლაც ასეა. მცირე ბიზნესთან ერთად, ხელმძღვანელობს ქართული კულტურის ცენტრს სტამბოლის ერთ-ერთ გარეუბანში. თურქეთსა და ისტორიულ სამშობლო საქართველოს შორის კეთილმეზობლური და კულტურული ურთიერთობის გაღრმავება-განვითარებაზე ზრუნავს.

თურქი ჟურნალისტის სტატიის სათაურიც საკმაოდ შთაბეჭეტადვი იყო: „მისი ცხოვრების შესახებ რომანი დაიწერება“.

„ათასი კაპლის ხე“ საქართველოსთვის

კვლავ ჩათახში ვართ, იეშილი (მწვანეს ნიშნავს) ირმაკის ხეობაში. სოფელს წყალსაცავი ესაზღვრება. მის სანაპიროზე შევხვდით აქაურ აბდულა ილიმამ ჯაფარიძეს. აბდულა ბეის მდინარის სანაპიროზე სახნავი მიწები, იერები ჰქონია. სარწყავი წყალი უჭირდა ხეობას და ამიტომაც მოუწყვათ აქ წყალსაცავი, რომელიც ახლო დასახლებებს დენითაც ამარავებს და სარწყავი წყლითაც. დაუწყიათ თევზის მოშენებაც. ასე აღმოჩნდა აბდულა ბეის მამული ხელოვნური ტბის სანაპიროზე. სტამბოლსა და რაიონულ ცენტრს ხარშანბას გამოირიდებული, უკვე ჭარმაგი, სოფელს დაუბრუნდა, მცირე მეურნეობაც გამართა და დედასაც უვლის, 95 წლის ჩერქებ ქალბატონს, აიშეს.

აბდულა ბეი განათლებით ეკონომისტი, სტამბოლში მიიღო უმაღლესი განათლება. ბუნებით შემოქმედა, სულ ახალ პროექტებზე ფიქრობს. ამჯერად კაკლის მცნობის ახალი მეთოდისთვის მიუგნია. სურს რომ იგი საქართველოში ჩამოიტანოს და კაკლის დიდი პლანტაციაც გააშენოს.

აბდულა ბეიმ ტბის ნაპირას მყალი გამართა, გემრიელი ქაბაბი შეგვიწვა და თავის ბაღში დაკრეფილი ხილითაც გავიმსპინძლდა. ვსაუბრობდით, თან საქართველოდან ჩატანილ ქინძმარაულსაც ვაგემოვნებდით. ბოლოს ჩაიგ შემოგვთავაზა, მაგრამ ამჯერად არა მთელ თურქეთში განთქმული რიზეს ჩაი, არამედ მისივე მოკრეფილი მცენარეებისგან დაყენებული. ერთი ბეგქონდარა აღმოჩნდა, მეორის სახელად ქანთარონი გვითხრა. ყვითელი ყვავილია, ფერდობზე იზრდებაო. როცა ინტერესი შეგვატყო, იქვე, მახლობლად მინდორზე მოიძია და გვაჩვენა... ქანთარონი ჩვენთვის კარგად ნაცნობი სამკურნალო მცენარე კრამანა აღმოჩნდა.

აბდულა ბეის ცხოვრებასა და სამზარეულოზე საკუთარი „ფილოსოფია“ აქვს. ორმოც წლამდე მამაკაცმა ნოყიერად უნდა იკვებოსო, მერე კი ის მიირთვას, „რასაც კრავი ჭამსო“ (მცენარეულ-ბალახეული ივულისხმა).

ისევ კრამანას დავუბრუნდით. ჩათახელებს მაჭახლის ხეობიდან მკურნალობის ხალხური ცოდნაც წამოუღიათ. სამკურნალო ბალახების ცნობაც იციან და მათგან წამლების დამზადებაც და შელოცვებიც. ერთ-ერთი აქაური ჯაავით ბერიძე ხეობაში მოტეხილობის მკურნალობითა და მალამოების დამზადებითაა ცნობილი. პირველმოსული მუჰაჯირი, მისი დედეი (ანუ ბაბუა) მაჰირი ფლობდა წინაპრებისგან გადმოცემულ მოტეხილობის მორჩენის საგვარეულო საიდუმლოს და ახლა მის გზას ჯაავით დასდგომია. ბალახებისგან ილაჯ (წამალს) ვაკეთებდითო. ბალახ მოვსრისავდით-მოვსრისავდით, გლახათ მყოფს ვასუნთქებდით და თავის ტკივილიც გაუვლიდაო. სანთლის დასხმაც ვიცოდით და შელოცვებიცო.

შებინდებისას აბდულა ბეიმ ანკესები გამართა და სულ მალე მყალიზე სტუმარ-მასპინძლის დაჭერილი თევზიც შეიწვა...

„უნდანან ქართული ისწავლონ“

სინოპში ვართ. აქ ქართულ საზოგადოებას სელავედინ აიდინი და რეჯეფ ოსერ ფრანგიშვილი უძღვებიან. როცა ჩვენი ექსპედიციის მიზანი შეიტყვეს, ქართველ მცენიერებთან შესახვედრად ის ადგილობრივი ქართველები შეკრიბეს, რომლებმაც კარგად იცოდნენ თავიანთი დედებისგან გადმოცემული ისტორიები, ხალხური ფოლკლორი, წეს-ჩვეულებები, თქმულებები... ეს შეხვედრა ფერვანე მედრესეში გაიმართა. იგი 1262 წელს აუშენებიათ, როცა ხელმეორედ და საბოლოოდ გადავიდა სინოპი ბიზანტიელებისგან თურქ-სელჩუკთა ხელში. ამჟამად ფერვანე მედრესე ტურისტული ცენტრია. შიდა ეზოში გამართულია სახელოსნოები, რომლებშიც აღდგენილი ტრადიციული მეთოდებით მზადდება სელის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები და სამოსი.

მასპინძლებს უჭირთ ქართულად ლაპარაკი, მაგრამ „გვირდებიან“, მალე უკეთესად ვივაზირებთ, ანუ ვილაპარაკებთო. „წინდაწინ ასე იყო, სახლში ქართულად ვაგნებდით, ოქულში (სკოლაში) ქართულად ლაპარაკს გვიკრძალავდნენ და გვსჯიდნენ. თურქული რომ არ ვიცოდით, ქობაკებს და ჭახეებს (უმწიფარს ნიშნავს) გვეძახდნენ. ამიტომაც ვცდილობდით, გურჯიჯა (ანუ ქართულად) აღარ გველაპარაკა“. ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდებმა ქართული არ იციან. მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. „ექებენ, უნდანან



სილოკის მნიშვნელობის კედლებიდან
ვეროკული ქალაქი იწყება...



ივრხეული სახლი



ჩვენი მასპინძლები დ ვერეში და ფაღმა



ფერვანე მდღრეხის შიდა ეზოში გაშართულ
სახელმწიფოებში აღდგანილი ტრადიციული
შეთრდებით შზადდება ხელის, აბრეშუშისა და ბაზბის
ქსოვილის ნაწარმი



ბრემვამების დინახლისი, თავდიქების გვარიდან,
ქველმებრ ვეჯიშებს დღესაც ქსოვს



სიწოხლის სის მოდიში ივრხეულ სკივრგა

ნოდარ შოშითაშვილი

ისწავლონ. რატომ უნდნან? დაჭირდათ. ადრე ბათუმიდან, თბილისიდან არ მოდიოდნენ, არც ამათ უხდებოდათ იქ საქმობა. ახლა სხვა დროა, – გვისხსნის ჩვენი მასპინძელი რეჟვე ფრანგიშვილი.

ერთად დავათვალიერეთ სინოპი. მისი ისტორიული ნაწილი, კონცხის სახით, ღრმად შეჭრილა ზღვაში. მყუდრო უბე მოსახერხებელს ხდის აქაურობას ნაოსნობისთვის. ალბათ იმიტომ, რომ საკურორტო ქალაქია, აქ არ იგრძნობა ტრადიციულ-რელიგიური შეზღუდვები ჩაცმულობაში. ტურისტებიც და დამსვენებლებიც საკმაოდ ბევრია.

სინოპის ოლქში 40-მდე ქართული სოფელია. ამას ემატება ის სოფლებიც, სადაც ქართველები თურქებთან, ჩერქეზებსა და სხვა ხალხებთან ერთად ცხოვრობენ. მაგრამ მუსტი რაოდენობა არც ქართული სოფლებისა ვიცით და მით უმეტეს, არც ქართული მოსახლეობისა. თურქეთის სახელმწიფო ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ეთნოსსა თუ ეთნიკურ ჯგუფს თურქად მიიჩნევს და აღრიცხავს.

საოჯახო „მინიმუმუმები“

ისტორიულ-ეთნოლოგიური ექსპედიციებით მთელი საქართველო მოგვივლია, მთაცა და ბარიც, მაგრამ არსად შეგვხვდრია ყოფიდან გამოსული ტრადიციული შრომისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების ისეთი სიმრავლე, როგორც თურქეთელ ქართველებთან. რა არ გვინახავს ჩვენს ისტორიულ თანამოდმეებთან: კვერები და ფარცხები, სახვნელი იარაღები, სუფრა-ფეშხუმები, გობები და სკივრ-ზანდუკები, კეცები და ჩამურები, წწული კალათ-გიდელები... ასე იყო იმერხევიში, ასე იყო მარმარილოს ზღვის რეგიონში და ასეთი სურათი დავხვდა თურქეთის სამხრეთ შავი ზღვისპირა სოფლებში. სასოებით ინახავენ წინაპართა ნაქონ ნივთებს (ყოფიდან კარგა ხნის გამოსულს). ბევრ ოჯახში ამგვარი ნივთების „მინიმუმუმებიც“ დავხვდა. ასე იყო ექრემ ერის ოჯახში კასტამონუს ილში, ჩათალზეითუნის ილჩეს სოფელ ჰამიდიეშიც (ეს სახელი მუშაჯირთა ბევრ ქართულ სოფელს ჰქვია. ჰამიდიე თურქეთის ცნობილი სულთნის სახელი ყოფილა. იმ გემსაც ჰამიდიე რქმევია, რომლითაც მუშაჯირთა დიდი ნაწილი გადმოუყვანიათ თურქეთში).

აქაურ ჰამიდიეში უმთავრესად შავშეთ-იმერხევიდან – წყალსიმერიდან და ივეთიდან წამოსული მუშაჯირები ცხოვრობენ.

ექრემ ბეი მეუღლესთან ერთად ძველებურ, იმერხეული ტრადიციისამებრ აგებულ სახლში

ცხოვრობს. დაოჯახებული შვილები ქალაქებში დაბინავდნენ, ვაჟი ოსმანი ანკარაში საქმობს, ქალიშვილი სტამბოლშია. ზაფხულობით მთელი დიდი ოჯახი თავს იყრის. მიგრაცია ამ რეგიონშიც თვალში საცემია. ზაფხულობით აურიაშულეზულ სოფლებში მამთარში სიჩუმე ისადგურებს. მცხოვრებთა მეხუთედი თუ რჩება, ძირითადად საშუალო და უფროსი თაობა. პენსიაზე გასვლის შემდეგ აქაურთა უმეტესობა სოფელს უბრუნდება. უნდა ითქვას, რომ აქაურ პენსიონერებს თურქეთის მთავრობის სამდურავი არ ეთქმით. მათი საპენსიო ანაზღაურება ათასი ლირიდან (1 ლირა 0,8 ლარზე ოდნავ მეტია) იწყება. ამას საკუთარ ნაკვეთებში მოწეული მოსავალიც ემატება (განსაკუთრებით თხილის პლანტაციებიდან) და წელში გამართულადაც აბიან.

ექრემ ბეის ოჯახში ძველებური ნივთებიც თავმოწონებით წარმოგვიდგინეს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხის სკივრებმა, რომლებიც ძველი ქართული ხითხურობის ყველა წესის გათვალისწინებით იყო დამზადებული. ასეთი დაჭრელებულ-მოჩუქურთმებული სკივრები სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, აჭარაში მზადდებოდა. სკივრს, საოჯახო დანიშნულების გარდა, გამოკვეთილი ადგილი ეკავა საქორწინო რიტუალში. აჭარაში, ჭვანას ხეობაში საგანგებოდ არჩევდნენ კაცს, რომელსაც ევალებოდა ქორწინლისას პატარძლის სამხითვო სკივრის გადატანა ნეფის სახლში. სკივრში ჩვეულებრივ, წლების განმავლობაში ალაგებდნენ ქალიშვილისთვის სამხითვო ნივთებს.

ალანინშავია, რომ ამგვარი ქართული სკივრი გამოფენილი იყო ინეგოლის მუზეუმში, თუმცა მითითებული არ ყოფილა მისი ქართული წარმომავლობის შესახებ. უბრალოდ ეწერა – „კავკასიური“.

ეს სკივრი ჩემი დედამთილის მოტანილია მხითვად, განსაკუთრებით უყვარდა და უფრო თხილდებოდაო, – გვითხრა დისახლისმა ფატმამ. ორივე სკივრის შუბლის მხარე მოჩუქურთმებულია დაბალი კვეთის გეომეტრიული ორნამენტებით. ასეთივე ორნამენტებია დატანილი გვერდით კედლებზე. ერთ-ერთ სკივრზე ორი მზის დისკოს ესკიზურ გამოსახულებაში წრეში ჩასმული მზეებია, რომლებშიც ჩაკვეთილია ვარსკვლავების სიმბოლური გამოსახულებანი. მზის დისკოებს შორის კი ამოკვეთილია ორი კვიპაროსი – სიცოცხლის ხის სიმბოლური გამოსახულება.

თავანზე (ასე ეძახიან სხვენს) კი ერთმანეთს ენაცვლებოდა მრავალი თაობის გამზრდელი აკვანი, პურის მოსამზედი თეფური, მწინლის შესახი თხის თერგი, ცხრილი და ცხავი, უღელი და ვარია სადღებელი...

რეპორტაჟი მეოთხე

ერთი ფესვიდან ამოზრდილები

შავი ზღვის რეგიონის ქართველთა დასახლებების შესწავლისას სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ ქართველ მეცნიერებს უამრავი რამ დაგვრჩა სანახავი, გასაცნობი და გასაანალიზებელი. პირველი ის არის, რომ ნამდვილად არ მოველოდით, თუ ამდენი ქართული წარმომავლობის ადამიანს შეეხვდებოდათ ამ რეგიონში. „აღმოვაჩინეთ“ უამრავი ახალი სოფელი თუ დასახლებული პუნქტი, რომლის მოსახლეობის უმთავრეს ნაწილს საქართველოდან 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მუჰაჯირებად გახიზნულთა შთამომავლები წარმოადგენენ. მათთვის დღესაც ძვირფასია თავიანთი შორეული წინაპრების, „დიდდედეებისა“ და მშობლიური ქართული ენის ხსოვნა. ბევრმა კი სამწუხაროდ, არაფერი იცის საქართველოს შესახებ. ჩვენი ექსპედიცია იკვლევდა შავი ზღვის რეგიონში ქართველთა ყოფისა და კულტურის, ენობრივი ვითარების, ქართული თვითშეგნების საკითხებს; ეცნობოდა ქართველთა სათვისტომოების, ხელოვნების სახლებისა თუ კულტურის ცენტრების საქმიანობას...



ერფალაჰის სოფლები

ვეცნობით ჩვენთვის ახალ ქართველთა დასახლებებს

თურქეთის შავი ზღვისპირა რეგიონში, სადაც ამ ზაფხულს ჩვენმა გუნდმა (ეთნოლოგები როლანდ თოფჩიშვილი, ნოდარ შოშითაშვილი, მირიან ხოსიტაშვილი და გიორგი ავთანდილაშვილი, ენათმეცნიერი ინგა ლუტიძე, თურქოლოგი ზაზა წურჭუშია, მენჯერი ნატო ასათიანი) იმოგზაურა, ქართველი მუჰაჯირები დასახლდნენ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან და მოიგვეს ტერიტორია გირესუნის ვილაიეთიდან სინოპამდე და კასტამონუამდე. მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა ასეთი დიდი ქართული დიასპორის არსებობა თურქეთის ამ მხარეში. აქ, სავარაუდოდ, ქართული წარმომავლობის ხალხით დასახლებული ასზე მეტი სოფელია. ქართველები ცხოვრობენ ასევე საგუბერნიო თუ რაიონულ ცენტრებში. უმეტესწილად, ქალაქში მცხოვრებნი სოფელთანაც ინარჩუნებენ კავშირს.

ერთი სასიამოვნო დეტალიც: როგორც აღმოჩნდა, რეპორტაჟებს თურქეთის ქართული დასახლებებიდან უკვე თურქეთშიც ჰყავს მკითხველი, იქაური ქართველები. ახლახან სტამბოლიდან, ქადიქოის ქართული ხელოვნების სახლიდან მოგვწერა ჩვენმა მეგობარმა გიორგი ირემაძემ (შემსდდინ იემიმ), ამ სახლის დამფუძნებელმა.

გიორგი ირემაძე: „ჟურნალ „ისტორიანს“ ჩვენს ხელოვნების სახლში საქართველოდან გვიგზავნიან მეგობრები და აქაური ქართველებიც კითხულობენ. ვინც ქართული ენა უფრო იცის, ისინი უკითხავენ დანარჩენებს და უთარგმნიან. კარგია, რომ საქართველო და ქართველი მეცნიერები ინტერესდებიან ჩვენით. ასეთი ურთიერთობა ხელს შეუწყობს აქ მცხოვრებ ქართველებს, არ დაივიწყონ თავიანთი ძველი სამშობლო – საქართველო. მადლობა ჟურნალ „ისტორიანსა“ და ქართველ მეცნიერებს. კარგი იქნება, თუ წიგნად გამოიცემა თურქეთში ქართველ მეცნიერთა მოგზაურობის ამსახველი ეს მასალები“.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლში მისი დაარსებიდანვე იღვწის დიდი აჰმედ მელაშვილის შვილი, იბერია ოსკან მელაშვილი. მის გარშემო შემოკრებილი არიან თურქეთში მცხოვრები კავკასიელებიც. აქ იკრიბებიან ლაზები, ოსები, აბაზები, ყაბარდოელები, ჩერქეზები. საქართველოში (ასევე თურქეთის რესპუბლიკაშიც) უკვე კარგად იცნობენ ბატონი იბერიას ანსამბლ „კაფდალს“ („კავკასიის მთა“), რომლის რეპერტუარშია როგორც ქართული, ასევე კავკასიური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები – სიმღერები, ცეკვები.

ერფელეკის ქართველი მერი

თურქეთის სამხრეთ შავი ზღვისპირეთში ქართველ მუჰაჯირთა განსახლების სივრცეში, უკიდურეს დასავლეთში მდებარეობს კიდევ ერთი „ქართული რაიონი“ – ერფელეკის ილჩე (სინოპის ილში). ელფელეკი პატარა ზღვისპირა ქალაქია, 15 ათასი მცხოვრებით. მთლიანად რაიონში კი 125 ათასი მცხოვრებია. საინტერესო შეხვედრა მოგვიწყო ერფელეკის მერმა მუზაფერ შიმშექმა, რომლის წინაპრები კლარჯეთიდან, ართვინის მხრიდან ფეხით ჩამოსულან სინოპში. მუზაფერ ბეი ამაყობს აქაურობით. ჩვენთან ციტრუსის გარდა ყველაფერი ხარობს, ბარაქიანი მხარეაო. განსაკუთრებით შეგვიქო მამა-პაპის ჩამოტანილი და აქ გახარებული „ზამთრის მსხალასკან“ დამზადებული ბეჭემბი. და მაინც, მუზაფერ ბეის აქაურობის მთავარ სიკეთედ წაბლის ტყეები და წაბლის თაფლი მიანიხნია. მართლაც, ერფელეკის წაბლის თაფლი მაჭახლურთან ერთად მთელ თურქეთშია განთქმული. თუ ერთი კილოგრამი ჩვეულებრივი მინდვრის ყვავილის თაფლის (ჩიჩეგ ბალ) ფასი 35 ლირაა (დაახლოებით 29 ლარი), აქაური წაბლის თაფლი (ქესთანე ბალ) კი 70-80 ლირამდე ღირს.

ერფელეკში ოცამდე ქართული სოფელია. აქაურმა თურქებმაც კი შეითვისეს ქართული მუსიკალური ფოლკლორი და ამ ფორმით წარმოადგენენ ერფელეკს შიდა თურქულ ფესტივალებზე.

მუზაფერ შიმშექი: „ერფელეკში მოსახლეობის 40%-ზე მეტი ქართული წარმომავლობისაა, 17% ჩერქეზია, 3% – ლაზური წარმოშობის, დანარჩენი კი ნამდვილი თურქები არიან (ოფიციალურად ხომ ჩვენც თურქებად ვიწერებით). აქ მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი თურქეთის სამრეწველო ქალაქებში მუშაობს და ზაფხულობით ჩამოდიან. მიგრაცია ჩვენი მხარისთვისაც არ არის უცხო. ბოლო ათწლეულებია, ზამთრობით ჩვენს სოფლებში უმთავრესად მოხუცები რჩებიან... ადრე ამ მხარეში ბერძნებს უცხოვრიათ. მათი უმეტესობა 1923 წელს წასულა ბალკანეთში, ბერძენთა სახელმწიფოში. ქართველთა ძირითადი ნაწილი 1878 წელს ჩამოსახლებულა აქ. მეორე, შედარებით მცირე ნაწილი კი – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ... ადრე ურთიერთობა შეზღუდული იყო, ახლა კი საბედნიეროდ, თვალს ვადევნებთ საქართველოს... 27 წელიწადი მასწავლებელი ვიყავი. ქალაქის მერად მერობედ ამირჩიეს... ჩვენს ისტორიულ სამშობლოში ოთხჯერ ვარ ნამყოფი. აქაური ბავშვებიც მიგვყავს ხოლმე, ვათვალთ-



ერფელეის მერი მუზაფერ შიმშევი პროფესორ როლანდ თოფჩიშვილს ჩანჩქერის სურათს გადასცემს



სტამბოლის ეპარქიული ხელოვნების სახლში. მარჯვნიდან: იბერიე რუსკან მელაშვილი, არქიმანდრიტი ადაში (ჯახთანა ახალაძე) და ბიორგბი ირემბაძე (მეშხედლინ იეში)



გაფხულურბით ერფელეის ჩანჩქერებს ასიათასწომდე ღურისტი ამტვალეირებს და ამჯერად ქართველ მეცნიერებს შოვინდა მათ რიგებში ყოფნაჲ. ამ ფოტოზე ერთ-ერთი ჩანჩქერია აღბეჭდილი

ნოდარ შოშითაშვილი

რებიანბთ ბათუმს, საქართველოს შავი ზღვის-პირეთს. აჭარიდანაც ჩამოდიან ჩვენთან და გვინდა ეს მიმოსვლა კიდევ უფრო გახშირდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით ფოლკლორული ან-სამბლების ურთიერთობაა საინტერესო. ერთ-საც გეტყვით, ჩვენი მოცეკვავეები გაოცებას ვერ ფარავდნენ, როცა აჭარელი ბავშვების ცეკვებს უყურებდნენ. ძალიან ჰგავდა აქაური და იქაური ილეთები ერთმანეთს. მაგრამ ვფიქრობ, აქ გა-საკვირი არაფერია, ჩვენ ხომ ერთი ფესვებიდან ამოზრდილები ვართ“.

ბევრი ლამაზი ადგილია ერფელეკში, მაგ-რამ ერთი მაინც გამოჩნეულია. ეს ცნობილი ერფელეკის ჩანჩქერების კასკადია. როგორც გვითხრეს, აქ 33 პატარა ჩანჩქერია. აქაურები ჩანჩქერს ჩახრიალას ეძახიან. სხვათა შორის, თავის დროზე, გაზეთ „ივერიაშიც“ მსჯელობა გაუმართავთ, რა დაერქმიათ წყალვარდნი-ლისთვის. ზოგი ჩანჩქერს ამბობდა, ზოგი ჩქერს, ზოგი კიდევ – ჩახრიალას და საბოლოოდ, არ-ჩევანი ჩანჩქერზე შეჩერებულა. ჩახრიალა კი დიალექტს შემოუნახავს. ასეა ქართლში, ასეა აჭარაში და ასე დაგვხვდა ერფელეკშიც.

ზაფხულობით ერფელეკის ჩანჩქერებს ასი-ათასამდე ტურისტის ათვალიერებს და ამჯერად ქართველი მეცნიერებიც სიამოვნებით „გავე-რიეთ“ მათ რიგებში.

„ქეიფი“ ბრეგვაძეებში

– რა ჯობია ბრეგვაძეებში ქეიფს!.. – ეს სიტყ-ვეები გაგვახსენდა, როცა სოფელ ინჯემეიდანში მისულელებ ერთ-ერთ ქართულ ოჯახში მასპინ-ძელმა გვითხრა, ბრეგვაძეები ვართო, დიასახ-ლისი კი მაშინვე ჩვენებურად სუფრის თაღ-რიგს შეუდგა...

ბრეგვაძეების „აქაური“ გვარი ოზგენია,



„აფლადი“ — იბერიკა გელაშვილის ფოლკლორული ანსამბლი

თუმცა კი ოჯახში დიდ-პატარამ, ყველამ იცის, რომ ბრეგვაძეები არიან (დიასახლისი თავდი-ძეა) და მამა-პაპათა ტრადიციებსაც ინახავენ. ჭოროხის ხეობიდან გადმოსახლებულან, ხება-მარდიდიდან და ქლასქურიდან. ჩვენი მისვლა ბრეგვაძეების მეზობელ-ნათესავებისთვისაც გახდა ცნობილი და სულ მალე მათი კარ-მი-დამო ხალხით აივსო. ყველას აინტერესებდა საქართველოდან „ჩატანილი“ ამბები.

ინჯემეიდანში თავი მოუყრიათ მაჭახლი-დან და ისტორიული კლარჯეთიდან გადასახ-ლებული ქართველების შთამომავლებს, რო-მელთაც ენაც შემოუნახავთ და ადათ-წესებიც. ინტერესით გვისმენდნენ და 82 წლის მუსტაფა ოზგენი ბრეგვაძემ ისიც კი გვითხრა, თქვენი ვაზირობა ენკაი ძველიაო, ანუ თქვენი ლაპა-რაკი ნამდვილი ქართულიაო. პასუხად ჩვენც აგვიჩუყდა გული, ეს თქვენი სიტყვებია ძველ-ქართული და მოსაფერებელი და ჩვენთვისაც ძალიან საინტერესო-თქო.

ბრეგვაძეების ოჯახიდან სამი ძმა წამოსულა მუჭავირად ჭოროხის ხეობიდან. ერთ-ერთი ძმის ნაქონ კაჟიან თოფს ახლაც ვინახავთო, გვითხრა მუსტაფამ. მისმა ძმამ იუსუფმა შეთქ-მულივით გაგვიღიმა და დავტოვა, ცოტა ხანში კი საგულდაგულოდ შენახული ორასწლიანი კაჟიანი თოფით დაბრუნდა. წინაპრების სლო-ვანას და ტრადიციებს სოფელში ახალგაზრდე-ბიც ინახავენ. ჩემი ემოს (ბიძაშვილს ნიშნავს) შვილი ალმანიაში (გერმანიაში) ცხოვრობს, ალმანი მოიყვანა ცოლად, ასე თქვა, ალმანიაში ქორწილი არ მინდა, თურქის გურჯული დუ-გუნი (ქართული ქორწილი) მომსურდაო. ჩამო-ვიდა, ცოლი ჩამოიყვანა და აქ იქორწილაო, – გვითხრა იუსუფმა.

ამასობაში დიასახლისიც შემოგვიერთდა, ქალბატონი რესმიე თავდიძე, ღმერთმა კარ-გობა მოგცეთო.

ბრეგვაძეებმა სუფრა გაგვიშალეს. ტრადი-ციული ლობიოფხალი, კეჟერას ფოთლებში გახვეული ტოლმა, ყაურმა (აქ ასე ეძახიან კერძს, რომელიც ძალიან ჰგავს მეგრულ ნიგ-ვიან ხარჩოს), აირანი (დოს მსგავსი რძისგან მომზადებული სასმელი), აირანში ჩაწყობილი მომუშული ტკბილი წიწაკა, სახელდახელოდ გამომცხვარი სქელქერქიანი მჭადები, აჭარული ფაშლავა და რაღა თქმა უნდა, საგანგებოდ სტუმრებისთვის მომზადებული, თურქეთში პო-პულარული რიზეს ჩაი. მეზობელ-ახლობლებმა სუფრას ერფელეკის ნაქები წაბლის თაფლი და ქლასქური ნუგბარი (რაჭათლუკუმი და შოკო-ლადის „ბატონები“) შემოამატეს.

როცა დიასახლისის ლობიოფხალი შეეუ-



მალაშ ვრფელეკი



სტუმარ-მასპინძლები სოფელ ინჯაშიდაში კაშიანი თოფის თანხლებით

ქეთ, გვითხრა, გაზაფხულზე რომ მოსულიყავით, ბურწუმელასაც მოგართმევდითო. რომ ვიკითხეთ, ბურწუმელა რა არის-თქო, ეკალიღიაო, აგვისხნეს. ჩვენებური ეკალა გამოდგა, რომელიც აქაც ისევე ხარობს, როგორც აჭარაში. თუმცა აქ ნიგვზით არ კაზმავენ, ერობსა და ხახვში ვხრაკავთო.

გამომშვიდობების დროც დადგა. გამომშვიდობება კი ისევე, როგორც სხვა სოფლებში, აქაც ნაღვლიანი იყო. არ ვემეტებოდით მასპინძლებს. ეს ყველაზე მეტად 71 წლის იუსუფ ბრეგვაძეს დაეტყო. თვალზე ცრემლმომდგარმა დანანებით გვითხრა: – ახლა მიხვალთ თუ?.. რატომ გამავდეთ (დამტოვეთ), თვალები ემეცრემლებს... ლამაზად წადითო...

ჩვენც იქაურქართულად დავემშვიდობეთ, – კაი გუნებზე დარჩით, ბატონო იუსუფ და ჩვენო მასპინძლებო!..

„ვენდია“

ჭოროხისპირელ მუჭაჯირებს სამშობლოდან, სხვა წეს-ჩვეულებებთან ერთად, სისხლის აღების აქა-იქ შემორჩენილი წესიც „გადმოჰყვათ“. ჩვენი სინოპელი მასპინძელი აიშე წიგნაძე ემოციურად გვიამბობს ერთ-ერთ ასეთ ისტორიას:

„ქართველებმა ერთმანეთის დიდი თანადგომა იცოდნენ და ამიტომ ვერც ადგილობრივები უბედავდნენ რამეს და ვერც მთავრობა. სისხლი ჩამოვარდნილა ჩემი ნათესავი თავაძეებისა და გოდორაშვილების გვარებს შორის. ეს ქიშპი ჭოროხში დაწყებულა და გადასახლების შემდეგ, სინოპშიც გავრძელებულა. ამბავი კი ასე დაწყებულა: თავაძეების ბიჭს გოდორაშვილების გოგო დაუნიშნავს, მაგრამ გოგოს მხარეს პირი გაუტეხავს და ქალი აღარ გაუტანებიათ. თავაძეებს უწყენიათ და საპატარძლოს მამა და ბიძა დაუხიციავთ. სამოცდაათ წელიწადს გავრძელებულა ეს მტრობა. ერთხელ დროებით დაზავებულან სინოპში გადასახლების შემდეგ, რასაც საფუძვლად ქართველთა საერთო მიზანი დასდებია. სინოპის ოლქის ქალაქ გერზეში ადგილობრივ მთავრობას დაუდგენია, არჩევნებში მარტო თურქებმა უნდა მისცენ ხმაო. ამან ქართველებში უკმაყოფილება გამოიწვია და ერთ-ერთ თავაძეს პროტესტის ნიშნად საჯაროდ დაუფხირიწავს თურქული ბაირაღი. დასასჯელად ასკერები მოსულან. მთელი ქართველთა შეკრებილა გერზეში იარაღასხმული. ვიღას ახსოვდა სისხლის აღება – თავაძეების დასაცავად გოდორაშვილებიც გამოსულან და საბრძოლველად გამზადებულან. დიდი სისხ-

ლის ღვრა იყო მოსალოდნელი. ასკერების მეთაურს რომ უნახავს ქართველთა ასეთი ერთად დგომა და სიმტკიცე, განზრახვამე ხელი აუღია, ვერც „დამნაშავე“ დაუსჯია და ქართველებსაც თავისი გაუტანიათ.

მაგრამ საფრთხეს გაუვლია თუ არა, მოქიშპეებს ერთმანეთისთვის გადაუხედავთ და უთქვამთ, ახლა კვლავ სისხლიო!..

მთელი ამ დროის განმავლობაში აქეთ-იქით ხუთი კაცი შეწირვია შუღლს. ბოლოს ჩემი ბაბოის დედას, ძალიან პატივსაცემ ქალს უთქვამს, ეს სისხლი უნდა გათავდესო და ასეთი წესიც აღუსრულებიათ: ორას კაცზე მეტი შეკრებილა თავაძეების მხრიდან ცხენოსნები, ფეხით კიდე სხვავი. ცხენზე აუკიდიათ შეშაკვარი და წინ გაუძღოლებიათ. მეთაური კაცები უბრად შესულან მოსისხლე გოდორაშვილების სახლში და კერაზე ასევე უბრად გაუჩაღებიათ ცეცხლი წაღებული შეშაკვარით. დიდი ხარი დაუკლავთ და ლამის საუკუნოვანი მტრობა მშვიდობად უქცევიათ. „სულ ფიშტოები სხლესო“, ამბობდნენ ამ ამბის მომსწრენი. ამით გათავდა სისხლი და მას აქეთ მსგავსი რამ აღარც გამოიგია. თუმცა კი მოსისხლეთაგან ერთ-ერთი, ბოლო მკვლეელი ახლა ჰენდეკში (მარმარილოს ზღვის რეგიონში) ცხოვრობს. 80-ს კახიანია გადასცდა, მაგრამ სინოპში ვერ ჩამოსულა. მართალია, ხელს აღარავინ ახლებს, მაგრამ ჩამოსვლას მაინც ერიდება“.

სინოპშივე, ჰილში თავაძის ოჯახში მისულებს, ლალას თემში ორასწლიანი მუხა „შემოგვეგება“. აქაური ვენდეტის ამბავი მათაც გაგონილი ჰქონდათ.

ჰილში ბეი იხსენებს: – აქ რომ ჩამოსახლებულან ჩვენი დიდ დედეები, გუბერნატორს უთქვამს, ფრთხილად იყავით, ასები (ყაჩაღები) მოსულანო. ჩვენებს უპასუხიათ, ასიც ვართ და ათასიცო!.. ასეა, ჩვენებური კაცი თავს იოლად არავის დააჩაგვრინებს!..

თუმცა ჰილში ბეის გული იმაზე სწყდება, რომ მისმა შვილებმა ქართული არ იციან. დედა ადრე გარდაცვლია და შვილიშვილებს ქართული ვერ უსწავლიათ. ნენეი წავიდა და ჩვენებური ვაზირობაც (ლაპარაკი) წავიდაო. ახლა კი იმედი აქვს, ჩვენს სკოლაში გაისად ჩვენი შვილები ქართულს ისწავლიანო...

* * *

ქართველ მეცნიერთა ჯგუფი ამჯერად სტამბოლისკენ მიემგზავრება. ექსპედიციის დასასრულს ჩვენი მასპინძლები სტამბოლსა და მის შემოგარენში მცხოვრები ქართველ მუჭაჯირთა შთამომავლები იქნებიან.



მუსტაფა ოზგინერ ბრემავაძე და მისი მეუღლე რენეშიე თავდიძე



ლალას თემში ორასწლიანი მუხა "გემოგვეგება"



ეს სოფელი ჟანეთის მდინის ფერდობებზეა გაშენებული



აიში ზინნაძე შვილიშვილთან,
6 წლის თაილანთან ერთად



ასე გვახილებდნენ ახალგაზნობილი ჩვენებურები
იუსუფ ოზგინერ ბრემავაძემ გამომგვიძღობებისას
სრულში ვერ შეიკავა...

თორნიკე ერისთავის ნაკვალევადან სტამბოლის ქართულ სავანეში

თურქეთის სამხრეთ შავი ზღვისპირეთში რამდენიმე კვირის შინაარსიანი მუშაობის შემდეგ, ჩვენი ექსპედიცია სტუმართმოყვარე, „ჩვენიან“ სინოპს დაემშვიდობა და გეზი სტამბოლისკენ აიღო. გადავკვეთეთ შავ ზღვაზე მძივივით მიჯრილი პონტოს მთებიდან ილგაზის ქედები დასავლეთით და ქიუმრესი — აღმოსავლეთით, რომელსაც ადგილობრივები ჯანაიკის ანუ ჭანეთის ქედს ეძახიან. ანატოლიის ზეგანისკენ გზაზე მთის ფართოფოთლოვან ტყეებს წიწვოვანი „შავი ტყეები“ ცვლის, ნადირ-ფრინველით სავსე, ფლორა-ფაუნის დაცვა-შენარჩუნებას თურქეთის მოსახლეობის კანონმორჩილებაც უწყობს ხელს. რაკი ამა თუ იმ ცხოველზე ნადირობა აკრძალულია, ეს უკვე საყოველთაოა — რანგისა და ჩინის განურჩევლად... გზად, ჩვენი მინიბუსის წინ, შველმა გაიელვა, სანამ აღფრთოვანებას გამოვხატავდით, ისარივით გადაიქროლა და უღრან ტყეს შეერია.



აია სოფიას ტაძარი

88 სტამბოლისკენ

გავიარეთ ბოიბადი – ძველი ქალაქი სელჩუკური პერიოდის დიდი ციხესიმაგრით, არტანუჯის ციხეს რომ ჩამოშავას. ადრე აქ სომხებიც ცხოვრობდნენ, თუმცა ამჟამად მათი ადგილი თურქმანული წარმოშობის იორუქების ტომთა შთამომავლებს უკავიათ. საერთოდ, ძველი თურქული ტომების განსახლების არეალი სელჩუკურ-ოსმალური პერიოდიდან ანატოლიის ზეგანია, რომელზეც გადის ჩვენი გზა სტამბოლამდე. ბრძოლითა და დამხვედურთა სისხლით დაუკავებიათ ეს ადგილები იორუქებსა და მანავებს, ყარაფაფახებსა და აფშარებს, თურქმანებსა და თარაქამებს...

მარცხნივ დავტოვეთ ამასიისა და თოქათის ოლქები, სადაც ათამდე ქართული სოფელიც (აქიაზი ქოიუ, ბელადი ქოიუ, თაშოვა, სორჰუნი, თეფეიაღე...) „გვეგულება“, რომელთა მონახულებაც სამწუხაროდ, ამჯერად ვერ შევძელით.

ჩორუმის ილში, უელეტებილზე, ზღვის დონიდან 1886 მეტრზე, წიწვოვანი ტყის პირას შევისვენეთ და აქაური ჩაივ მივირთვით იორუქების ტრადიციულ გიოზდემესთან ერთად. გიოზდემე უფუარი ცომით გამოძვებარ ხაჭაპურს წაავას, ოღონდ ლავაშივით თხელია, ხაჭოს ფანტია გულსართით.

...მცირე ამიის ცნობილ მდინარეს მივადევით – ყიზილ ირმაკი, რაც წითელ ანუ სისხლიან მდინარეს ნიშნავს, არაერთი ბრძოლისა და შეტაკების მოწმეა. ბერძნულად მას ჰალისი ჰქვია. სწორედ აქ, ჰალისის პირას გაიმარჯვეს თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის მეომრებმა, როდესაც დავით III კურაპალატმა 12-ათასიანი ჯარი გაგზავნა ბიზანტიის დაობლებული, ხუთიოდე წლის იმპერატორის, ბასილი II-ის დასახმარებლად. ნორჩ კეისარს 979 წელს თავისივე სარდალი, სომეხი წარმომავლობის ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. იმარჯვა ქართულმა ლაშქარმა თორნიკე ერისთავის მეთაურობით და ბიზანტია სახელმწიფო გადატრიალებისგან იხსნა. თუმცა კი ბასილი II მტარვალად იქცა და თავისი იმპერატორობის თითქმის ორმოც წელიწადში ბულგართმულეტის ზედწოდებაც „დაიშახურა“. არც ქართველებთან ომისგან დაუხევია უკან, გიორგი I შირიმნის ცნობილ ბრძოლაში დაამარცხა 1021 წელს და ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალსაც დაეუფლა. მოგვიანებით ეს ქართული ისტორიული მხარე ბიზანტიელთა „მემკვიდრე“ ოსმალებმა მიიტაცეს...

ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, სწორედ ჰალისამდე განსახლებულან ქართველი ტომები უძველესი დროიდან. ამას ადასტურებს ასურული ლურსმული დამწერლობის წყაროები, რომლებიც ძვ.წ. XII საუკუნის ასურელ მეფეთა ლაშქრობებს ასახავენ. წყაროების

მიხედვით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ტრაპიზონისა და სინოპის ახლოს, მდინარე ჰალისამდე დასახლებულია მუშქების ტომი, რომლის პარალელი ბიბლიურ მეშეხებთან უნდა ვეძებოთ. თავის მხრივ, მეშეხები ძვ.წ. VI საუკუნის ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული მოსხების, ანუ მესხების ტომობრივი სახელია.

სტამბოლი მსოფლიო ქალაქია

ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება სტამბოლზე. მრავალი ოდა მიუძღვნიათ მისთვის. 16-მილიონიანი, 3-ათასწლიანი მეგაპოლისი ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს და არაერთი ისტორიული ქარტეხილის მოწმე და მონაწილეა.

ბოსფორის სრუტის ოქროს ყურის ნაპირებთან ძვ.წ. 659 წელს გადმოსახლებულან ქალაქი მეგარიდან ძველი ელინები. ქალაქი დაუარსებიათ და თავიანთი წინამძღოლის – ბეზას სახელის მიხედვით მისთვის ბიზანტიუმი (ბიზანტიონი) დაურქმევიათ. ქალაქი რომაულ ხანაში გაძლიერებულა. რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ახ.წ. 330 წლის 11 მაისს ბიზანტიუმი იმპერიის აღმოსავლეთ დედაქალაქად გამოაცხადა და მას ნოვა რომა, ანუ ახალი რომი უწოდა. თუმცა, ეს სახელი ვერ დამკვიდრდა და თავიდანვე კონსტანტინეს ქალაქს – კონსტანტინოპოლს უწოდებდნენ. ერთი საუკუნის შემდგომ იმპერატორმა თეოდოსიუსმა ქალაქს უკვე ოფიციალურად უწოდა ეს სახელი.

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, V საუკუნიდან, კონსტანტინოპოლი ბიზანტიის ათასწლოვანი იმპერიის დედაქალაქი გახდა. გამორჩეულად აყვავდა ქალაქი VI საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანეს დროს, რომლის აღმშენებლობის სიმბოლოდ წმინდა სოფიის ტაძარი – აია სოფია მიიჩნევა.

ბიზანტიის ისტორია 1453 წელს დასრულდა, როცა ოსმალთა სულთანმა მეჰმედ II-მ ხანგრძლივი ალყის შემდეგ კონსტანტინოპოლი აიღო და დიდი სისხლიც დაღვარა. შემდეგ კი პირველი, რაც მოიმოქმედა, მხლებლებითურთ აია სოფიისკენ – ბიზანტიის იმპერიის სიმბოლოსკენ გაემართა და მაჰმადიან სასულიერო პირებს ალაჰის სადიდებლად საკურთხევილიდან ლოცვა აღავლენინა, ტაძარი კი მეჩეთად გადააკეთებინა.

...დღეისთვის მუზეუმად ქცეული აია სოფია მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან იზიდავს ტურისტებს.

ოსმალები ქალაქს ისტანბულს ეძახდნენ, რაც მომდინარეობს ბერძნული ფრაზიიდან „ის ტამ პოლინ“ (ქალაქისკენ, ქალაქის გულში), თუმცა კი 1930 წლის 28 მარტამდე მას კონსტანტინეს ქალაქი – კუსტანტანია ეწოდებოდა. თურქების მა-

ნოდარ შოშითაშვილი

მად აღიარებულმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა კუსტანტინია სტამბოლად აქცია, დედაქალაქი კი მცირე ხნით ადრე თურქეთის გეოგრაფიულ ცენტრში – ანკორაში (ანკარაში) გადაიტანა.

სტამბოლი და ქართველები

სტამბოლში (ისევე როგორც მთლიანად თურქეთის რესპუბლიკაში) მცხოვრები ყველა მოქალაქე ოფიციალურად თურქად ითვლება. მაგრამ თუ ცოტა ჩავუღრმავდებით, ქალაქში მეოთხედს ქართული წარმომავლობის ხალხი შეადგენს. არიან ბულგარელი თურქები – პომაკები, არნაუტები – ალბანელები, ჩერქეზები – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელები, ბოშნაკები – ბოსნიელები, გაგაუზები... ცხადია, არიან ქართველებიც. მიახლოებითი გამოთვლებით, ქართული წარმომავლობის სტამბოლის მოქალაქეთა რიცხვი 250-დან 500 ათასამდე აღწევს, ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების ხარისხის მიხედვით.

ქართველები სტამბოლში ძირითადად გაფანტულად ცხოვრობენ, თითქმის ყველა უბანში... მაგრამ ცხოვრობენ ერთადაც, პატარა გუნდებად, ანკლავებად. ყველაზე „ქართული“ უბანი ბეიქოშშია, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ამიურ ნაწილში. სამრეწველო რაიონია ბეიქოში. აქ მოდიოდნენ ბედის საძიებლად შავშეთიდან, იმერხვიდან, ნიგალიდან, ტაოდან. სახლდებოდნენ, შრომობდნენ, ნათესავ-მეგობლებიც ემატებოდათ და ახლა ამ წყნარ უბანში მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული წარმომავლობისაა, დაახლოებით 30 ათას კაცს ვარაუდობენ. ქართულ სათვისტომოში, რომელსაც ალი ქემალ ქილიჩი თავკაცობს, მოგვითხრეს ბეიქოშის წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. არც იმის თქმა დავიწყებიათ, რომ ბოლო წლებში დიდ ადგილს უთმობენ ქართული ყოფითი და კულტურული ელემენტების გამოვლენა-შენარჩუნებას. როგორც დანარჩენი სათვისტომოებში, აქაც ქართული წერა-კითხვის შესწავლასა და ფოლკლორის ეთნობა მთავარი ყურადღება.

კიდევ არაერთ ქართულ „უბანში“ მოვხვდით. ბააკილარში ქართული კულტურის ცენტრიც აქვთ. აქ შევხვდით ფეჰში უბალ უსტაშვილს, სეზან გონენჯს (სალომე ბარამიძეს), ორჰან ბერიძეს, დავით კაპტანს... სათითაოდ მოგვითხრეს თავიანთი წარმომავლობის, აქ ჩამოსახლების ამბავი. თავიანთი ისტორია გაგვაცნეს და არც ის დავიწყებიათ ეთქვათ, რომ ძალიან უხარიათ, ბოლო წლებში ისტორიულ სამშობლოსა და მორეულ თანამემამულეებთან ურთიერთობის საშუალება რომ მიეცათ...

სხვათა შორის, ახლახან სოციალური ქსელიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ქართული კულტურის

ცენტრმა საინტერესო საღამოები მიუძღვნა ვაჟა-ფშაველასა და ილია ჭავჭავაძის ეროვნულ მოღვაწეობასა და შემოქმედებას. შეხვედრები გვექონდა სტამბოლში, ასევე ქართველებით დასახლებულ უბნებში, როგორცაა იმერხველებით დასახლებული სეფარქოი. ქადიქოიში ქართული ხელოვნების სახლში მოგვიწყვეს შეხვედრა და სხვ.

სტამბოლის ქართული საგანი

ქალაქის ევროპულ ნაწილში, ერთ ქართულ დასახლებაში თუფაქ შაფაქ ლომინაძემ მიგვიპატიჟა თავის ოჯახში. თუფაქ ბეი სინოპ-სამსუხნის მხრიდანაა წარმომავლობით. ისტორიულ სამშობლოდ კი იმერეთის ვანს, ლომინაძეებით დასახლებულ სალომინაოს ასახელებს. მამამისი, შარაფედდინ შაფაქი ჯერ სამსუხნის მთავარი პროკურორი, შემდეგ ანკარის მთავარი მოსამართლე ყოფილა. თითქოს დაღუპილი ცხოვრება უნდა ჰქონოდა თუფაქს, მაგრამ როგორც იმდროინდელი ბევრი აქაური ქართველი, მემარცხენე იდეებმა გაიტაცა და... არაერთხელ გადასახლეს. ათას ფათერაკგამოვლილი, რომ იტყვიან, დაღვინდა და ერთ-ერთ მედიასააგენტოსაც ხელმძღვანელობდა. ახლა კი, 50-ს გადაცილებული თუფაქი სტამბოლის ქართულ საგანში მისი ხელმძღვანელის, ბატონი სიმონ ზაზაძის გვერდით არის. ოფიციალურ პასპორტში ისტორიული გვარი – ლომინაძე ჩაიწერა და თანამოძმეებსაც ამასვე მოუწოდებს.

...ლომინაძეების ოჯახის დიდი დიასახლისი ესმევს წიგნაძე თან ტრადიციული კერძებით გემასპინძლობს და თან წინაპართა შესახებ გვიამბობს: „ამ პატარა უბანში ერთად დასახლებულან ჩვენი დედეები (ბაბუები) და ახლა 50 ოჯახი ვიქნებით ერთად. ქორწილ რო იქნება, თველი ერთად მოვიყრებით...“ შიგადამიგ წყვეტს ლაპარაკს, გადმოგვხედავს და ღიმილით დასძენს, – რავაი მომსურდა თქვენი ნახვაო.

სტამბოლის ქართული საგანი ქალაქის ცენტრშია, – ფერიქოიში, ანუ ანგელოზთა სოფელში. მას დათმობილი აქვს წმინდა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკური ტაძარი, უმდიდრესი წიგნთსაცავით. ადრე აქ სტამბაც გაუმართავთ, სადაც ქართული წიგნებიც იბეჭდებოდა. ყოფილა დედათა და მამათა მონასტრებიც. ივანე ჯავახიშვილს რომ მოუნახულებია ეს საგანი, მისთვის საქართველოს პატარა კუნძული უწოდებია.

ქართული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი 1861 წელს დაუარსებია ახალციხიდან გადმოსულ ქართველ მოღვაწეს, კათოლიკე მღვდელს პეტრე ხარისჭირაშვილს. ბევრ ცნობილ



სტამბოლი. თა მსიგის მოედანზე აღმართულ მონუმენტში გაცოცხლებული ისტორიის ფურცლები



სტამბოლის მართულ საჰანეში



ძველი და ახალი ბეიფორის მართულ ზბანში



გულთბილი შეხვედრა სტამბოლის ბეიფორის მართულთა სათვისტომოში

ნოდარ შოშითაშვილი

ქართველ მამულიშვილს მიუღია აქ განათლება. თუნდაც მიხეილ თამარაშვილისა და ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის) დასახელებაც იკმარებს. ამ პატარა მყდერო ქუჩას ვახსოვს საუკუნის 60-იან წლებამდე გურჯუ საოქაქი ანუ ქართველთა ქუჩა რქმევია. ახლა თუფაქ ლომინაძე ამ სახელის აღდგენას ცდილობს...

სავანის წიგნთსაცავში დაცულია საერო და სასულიერო წიგნები საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. სულ აღწერილია 83 ათასამდე წიგნი და ჟურნალ-გაზეთი, რომელთაგან ბევრი საქართველოში არ მოგვეპოვება და ამდენად, მთლიანად ეს სავანე ქართველთათვის უმნიშვნელოვანეს საგანძურს ინახავს.

ქართველთა კვალი

სტამბოლში ქართველებს კვალი ბევრგან დაუტოვებიათ. სხვა რომ არ ვთქვათ, დედა-დედოფლების აღნიშნავს საკმარისი იქნებოდა როგორც ბიზანტიის, ასევე ოსმალურ პერიოდებში. გამორჩეული იყო XI საუკუნეში ბაგრატ IV-ის ასული და დავით აღმაშენებლის მამიდა, გონიერებითა და სილამაზით განთქმული დედოფალი მართა-მარიამი, რომლის ღვაწლი ბიზანტიასაც დაეტყო და საქართველოსაც სწვდებოდა.

მრავლად შემორჩა ისტორიის ოსმალეთის სულთანთა ქართველი ცოლები და დედები. ერთი ასეთი ვალიდე სულთანი ყოფილა – გურჯი ხათუნი, მაჰმუდ II-ის პირველი ცოლი და რეფორმატორი სულთნის, აბდულ მეჯიდის დედა ბემზიალემი (თავდგირიძეთა გვარიდან). როგორც ჩანს, ვალიდე სულთანს დიდი გავლენა ჰქონია სულთნის კარზე. მხოლოდ 32 წლისა ყოფილა, როცა მისი ვაჟი, 16 წლის აბდულ მეჯიდი ტახტზე ასულა (1839 წლის 1-ელ ივლისს). 14 წელიწადი შვილის გვერდით ყოფილა სასახლეში და მის

რჩევებს სულთანი მუდამ ითვალისწინებდა. სწორედ დედის რჩევით აუშენებია აბდულ მეჯიდის სტამბოლში ახალი სასახლე ბოსფორის სრუტეზე ბაროკოს სტილში (დოღმა ბახჩე სარაი), რისთვისაც ფრანგი არქიტექტორები მოუწვევიათ. სასახლის გვერდით კი შთამბეჭდავი დოღმა ბაღჩე ჯამე აუშენებიათ.

ბემზიალემის სახელს უკავშირდება არაერთი არქიტექტურული ძეგლი სტამბოლში. თუნდაც გალათას ხიდი ბოსფორზე, რომელიც 1845 წელს აუგიათ, არაერთი შადრევანი ქალაქის სხვადასხვა უბანში. ქველმოქმედიც ყოფილა ბემზიალემი. უპოვართათვის შემწეობის ფონდი შეუქმნია, მუსლიმი გოგონებისთვის სკოლაც კი დაუარსებია. ერთი სიტყვით, მუსლიმურ სტამბოლში ევროპული სუნთქვა შეუტანია...

მაილოვის მაგიერ

გასრულდა ჩვენი სამწლიანი საზაფხულო მოგზაურობები თურქეთის რესპუბლიკის ქართველთა დასახლებებში. ეს იყო აქეთურ და იქეთურ ქართველთა მგრძნობიარე, ამაღლეფვებელი, შთამბეჭდავი, ერთდროულად სიხარულიანი და ტკივილიანი შეხვედრები. ეს იყო თურქეთელ ქართველთა დიდი ნაწილისთვის უცნობი საქართველოს ერთგვარი „წარდგინება“; ეს იყო ისტორიული სამშობლოს, დიდდედების მიწის ხილვის სურვილის გაღვიძება ან სულაც დაბადება; ეს იყო მუჰაჯირთა და ტაო-კლარჯეთის მკვიდრთათვის შორეულ წარსულში დარჩენილი მშობლიური ენის, ადათ-წესების, საზღვრის აქეთ მყოფ თანამოძმეთა გაცნობის სურვილის გამხელა; ეს იყო იმ სიყვარულის გამომხეურება, საუკუნეებს რომ გაუძლო და კიდევაც გაუძლებს; ეს იმ სიყვარულის გამხელაც იყო, რომელსაც ქართველად ყოფნის ტკივილი ჰქვია...

მომავალ შეხვედრამდე, ჩემო ქართველებო!..



სულთან აბდულ მეჯიდს დედამ, ქართველთა ბემზიალემ დ ვალიდე სულთანმა ააშენებინა თაფრითიზ ჯამე და სასახლე ევროპულ სტილში



თუფაჟ ზაფაჟ ლოჟინაძე, ჩვენი მასპინძელი



სტამბოლში მსხოვრება ჩვენს მასპინძელ ოქრომჯედელს, იმერსევალ აიჰვან იმიკს ქართველმა ეთნოლოგებმა წინაპართა გვარის „უკოვს“ — იშხნელი (იშხიეთის გვიქსინაო)



სეზან გონენგი დ ქართული კულტურის ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი



ჩვენი ძველი მემგობრები არჩილ ზოიძე (აბდულლა ზორლუ მემულქესთან, სნიჰანთან ერთად, აბდულლა ზორლუ ახლა თურქეთის მთვლისში იყრის კენჯს



შიღლიჯამესთან ასეთ სურათსაც წააწყდებით სტამბოლში, კარასაქოვით



ბეიქოფელი კატარა ქართველი გოგონები

ნიმნად ქცეული რეპორტაჟები

მუჰაჰირი

ნაწილი პირველი
რეპორტაჟები ტაო-კლარჯეთიდან.....

ნაწილი მეორე
რეპორტაჟები მარმარილოს ზღვის
სანაპიროს ქართველთა დასახლებებიდან

ნაწილი მესამე
რეპორტაჟები თურქეთის შავი ზღვისპირეთის
სამხრეთ პროვინციების ქართველთა დასახლებებიდან